


# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

14 აპრილი 2006

№8



აკაკი ბაქრაძის 14 აპრილი

ამერიკის ისტორია  
ჩვენი კაკლის ხის ტოლია

გრემ გრინის დეტექტივი

დოს პასოსი საქართველოს პედზე

დათო ბარბაქაძის ლირიკული პოემა

ტელესერიალების მაცდური ხიზლი

## შინაარსი

<b>პრეფასი</b>	<b>2</b>	<b>ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში?</b>
<b>ჩვენი ყოფა, წუთისოვანი</b>	<b>3</b>	<b>ნუგზარ მუხაშვილი „... და ვინ ხარ შენ?“</b>
<b>ექსპრეს-ინტერვიუ</b>	<b>8</b>	<b>იმ ცივ, ძარინან საღამოს... (საუბარი ვანო ჩხიკვაძესთან)</b>
<b>უსმოელის თვალთ</b>	<b>9</b>	<b>ვახტანგ ამალღობელი ჯონ დოს პასოსი საქართველოს ანექსიის შესახებ (1921 წელი)</b>
<b>პროზა</b>	<b>12</b>	<b>ირმა მაღაცაძე ტორტი</b>
<b>პოეზია</b>	<b>16</b>	<b>დათო ბარბაქაძე არსებობის სვლეტი</b>
<b>უსმოელის სმოვრებიდან</b>	<b>23</b>	<b>გრიგოლ ჩხარტიშვილი მარტვილშია წმინდა სებასტიანისი ანუ სიკვდილით მოჯადოებული</b> (თვითგანადგურების ესთეტიკა იუკიო მისიმას შემოქმედებაში)
<b>პარაფრაზები</b>	<b>31</b>	<b>ნუგზარ მოლაშვილი მთარ-მოყვარანი</b>
<b>თარიღები</b>	<b>32</b>	<b>აკაკი ბაქრაძე 14 აპრილის ქრონიკა</b>
<b>თქმა მართლისა</b>	<b>36</b>	<b>როსტომ ჩხეიძე დომინიკური მოსახლეობა</b> (ბალზაკისა და გალაკტიონის მონუმენტები)
<b>ღებულები</b>	<b>39</b>	<b>გრემ გრინი დაცვის მომე</b>
<b>მოგონებათა სკივრიდან</b>	<b>42</b>	<b>გრიგოლ აბაშიძე ანი, ბანი, ბანი...</b>
	<b>44</b>	<b>ნოდარ (ოჩო) ცერცვაძე დიდი კონცერტი ჩემს პატარა ბინაში</b> (ანუ ქართველი და რუსი პოეტების შეხვედრა)
	<b>46</b>	<b>გურამ დონაშვილი როგორ გვიყვარდა ერთმანეთი</b>
	<b>47</b>	<b>სოლიკო ცაიშვილი კარგი ნიგნი</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>48</b>	<b>ბასტრონომია ლიტერატურაში</b> (ვოვა კიკილაშვილის ნოველების კრებულის განხილვა)
<b>გამონათქავე</b>	<b>51</b>	<b>საბა სულხანიშვილი რომლითა საწყაულითა მიუწყოთ</b>
<b>ქულაჩები</b>	<b>53</b>	<b>ირენ ნემიროვსკას „წრანგული სუიტა“</b>
<b>ქრიტიკა</b>	<b>54</b>	<b>თამთა დოლიძე ზვიად რატიანის „ცივი პოეზია“</b>
	<b>56</b>	<b>გიორგი გამსახურდია მხოლოდ ლექსები არ ტყუიან...</b>
<b>უსმოელი ნოველა</b>	<b>58</b>	<b>იაჰია ჰაკი სურათი</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ტელეფონი გაითიშა...</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtsertoba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა თეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საჯაროებო, თბილისი, საჯაროებო 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJSHVILI STREET  
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ბალზაკისა და გალაკტიონის მონუმენტები

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 28 აპრილს

# ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში?

შეკითხვა, რომელიც რიტორიკული იქნებოდა სულ ცოტა ხნის წინათ, „ჩვენი მწერლობის“ 2006 წლის მე-4 ნომრის გამოსვლამდე, ვიდრე გალაკტიონის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტი აღმოჩნდებოდა... გიგო ხერუამვილი, ვისი სახელიც კი თითო-ორი ლიტერატორის გარდა აღარავის სმენოდა.

პარადოქსები უჩვეულო არ არის სალიტერატურო ცხოვრებისათვის, მაგრამ ამას მაინც არავინ მოელოდა და ამჯერადაც – იმ გამოკითხვის გავლენით – იქნებ შეცბუნებაც დაეუფლოს ჩვენს მკითხველს.

ნუთუ აკაკის ეპოქაშიც ასეთ მოულოდნელობას უნდა ველოდეთ?

წინასწარვე ასე ნუ განწყობით.

უბრალოდ, ამ თვალთ გადახედეთ მხატვრულ-დოკუმენტურსა და მემუარულ ჩანაწერებსა თუ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, რაზეც ხელი მივიწვდებით.

მაინც ვინ შეიძლება იყოს აკაკის ეპოქაში ყველაზე პოპულარული?

იქნებ სხვა არც არავინ და თვითონ აკაკი წერეთელი.

ნუ გამორიცხავთ ასეთ შედეგსაც, არ არის აუცილებელი, ამჯერადაც გამოგნებელი გვარ-სახელი ამოტივტივდეს.

იქნებ გრიგოლ ორბელიანი, ვისაც არც სიცოცხლეში მოეშვებოდა აკაკი და არც სიკვდილის შემდეგ, არამარტო პოლიტიკურ მრწამსს დაუნუნებდა, არამედ ლექსებსაც უქიაქებდა, იმის პოეზიას კი მთავარმართებლისა თუ კავკასიური ომის შარავანდის გამო უფრო დიდი გამოძახილი მოჰყვებოდა.

იქნებ ილია ჭავჭავაძე, ვისაც მაშინაც ხშირად აჯიბრებდნენ აკაკის გუნებაში თუ დავა-კამათისას და ორივეს აღსრულების შემდეგაც არ შენელებულა ეს დისკუსია – აზრის სიმძიმითა და ლოგიკურობით ილია სჯობსო, გამოხატვის სიმსუბუქითა და ჰაეროვნებით აკაკიო... არგუმენტებს სხვასაც მოიხმობდნენ, მაგრამ აქ მთავარი ისაა, პოპულარობითაც ყველასთვის ხომ არ გადაეჭარბებინა ილიას, როგორც პოეტს?



იქნებ ვაჟა-ფშაველა, სულ უფრო და უფრო რომ იზრდებოდა მისი სახელი და აკაკის ის პოეტური გამოკამათებაც იმას ხომ არ გამოეწვია, რომ პოპულარობით უკვე იმ ფშაველს დაეწრდილა პოეზიის მეტრი, ვისაც ენა დასანუნებელი ჰქონდა.

იქნებ რაფიელ ერისთავი, ვისი საიუბილეო საღამოც საყოველთაო საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენად გადაიქცეოდა და ვისაც ვაჟა-ფშაველა თავის წინამორბედად და შთამგონებლად დასახავდა.

იქნებ ალექსანდრე ყაზბეგი, ვინც იმ რანგის პოეტი არა ყოფილა, რაც პროზაიკოსი, მაგრამ დივერტისმენტებისას ხშირად კითხულობდა საკუთარ ლექსებსაც, ქართული ესტრადის სათავეში სულაც იგი მოჩანს და პოპულარობას ეს საკმაოდ მოუტანდა.

იქნებ იოსებ დავითაშვილი, მუშა პოეტია (იმავე გიგო ხერუამვილის!) წინამორბედი, რომლის სახელის შექმნაშიც ილიასა და აკაკის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით და, იაკობ გოგებაშვილი კიდევ უსაყვედურებდათ, არ ყოფილა ამხელა დაფასების ღირსიო.

იქნებ იეთიმ-გურჯი, სახალხო პოეტი, ყარაჩოხელთა და ხელოსანთა წრიდან გამოსული პოეტები რომ დაეწრდილა და ხალხის თვალში იქნებ ყველასაც აღემატებოდა.

იქნებ პარმენ ცახელი, აკაკის სკოლის პოეტი, გაცილებით ადაპტირებული და, ამდენად, უფრო ადვილად აღსაქმელი.

იქნებ მამია გურიელი, გარდა აკაკის მიმბაძველობისა, ვისი კითხვის ხელოვნებაც განთქმული ყოფილა და ვეება აუდიტორიებსაც იოლად იპყრობდა.

იქნებ...

თუ ვინმე გამორჩა ამ სახელდახელოდ შედგენილ სიას, მკითხველი თვითონაც გაიხსენებს, თუკი მიიჩნევს, რომ მაშინდელი – საზოგადოებრივი განწყობილების მიხედვით – მისი სახელი აკაკისას არ დაუვარდებოდა, და თუ შემდგომ მიყრუვდა, ეპოქის სურათის აღდგენისას აუცილებლად უნდა წამოტივტივდეს.

... მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში?

ნუგზარ მუზაშვილი

„... და ვინ ხარ შენ?“

1.

მთვრალი კი არა, ეგოისტი ვარ მე!  
აგული ერისთავი

„... და ვინ ხარ შენ?“ – მეკითხება ტელევიზორიდან რომელიღაც მსახიობის დაყენებული ხმა. თან დაუინებოთ, დღეში რამდენჯერმე. ტელევიზორს სად გაექცევი?

აქამდე ამაზე არ დაფიქრებულვარ.

და ვინ ვარ მე?

ცხადია, არა „სპრაიტი“ ეგზალტირებული თინეიჯერი, რომელიც მართლაც გასაოცარი სარეკლამო თავხედობით ზედიზედ იპყრობს ყოველგვარ წარმოდგენილ თუ წარმოუდგენელ სიმალეებსა და მწვერვალებს.

რა თქმა უნდა, არც ამ არაქართული ინტონაციის მქონე სარეკლამო ტექსტის ავტორი.

იქნებ რაღაცა კარგის ამო მოლოდინში თითქმის უკვე შუახანს მიღწეული, მაგრამ გულით მაინც ჯეელი, ასე ვთქვათ, მარადმწვანე კალმოსანი, ვისი მსჯელობანიც რამდენიმე კაცის ყურადღებას მაინც იპყრობს?

შეიძლება, თუმცა ესეც საეჭვოა.

ანდა რა მნიშვნელობა აქვს, იპყრობს თუ არ იპყრობს?

ამგვარი ფიქრმდინარებით თავის გამხნეება მხოლოდ ძალის კუდივით გაუსწორ-გამოუსწორებელ რომანტიკოსთათვისაა დამახასიათებელი, რომელნიც, გასაკვირია, მაგრამ ჩვენს ცა – ფირუზ, ხმელით – ზურმუხტოვან სამშობლო მხარეში ჯერაც მრავლად წრიალებენ.

თუმცა გასაკვირი არაფერია, რადგან კუზიანისა არ იყოს, ძალის კუდსაც მხოლოდ სამარე ასწორებს.

გასაკვირი ის უფროა, რომ ჩვენში რომანტიკოსებს ბოროტების იმპერია ქმნიდა, და არა მარტო ქმნიდა, ნებით თუ უნებლიეთ, საარსებო სივრცესაც აძლევდა. ვის არ ახსოვს ამ სივრცეში განფენილი მათი შეუვალი ავტორიტეტი? მაგრამ ბოროტების იმპერია წარიღვრა, გაქრა და რომანტიკოსთა საარსებო სივრცე და ავტორიტეტიც თან გაიყოლა.

ბოროტების იმპერიაზე მიუდგომელი და შეუვალი ფულის იმპერია აღმოჩნდა.

„... და ვინ ხარ შენ?“ – ისევ ჩართულია ტელევიზორი.

„მთვრალი კი არა, ეგოისტი ვარ მე!“ – ნიშნის მოგებით იტყოდა აგული ერისთავი, რადგან ამ თემაზე მოლაპარაკე კაცი ჩვენში ან მთვრალი ჰგონიათ, ანდა ეგოისტი. ეგოისტი – შინაურებს, მთვრალი – გარეულებს.

მაგრამ სინამდვილეში არც აგული იყო მთვრალი ან ეგოისტი და არც მე გახლავართ. უბრალოდ, ცვდილობ დასმულ შეკითხვას ვუპასუხო.

განგების ნებას რას გაუგებ?

იქნებ წინა ცხოვრებაში რაღაც დავაშავე?

სად გაგონილა ერთდროულად თან მტკვრის მარცხენა სანაპიროს მკვიდრი იყო და თან სიყრმითვან შენით ხმა იდუმალი გყავდეს შემოჩენილი?

იცით რას ნიშნავს შეუთავსებელი სუბსტანციების ერთ ჭურჭელში მოთავსება?

ყველაზე უცნაური და საიდუმლოებით მოცული ამბავი მაინც ის არის, ეს ხმა იდუმალი მარცხენა სანაპიროს შუკეებში საიდან შემოეხეტა.

იქნებ ჩვენს ქალაქში ახალი ჩამოსული იყო და თბილისური ზნეჩვეულებებისა არაფერი გაეგებოდა?

ან იქნებ, ჩემი არ იყოს, სადღაც რომელიღაც განზომილებაში მანაც რაღაც დააშავა და გამოღმა იმიტომ გადმოიხვეწა?

არ ვიცი.

სამაგიეროდ, ვიცი, რატომ შემორჩა ისტორიას სამგზის ცხონებული შოლნის ბებერი დუკას ნათქვამი დაღამებერსა და რუსოზე – წელიწადში ათასი ეკიუს რენტაც კი არა გააჩნიათ და ცდილობენ ყველაფერზე იმსჯელონო.

მე-18 საუკუნის საფრანგეთში ეს მწარე სიმართლე იყო.

ჩვენში დღესაც არ გასვლია ყავლი.

ახლა წარმოიდგინეთ იმ კაცის მდგომარეობა, წელიწადში ათასი ლარის აღებაც რომ შეიძლება გაუჭირდეს, მაგრამ ხმა იდუმალის შეგონებებს აყოლილი მაინც რომ ცდილობს ყველაფერზე იმსჯელოს.

საცოდაობაა.

„... და ვინ ხარ შენ?“ – ტელევიზორს მართლა ველარსად დაემალე.

ვინ და ყველა გზაკვალაბნეული ხმა იდუმალის ჯიბრზე, „საპნის ოპერებზე“ მონათლული, იგივე ლათინურ-ამერიკული სერიალების მთარგმნელი.

ეს ამბავი ასე მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს ყური აღარ ვათხოვე ხმა იდუმალის ჩურჩულს, ავიღე კალამი და ნაცვლად მორიგი ამო მსჯელობის გამართვისა, სერიალის თარგმნას შევედექი. დიდებული პრინციპი ყოფილა – რაც არა გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წაღილთა ნებასაო.

ხმა იდუმალის შეგონებებს რომ აყვე ან ძალიან ახალგაზრდა უნდა იყო, ან მარჯვენა სანაპიროს მკვიდრი, ან მაქს შტირნერივით (ღმერთმა აცხონოს მისი წამებული სული) თანმიმდევრული, ანდა გოგენივით თავქეიფა. მაგრამ რაკი არც ერთი ეს ღირსება არ აღმომაჩნდა, ბურიდანის სახედარით როდი დავინწყე ყოყმანი. ავდექი და გაბედულად შევცურე სერიალების უკიდევანო ოკეანეში.

ვერ დავმაღავ, ეს მაინცდამაინც სასიამოვნო საქმე არ არის, მით უფრო იმ კაცისთვის, ყველაფერზე მსჯელობის მაგნე ჩვევა რომ აქვს. მაგრამ როგორც დაუვიწყარი პიპინია ერისთავი იტყოდა, თუკი მოიქნევ, გალუბნიკი, უნდა დაჰკრა კიდევ!

ბაჯალლო სიტყვებია.

დღეს ჩვენში ერი და ბერი სულიერ საზრდოს სერიალებიდან იღებს, მაგრამ სნობების ცხვირის აბზუების გარდა რა ვიცით მის შესახებ? საბჭოური სტერეოტიპის ზეგავლენით ბევრს ჰგონია, რომ მასკულტურას უნიჭო ადამიანების უნიჭო ქმნილებები ქმნიან. მაგრამ საბჭოური სტერეოტიპები მასკულტურის ფენომენის გასაგებად არ გამოდგება. დიად საბჭოეთში მთლიანად მასობრივად გამოცხადებული კულტურა, თავისი ნიჭიერი თუ უნიჭო წარმომადგენლებით, არსობრივად ელიტარული იყო, რადგან ტოტალიტარიზმისთვის, გამომდინარე საკუთარი ამოცანებიდან, პრინციპულად მიუღებელია კულტურის მასობრივად და ელიტარულად დაყოფა. საბჭოეთში ყველაფერი ერთიანი და მონოლითურია: ერთია ჭეშმარიტება, ერთია იდეოლოგია, ერთია ლენინ-

ნი, ერთია პარტია, ერთია ინტელიგენცია, ერთია კულტურა. დასავლური მასკულტურის ბურჟი ტელევიზია, საბჭოეთში ცალკე არ არსებობს. როგორც თავის დროზე ფილოსოფია იყო თეოლოგიის ერთგული მსახური, ასევე საბჭოთა ტელევიზია იდგა საბჭოთა კულტურის სამსახურში და ერთგულად ეზიდებოდა მისთვის განსაზღვრულ ჭაპანს.

მაგრამ საბჭოეთი დაიწყო მდინარემ წაიღო და ტელევიზიამაც აიშვა. დაახლოებით ისე, როგორც თავის დროზე ფილოსოფიამ აიშვა და რასაც მინვდა, ყველაფერი გადაყლაპა, მათ შორის თეოლოგიაც. ტელევიზიას კიდევ უფრო რკინის მკვნეტელი კუჭი აღმოაჩნდა. რასაც ნაეტანა, ყველაფერს თავისი ფერი დაატყო. მათ შორის, პირველ რიგში, რასაკვირველია, კულტურას.

ამიტომ, თუკი ცოტა ხნის წინ ვამბობდით ლენინს და ვგულისხმობდით პარტიას, ან პირიქით, დღეს ვამბობთ ტელევიზიას და ვგულისხმობთ რას? ცხადია, სერიალს, ძვირფასნო. შეიძლება პირიქითაც, ვთქვათ სერიალი და ვიგულისხმობთ ტელევიზიას, რადგან თვინიერ ერთიმეორისა, არც ერთი უქნია ღმერთს და არც მეორე.

დღეს სხვას ვის ან რას შეუძლია მილიონობით ქალბატონსა და ვაჟბატონს, ზუსტად ერთსა და იმავე დროს, ყველა სხვა საქმე გვერდზე გადაადებინოს, ერთ ალაგას დასხას და ზუსტად ერთი და იმავე გრძნობებით გათანგოს?

ოდესმე ჩვენში პოეტებსა და მწერლებს ჰქონიათ ამის პრეტენზია, ასევე თეატრსაც. მოკლედ, წიგნს და ყოველივე იმას, რაც წიგნთან არის დაკავშირებული. მაგრამ ის დრო წარსულშია, გაქრა სიზმრებრივ ჩქარა. ტელევიზიამ ყველას ნაგლიჯა პირველობის დაფნის გვირგვინი.

მაგრამ თუ ატყობთ, იმ ტოტს რომ ვჭრი, რომელზედაც მოვკალათებულვართ?

ვერა? ასე გამოსდის ყველა იმ მსჯელობის მოყვარულს, რომელიც ტელევიზიის სამსახურში ჩამდგარა.

ოღონდ რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? როგორც ძველნი სტოიკოსნი იტყოდნენ: *Volentem ducunt fata, nolentem trahunt*, რაიცა თარგმანებში ასე გაიჟღერებს: ყისმათი მორჩილს მიაბრძანებს, ურჩს – მიათრევს.

თავზევით ძალა არ არის.

2.

**ასტამურ, შენი ჭირიმე, გიმღერის მთელი ერია, რესტორნებში და ღუქებში\* სუყველა შენზე მღერინა.**

*პოპულარული ქართული ბაიათი*

სერიალებზე საუბრისას ამერიკული HBO-ს პროდუქციას არ ვგულისხმობ. ნურც თქვენ იგულისხმებთ, რადგან ეს სულ სხვა თემაა. ზოგი რამ იქიდანაც შემოიტანეს ჩვენში, მაგრამ ამაოდ – ამერიკის სულს მაინც ვერ ჩავნვდით. უფრო სწორად, ჩავნვდით, მაგრამ უფრო ლათინური ამერიკისას. ეტყოფა, მსგავსი მსგავსს სწვდება. ჯანიც გავარდეს, მაინც ხომ ამერიკაა, ინდოეთსა და ბოლივუდს ხომ სჯობია.

მოკლედ, ჩავნვდით და ისე გავითავის-გავისიგრძეგანეთ, რომ სხვა მხრივ გათითოკაცებულნი (რა ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვაა!) მხოლოდ სერიალებშიდა ვაღწევთ ურთი-

\* ასევე სამარშრუტო ტაქსებშიც (ნ. მ.).

ერთგაგებასა და ჰარმონიას. ამას დაუმატეთ დანარჩენ შოუთა სიმრავლეც და მიიღებთ სივრცეს, საიდანაც, ვთქვათ, „ფსიქოს“ გაქრობას ვეღარც კი შეამჩნევთ.

მრავალგზის გვემული ჩვენი ტანჯული მაყურებელი ხომ ისედაც ჰბასრობდა სიბრძნესა მას ევროპიელ ჭკუის კოლოფთა და აი, ბოლოს და ბოლოს განაგდო ჯერკუალი და შეერთო სერიალთა და შოუთა კეთილთა.

ზოგადად ეს ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა განცოფებულსა სიბრძნესა მას ამასოფლისას დანაფებულმა ზემოთ ნახსენებმა ევროპიელმა ჭკუათმყოფელმა ერთიანად დაცალენეს ყოველივე ძველი და ჰარმონიული, მოკლეს ღმერთი და ისეთი რამერუმების წერასა და ხატვას მოკიდეს ხელი, თვითონაც რომ ძლივს უგებდნენ თავსა და ბოლოს. მერე ყოველივე ამას ჟღერადი სახელი – მოდერნიზმი – შეარქვეს.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს ვინმეს შეკვეთით ან ნაბაძვით ჩაიდინეს.

არც ბედშავი ნიცში ბრძანდებოდა მასონი და არც ბატონი ჯოისი წარმოადგენდა იმდენად ხუშტურიან პიროვნებას, რომ სპეციალურად დაენერა ისეთი წიგნები, მისი მეგობრებიც რომ ვერ ნაიკითხავდნენ.

ცხადია, არც ბატონი პიკასო ყოფილა იმდენად აყვია და ცუდი გემოვნების კაცი, რომ ევროპული სახვითი ხელოვნების კანონები სპეციალურად ექცია ნაცარტუტად.

რა თქმა უნდა, არა.

მათ და კიდევ უამრავ სხვა ბატონსა და ქალბატონს მხოლოდ ერთი სურვილი ტანჯავდათ: როგორმე გაეგოთ და გამოეხატათ ის, რაც მათ სულსა და გულში და საზოგადოებაში ხდებოდა. საამისოდ ძველი საშუალებები უვარგისი აღმოჩნდა.

ახალი, უკიდურესად გართულებული და დანანვერებული, რაიმე ერთიან საფუძველს მოკლებული სამყაროს გააზრება და გამოსახვა ძველ, მარტივ, ჰარმონიულად აღქმულ სამყაროში შექმნილი ხელოვნების მეშვეობით შეუძლებელი გახდა.

მაგრამ გასაოცარი სისწრაფით შექმნილმა ახალმა ხელოვნებამ კიდევ უფრო გაართულა, ისედაც გართულებული და უთავბოლობად ქცეული წუთისოველი.

უმრავლესობა სულიერი საზრდოს გარეშე დარჩა. მაგრამ განა მხოლოდლა პურითა ერთითა ცხონდების კაცი?

და აი, უმრავლესობის დაპურება მე-20 საუკუნის პირმშომ ტელევიზიამ იტვირთა. იტვირთა და დღემდეც ეზიდება, თან, რაც დრო გადის, მით მეტი რუდუნებითა და სიმსუბუქით. მიმართულებაც ჭკუათმყოფელთა საპირისპირო აირჩია. რამდენადაც იმათ გაართულეს, ამან იმდენადვე გაამარტივა.

გაამარტივა და გაამარტივა.

ოღონდ ნუ იფიქრებთ, თითქოს ეს გაამარტივება სტიქიური პროცესი იყოს, ვილაც უნიჭო და ხელმოცარულ ადამიანთა ნაცოდვილარი.

არამც და არამც, ძვირფასნო.

ეს ის სიმარტივეა, რომელსაც თავისი მკაცრი კანონები და დანიშნულება გააჩნია. მართალია, ამ კანონთა უმრავლესობა უშუალოდ ტელევიზიას არ შეუქმნია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მას შეუძლია ყველაფერი თავის სამსახურში ჩაიყენოს.

იმ დროს, როცა ევროპულ ჭკუათმყოფელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამჭრიახი როლან ბარტი თავის „მითოლოგიებს“ წერდა, კერძოდ, გასული საუკუნის 50-იანი წლების და-

სანყისში, ტელევიზია ჯერ ახლადფეხადგმული ბავშვი იყო, ხოლო ლათინურ ამერიკაში, მგონი, საერთოდაც არ გახლდათ დაბადებული. რაღა უნდა ითქვას სერიალებზე?

ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ თუკი გეტყვით, რომ ის კანონები, რომლებიც საფუძვლად ედო პარიზის მუშათა გარეუბნების ჭუჭყიან დარბაზებში გამართულ ე. წ. კეტჩის ორთაბრძოლებს და რომელიც მისთვის ჩვეული გონებამახვილობით გაანალიზა ბატონმა ბარტმა, მომავალში საფუძვლად დაედება სერიალებსაც.

ცხადია, იმის თქმა სულაც არ მინდა, სერიალების ავტორები მუშაობისას ცალი თვალთ სულ ბარტის ნაშრომებში იჭყიტებიან-მეთქი.

რა სათქმელია.

უბრალოდ, საქმე ის გახლავთ, რომ არც კეტჩი იყო კრივი და არც სერიალი გახლავთ ფილმი. ორივე ბედკრული მასკულტურის ნიაღში შექმნილი სანახაობა ანუ შოუა, ოღონდ ერთი თუ გარეგნულ ფორმად სპორტის ისეთ სახეობას ირჩევს, როგორიც კრივია, მეორე საამისოდ კინოხელოვნებას ამჯობინებს. ხოლო იმის გამო, რომ ერთი და იმავე ტიპის მაყურებელთან აქვთ საქმე და მიზანიც ერთნაირი დაუსახავთ, აგებთაც ერთი და იმავე პრინციპებით იგება.

უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ როგორც საერთოდ შოუების უმეტესობას სჩვევია, კეტჩიცა და სერიალიც უკიდურესობების შოუა. აიღეთ ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობანი, ჩვეულებრივი განცდები, გაამძაფრეთ ორჯერ ან მეტჯერ და მიიღებთ გამომსახველობის ისეთ ხარისხს, რომელიც შოუსთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ როგორ მიიღწევა ეს არაბუნებრივი სიმძაფრე?

გაგიკვირდებათ, მაგრამ გამომსახველობის ასეთი ფორმის ანალოგიას ბარტი ანტიკურ თეატრში პოულობს.

ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია სერიალისთვის თვალი, იცის, რომ ოპერატორის კამერა აქ ძალიან იშვიათად გადის ღია ცისქვეშ. მოქმედება ძირითადად პავილიონებში ვითარდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სერიალს თავისი ბუნებით მართლაც აქვს რაღაც საერთო თავიანთი მზის ქვეშ გამართულ ისეთ სანახაობასთან, როგორიც იყო ძველი ბერძნული თეატრი. იქაც და აქაც სინათლე ძლიერია და ვერტიკალური. ასეთი განათება ჩრდილებს არ წარმოქმნის. ანუ პერსონაჟის რომელიმე განცდა თითქმის არასოდეს არ არის რაღაც სხვა განცდით ამღვრეული და გართულებული. ამგვარი არაბუნებრივი სტერილურობა ქმნის კიდევ უკიდურესობის ეფექტს.

კარგი ფილმის ყურებისას წინასწარ არასოდეს ვიცით, რით დამთავრდება მოქმედება.

სერიალში ეს თავიდანვეა ცნობილი, თუნდაც წინ ორასი ან ხუთასი სერია გველოდეს, საკმარისია ვნახოთ პირველი, რათა მივხვდეთ მეხუთასეში რა მოხდება. მაგრამ ამას ნურც საკუთარ გამჭრიახობას მიაწერთ და ნურც სერიალების ავტორების უნიჭობას. შოუ მაყურებლის დასაფიქრებლად არ კეთდება. მთავარია სანახაობა.

ის, რაც ასე მნიშვნელოვანია ფილმში, კერძოდ, ჩანაფიქრის ორიგინალურობა, პრობლემატურობა, მოულოდნელობა ან სიახლე, სერიალში არათუ გახვრეტელი გროშის ფასიც არ გააჩნია, არამედ საერთოდაც დაუშვებელია. აქ ყველაფერი თავიდანვე ნათელი და გარკვეულია. ამიტომ სერიალის მსახიობის ამოცანა პრინციპულად განსხვავდება იმისაგან, რაც, ჩვეულებრივ, ამ პროფესიის მქონე ადამიანებს მოეთხოვებათ. სერიალის მსახიობმა რაიმე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილი ადამიანის ხშირად წინააღმდეგობრივი, თითქმის

ურთიერთგამომრიცხავი ტრაგიკული განცდები კი არ უნდა გვაჩვენოს დამაჯერებლად, არამედ აკურატულად უნდა შეასრულოს ის, რაც წინასწარვე ნათელია და რასაც მისგან ელიან.

ფილმში მსახიობები იმის ნახევარსაც არ ლაპარაკობენ, რასაც განიცდიან. ჩვეულებრივ, ადამიანური განცდები იმდენად რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რომ გაუმარტივებლად ან დაუმახინჯებლად მათი ვერბალიზაცია ვერ ხერხდება. ამიტომ კარგ ფილმში ჩვეულებრივი ამბავია მოკლე დიალოგები, მინიმუმები, ნახევარტონები, ქვეტექსტები, სიტყვით უთქმელის რაიმე ძუნწი შესტით ან მიმიკით გამოხატვის მცდელობანი. მოკლედ, დეტალების ხელოვნების მთელი არსენალი, რაც მაყურებლისგან აქტიურ ყურადღებასა და აზროვნებას მოითხოვს. ფილმის ყურებისას მნიშვნელოვანია ნებისმიერი დეტალი, ნებისმიერი ფრაზა, ნებისმიერი შესტო, რადგან მეორედ არავინ არაფერს გაგიმეორებს. ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ფილმის ავტორებს თითქოს ოდნავადაც არ ანუხებთ, რას და რამდენს გაიგებ, ან გაიგებ საერთოდ რამეს თუ არა.

სერიალში ყველაფერი პირიქითაა.

აქ დაუშვებელია ნახევარტონები, მინიმუმები, ქვეტექსტები. გამორიცხულია ყოველგვარი ორაზროვნება, გაურკვევლობა, ბუნდოვანება, გაუგებრობა.

სერიალი არ ცნობს დეტალების ხელოვნებას.

ყველაფერი დღესავით ნათელი უნდა იყოს და არის კიდევ. სერიალის ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს მოვლენებს გამადიდებელი შუშით აკვირდებით.

საინტერესო ფუნქცია გააჩნიათ დიალოგებს. პერსონაჟებს უთქმელი არაფერი რჩებათ. ცხადია, ცალსახა, აუმღვრეველი და ამით ჰიპერბოლიზებული გრძნობების ვერბალიზაცია ძნელი არ არის. მაგრამ ამასთან ერთად, სისტემატურად ხმოვანდება ისიც, რასაც თვალნათლივ ვხედავთ ანუ უთქმელი მართლა არაფერი რჩება. ამიტომ შესაძლებელია სერიალის როგორც ყურება, ასევე მოსმენა – გაუგებარი მაინც არაფერი დარჩება. მაყურებლის მიმართ გამოვლენილმა ასეთმა უნდობლობამ შეიძლება მსჯელობების მოყვარულნი გააოცოს, თორემ სერიალთა ნაფიცი მაყურებელნი ამ გარემოებას სრულიადაც არ აღიქვამენ უნდობლობად.

აბსოლუტური თვალსაჩინოების ინტერესებიდან გამომდინარე სერიალი მართლაც ფენომენალურ სწორხაზოვნებას აღწევს. რაკი ყველაფერი ერთი შეხედვითვე უნდა იყოს გასაგები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსონაჟების გარეგნობას. მათ გამოჩენისთანავე უნდა მოგვცენ ზუსტი ინფორმაცია თავის თავზე და მერე, თუნდაც ათასი სერია გვეკონდეს სანახავი, პირველი შთაბეჭდილება აღარ უნდა დაირღვეს. დაუშვებელია, მიმზიდველი გარეგნობის პერსონაჟი ცუდი ადამიანი იყოს და პირიქით. ანუ არ შეიძლება, ვთქვათ, რომელიმე ბედშავი კვაზიმოდო კარგი ადამიანი აღმოჩნდეს. გარეგნობით მიღებულ შთაბეჭდილებასა და გმირის ხასიათს შორის წინააღმდეგობა არ უნდა იქმნებოდეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სერიალი ჩანასახოვანი ფორმით უკვე პერსონაჟების გარეგნობაშივე მოცემული, მაგრამ რაკი საქმე გვაქვს უკიდურესობების შოუსთან, ეს მაინც არ არის საკმარისი. სერიალი მართლა ძალიან ჰგავს დიაკრიტიკულ დამწერლობას – პერსონაჟი თავისი გარეგნობის ძირითად მნიშვნელობას სისტემატურად ზედ ურთავს ახალ-ახალ მინიმუმებს – ეს შეიძლება იყოს შესტო, პოზა, მიმიკა, რაღაც საქციელი, რითაც პერიოდულად აახლებს და აძლიერებს გარეგნობით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებას. ეს სა-

ჭირა იმისათვის, რათა მაყურებლისთვის კვლავ და კვლავ მაქსიმალურად თვალსაჩინო გახდეს მიმდინარე მოვლენები.

არავითარი ფიქრი, არავითარი აზროვნება. ამის საჭიროება არ არსებობს. ყველაფერი ერთი შეხედვითვეა ნათელი.

ამგვარი ვითარება იწვევს სხვა ტიპის უკიდურესობებს. მაგალითად, ცუდი პერსონაჟი ჩვეულებრივი ადამიანი კი არ არის, ადამიანური ბუნებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობებით, არამედ თითქმის ხორცმესხმული სატანაა. რასაკვირველია, არც კარგი პერსონაჟია ბუნებრივი ეგოიზმით შეპყრობილი ადამიანი. ისიც ხორცმესხმული ანგელოზია.

ასეთ ატმოსფეროში, რაღა თქმა უნდა, აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, რამდენად დამაჯერებლადაა ნაჩვენები ამა თუ იმ პერსონაჟის ესა თუ ის განცდა. როგორც ბარტი იტყოდა, პუბლიკა მოითხოვს განცდების ხატებს და არა თვით განცდებს, როგორც ასეთს. ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა შინაარსი მთლიანად ფორმითაა ამონურული.

შესაბამისად, სერიალი სამყაროს მხოლოდ ორ ფერში აღიქვამს – თეთრად და შავად. პერსონაჟი ან კეთილია, ანდა – ბოროტი. ან კარგი ადამიანია, ანდა – ნაძირალა.

ამგვარი მორალური დალტონიზმი სერიალის დაუნერვლი კანონებიდან იზადება. აქ სანთლითაც ვერ იპოვით იმას, რასაც ადამიანური ბუნების შინაგანი წინააღმდეგობა ჰქვია.

მასასადამე, „ნაძირალა“ ხორცმესხმული ბოროტებაა ყოველგვარი შინაგანი მერყეობისა და წინააღმდეგობების გარეშე. ამიტომ ის ტანჯვა, რომელსაც იგი „კარგ ადამიანს“ აყენებს მთელი სერიალის მანძილზე, რაღაც სანახევრო, წინააღმდეგობრივი ქმედების ან პერსონაჟის აფექტური მდგომარეობის შედეგი არ არის, რასაც, ჩვეულებრივ, სინანულის განცდა მოჰყვება ხოლმე. არა. ეს არის ხაზგასმულად ბოროტი ადამიანის კარგად გააზრებული ბოროტი საქციელი, რითაც კვლავ და კვლავ ერთი შეხედვითვე ნათელი უნდა გახდეს ნებისმიერისთვის, რომ სიკეთე იტანჯება და, რაც მთავარია, ასევე სრულიად ნათელი უნდა იყოს ის, რატომ იტანჯება.

არის კიდევც.

„ნაძირალა“ არაფერს მალავს. იგი დანვრილებით, ერთგვარი ბოროტი სიხარულით უყვება მაყურებელს თავისი გეგმების შესახებ. და როგორც ნელ ცეცხლზე შემოდგმული ჩაიდანის, მაყურებელიც ასე ნელ-ნელა უახლოვდება დუღილის ტემპერატურას, რაც არის კიდევც სერიალის ავტორების მიზანი. „კარგი ადამიანი“ ყოველთვის უნდა დატანჯოს „ნაძირალამ“ და ეს ტანჯვა უნდა იყოს ხაზგასმულად სასტიკი და აბსოლუტურად უსამართლო, ტრაგიკული ნიღბისთვის დამახასიათებელი მთელი თავისი ჰიპერბოლიზმით.

ბარტის თქმით, კეტჩისტებმა კარგად იცოდნენ და ალბათ არც სერიალების ავტორები არიან იმდენად გულუბრყვილოები არ იცოდნენ, რომ ყველა უსამართლოდ ტანჯული „კარგი ადამიანის“ არქეტიპი სხვა არავინაა, თუ არა ნაძირლების მიერ ასევე აბსოლუტურად უსამართლოდ ჯვარცმული იესო ქრისტე. მოკლედ, მე მგონი, ჩვენი ბედკრული პუბლიკის გარდა, ყველამ ყველაფერი იცის.

ეს არის სერიალის ცენტრალური ნერვი.

გახადეთ „კარგი ადამიანი“ ოდნავ უფრო ბრძოლისუნარიანი და წინდახედული ან დააჯილდოვეთ „ნაძირალა“ სინდისის ქენჯნის უნარით და სერიალის ნაცვლად ხელთ შეგრჩებათ უკიდურესად მდარე მელოდრამა.

სერიალი სულ სხვა რამეა.

მაყურებლის გულის გასახეთქად „ნაძირალას“ ყოველთვის მომგებიანი პოზიცია უკავია. ყოველ საღამოს დათქმულ დროს ტელევიზორთან მიმჯდარი სერიალის ფანი

დიდხანს აკვირდება, როგორ ამზადებს ხაფანგს ან ხაფანგებს იგი „კარგი ადამიანის“ წინააღმდეგ, როგორ იოლად ებმება ეს უკანასკნელი ამ ხლართებში და რა შეუბრალებლად იტანჯება. მაგრამ სერიალის ხაზგასმულად მდორე რიტმი მხოლოდ სრული თვალსაჩინოების ინტერესებს არ ემსახურება. ამავე მეთოდით ხორციელდება „ნაძირალას“ აღვირახსნილობით აღშფოთებული მაყურებლის მრისხანების საჭირო კონდიციამდე მიყვანა, რასაც ბოლოს მძლავრი განმუხტვა უნდა მოჰყვეს.

სერიალში საინტერესო ფუნქცია აქვს პოლიციას. წესით „კარგი ადამიანი“ მან უნდა დაიკვას „ნაძირალას“ თვითნებობისა და უკანონობისაგან, მაგრამ თვითონ იმდენად მოუხეშავი, ტლანქი და იდიოტია, რომ ძალიან იოლად ებმება ბოროტების ინტრიგებში და სიკეთის ერთ-ერთ მთავარ დამრთველად ძალად გვევლინება.

სერიალის ავტორებს მთელი ეს კარგად გააზრებული და თანმიმდევრული ჩხირკედლაობა, რაზეც ახლა ძალღონის დაუნანებლად ვესაუბრებო, იმისთვის სჭირდებათ, რათა ბედშვებ პუბლიკას ისეთ წმინდა წყლის მორალურ განცდაში „დაარტყან“, როგორც გახლავთ სამართლიანობის გრძნობა.

ანუ სერიალი მთელი თავისი უზარმაზარი და ტლანქი სხეულით მთლიანად სამაგიეროს მიზლის უაღრესად ადამიანურ იდეაზეა დაფუძნებული.

ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო ხაზგასმულად უსამართლოდ და ცინიკურად მოექცევა „ნაძირალა“ „კარგ ადამიანს“, რაც უფრო სასტიკად დატანჯავს მას, ბოლო სერიაში იმდენად უფრო მკაცრად დაისჯება.

საინტერესო ის გახლავთ, რომ პუბლიკას მის სიმდაბლესა და სისასტიკეზე მეტად არათანმიმდევრულობა უფრო აღიზიანებს და აკარგვინებს მოთმინებას. უნდა ვიფიქროთ იმიტომ, რომ ამჯერად პუბლიკის მორალური განცდა კი არა, მისი ლოგიკური აზროვნების უნარი რჩება შეურაცხყოფილი. „ნაძირალას“ მიერ ყურით მოთრეულ არგუმენტებში არსებული ხაზგასმულად აშკარა და თავხედური წინააღმდეგობანი მაყურებლის მიერ განიხილება როგორც ყველაზე აღმაშფოთებელი დანაშაული. მაგრამ შეცდომა მოგვივა, თუკი ვიფიქრებთ, რომ პუბლიკას კანონების, როგორც ასეთის, დარღვევა ანუხებდეს.

თქვენც არ მომიკვდეთ.

მის აღშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ირღვევა სამაგიეროს მიზლის, სასჯელის გარდუვალობის პრინციპი. ავტორებიც ხომ ამას მიელტვოდნენ.

და აი, ტემპერატურა ას გრადუსს მიუახლოვდა. იწყება დუღილის პროცესი. ცოტაც და მაყურებელი წონასწორობას დაკარგავს, მით უფრო, რომ ინტრიგა ყოველთვის რაღაც სასიყვარულო ისტორიებშია ჩახლართული. მაგრამ სწორედ ასეთი ხანგრძლივი ლოდინისა და ნერვიულობის შემდეგ დგება სანატრელი წამი – მანამდე ფეხქვეშ გათელილი „კარგი ადამიანი“ ძალებს მოიკრებს და სამართლიანი რისხვით აღვსილი სწორედ მაშინ დაატყდება თავს „ნაძირალას“ ლვის სასჯელივით, როცა ეს უკანასკნელი თავს საბოლოოდ გამარჯვებულად თვლიდა და ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამინა ქალამნად.

სამართალი პურს ჭამს.

სერიალის ერთგული მაყურებლისთვის ამ მომენტზე უფრო აღმგზნები და სასიამოვნო ნამდვილად არაფერია. მისთვის ეს არის მძლავრი განმუხტვა, უზარმაზარი მორალური შვება. „ნაძირალას“ მარცხით მასში განხორციელებული უზნეობის უკიდურესად შეურაცხყოფელი ხატი მარცხდება.

მოკლედ, ლათინურ-ამერიკული სერიალი თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა სიკეთისა და ბოროტების ერთგვარი მითოლოგიური ბრძოლის განსახიერება.

მაგრამ შესაძლებელი რომ იყოს სერიალების სიყვარულით ანთებული პუბლიკის შესწავლა, ეჭვი არ არის, მათში მრავალ ისეთ ადამიანს აღმოვაჩენდით, ყოველდღიურ ცხოვრებაში, არცთუ იშვიათად, რბილად რომ ვთქვათ, არაფერზე უკან რომ არ იხევს. ტელევიზორის ეკრანზე ნანახი და განცდილი „ნაძირალას“ მარცხით კი ძალიან ხარობს.

მაგრამ სინამდვილეში აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. უბრალოდ, საქმე ის გახლავთ, რომ სერიალი მთელი თავისი სტრუქტურით ხორცს ასხამს უძველეს ზოგადადამიანურ და მასებში დღემდე ძალზე პოპულარულ სურვილს, საკუთარი არცთუ იდეალური გონებით იდეალურად ზუსტად ახსნას ეს სამყარო.

მე-20 საუკუნის დასავლურმა კულტურამ დაასკვნა, რომ ეს შეუძლებელია. მან არა მარტო თვითონ თქვა უარი ჭეშმარიტების ძიებაზე, არამედ ძველი, კანონიკური „ჭეშმარიტებების“ ფიქტიური ხასიათიც გამოააშკარავა. მაგრამ ასეთი გაურკვევლობა და ქაოსი მასობრივი ცნობიერებისთვის ყველგან და ყოველთვის აუტანელი იყო.

აუტანელია დღესაც.

წარმოიქმნება ერთმნიშვნელოვანი, მარტივი სამყაროს ნოსტალგია.

ნოსტალგია კი არა, ნამდვილი შიმშილი, რომელიც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად კმაყოფილდება.

ჩვენში ამ შიმშილის დასაკმაყოფილებლად ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საყვარელი საკვები სერიალი აღმოჩნდა.

ანუ სამყარო, სადაც აბსოლუტურად ყველაფერი ნათელია და გასაგები, სადაც თვალსაჩინოა ყველა საგნისა თუ მოვლენის შინაგანი მექანიზმი, სადაც ბოლოს და ბოლოს გაუქმებულია ყოველგვარი ბუნდოვანება, გაუგებრობა და გაურკვევლობა, სადაც აღარ არსებობს აზროვნებისა და არჩევანის გაკეთების მტანჯველი აუცილებლობა.

ვითარცა უდაბნოს სასტიკი ხორშაკებით გულგანყალებული ყარიბი მოგზაური ენაფება ოაზისის მაცოცხლებელ ნესტსა და სიგრილეს, ზუსტად ასეთივე თავდავიწყებით ენაფება ჩვენი მასურებელი სერიალის ერთმნიშვნელოვანი, მარტივი სამყაროს იდილიას. სამყაროს, სადაც სიკეთე და ბოროტება მკვეთრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული და სადაც ადამიანური გონებისათვის ბოლოს და ბოლოს გასაგები ხდება სამართლიანობის პრინციპის მოქმედების მექანიზმი.

3.

**ვაი დამარცხებულთ!**

*ძველი რომაული შეგონება*

ესეც ასე.

გასრულდა ესე მსჯელობაც, ვითა სიზმარი ღამისა.

დროა ისევ სერიალების თარგმნას დაეუბრუნდე. მე პური ჩემი არსობისა მოვიპოვო, პუბლიკას კი სულიერი საზრდოს მოპოვებაში წავეხმარო. თუმცა, ცოტა არ იყოს, გულნაკლული კი ვრჩები. ჩემსავით ყველაფერზე მსჯელობის სურვილით ატანილები იოლად გამოგებენ. მინდოდა იმაზეც მემსჯელა, ჩვენმა ძვირფასმა პუბლიკამ მარტივი სამყაროს შიმშილის დასაკმაყოფილებლად მასკულტურის არსენალიდან

რალა მაინცდამაინც სერიალი აირჩია. მაგრამ უდროობას რა ვუთხარი. თუმცა ამ საკითხზე ისეთი მოკლე პასუხის გაცემაც შეიძლება, თავის დროზე ჭეშმარიტი ლაკონიულებიც რომ არ დაინუნებდნენ. რატომ აირჩია და იმიტომ, რატომაც რესტორნებში, დუქნებში და სამარშრუტო ტაქსებში ჩამჯდარი ერი და ბერი უმღერის ასტამურს.

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ როგორც წესი, ყოველი კარგი ლაკონური გამოთქმა განმარტებას მოითხოვს. მაგრამ ახლა სხვა რა გზაა, თავს იმითლა ვიმშვიდებ, რომ როგორც ყველაფერზე მსჯელობის მოყვარულებს სჩვევიათ, ამ და სხვა მსგავს თემებზე, სხვაგან და სხვა დროს საკმარისი ვიმსჯელებ, თუმცა ამით სუნთქვაც არ ასჩქარებია არავის, რალა უნდა ითქვას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე!

რასაკვირველია, არც ჩვენი პუბლიკა დაიშლის სერიალების სიყვარულსა და რესტორნებში, დუქნებსა და სამარშრუტო ტაქსებში ასტამურის განდიდებას.

ყველაფერი უცვლელად ჰგვიც უკუნისამდე.

მართალი გითხრათ, აღარც ეს ყველაფერზე მსჯელობის სიყვარული მიჯდება ჭკუაში, თუმცა ნამდვილად არ ვიცი, ამას რალა ეშველება. მსჯელობის სიყვარული ხომ ხმა იდუმალის ოინებია. ის კი, სინამდვილეში, სხვა არავინაა, თუ არა სული ბოროტი. ქართული პოეზიის მოყვარულებმა ეს კარგად ვიცით. რაც უფრო მეტს მსჯელობ, პატივმოყვარეობაც მეტად გეზრდება. დიდი პატივმოყვარეობა კი დიდი ტკივილებია.

მაგრამ პატივმოყვარეობის ტკივილებისგან გათანგულო ყველაფერზე მსჯელობის მოყვარულნი, ხომ არ გვავიწყდება, რომ ადამიანი მოკვდავია? თან, როგორც ბატონი ვოლანდი დასძენდა, ანაზღეულად მოკვდავი? იქნებ ისიც ხშირ-ხშირად გავიხსენოთ, რომ ის უზარმაზარი სფერო, რომელსაც ქართულად დედამიწას ვუნოდებთ და რომელზედაც ათასგვარი ვნებებით ატანილები ბაქტერიებივით სასაცილოდ ვფუთფუთებთ, ჩვენთვის გაუგებარი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და უკვე მრავალი მილიონი წელია დიდი სისწრაფით მიექანება ძარღვებში სისხლის გამყინავად მდღუპარე კოსმოსის დაუსაბამო სივრცეებში.

იქნებ ყველაზე გონიერი ბაქტერია ის არის, ვინც ყოფიერების ობიექტურ ტკივილებს ხელოვნურად შექმნილს აღარ ამატებს?

მაგრამ

„... და ვინ ხარ შენ?“ – ისევ უკან მომჩხავის ეს ჩემი ცოლვით სავსე ტელევიზორი.

ვინ და იქნებ სერიალების უღრანში ერთხელ შესული და უკან აღარ დაბრუნებული, ასე ვთქვათ, შინმოუსვლელი კალმოსანი?

რალა იქნებ, მართლა ასეა.

გზაც იქით გქონიაო, გაიფიქრებს ამ ამო მსჯელობებით სავსე ოპუსის კითხვით ქანცგანყვეტილი მკითხველი და, ღმერთმანი, მართალიც იქნება. ასე მოუვა ყველას, ვინც არ გაითვალისწინებს სულმნათი პოეტის სიტყვებს – რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდესო.

მაგრამ ხომ არსებობდა ჩვენში არანაკლებ სულმნათი პოეტიც, რომელიც არაფერსაც არ დასჯერდა, რის გამოც ბევრი იწვალა და ივაგლახა, და მაინც, სანამ საავადმყოფოს მეოთხე სართულის აივნიდან გაეცლებოდა ამ იდიოტურ სამყაროს, სიამაყით განაცხადა – მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურსო?

ეჰ, არ ვიცი, არ ვიცი.

არაფერი აღარ ვიცი.

ვინ იცის?



# იმ ცივ, ქარიან საღამოს...

\*

საუბარი  
ვანო ჩხიკვაძესთან

– ბატონო ვანო, თანამედროვე ქართულ სამწერლო სივრცეში ალბათ ძნელად გამოიძებნება ადამიანი, თქვენდამი დაუნანებელი სიკეთითა და სიყვარულით არ იყოს გამსჭვალული. ნათელი კაცი ხართ და რალაცნაირ სევდიან სიმშვიდესაც დაატარებთ.

როგორ იტყვი, თავიდანვე დაგებდათ ეს სიყვარულიანი დამოკიდებულება თუ მერე და მერე მოიყოლა ნლებმა?

– მთელ ქართულ „სამწერლო სივრცეზე“ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ იმ მწერალთაგან, ვინც ამ სივრცეში ამინდს ქმნის, უარყოფითი დამოკიდებულება ნამდვილად არ მიგრძენია.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ უფროსი მწერლების ყურადღება თავიდანვე არ მომკლებია:

ჩემი მშობლიური ქალაქი გორი, ქარების ქალაქია. მტკვრისა და ლიახვის ხეობათა „დერეფნებიდან“ როდის ან რა ძალით დაუბერავს, მხოლოდ ღმერთმა უწყის.

ჰოდა, ერთ ასეთ ქარიან, ცივ საღამოს (იმ წელიწადს სკოლას ვამთავრებდი და საუნივერსიტეტოდ ვემზადებოდი), მაშინდელ ლენინის და ახლანდელ სამეფო ქუჩაზე, სასტუმრო „ქართლის“ გადმოღმა, ავტობუსის გაჩერებასთან აბუზული ვიდექი, რომ ვილაცის ხმა ჩამესმა, გამარჯობა, როგორა ხარ, კაცო!

ავიხედე, გამოწვილ მარჯვენას ხელი მონივრებით შევაგებე და ქარის გაბმულ ზუზუნში ძლივს გავიგონე ნელა, ტკეპნით ნარმოთქმული სიტყვები, დღეს, სარედაქციო კოლეგიის სხდომა გვქონდა და „ლიახვი“ შენი შვიდი ლექსი შევიტანეთო.

პასუხს აღარ დაელოდა, მხარზე ხელი მომითათუნა და თითქოს წინასწარ უნდა წამოეწიოსო, ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას.

„რაო, რა თქვა?... იქნებ მომესმა?... თანაც შვიდიო!“ – სიხარულმა ადგილზე გამაშეშა, განათდა დღე, გახალისდა მოყამული განწყობილება.

არც მადლობა, არც არაფერი... ანდა ვინ გაცალა?... ამხელა სიხარულს გაძლება არ უნდა, უკაცურ ქუჩაში ვის გაგუზიარო!..

ჩემი მახარობელი, გორის სალიტერატურო კრებულ „ლიახვის“ დამაარსებელი და რედაქტორი, ბატონი ოთარ ჩხეიძე გახლდათ.

ასე ბედნიერად თუ იღბლიანად დაიწყო. როგორც ბრძანეთ, თავიდანვე სიყვარული დამეკვება.

აქედან მოყოლებული, ჩვენი მაშინდელი ლიტერატურული პერიოდიკის რედაქტორების – ჯანსუღ ჩარკვიანის, რევაზ მარგიანის, გიორგი ნატროშვილის, ვახტანგ ჭელიძის... ყურადღება და თანადგომა არ მომკლებია.

– თქვენ ხართ მწერალი, რომელიც დაუბრუნდით მშობლიურ ქალაქს და პროვინციაში დამკვიდრების გამო არ იყვედრებით. ხელბარაქიანიც რომ აღმოჩნდით, არც ამით პომპეზურობთ.

დღესდღეობით, აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ სად იცხოვრებს სიტყვის ოსტატი?

– ჩემს დაბრუნებაში, დედაქალაქში ცხოვრება რომ პროვინციაზე გადავცვალე, რა თქმა უნდა, ნაკლებად იყო წინასწარ გათვლილი „გმირობის“ ელემენტი, ადგილის დედის ძახილი, სისხლის ყვილი თუ სხვა „თავმოსანონებელი“ მიზეზები.

ასე უნდა მომხდარიყო. მორჩა და გათავდა.

„ზურგისაკენ“ მკვეთრი, მოულოდნელი შემობრუნება, გაქცევა შეჩვეული გარემოდან, ტანჯვით შეკონინებული ურთიერთობების მსხვრევა, ადვილი არ არის. მაგრამ როცა იშვიათდება სულის მოსათქმელი „ჟანგბადი“, უნდა გაირღვეს კედლები, ჩატყდეს ფანჯარა, განიავდეს, შეიცვალოს გარემო, რომელშიც ცხოვრობ და უნდა ხელმოიხრებდ ამოაჩინო შენი თავი, შენი მივიწყებული სიზმარ-ცხადები...

შემთხვევით არაფერი ხდება – სამყაროს „ფხიზელი თვალის“ უნებურად ციდან წვეთიც კი არ ვარდება – ჩვენი ცხოვრებაც, შენაკადი დროის მდინარებისა, იქით მიდის, საითაც გაურუებენ... ოღონდ, რამდენიც არ უნდა გვარყიოს ბედისწერის ქარიშხალმა, მოვალენი ვართ, როგორც ჭურჭელმა, სუფთად, აუმღვრევლად ვატაროთ სული, რომელიც გამჩენმა ჩაგვიდგა.

ისე კი, მართლაც რა მნიშვნელობა აქვს, სად ცხოვრობ – განა პროვინცია კი ჩვენი სამშობლო არ არის (თუმცა ბევრი ჩვენი თანამემამულე თბილისს იქით საქართველოს ვერ ხედავს და ვერც მის სატკივარს გრძნობს!)? ასე რომ, სულაც არ არის აუცილებელი სულისკვეთებით ყველაზე ლატაკი პროვინციელები „ტერიტორიული პრინციპით“, მაინცდამაინც პროვინციაში ვეძებოთ, ისინი არც სახელისუფლებო სამსახურებს და დედაქალაქის ფეშენებელურ აპარტამენტებს აკლია.


სევდა მიპყრობს, როდესაც თვითმფრინავიდან დავეყურებ დედამიწას – თანდათან პატარავდებიან და მერე ქრებიან ადამიანები, ხეები, სახლები, მდინარეები, დასახლებები. იკარგება, აღარ გესმის ვეებერთელა სტადიონების გუგუნე, ერთმანეთის მოსასპობად გასროლილი ქვემეხების და რაკეტების ექო... ისეა დედამიწა გარინდული, როგორც ჩაკეტილ შუშის ჭურჭელში მოთავსებული უემოციო, უმწეო არსება.

ეს – რამდენიმე კილომეტრის სიმალიდან და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რა შეგვრჩება ხელში ბობოქარი დედამიწიდან, როცა უფრო მაღლა ავალთ, როცა „ნამდვილი“ ცა დაიწყება?... ამიტომ უნდა ვიფიქროთ და ვემზადოთ იმ წუთისთვის, როცა დაგვიმთავრდება „მივლინება“ დედამიწაზე.

ჰო, შემთხვევით არაფერი ხდება-მეთქი. ღმერთმა არ დამაჯეროს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცარსკოე სელოში „გადახვენილი“ ლექსების ხელნაწერი, მაინცდამაინც ილიას, შემთხვევით ჩაუვარდა ხელში...

– „ზამთრის წიგნი“ – თქვენი ბოლო პროზაული კრებული ორიგინალური გამოცემაა. რას განიჭებთ ყოველი ამგვარი სიახლე და როგორ აღიქვამთ წიგნს მიბარებულ ნაწარმოებებს, მანამდე ნაწილ-ნაწილ ან სათითაოდ რომ ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პერიოდიკაში?

– „ზამთრის წიგნი“, მოთხრობების ერთი ციკლის გარდა, დღიდან გორში დაბრუნებისა, ჩემთვისაც „შუემწევლად“ იქმნებოდა.



ყველას მწარედ გვახსოვს ის წლები:

თავისუფლების უღაცა, ჩვენივე წყალობით, ზურგიდან გადმოგვავადო. ყოველმხრივ შეილახა ჩვენი თავმოყვარეობა, გაიბზარა იმედის საყრდენები, ანტიგმირები გაფეტიშდნენ, გალადდნენ. განუკითხაობამ, ომმა, თავისი სამკვიდრებლიდან აყრილი, გამოქცეული ადამიანების ჯაგრმა, წარმოუდგენელი სისასტიკით ერთმანეთის გამეტებამ, გამოაგნა.

როცა თქვენს ჟურნალში ვარლამ შალამოვის პუბლიკაცია ნავიკითხე, ჩემი მაშინდელი განწყობილება გამახსენდა: „ადამიანებს, რომლებმაც გამოიარეს რევოლუციები, ომები და კონცლაგერები, არაფერი ესაქმებათ რომანთან. გამოგონილი ცხოვრების აღწერა, ხელოვნური კოლიზიები და კონფლიქტები აღიზიანებს მკითხველს“.

ჩემშიც რალაც ამგვარი ხდებოდა. სახელდახელო, დღიურის ხასიათის ჩანაწერები, მინიატურები, შეულამაზებელი ჩანახატები „ნატურიდან“, მოუმთავრებელი მოთხრობები, მეგონა სამუდამოდ ჩემთან დარჩებოდნენ, მაგრამ...

„ზამთრის წიგნი“ გასული წლის მიწურულს გამოვიდა – მანამდე, ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა „ომეგაში“, „ჩვენს მწერლობაში“, „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „ცისკარში“...

– კარგის თქმას წინ რალა უდგას და თქვენი ლექსების ერთტომეული ვიდრე გამომზეურდება, გავამხელ სარედაქციო „კულუარებიდან“ – ამ ახალი წიგნის რედაქტორი

გიორგი ლოჭანიძე, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, აღფრთოვანებულია...

– „ზამთრის წიგნი“ ქუთაისის საგამომცემლო ცენტრში დაიბეჭდა (დირექტორი ელგუჯა თავბერიძე). ლექსების ერთტომეულიც – „ავტობორტრეტი ძველ ჩარჩოში“, – ქუთაისში მზადდება და ძალიან მიხარია, რომ დადგა დრო, როცა თბილისის გარეთაც შეიძლება პოლიგრაფიულად გამორჩეული წიგნების გამოცემა.

რაც შეეხება ჩემი ერთტომეულის რედაქტორის აღფრთოვანებას – გიორგი ის კაცია, სიზმარიც რომ დაეჯერება.

ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა...

– ვვარაუდობ, უახლეს ხანში გამოსაცემი წიგნიც გულში გიზოთ – პოეზიისა იქნება იგი თუ პროზისა?

– ხუთი წელიწადი ელოდებოდა „ზამთრის წიგნი“ ბედის გასწვას. ამ ხნის განმავლობაში, ახალი მოთხრობებისა და ნოველების კრებული, „მარიამის ამბორი“, გაჩნდა ჩემს საწერ მაგიდაზე.

იმდენი საჭირო, ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურაა გამოსაცემი, რომ მერიდება დავიჩივლო, ეგებ „მარიამის ამბორს“ ხუთწლიანი ლოდინი არ დასჭირდეს-მეთქი.

ენახოთ, დასჭირდება და რა ვქნა.

თუკი შემთხვევით არაფერი ხდება, იქნებ მოლოდინიც გარკვეული კანონზომიერებით იყოს ნაკარნახევი...

ვახტანგ ამაღლობელი

# ჯონ დოს პასოსი საქართველოს ანექსიის შესახებ

\*

1921 წელი

საქართველოში პირველი მოგზაურობა 1921 წლის აგვისტოში დოს პასოსს აღწერილი აქვს სტატიაში „გასაბჭოებული კავკასია“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ლიბერეთას“ 1922 წლის აგვისტოს ნომერში და განმეორდა მისი ესეების წიგნში „აღმოსავლეთის ექსპრესი“, რომელიც გამოქვეყნდა 1927 წელს.

აღნიშნულ ნაშრომებში ჩვენთვის საინტერესო საკმაოდ ბევრი ფაქტი და მოვლენა ასახული, რომლებზეც ავტორი თავის მოსაზრებებს, შეხედულებებს გვიზიარებს, ზოგჯერ საკუთარ შეფასებებსა და დასკვნებსაც გვთავაზობს.

ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებ სტატიაზე „გასაბჭოებული კავკასია“ და, კერძოდ, რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის საკითხზე.

დოს პასოსი 1921 წლის 7 აგვისტოს ბათუმში გემიდან გადმოდის საქართველოს „გასაბჭოების“ ანუ მისი სრული

ანექსიის ხუთი თვის თავზე. როგორც პაატა სურგულაძე აღნიშნავს: „1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში დადგენილი სტერეოტიპის მიხედვით მიჩნეული იყო საქართველოს მშრომელი მასების აჯანყებით მოპოვებულ გამარჯვებად, ქართველი ხალხის ინტერესების გამოხატულებად. ნითელი არმიის ლაშქრობა საქართველოში და მის მიერ ქვეყნის ოკუპაცია ფასდებოდა, როგორც ძმური დახმარება ქართველი ხალხისადმი, როგორც ქვეყნის გადარჩენა იმ კატასტროფისაგან, რომელიც, თითქოს, საქართველოს მოელოდა დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პირობებში“.

დღეს, საბედნიეროდ, არსებობს ამ ფაქტის ობიექტური, სამართლებრივი შეფასება. ჯერ კიდევ 1989 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ შეისწავლა 1920 წლის მაისის ხელშეკრულების და 1921 წლის თებერვლის პოლიტიკურ მოვლენათა სამართლებრივი ასპექტები და სათანადო დასკვნებით წარსდგა უზუნაესი საბჭოს სესიის წინაშე.

იმ დოკუმენტში, რომელიც სესიამ ერთხმად გაიზიარა და დაამტკიცა, დასაბუთებულია, რომ საბჭოთა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ცალმხრივად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის დადებული ხელშეკრულება და განახორციელა საქართველოს ოკუპაცია, რასაც ფაქტობრივი ანექსია მოყვა. როგორც აკაკი ბაქრაძე აღნიშნავს: „რუსმა კომუნისტებმა ისევ მოატყუეს ქართველობა, როგორც ადრე რუსმა ცარისტებმა“. დაპყრობილ საქართველოში საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. მაგრამ, როგორც ვახტანგ გურული აღნიშნავს პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მოსკოვი შეეცადა შეენიღბა არა მარტო რუსეთის ინტერვენცია საქართველოში, არამედ თვით საოკუპაციო რეჟიმიც: „საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საქართველო უმუალოდ არ შეერთებინა რუსეთისათვის, საქარ-

თველო ფორმალურად უნდა დარჩენილიყო დამოუკიდებელ, სუვერენულ ქვეყნად“.

დოს პასოსი კავკასიის შესახებ მსჯელობს საბჭოთა რუსეთთან მიმართებით. სტატია თავიდან ბოლომდე ეხება მწერლის ბათუმსა და თბილისში სტუმრობას და ქართული შთაბეჭდილებებითაა გაჟღერებული. სტატიას სათაურად „გა-საბჭოებელი საქართველო“ უფრო შეეფერება, ვიდრე „გა-საბჭოებელი კავკასია“. მაგრამ ასეთი სათაური იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამომხატველი იყო, რადგან მაშინ საქართველო არ წარმოადგენდა აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორს, როგორც დღეს, და საერთოდ ასეთ ვარიანტს ალბათ არც კი განიხილავდნენ, რადგან იმ დროს ამერიკის მთავრობის გეოპოლიტიკური კონცეფცია სომხური ორიენტაციისა გახლდათ. არსებობდა ლაზეთის – ტრაპიზონის ჩათვლით – სომხეთთან მიერთების ე.წ. „დიდი სომხეთის“ გეგმა. როგორც გივი ლამბაძე აღნიშნავს: „...ამერიკელები გვევლინებოდნენ „დიდი სომხეთის“ გეგმის დამცველებად“. უფრო მეტიც, როგორც პაატა სურგულაძე გადმოგვცემს: „აშშ პრეზიდენტის ვილსონის მითითებით სომხეთში საგანგებო კომისრად დაინიშნა პოლკოვნიკი ჰასკელი, რომელსაც ევალებოდა მთელი ამიერკავკასიის შემზადება სამანდატო მმართველობისათვის... სომხეთის დელეგაცია დაჟინებით ითხოვდა სომხეთის საკუთრებაში ეცნო სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და მიეცათ მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა პარიზში სომხეთის სახელმწიფოს რუკა, სადაც მის საზღვრებში მოქცეული იყო მტკვრის მთელი მარცხენა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით“.

ამიტომ, ბუნებრივია, საქართველო, ცალკე აღებული, ავტორის ინტერესებში არ შედიოდა. თანაც, ამერიკელი მწერლის საქართველოში მოგზაურობის მიზანს სრულეობითაც არ წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის გაცნობა. მას ახალი, საბჭოური ცხოვრების წესის შესწავლა აინტერესებდა. ამის დასტური აღნიშნული სტატიაც გახლავთ. მეღვინე ლანდსბერგი სწორ ვარაუდს იმაზე გამოთქვამს, რომ ეს დოს პასოსის პირველი სტატიაა საბჭოეთის შესახებ. მისი აზრით, სტატია მნიშვნელოვანია იმით: „...რომ დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს, რომლითაც ბოლშევიკური მეთოდებისადმი დოს პასოსის უარყოფითი დამოკიდებულება დასტურდება“.

ვიზიარებ მეღვინე ლანდსბერგის მოსაზრებას და ჩემი მხრიდან მიიღია დავამატო, რომ დოს პასოსის ანტიბოლშევიკური და, საბოლოოდ, ანტიკომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოდან დაიწყო, რადგან პირველი „საბჭოური“ გამოცემა მან სწორედ აქ მიიღო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოში, როცა დოს პასოსი საქართველოში ჩამოვიდა საბჭოთა ხელისუფლება 1921 წლის თებერვალში კი გამოცხადდა, მაგრამ საქართველოში, რუსეთისაგან განსხვავებით, საბჭოები არ არსებობდა.

სტატია მრავალ გარემოებათა გამოა საინტერესო და მნიშვნელოვანი. ეს მართლაც იმდროინდელი რეალისა, ამერიკელი მწერლის თვალთ პირუთვნელად და შეუღამაზებლად გადმოცემული დოკუმენტური მასალაა. თვალწინ იშლება მე-11 რუსული წითელი არმიის ოკუპაციის შემდგომი პერიოდის ბათუმისა და თბილისის ცხოვრებისა და ყოფის ნამდვილი სურათები, გადმოცემულია ქაოსი, არეულობა, ხალხის სასონარკვეთა, უმუშევრობა, სიღუჭიერე. მწერალი ბათუმში ჩამოსვლისთანავე ამჩნევს მმართველობაში მოსული „ნელზე შემოჭრილი ქამრებიან, საბჭოთა რუსეთის სავალდე-

ბულო თეთრ კიტელებში გამონყობილ უწვერულვაშო ახალგაზრდების“ თავდაჯერებულობასა და პათოსს.

დოს პასოსისათვის სრულებით არ არის სადავო, რომ იგი წითელი არმიის ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება.

საქართველოს რევკომმა 1921 წლის ივლისის დეკრეტით შექმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. როგორც ლევან თოიძე აღნიშნავს: „საბჭოთა სინამდვილეში ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა მთელ ერს და მის შემადგენელ ნაწილს ერთ რესპუბლიკაში ცალ-ცალკე რესპუბლიკები შეუქმნეს. აჭარის ავტონომიის ჩამოყალიბება რელიგიური და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორებით იყო გაპირობებული. საქმე ისაა, რომ აჭარა – საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ქართული ეთნოსის ერთ-ერთი უძველესი კერა – ისტორიული ბედუკულმართობის შედეგად თურქეთის სამსაუკუნოვან მფლობელობაში მოექცა და მხოლოდ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად დაუბრუნდა სამშობლოს“.

ძალიან საინტერესოა დოს პასოსის აზრი ამასთან დაკავშირებით. როგორც გადმოგვცემს, მისთვის აუხსნიათ, რომ აჭარამ ავტონომიური თვითმმართველობა რელიგიის საფუძველზე მიიღო. თუმცა სადაც მივიდით, ყველა მმართველობით ორგანოში რუსი კომისრები დამხვედნო, ამბობს გაკვირვებული: „ბათუმში, აჭარის ახალშექმნილი რესპუბლიკის დედაქალაქია... ფაქტობრივად, ბათუმში კომისრებს, ვისაც კი შეეხვედა, ყველა რუსი აღმოჩნდა“ (7,63). იგივე მდგომარეობაა ოკუპირებულ თბილისშიც: „თიფლისში გოლოვინსკის პროსპექტზე, სადაც გადმოცემით ადრე ქართველი თავადაზნაურობა გრძელი ჩოხებით, მრგვალი კრაველის ქუდებით და ძვირფასი თვლებით მოჭედილი ვერცხლის ხმლებით თავმოშინებდნენ დადიოდა, ახლა მხოლოდ ნელზე შემოჭრილი ქამრებიან საბჭოთა რუსეთის სავალდეულო თეთრ კიტელებში გამონყობილ უწვერულვაშო ახალგაზრდებს ნახავთ. „გრუზინსკი“ კლუბში, სადაც ძველი რეჟიმის დროს ალავრდები არ წყდებოდა, ახლა ძირითადად წითელი არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს... შეხვედებით“.

დოს პასოსი ავტონომიურს იმ სიღარიბესა და გაუსაძლის ყოფას, ახალმა დროებამ რომ მოუტანა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას. მწერალი განსაკუთრებით მოხუცების მდგომარეობითაა შეწუხებული და წერს: „ამ მოხუცებს ძალზედ უბადრუკი ბედი ხვდათ წილად, უმრავლესობისთვის ახალი რეჟიმი სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა...“

ამასთან მწერალს თბილისში ხეტიალისას თვალში ხვდება მოსახლეობის სიმცირე და განსაკუთრებით ასაკოვანი ხალხის სიხალვათე, რის თაობაზეც ამბობს: „გაოცებას ვერ ვფარავდი იმის გამო, რომ ვერ გამეგო, მოხუცები ყველა გარდაცვლილიყო, ჩეკას მიერ იყენენ დაკავებულნი, თუ ისინი ახალი ცხოვრების წესით გამონვეულმა სასტიკმა ძალმომრეობამ გააქრო“.

დოს პასოსს კარგად აქვს ასახული გარდამავალი ხანის დამახასიათებელი მოვლენები: გაპარტახებული მეურნეობა, დაბალი ხელფასები, ნორმირებული სურსათ-სანოვავე, რის გამოც ქვეყანაში აღზევებულია სპეკულაცია, კორუფცია, ემქორთამეობა, ბიუროკრატიზმი: „არავის არ უხდინან იმდენს, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ სურსათ-სანოვავის ნორმას გვერდითი შემოსავლების გარეშე რაიმე აუცილებელი დაამატონ, შედეგად, როგორც რევოლუციამდე, უფრო მეტად თუ არა, კვლავაც ყვავის სპეკულაცია და მექრთამეობა, რაც ყოველთვის დამახასიათებელი იყო რუსი ჩინოვნიკებისთვის“.

სტატიაში ნათლადაა გადმოცემული ხელისუფლებასა და მმართველობაში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, კადრე-

## უცხოელის თვალით

ბის, განათლებული, უნარიანი ადამიანების უკმარისობა. „საქართველოს მთავრობაში, საერთოდ ვერ ვნახე კომუნისტი, გარდა პრეზიდენტი ნიდვანისა. რუსეთში განათლებული და უნარიანი ადამიანების დიდი ნაკლებობა...“.

დოს პასოსი აღიარებს კომუნისტური მართვის მეთოდთა სიმცდარეს, სუსტი სასამართლო სისტემის არსებობას, „ჩეკას“ დანაშაულებრივ საქმიანობას და წერს: „რა თქმა უნდა შიმშილს ყველაფერს ვერ დააბრალებ. არსებული „დამბლა“ უმეტესწილად, ბლოკდასა და ინტერვენციასთან ერთად, იმ გარემოებებითაა გამოწვეული, კომუნისტური მართვის მეთოდებს რომ ახლავს თან. პირველ რიგში ეს არის „ჩეკა“ – საგანგებო კომისია. არა მგონია რუსულ სასამართლო სისტემას ოდესმე რაიმე ჰქონოდა სატრაბახო, მაგრამ რაც შეეხება თანამედროვე იურიდიულ სისტემას, განზრახ თუ უნებლიეთ, საიდუმლო მეთოდებით დატერორებული რომ ჰყავს მოსახლეობა, უკიდურესად ცუდია“.

მიუხედავად იმისა, რომ დოს პასოსი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე „მემარცხენე“ იდეებისადმი თანაგრძნობას გამოხატავდა და ერთგვარი სიმპატიითაც კი იყო გამსჭვალული საბჭოური სისტემის მიმართ, როგორც მწერალი, მოგზაურობისას მიუკერძოებლად და შეულამაზებლად ასახავს პროცესებს და ხაზგასმით, ჩემი დაკვირვებით, მიზანდასახულადაც, ხშირად აღნიშნავს, რომ „გასაბჭოებული“ და „დაპყრობილი“ ერთიდაიგივეა.

ბათუმ-თიფლისის მატარებლით მგზავრობას როცა აღწერს, თითქოს სხვათა შორის ამბობს: „რუსებმა საქართველოს დაპყრობის პირველ დღეებში თიფლის-ბათუმის მატარებლით მგზავრობის ფასი 250 რუბლი დაანესეს...“

თავის ახალგაზრდა მეგობარს, მარვინს, ბათუმიდან იმასაც კი სწერს, თითქოს ნითელ არმიას დროებით დაეპყრო საქართველო: „ხვალ, ნითელი არმიის მიერ დროებით დაპყრობილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისიის წყალობით მივემგზავრები თიფლისს ერივანში, შემდეგ

თავრიზსა და თეირანში“ (ალბათ, კორექტურული შეცდომაა, რადგანაც დედანში თიფლისი და ერივანი მძიმით არ არის გამოყოფილი).

დოს პასოსმა იმთავითვე ზუსტად განსაზღვრა და დაასკვნა, რომ მომავალი საუკუნე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აზიაში მიმდინარე პროცესებს ეკუთვნოდა, რომელთა ყალიბიც რუსების ხელში იყო მოქცეული: „მომავალი აზიაზე გადის... მომავალს აზია უკარნახებს, აზიის ყალიბი კი რუსებს უპყრიათ ხელთ. მსოფლიოს რუკაზე საზღვრებს ისინი გაავლებენ...“.

რა თქმა უნდა, მაშინ თბილისში, მთაწმინდაზე მყოფი ამერიკელი მწერალი ვერ წარმოიდგენდა, რომ გაპყურებდა იმ სივრცეს, „რომლის კარიბჭესაც კავკასია წარმოადგენს“ და რომელიც მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული თანამედროვე, თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკებისაგან შემდგარი ევრაზიის ნაწილი გახდებოდა.

სტატიკაში „გასაბჭოებული კავკასია“ დოს პასოსმა რეალურად ასახა მე-11 არმიის შემოსვლის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წელს მიმდინარე პროცესები, პირუთვნელად შეაფასა ბოლშევიკთა საქმიანობა და აღიარა, რომ ბოლშევიკური მმართველობა ხალხისთვის საბოლოოდ ახალი, კომუნისტური ტირანია იქნებოდა. მან, როგორც ჭეშმარიტმა ჰუმანისტმა, საბჭოთა კავშირის არსებობის პირველივე წლებშივე რეალურად შეაფასა კომუნისტური იდეოლოგიის უპერსპექტივობა და დაგვიხატა საბჭოთა საზოგადოების ჭეშმარიტი სახე.

ამდენად, ამერიკელი მწერლის შეფასებანი დღესაც აქტუალურია და უდავოდ დიდ სამსახურს გაგვიწევს XX საუკუნის 20-იან წლების უკვე ისტორიადქცეულ საბჭოთა საქართველოში მომხდარი სოციალ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოვლენების შესწავლისა და გადაფასების საქმეში.

## ქრონიკა

30 მარტს „თი ბი სი ბანკის“ შენობამ გამოცემლობა „დიოგენეს“ მიერ დასტამბული ორი წიგნის პრეზენტაციას უმასპინძლა.

ერთი მათგანი – ალმანახი „ახალი თარგმანები“ ამ გამოცემლობის ბოლო წლების საუკეთესო პროექტად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის უკანასკნელი რამდენიმე ნომერიც „დიოგენემ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური დახმარებით დასტამბა და ქართველ მკითხველს შესანიშნავი საჩუქარიც გაუკეთა.

ალსანიშნავია ისიც, რომ „ახალი თარგმანები“ გამოცემლობების – „ახალი თარგმანებისა“ და „დიოგენეს“ – ნაყოფიერი პარტნიორობის შედეგია.

პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე თამარ ქვარიანი, გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი თამარ ლებანიძე და სხვები.

რაც შეეხება დიოგენეს მეორე წიგნს, რომელის წარდგინებაც ამავე პრეზენტაციაზე მოეწყო, ქართველი მკითხველისათვის ვახტანგ ჭელიძის მიერ შესანიშნავად ამტკიცებული თარგმანის მეოხებით კარგად ცნობილი ჯერომ დ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ გახლდათ. ეს რომანი ხელახლა უთარგმნია გიორგი ჭუმბურიძეს და ახალ თარგმანს „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“ ჰქვია. გ. ჭუმბურიძემ ვრცლად ისაუბრა მთარგმნელის როლისა და ფუნქციის შესახებ. საგანგებოდ აღინიშნა ისიც, რომ „დიოგენეს“ მიერ დასტამბული „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“ სელინჯერის ამ რომანის პირველი ლიცენზირებული გამოცემა ქართულად.

ასევე სარეკლამო ფანდი იყო – ოლონდ ძალზე სასიამოვნო და საინტერესო – ისიც, რომ წიგნის ყოველ მეთე მყიდველს სელინჯერის ავტოგრაფიანი მისურები დაურთავდა.

თუმცა „დიოგენეს“ ახალ ინიციატივას ალბათ ყველაზე კარგ რეკლამას მაინც ვახტანგ ჭელიძის თარგმანი გაუწევს, რომლის „არალიცენზირებული გამოცემებსაც“ ნახევარ საუკუნეზე მეტია ინტერესით ეცნობოდა ქართველ მკითხველთა მრავალი თაობა. ჭუმბურიძის თარგმანი კი, მთარგმნელის მიერ წარმოდგენილი შესანიშნავი ზეპირი ესეს მიუხედავად, ჯერჯერობით მაინც წმინდა წყლის პროფესიულ ცნობისნადილს უფრო გააღვივებს: როგორ თარგმნა მან ის ადგილები, რომელიც ვახტანგ ჭელიძის თარგმანიდან ლამისაა ზეპირად ვიცით და რომელთა ხელახალი გადაკითხვა დღემდე უზომო სიამოვნებას გვანიჭებს.

ყოველ შემთხვევაში, გამომცემლობა „დიოგენემ“ ამ „ახალი სელინჯერის“ გამოქვეყნებით მაინც ძალზე საშური საქმე გააკეთა, რომლის მნიშვნელობაც კიდევ უფრო გამოიკვეთება ქართული მთარგმნელობითი პროცესებისათვის.

წარდგინების ბოლოს აღმანახ ახალი თარგმანების მიერ გამოცხადებული ორი კონკურსის შედეგები შეჯამდა, რომელთაგან ერთი – იოსებ ბროდსკის ერთი ლექსის „იავნანას“ საუკეთესო ქართული თარგმანის გამოვლენას, ხოლო მეორე ახალგაზრდა მთარგმნელთა წარმორჩენასა და ნახალისებას ისახავდა მიზნად. თითოეულ კონკურსში სამ-სამი გამარჯვებული გამოვლინდა და მათ 150-200 ლარის ოდენობის ფულადი პრემიები გადაეცათ.

დაიბადა ქალაქ ხაშურში; დაამთავრა ქ.ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა; 1992 წელს დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი; 2002 წელს დაამთავრა შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოჟურნალისტიკის ფაკულტეტი; არის საქველმოქმედო პროექტის – „ზღაპრები ირმა მალაციძისაგან“ ავტორი – ეს არის 10 აუდიოზღაპარი, რომლის გმირებსაც ახმოვანებენ ცნობილი პოლიტიკოსები. აუდიო-კასეტები უფასოდ გადაეცა უსინათლო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში „პენ-მართონი-2003“. კონკურსზე შექმნილი მოთხრობა „სოლომონა“ შესულია საუკეთესო ათეულში; 2003 წელს საბავშვო ჟურნალ „დილის“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ახალი სახელები ქართულ საბავშვო მწერლობაში“ მიენიჭა პირველი პრემია (ზღაპრისათვის „ლოკოკინა სახელად ქერამუჭა“).

გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში „ლუარსაბ თათქარიძე“ საუკეთესო ოცეულში შევიდა ირმა მალაციძის მოთხრობა „ტორტი“; 2004 წელს გამოიცა მისი პირველი საბავშვო წიგნი – „სატკბილეთის ქვეყანა“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა); ამავე წელს გამომცემლობა „სიესტამ“ გამოსცა ირმა მალაციძის პროზაული კრებული „ფატი“. კრებული ნომინირებული იყო ლიტერატურულ პრემიაზე „საბა“, ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული კრებული“; 2005 წელს გამოიცა საბავშვო მოთხრობების კრებული „ქერამუჭას სკოლა“; მოთხრობა „ფატი“ შესულია კავკასიური სახლის მიერ გამოცემულ ორტომეულში „ქალის სახეს მე-19 და მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში“.

იბეჭდება ლიტერატურულ გამოცემებში: „არილი“, „პარნასი“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ალტერნატივა“, საბავშვო პერიოდულ გამოცემებში „დილა“, „12 მტრედი“, „12-მდე“, „ნაკადული“, „ანო და ვანო“ და სხვ. მუშაობს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სააგენტოში; ჰყავს მეუღლე და ორი შვილი;

ირმა მალაციძე

ტორტი

„სწრაფად გადაყლაპულ ლუკმას გემოს ვერ გაუგებ, თუ ცოტა ხნით ენაზე არ გააჩერე, ნელა, მიბარვით არ დააგემოვნე, თუ ტორტის არომატმა და სიტკბომ თავბრუ არ დაგახვია და თავი სამოთხეში აღმოჩენილი ჩიტვივით მსუბუქად არ გაგრძნობინა. ტორტის ჭამაც ისეთივე ხელოვნებაა, როგორც მისი დამზადება.

ეს რიტუალი უნდა იყოს მათთვის, ვინც ამით სიამოვნების მიღებას ელის. ნეტარებით, არამინიერი სიამით აღსავსე რიტუალი. ჯერ თვალებს მოსწონს, შემდეგ კი – პირს. მთავარი კიდეც – ტორტის მორთვის ტექნიკაა. თუ ის ლამაზი არაა, როგორი გემრიელიც არ უნდა იყოს, ისეთი აღარ მოგეჩვენება და პირიქით, თუ ტორტი მშვენიერია, ერთიანად იზრდება მისი სიტკბო და სიხსუბუქე. თვალები ტვინს უგზავნის ინფორმაციას, ტვინი, თავის მხრივ, სანერწყვე ჯირკვლებს აფრთხილებს მოსალოდნელი სიამოვნების ან უსიამოვნების შესახებ. შედეგად კი, გემოს ისეთ შეგრძნებას იღებთ, არასოდეს რომ არ დაგავინყდებათ“ – ასე უზიარებდა ყველას ოსტატობას და გამოცდილებას თავის შეხედულებებში ღრმად დარწმუნებული, ქალაქში ცნობილი მეტორტე ირაკლი, რომელსაც შინაურები – იკას, ხოლო ნაცნობები და მეზობლები ზურგს უკან ეკას ეძახდნენ.

ერთ ნახვად ღირდა იმის ყურება, როცა ირაკლი გამზადებული ბისკვიტების მორთვისას იწყებდა. ჯერ ხილის წვენში შეზავებული კონიაკით დანამავდა და ერთმანეთზე თანაბრად დაანყობდა, ტორტს გვერდებზე შოკოლადის კალათისებურ წნულს შემოავლებდა და ზედაპირსაც კრემის სკუპებით დაფარავდა, შემდეგ ფრთხილად იღებდა ლანგარზე დაწყობილ, შაქრის ფხვნილისაგან წინასწარ დამზადებულ ყელმოღერებულ წითელნისკარტა გედებს და კრემის ცისფერ ტბაზე ასკუპებდა. მწვანე, საღებავშერეული შაქრისაგან გაკეთებულ ბუჩქებსაც ჩამოურიგებდა,

აქა-იქ დუმფარებსაც გააბნევდა და პატარა ოაზისიც მზად იყო. ყველაზე მეტად ვარდების გაკეთება მოსწონდა. ორცხობილის ნატენს მარცხენა ხელში ისე იმარჯვებდა, თითქოს ახლახან მოწყვეტილი იის ღერო სჭეროდეს, მარჯვენით ოსტატურად უჭერდა ტილოს ქსოვილით შეკერილ პარკუჭს და ბრტყელტუჩა ფორმიდან გამოდენილ ნითელი კრემის თხელ ფენას ვარდის ფურცლებად აწყობდა – ჯერ ერთ ფურცელს, მერე მეორეს, მესამეს, მეოთხეს... და ქმნიდა სილამაზეს. კრემის ვარდს სურნელიც კი ვარდისა ჰქონდა – ესენციით გაჟღენთილი. შემდეგ ყვავილი ფაქიზად გადაჰქონდა ბისკვიტის ზედაპირზე და მწვანე ფოთლებით შემკობას იწყებდა.



ენაც ისეთივე დაშაქრული ჰქონდა ირაკლის, როგორიც გედები, ყვავილები, არშიები, ლილიები და დუმფარები იყო მის ტორტებზე. კარგად იცოდა, რომ ამ საქმეში ბადალი არ ჰყავდა, ამიტომ არად დაგიდევდათ, როცა ვინმე მის ქალურ მანერებზე გულიანად ხალისობდა და ამის მიუხედავად, სიამოვნებით იტკბარუნებდა პირს მისი შრომის ნაყოფით. პირს, რომლიდანაც, მასში ჩამდნარი სიტკბოს მიუხედავად, მხოლოდ ღვარძლი და სიმწარე ამოდიოდა.

იცოდა ირაკლიმ, რომ გული მის გაუმჭვირვალე სხეულში საიმედოდ იყო თავშეფარებული და ვერავინ დაინახავდა, როგორი მრისხანება და შიგნით ჩაბრუნებული შებლაღული ღირსება იმალებოდა მასში. საკუთარ სხეულში მიყუჟული თავს დაცულად გრძნობდა და დაცინვა, თუნდაც ავი და თუნდაც სასტიკი, მას მტრად ვერ მოეკიდებოდა. რა თქმა უნდა, ღრმად გულში წყენასაც ატარებდა, მაგრამ მისდამი დამოკიდებულების გაპროტესტება თავში აზრად არასდროს მოსვლია. ეს უბრალოდ მორჩილება არ იყო, – მისგან განსხვავებული, ნამდვილი მამაკაცებისადმი, მათი ძლიერი მკლავებისადმი და ღონისადმი ლაჩრული, შიშნარევი და მხდალი მორჩილება. ეს სხეულში

ღრმად მიმალული, არანაკლებ შემინებული, დათრგუნული, დამორცხვებული მამაკაცურობა გახლდათ. მის ტვინში საჭირო დოზით არსებულ მამრს რალაც სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, შემაშფოთებელი რამ ამუხრუჭებდა, კვანტს უდებდა, ცბიერი ღიმილით დღის სინათლეზე გამოჩენის ცდუნებისაგან კბილებით იცავდა, რათა შემთხვევით თიხის ქანდაკებასავით გამოძერწილი, მაგრამ მყიფე და სათუთი არსება მხედველობის არედან არ დაჰკარგვოდა, მასზე კონტროლი არ დაეკარგა და ამდენი წლის ნალვან-ნაოფლარ, მამაკაცად დაბადებულ, მაგრამ ვერდაკაცებულ ადამიანს უცებ თავისი თავი არ აღმოეჩინა, უაზრო ყოფასა და გაურკვეველ დანიშნულებას შორის გაჭედლილი.

არავინ იცოდა, უფრო სწორად, არც არავის აინტერესებდა, ვის რა წვლილი მიუძღოდა იმაში, რომ ირაკლი კაცად ვერ იქცა. ვინ იყო დამნაშავე – დედა, უბანი, სკოლა თუ მთელი ქალაქი. ვინ მოიმარჯვა სახრე და ვინ გადენა ახალგაზრდა კაცის ღირსება, თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა ყველაზე ბნელ და მიუსაფარ სატუსალოში, საკუთარი სიმარტოვითა და უთვისტომობით სასჯელის აღსასრულებლად. იქნებ ის იყო ამის მიზეზი, რომ მამა თვალთ არ უნახავს და დედის კალთაში მიყუჟული გაიზარდა, ქუჩას იმის შიშით არიდებული, ვინმემ ნაბუშარი არ დაუძახოს და არ დასცინოსო. ან იქნებ ის, რომ ქალიშვილის ნაცვლად ვაჟის დაბადებით მიყენებულ განცდას დედა იმით იქარწყლებდა, რომ გოგოსავით ზრდიდა, ხელსაქმეს და მზარეულობას ასწავლიდა, თმას გოგოსავით უვარცხნიდა და ზომიან მეტად ელოლიავებოდა.

ის არავის გაუფიქრა გულში, რის ფასად უხდებოდა დაუკაცებელი მამაკაცის ტყავში ცხოვრება მუდამ დაცინვის, მასხრად აგდების, გაქილიკების საგნად ქცეულს, ყველა სხვა მამაკაცისაგან განსხვავებულ, ქალივით ნაზი ხმისა და ასეთივე ნაზი მიმოხვრის პატრონს, მდედრსა და მამრს შორის სადღაც შუაში გაკვეთებულს, რომელიც არც აქეთ იყო, არც იქით და ადამიანებისადმი მორჩილების გარდა, სხვა თვისებებს, ნებით თუ უნებლიეთ, საგულდაგულოდ მალავდა. ის, რაც მის გულ-გვამში დულდა, თუხთუებდა, იდაგებოდა, ყველასთვის დაფარული და მიჩქმალული იყო, ხოლო რაც ზედაპირზე, ყველას ცხვირწინ დაუფარავად და შეუნიღბავად იყო გამოშვებული, სხვას არაფერს იმსახურებდა, თუ არა მასხრად აგდებას.

ერთხელ მაინც გაუსინჯა ქუჩას გემო, სასტიკს, დაუნდობელს, მეზობლის ბიჭების მუშტივით მწარეს და მისი ფაქიზი სულისათვის მიუღებელს. თითქოს დაბადებიდან ჰქონდა იარლიყივით მინებებული ის, რაც მისგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა მომხდარიყო, რომ ყველასგან განსხვავებული სული, სხეული, ხასიათი, სამყაროს აღქმა და შეგრძნებები უნდა ჰქონოდა. თუ ყველა დანარჩენს ამ ქალაქში გრძობის ხუთი ორგანო ჰქონდა, ირაკლის ექვსი გააჩნდა და ეს მეექვსე – ინტუიცია, წინათგრძნობა, სხვათა აზრების კითხვის თუ ნათელხილვის უნარი, ღმერთმა უწყის, აუცილებელი და საჭირო, თუ ძალიან ზედმეტი, უზიდავ ტვირთად დაანვა ჯერ მის სულს, მერე, მოგვიანებით კი – ქალივით სუსტ სხეულსაც. რაც უბანმა დააკლო, სკოლამ დაუმატა – წასა-

თაქებლად მუდამ მზადყოფნაში მოყვანილი მისი კეფა, შეურაცხყოფის წინაშე მუდამ თავდახრილი და გაუგონარი ტკივილის ამტანი მისი სხეული და სული დღითიდღე კნინდებოდა, ჩიავდებოდა, პატარავდებოდა და ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, მისკენ მიმართული აგრესია იქნებოდა ეს, თუ გესლიანი, ბოროტი ხუმრობა, ბავშვის გონებაზე თავსდატეხილი უბედურება იყო მხოლოდ და მეტი არაფერი.

დაბადებითაც უცნაურად დაიბადა. არა ისე, როგორც ყველა დანარჩენი ადამიანი. ექიმები ჯდომით შობილს, ხოლო ყველა დანარჩენი კი – უკულმა დაბადებულს ეძახდა. იქნებ სწორად რომ დაბადებულიყო, ქვეყანას რომ ნორმალურად მოვლენოდა, მაშინ მისი ცხოვრებაც წალმა წარმართულიყო და ბედისწერაც უფრო ღმობიერი და მიმტვევბელი ყოფილიყო მის მიმართ. ახლა კი ისე ცხოვრობდა, თითქოს არც იყო ამქვეყნად საერთოდ მოსული და დედამისს, უბანს და მთელ ქალაქს – ერთი ბუნდოვანი სიზმარი ესიზმრებოდა – სისულელე, ბოდვა, აბსურდი, ფაქტებისა და მოვლენების დომხალი, რომელშიც ირაკლი ყოველთვის გაბითურებული და დარცხვნილი დაიარებოდა, დააკაკუნებდა მამაკაცისათვის შეუფერებლად მალაქქუსლა ქოშებს და ხელის ნაზი მოძრაობით ისწორებდა შუბლზე ჩამოშლილ, მამაკაცისათვის ასევე შეუფერებლად გრძელ თმას. დადიოდა მუდამ ერთი გზით, ერთი მარშრუტით, მუდამ მარტო, დაკნინებულ არსებობას შეგუებული და ცხოვრების აზრს მხოლოდ თავის საქმიანობაში – ტორტების ცხობაში ხედავდა.

ეს ერთადერთი არ იყო, რაც მას კარგად გამოსდიოდა, მაგრამ საუკეთესოდ მხოლოდ ამას აკეთებდა. ყოველ წერილმანს ისეთი ყურადღებით ეკიდებოდა, თითქოს ექიმი იყო, ქირურგი და მის სათქვეფველასა და მოსართავ მონყობილობებზე ადამიანის სიცოცხლე ეკიდა. თითქოს ერთი გრამი შაქარი რომ დაჰკლებოდა, ან ზომიან მეტად გაცივებული კვერცი ჩახება ასათქვეფად გამზადებულ ცომში, ქვეყანა დაიქცეოდა, ვილაცის ცოდვა დაედებოდა კისერზე და სიცოცხლის ბოლომდე მოსვენებას არ მისცემდა. მიქსერს პრინციპულად არ იყენებდა. ამბობდა – როცა კვერცხსა და შაქარს ხელით ვთქვეფ, გულიდან ხელის გავლით იმპულსებს გადავცემ და მთელ სიყვარულს ვაქსოვ, ამიტომაც გამომდის ყველაზე უკეთესი ტორტი მთელს ქალაქში, აბა, სხვა საიდუმლო მე არა მაქვს – ტორტს სხვებივით მეც ქათმის კვერცივით, ხორბლის ფქვილით და ლერწმის შაქრით ვაკეთებო.

„ჩვენს მარუსიას გაუმარჯოს, დაჯექი, გაგასეირნებო!“ – უსტვენდნენ, ხორხოცობდნენ სვლაშენებული მანქანის ფანჯრიდან თავგამოყოფილი ბიჭები და ირაკლის სახეზე აღბეჭდილ შეცბუნებას ღიმილად, თავად ირაკლის კი – წმინდა წყლის სულელად მიიჩნევდნენ, რომელიც მარცხენა ლოყაში განწული სილისათვის მადლობას იხდიდა და უმალ მარჯვენას აგებებდა. როგორც მაშინ, იმ დანყველილ დღეს, როცა შეზარხოშებულმა უბნის ბიჭებმა თითქმის ძალით შეათრიეს სახელდახელოდ განყობილ სუფრასთან. მაგიდაზე კიტრის მწნილის, ხელით დატეხილი ლავამისა და ცოტაოდენი ყველის გარდა, არაფერი ენყო, თუ არყის ბოთლებსა და ერთ საერთო ჭიქას არ ჩავთვლით. ორნახადი ჭაჭის არაყი ძალით ჩაუპირქევავეს პირ-

ში, როგორც კუჭაშლილი ინდაურს – ლევომიცეტინის დაფხვნილი და წყალგარეული აბი.

„არ შემიძლია, თავი დამანებეთო“ – ემუდარებოდა პირგამოთუთქული და ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა დუჟმორეულ და გაპირუტყვებულ მეზობლებს, მაგრამ ძალით აჯობებდა, თუ მოხერხებით? სამი ჭიქა რომ ჩააცალეს, მერე მანქანაში შეაგდეს, ახლა საბანაოდ მივდივართო – გამოუცხადეს და ცოტა ხანში თავი მტკვრის პირას ამოაყოფინეს. ალკოჰოლს მიუჩვეველი, კუჭდამწვარი და გონებადბინდული ირაკლი მდინარიდან მონაქროლმა გრილმა სიომ ცოტა აზრზე მოიყვანა, რამდენიმე წუთში წყალში აღმოჩენილმა კი გამოფხიზლებაც დაინყო. „არ მინდა წყალში, არ მინდა ბანაობა“ – გაუთავებლად იმეორებდა, ბოდავდა, ენის ბორძიკით ბლუკუნებდა და ნაპირისაკენ მიიწევდა, მაგრამ წყლის სიმძიმეს ვერ უძალიანდებოდა და ისევ იმ ადგილას რჩებოდა, სადაც თანამეინახებმა ჩასვეს – მინაში ჩასობილი სარივით. როცა გამომტყვრალი მეზობლები მანქანაში ჩასხდნენ და ხორხოციტ გაეცალნენ იქაურობას, მერეღა მოეგო გონს და მიხვდა, რომ ამ უკაცრიელ ადგილას მარტო დარჩენილიყო, შეშინებული, შეურაცხყოფილი და რაც მთავარია, დედიშობილა. სხვა გზა არ იყო, შიში უნდა დაეძლია, თავისა და ფეხებისთვის ძალა უნდა დაეტანებინა, წყლიდან უნდა ამოსულიყო და ვიდრე ჯერ კიდევ ბნელოდა, ამ ადგილს უნდა გასცლოდა.

არ ემეტებოდა მტკვარს თავისი ნათლული, რომელსაც პირველად, თუმცა იძულებით, მაგრამ მაინც გადაედგა პირველი ნაბიჯი კაცობისაკენ და არყით მონათლულიყო. რის ვაი-ვაგლახით ამოძვრა წყლიდან და ქალაქისაკენ წაღასლადა. გაყინულ წყალს ვერაფერი დაეკლო გახურებული სისხლისათვის – მთელი სხეული უხურდა, თავი უსკდებოდა, ფეხებში კენჭები ნემსებით ესობოდა, მაგრამ ყელში ბოლმის ბურთგაჩხერილი მაინც მიდიოდა, მირბოდა, გაურბოდა სიბნელეს, შიშს, სირცხვილს და სიშიშვლეს, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია საკუთარი ციხე-სიმაგრისათვის. ახლა მთავარი იყო, გზად არავინ შემოფეთებოდა და მისი გაშიშვლებული თავმოყვარეობა არ დაენახა.

იმ დღიდან ისედაც კარჩაკეტილი, ყველას გაურბოდა – ნაცნობებს, მეზობლებს, ნათესავებს და ერთადერთი, ვისი დანახვაც ახარებდა, მისი მესაიდუმლე და ჭირ-ვარამის გამზიარებელი, ჭირისუფალი და მშობლების მიერ მასზე ტორტების შესასწავლად მიმაგრებული თეონა იყო. ეს ერთადერთი მიზეზი იყო, რის გამოც გოგონას მასთან ურთიერთობის ნებას აძლევდნენ. ირაკლისნაირ მასწავლებელს, სანთლითაც რომ ეძებნათ, მთელს ქალაქში ვერ იპოვიდნენ, მით უმეტეს, რომ არც სხვა რამ – ქალისა და ვაჟის ყო-

ველდიური შეხვედრა აღლვებდათ თეონას მშობლებს, იმიტომ, რომ ირაკლის კაცად არავინ თვლიდა და წესით, შიშიც არ უნდა ჰქონოდათ. თავში აზრად არ მოსვლიათ, რომ მასწავლებლის სუფთა და წაუბილწავ გულში თეონასადმი სიყვარულს დაესაღურებინა, ქარის მიერ შორიდან მოტანილი ყვავილის თესლივით ჩავარდნილიყო და დასვენებულ, ნოყიერ ნიადაგში ისე მყარად ჩაკირულიყო, რომ ვერანაირი სარეველა ვერ მოერეოდა. არაერთხელ სცადა ირაკლიმ, ეს გრძნობა თვითონ, საკუთარი ხელით ამოეგლიჯა, ამოეძირკვა და სადმე შორს მოესროლა, მაგრამ არც ძალა ეყო, არც ნებისყოფა და, ცოდვა გამხელილი სჯობს, არც სურვილი. გაუბედავ და უთქმელ სიყვარულს

ტორტებში აქსოვდა, დიდი რუდუნებით ასწავლიდა თეონას, როგორ მოეხარა ორთქლზე შემომდგარი კვერცხის ცილა ისე, რომ მისგან ჰაეროვანი, მსხვრევადი და უგემრიელესი ბორცვები, ყვავილები და გირლიანდები გაკეთებულიყო.

„ეს ბორცვები დათოვლილ კავკასიონს მაგონებსო“ – იტყოდა-ხოლმე მასწავლებელი და ზედმეტად მორჩენილი ჰაეროვანი ნამცხვრის ნატეხს თეონას უდებდა შოშიასავით დაღებულ პირში, რომელიც სიამისაგან და ნეტარებისაგან იმ ნატეხივით დნებოდა და ლღვებოდა.

„ტორტის მორთვა – ეს მთელი ხელოვნებაა. ოსტატობა, სიყვარული და რაც მთავარია, დიდი სურვილი“ – არიგებდა თეონას და ტორტზე, როგორც ცოცხალ არსებაზე, ისე ელაპარაკებოდა. საგანგებოდ არჩევდა ახლად დადებულ კვერცხებს, ყიდულობდა უმაღლესი ხარისხის ფქვილსა და კარაქს, ათასგვარ ესენციას და საღებავს, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვაბებს.

სულში შეპარული სიყვარული მის მამაკაცურობას და კიდევ იმას ადასტურებდა, რომ არც ისე უშიშარსო და უაზრო იყო ირაკლის ცხოვრება – წყლის წვეთებით ერთნაირი დღეები, რომელთაც ერთმანეთისაგან მხოლოდ ის განასხვავებდა, როდის რა ზომის, ან რა ფორმის ტორტს გამოაცხობდა – ოც, ოცდაათ თუ ასკვერცხიანს; გულის, ეკლესიის თუ რვიანის ფორმის... თუ, უბრალოდ, მრგვალს და თოვლივით თეთრი და ფაფუკი კრემის არშიებით მორთულს. თვითონაც უჭირდა იმის დაჯერება, რომ ტორტებზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე – საწუკვარ ქალზე ოცნება და ფიქრი გაუჩნდა, რომელსაც ძირფესვიანად უნდა შეეცვალა არა მარტო მისი ცხოვრება, არამედ მთელი მისი არსება – შეენჯღრია, შეეფხიზლებინა მასში ღრმად მიძინებული მამრი, რომელიც უკვე იღვიძებდა, თვალებს იფშვნიტდა და დღემდე უცნობი ნეტარების განსაცდელად ემზადებოდა. მთავარი ის იყო, როგორ მიიღებდა ამ სიახლეს სამყარო – ღიმილით? სიცილით? ხარხარით? თუ რისხვით და ჩაქოლვით? სამყაროს აღარ დაეძებდა, თვით თე-



მხატვარი ვაჟა ქურხული

ონას მოხიზვლას რითი აპირებდა, შემთხვევით კრემით მოთხუპუნული წინსაფრით ხომ არა, ან კაკუნა ქოშებით და ტანზე შემოტმასნილი ჯინსით?

არა, გარისკვა არ ღირდა. დრო იყო საჭირო თეონასა და საკუთარი თავის შესამზადებლად. „კაცი კაცს უნდა ჰგავდეს და ქალი – ქალსო,“ – გამუდმებით ეს ჩაესმოდა ჭორიკანა მეზობლებისაგან და გადანყვიტა, კაცი გამხდარიყო. პირველ რიგში ქოშები გაიხადა და ჩვეულებრივი ფეხსაცმელები ჩაიცვა. მერე თმა შეიჭრა და წვერი მოუშვა, იმის დასადასტურებლად, რომ ქოსა არ იყო. ერთკვირიანი მეცადინეობის შემდეგ სიგარეტის მოწვევაც შეძლო და ძველბიჭურად გადაპურჭყებაც. ჩუმად ადევნებდა თვალს, ვინ როგორ იქცეოდა, როგორ დადიოდა ან როგორ ლაპარაკობდა. ცოტა ხანში ჟარგონი და უწმინდური სიტყვებიც აითვისა. საათობით იდგა სარკის წინ და მიმოხვრაში და შესტიკულაციში ვარჯიშობდა, საკუთარი სხეულიდან ახალ ადამიანს ძერწავდა და იქამდე არ დაშოშმინდა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს სარკიდან სრულიად უცნობმა მამაკაცმა არ შემოაფეთა მასზე არანაკლებ გაოცებული მხერა.

ცვლილება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. უბანში ახლა ყველას მხოლოდ ირაკლის სახელი ეკერა პირზე. ვერავინ მიმხვდარიყო, რამ შეცვალა ასე მოულოდნელად ქალაჩუნა. არ მოსწონდათ ახალი მეტორტე, ძველს შეჩვეოდნენ, სასაცილოს, უცნაურს და გედად ქცეულს ისევ ის მახინჯი იხვის ჭუკი ერჩიათ. არც ირაკლი იყო უკეთეს დღეში – აღარც თავგებში ენერა და ლამურად ყოფნაც აღარ მოსწონდა, მაგრამ დასახული მიზნით სულდგმულობდა და მოთმინებით ელოდა, როდის დადგებოდა ის დღე, როცა თეონა მასში მამაკაცს აღმოაჩენდა, როცა თავის მშვენიერ თვალებს ბოლოს და ბოლოს ტორტს მოსწყვეტდა და მხერას ოსტატზე შეაჩერებდა. ეს დღეც დადგა. თეონას გულში მართლაც დაიბადა ახალი, უცნაური გრძნობა, მაგრამ არა იმ მისამართით, როგორც ირაკლი ვარაუდობდა. თეონას სიყვარულის ადრესატი (ერთი შეხედვით) სულ სხვა, დაბადებიდან დღემდე მამრობითი სქესის ახალგაზრდა გახლდათ, რომელსაც დიდად არ ეპიტნავენოდა სატრფოს ირაკლისთან მეგობრობა და ამას სწორედ რომ დროულად დაუსვა ნერტილი – შრომის საფასური გადაუხადა და თეონა კულინარულ მომავალს გამოათხოვა – სულ ერთია, მალე ქორნილი გვექნება, მერე ბავშვი შეგვეძინება და ტორტების ცხობის დრო მაინც არ გექნებაო – დარდი გაუქარწყალა.

გრძნობდა თეონა, რომ შემთხვევით არ შეცვლილა მასწავლებელი და არც ის გაჰკვირვებია, მას რომ დაამორეს. საკუთარ თავს, მით უმეტეს კი მშობლებს და მეგობრებს ვერ უმხელდა, თორემ არც თვითონ იყო ირაკლის მიმართ გულგრილი. უბრალოდ, გამოსავალს ვერ ხედავდა. იცოდა, ეს რომ გამეფლავებინა, თვითონაც ქვეყნის სასაცილო გახდებოდა. ამას კი

ნამდვილად ვერ გადაიტანდა მისი ჯერ კიდევ ბავშვური და მიამიტი ბუნება. ამჯობინა, გასცლოდა ოსტატსაც და მის სამყაროსაც, მშვიდობით დასცილებოდა, ვიდრე გვიან არ იყო და ვიდრე ვინმეს შეემჩნია მის გულში შეპარული სითბო ამ კეთილი, მაგრამ თეთრი ყვავივით ყველასაგან შორს მდგარი ადამიანის მიმართ. ამიტომ იმას დათანხმდა ცოლობაზე, ვინც დიდი ხანია შორიდან ეტრფოდა და ისეთი იყო, როგორც ყველა დანარჩენი ამ ქალაქში, სხვებისგან მხოლოდ სახელით, გვარით და გარეგნობით განსხვავებული.

ქორნილის დღეც დაინიშნა. პატარძლის ოჯახმა საქორნილო ტორტი, რასაკვირველია, ირაკლის შეუკვეთა. იცოდა მეტორტემ – ეს მისი უკანასკნელი ნამუშევარი იქნებოდა. უკანასკნელი და ყველაზე, ყველაზე ლამაზი ყველა იმ ტორტს შორის, რაც კი დღემდე დაემზადებინა მის ოქროს ხელებს. საგანგებოდ მოემზადა, ახალი ქვაბიც კი შეუკვეთა – უზარმაზარი, გულის ფორმის. ბისკვიტების ცხობას რომ მორჩა, მის მორთვას შეუდგა. ოცდაორი წითელი ვარდით დაფარა გულის ზედაპირი, ულამაზესი, ცოცხალივით წითელი ვარდით. ანუ იმდენით, რამდენი წლისაც იყო თეონა. ტორტი სიძე-პატარძლის მაგიდაზე, ყველაზე გამოსაჩენ ადგილას მოათავსეს. მნახველები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ და ამბობდნენ, რომ ასეთი ტორტი არასდროს გამოსვლია ირაკლის, იგივე იკას და იგივე ეკას, რომ ეს მისი შემოქმედების პიკი იყო. ვარდების რაოდენობით არავინ დაინტერესებულა, თეონას გარდა. მხოლოდ მან უწყოდა, რა ხდებოდა ოსტატის გულში, როცა მათ ამზადებდა და ამით სათაყვანებელ მოსწავლეს სიყვარულში უტყდებოდა.

ის დღე იყო და ის. მას შემდეგ ირაკლი არავის უნახავს. რას აღარ ამბობდნენ – ალბათ ვინმე თავისნაირი იპოვა და იმას გაეკიდა დედაქალაქში, იქ ასეთები არავის აკვირვებსო. ვილაცამ ისიც კი ივარაუდა, იქნებ თავი მოიკლაო, თუმცა რისთვის ან რატომ უნდა მოეკლა თავი, ვერავის გაეგო. ამაზე ყველა მხრებს იჩეჩავდა, უკვირდით – დაცინვას ვინ მოუკლავს, მაინცდამაინც იკა რომ ემსხვერპლაო.

დააკლდა ქალაქს ირაკლი, მასთან ერთად კი მისი უგემრიელესი ტორტებიც. კარგად ვეღარ გაეგოთ აქაურებს, უფრო მეტად რა ენატრებოდათ – ჰაეროვანი და ღრუბელივით მსუბუქი ტორტები თუ მისი მცხობელი. მხოლოდ ერთი რამ იყო ნათელზე ნათელი – აორთქლებულიყო, გამქრალიყო, თვალსა და ხელს შუა გაფრენილიყო კაცად დაბადებული, მაგრამ ვერ დაკაცებული, შემდეგ დაკაცებული, მაგრამ არმიღებული ადამიანი. ისე გაუჩინარებულიყო, თითქოს არც ყოფილიყო ამქვეყნად მოსული და ყველას – დედამისს, თეონას, მეზობლებს და მთელ ქალაქს, ერთად აღებულს – ერთი, უცნაური, სულელური და კომმარული სიზმარი ესიზმრებოდათ...

სამშაბათს, 18 აპრილს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
ნარდგინება  
გიორგი ლობჯანიძის  
მიერ თარგმნილი  
პოეტური კრებულისა  
  
ფორუჟ ფაროხზადი  
„მეორედ დაბადება“  
  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41



დაიბადა 1966 წლის 7 თებერვალს ქ. თბილისში. 1983 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა; 1984 წელს – 38-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, ამწყობი ზეინკლის სპეციალობით; 1991 წელს – თსუ-ის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი. 1992-94 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში(თსუ-ის სოციოლოგიის კათედრაზე), რომელიც ნებაყოფლობით მიატოვა. 1991 წელს დააარსა სალიტერატურო ვიდეო-ჟურნალი „დათო ბარბაქაძის ჟურნალის“ სახელწოდებით, რომელსაც პერიოდულად წარადგენდა თბილისის სახ. უნივერსიტეტში. 1994 წელს დააარსა სალიტერატურო ჟურნალი „პოლილოგი“ (გამოიცა ოთხი ნომერი). 1996 წელს დააარსა სალიტერატურო ჟურნალი-გაზეთი „პლიტერატურა“ (გამოიცა ოთხი ნომერი). 1990 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას დედაქალაქის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 2001-2004 წლებში, როგორც თავისუფალი ლიტერატორი, ცხოვრობდა გერმანიასა და ავსტრიაში, სხვადასხვა სალიტერატურო მიწვევით. 2005 წლის 1 თებერვალს დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. იმავე წლის 1 აპრილს გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, პირადი თხოვნის საფუძველზე. ამჟამად არის გამომცემლობა „საარის“ ბაზაზე განხორციელებადი მრავალტომეული საგამომცემლო პროექტის “მეოცე საუკუნის ავსტრიული პოეზია” ავტორი და ორგანიზატორი, ამავე დროს - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა “ირმის ნახტომის” ქართული ლიტერატურის პროექტების კოორდინატორი.

დათო ბარბაქაძე

# არსებითი სვლები

ქძვნება იოლანდა ბერტოლაზოს



## 1. ნამსის მორიბ წაერვა

მერე მე ვეძლევდი ოცნებებს  
ამოკრებილს შორეული ციტატებიდან  
რომლებიც ბჟუტავენ ძველი სადარბაზოების ნათურებივით  
და მტვრიანი მათი სიყვითლის თანმიმდევრობა  
შემპარავად აუხეშებს ამუქებს ჩემს რიტმს  
ბოლო შეხვედრები მუყაითად ზუზუნებენ ჩემს თავში  
ის ხელს ართმევს ახალ ცხოვრებას  
წარმოუდგენლად მოუმზადებელს  
ამდენი კითხვის ნიშნის დასაბინავებლად  
ან გარდასულ მოციმციმე ფიქრებში და საზრუნავებში  
და ბევრი დანაკარგის შენელებულ მსვლელობაში ირიბი  
ხედვისკენ  
როგორც მბჟუტავი სადარბაზოების ძველი ნათურები  
სადაც შენს ყურში  
ზოგჯერ გაისმის უიმედობაც  
რაც ერთიც ვნახოთ წარმოსდგება  
მარჯვე ბავშვების მიმორბენაში  
სანთლის შუქზე  
ნემსის წვერზე  
სანაპიროს გრილ სიჩუმეში  
სადაც ყველგან გაისმის გულში ჩაქნული ხელ  
ასული მორიგ საფეხურზე და სადაც  
ჩემი ყურადღების არეში უკვე ექცევიან შინაარსები, რო-  
მელთა კონსტრუირება შეუძლიათ არა მხოლოდ აზრის  
ლოგიკაზე, არამედ ლინგვისტური ერთეულების განლაგე-  
ბის ემოციურ ლოგიკაზე დაშენებულ თანმიმდევრობებ-  
საც. ასეთ ლექსებში „ბუნებრივად“ ფიქსირდება კონსტან-  
ტური და ცვლადი სასაზრისო ფუნქციების ურთიერთგა-

დაკვეთის წერტილები, რაც არა იმდენად აზრის ლოგიკა-  
ზე აგებული სანინადადებო კომბინაციების – როგორც  
მყარი სააზროვნო სტრუქტურების – უკიდურესად პირო-  
ბითი ხასიათის გამოაშკარავებას ისახავს მიზნად, რამდე-  
ნადაც – მსგავსი პირობითობების თამაშებრივი ბუნების  
წარმოჩენას. მით უფრო საინტერესო და თვალწარმტაცია  
ეს სანახაობა, როცა პოეტური თამაშების სრული თანხლე-  
ბით მიმდინარეობს და ლექსის ფორმით გამოიხატება.

## 2. მოთაგაჟე ეგვიპტელი ქალი

სადაც შენი თვალი ხელს იწვდის მანუს მინდვრებისკენ  
ფერად-ფერად ადამიანებს ჩამოშლილი კედლის მტვერი  
და ზანტად უჩინარდებიან ერთმანეთის  
სცვივით სახიდან  
გამომეტყველებებში  
მათი ლიმილის ნაშალი როგორც ქარის ხმა  
დაქრის ჩვენს მრავალ საქმეში ერთად აღებულში ხელით  
რომელიც მგ ზავრია ან სულაც მსახური მზის და მთვარის  
მისი ზურგი მოსმენილი სიმღერების რიტმში გამოსახება  
როგორც წყურვილი როგორც ქვიშაში დაფანტული თვალი  
არც ერთი უხილავი რიცხვის წმინდა და მორიგი სათქმელი  
არც ერთი უკვე ამეტყველებული გული  
და მათი ფეთქვის თანმიმდევრობა  
ქვიშის მარცვლებად აღრიცხული  
ჩვენი წარმავლობის ნაზ გარდასახვებში  
რამდენიმე გამომეტყველების ნაშლაში

უხილავი რიცხვების ხელით წმინდა სათქმელით ცეცხლს უნთებს უწყინარ ჩვენს სურვილს ერთმანეთში ვხატავდეთ ერთმანეთს იქ სადაც ვეგულებოდი ჩემს სატრფოს თავის თბილ ღიმილში შეზავებულში ცხელი დღეების სიბრძნით და თიხით ჭარბად დაზიდული ატმის და ყურძნის ნაყოფებით და სამხრეთის ქარს მსუბუქს ფრინველის ბუმბულივით ჩვენს ეჭვიან ცდაში და სხდომაში როგორც ორი ერთგული მეგობრის უხმაურო საუბარი შემოჰქონდა შორს ნანახი მდინარის წყალი და კენჭიანი ნაპირები ტყის სურნელება მოჩრდილული სახის კანის ნაცნობი სიმშვიდე და რიტმული სუნთქვა შორეული მგზავრის ან მსახურის რომელიც უკვე შეყოლია უქვიშო და უჩინარი ნაპირებისკენ ჩვენს ფერად და ქრობად თვალებში შენახულ გამომეტყველებებს

ქვიშა-ქვიშა მიმოზნევადას ჩვენს მრავალ საქმეში ერთად შეკრებილში და მერე დაშლილში ვიღაცის ხელით რომელიც იქნებ შენც იყავი ერთხელ ან მრავალჯერ როგორც წმინდა რიცხვის მორიგი მსხვერპლი ჩემი თვალის ხელში

3. მიძინება

ვისაც ახლა ყოველთვის ენება საუბარი, როგორც ცეკვის მარწუხებში გაელვებულ ფორმას, გარდასახვადს ათასობით შეხებად სივრცესთან, მის ყოველ სუნთქვასთან ერთდროულად, ერთგზის. თითქოს არსაიდან ან სულაც მიწიდან ამოსული ადამიანები მზისკენ გადახრილი შრიალით ირევიან მისი ფიქრის და ზრუნვის სანახებში. ეს ფოთლებიც მისგანაა მეთქი. ჩვენს სიზმრებსაც მისი წყალი მსჭვალავს მეთქი. მისი ძილის უმანკო სიმშვიდე, იქნებ სულაც არმცოდნე სიზმრების და სოციალური სასვენი ნიშნების, მისი დაღლილი მიძინება. ვრცელი მინდვრები მზის მცხუნვარე სცენაზე აღმოაცენებენ უჩვეულო მოძრაობებს, უცნობ მიმართებებს, გაურკვეველ შენიშვნებს და შეხედულებებს, რომელთა ერთობა უკვე არის კიდევ დასავლეთის ცოცხალი მწყემსი, ვისით მოცული მიწის მუშაკები მას უხმოზენ შიგნიდან გარეთ და ქმნიან ლაბირინთს, დაწერილს სავსებით გასაგებ ენაზე იმათთვის, ვინც ის გადანერა შიგნიდან გარეთ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მას შექმნიდა ხელის წარმოსახვა. აი, კიდევ ერთი ეს ფოთოლიც მოწყდა შემოდგომას. ეს ერთი მონასმიც დაკარგა მისმა წარმოსახვამ. ჩვენში უკვე უჩინარდებიან მისი ფიქრის საუკეთესო მიწები და წყლები; უხალისო, ზარმაცი ფიქრებით ვჩხვლეტთ მისი შეხების თანაბარ სუნთქვას;

სივრცესთან, მის ყოველ სტრიქონთან ან, უბრალოდ, წინადადებასთან, ხაზგასმულ ბგერასთან შუაგულ შეხებაში შემწყდარ იმ ხედვას, ვისაც ახლა ყოველთვის ვეგულისხმობთ სანთლის ალში, დაგრაგნილში ძაფზე, რომელიც შეიცავს ათასობით ერთ უხილავ მონასმს, ამონურულს ჩვენი უცნობი წარმოსახვით, განუმეორებლით ვის მიერ, ვის მიერ

4. ღიმილის ზომიერთი ფორმის ასახსნელად

შუაგულში შეკივლებსა, რომელიც მთელი შენი ცხოვრებით მიემართება ხმისკენ, რომელიც მას სავსებით ვერ ცნობს მაშინაც – ნვიმიანი ზამთრის ნაპირებით შენს ალტაცებაში და ცრემლიან, უღრუბლო მზერაში ხმისკენ, რომელიც ფურცლავს და ეხება, როგორც წიგნებს, თითოეული ტალღის უწყვეტ შრიალს, და ისე კითხულობს, თითქოს წერდეს შიგნიდან გარეთ, სადაც, უკვე მერამდენედ, ლიტერატურიდან შორს, ბალახებში, ჩემი დაღლილი გამომეტყველება შემახსენებს ტკივილებს, რომლებმაც ვერასდროს მოიცალეს ჩემთვის და მათი გაუთამაშებელი ფრაგმენტები დღედაღამ უნდა მეგროვებინა ამაში, იმაში, რაც, ცხადია, გრძელდებოდა ყველა დინებით, რომლებიც თავს იყრიან შორს ჩემგან – ჩემში, ანარეკლში შრომისა, მორჩილებისა და შეურიგებლობისა, ამოღამებული და თვალებს მინდობილი სახისა, უხმაურო მეხსიერებისა, რომელიც არის, მაგალითად, შემჩნეული შეცდომების გასწორება, რაც არ არის შემჩნეული შეცდომების გასწორება ახალი შეცდომებით, რაც არ არის ახალი შეცდომებით შემჩნეული ძველი შეცდომების გასწორება, რაც არ არის ახალი შეცდომებით შემჩნეული შეცდომების გასწორება ახალი შეცდომებით, რაც არ არის ახალი შეცდომებით შემჩნეული ახალი შეცდომების გასწორება ძველი ან ახალი შეცდომებით, შუაგულში შეკივლებსა, სადაც ცხოვრების ზღვრულ ფორმებს შეტოვებულები გამოცდილებებად, რომლებიც ჩვენივე ბედის ირგვლივ ჩვენს ბრუნვას წესრიგს უბრუნებენ ყოველი ჩვენი ახალი გამომეტყველების შეხვედრაში უღრუბლო მზერასთან ხმისა, რომ კანონის ბორბალი ყოველთვის უნდა ბრუნავდეს მარჯვნივ, რათა ჩვენი ცხოვრება მიედინებოდეს მარცხნივ, ხოლო კანონის ბორბალი ბრუნავდეს მარჯვნივ და ბრუნავდეს მარცხნიდან მარჯვნივ და ბრუნავდეს ყოველთვის

და ირგვლივ და მარჯვნიდან მარცხნივ, როგორც, შორეული ბალახის სიღრმეში, არაერთხელ დეზორგანიზებული შიში, აქვე, შემინულ ტიხარს ქარმიკრული ამ ფრთის წინააღმდეგ, რამდენიმე უმნიშვნელო ბილიკის ერთობლივი ღიმილით შემინული დაცემის ფონზე, სადაც, ნასიზმრალი მისი მეტყველებით, არის ერთადერთი ადგილი: ღმერთი, სადაც შეიძლება იდგე და საუბრობდე შესახებ ირგვლივ, იმისა, რაც შენს ფიქრს და შენს ენას ანუხებს, რაც შენია უწყვეტად, ირგვლივ, რაც შენია აქ, ღმერთში, ამ შენს არავინში, სადაც

**5. უხილავი (ამ) მწერლის სიკვდილი**

ამ ასოებში უკვე ისმის ნგრევის ხმები, მიუწვდომელი სიტყვებისთვის, თანხმოვნებისკენ ყრუდ მიზანმსწრაფი მათი ჯერ კიდევ შეუმშრალი გულებისთვის, რომლებიც ქმნიან მიმართულებებს ნგრევებისა, სადაც მერე ზრუნვით და ბეჯითად, როგორც საკუთარ სახლს, აშენებენ ნგრევებს. ამ ასოებით შეკრებილი ამ სიტყვების გვერდიგვერდ დგომაში უკვე ნაცნობია დიდი მანძილები, გადაძახილები შორიდან, თითქმის ერთ სიტყვად ყოფნიდან, სადაც მხურვალე ადამიანებში განვითარებულ ნაკადულები და მწვანე მდელოები ერთმანეთს გაბმით შესცივნიან; განაგრძობენ ერთმანეთს ძილში სიტყვებისა, რომლებსაც ფერი მთვარისგან აქვთ ან უხილავი ყოველდღიური ვარსკვლავებისგან; ულოცავენ ერთმანეთს ფიქრებს, შეცდომებით ნანაცვლებულ თითოეულ ნაბიჯს. უხსოვარი შელოცვებით ულოცავენ ყოველ მისხალს ერთმანეთის მტვრის, და დღემდე არიან უხილავი მწერლის კვდომის ხმები, ბრმად გაელვებული სივრცეში ჩვენი მესხიერებისა, ჩვენი შურისძიებებით დამძიმებულ ფრთებში მისი წონასწორობისა სადღაც, ჰაერის შორიახლოს, – შეუძლებელ, უსიტყვო ეთერში ან, სულაც, ერთმანეთის ჩამქრალ მოძრაობებს ყურმიდებულ ქვებში. სად რა დაუკარგავთ? სად რა უძებნიათ მიგნებულ ერთმანეთის დანაკარგებს შორის? საიდან ნასულან შორს და მოუხედავთ გვიან, დაისის სრულ სიჩუმეში ზრუნვისა, ლოყით რომ ეკვროდა, როგორც ბავშვი, თავისი რთული გაურკვეველობების უხილავ სარკმელს, გაელვებულს ზრდასრული ადამიანების უფრთო დინებაში? სად უფრო ხმადაბლა ისმოდა ჩურჩული, მათ რომ ჩაესმოდათ ყველგან,

სადაც შესაძლებელი არ იყო დუმილი? შორეულ დროს ისინიც იყვნენ ისტორია, უკვებოდნენ სიცოცხლეს და ხეებს; მათაც უღიმოდა ბედი ამ რთულ სიტყვათშეთანხმებებს შორის; ნებისმიერი სხვის(ან უცხოს) ცრემლში გაბნეული ქარიანი ფრინველებივით ინვევდნენ ზომიერ თანაგრძობას უსახელო, დალუპულ სულელებში, რომლებსაც უკვე ვეღარ იხსენებდნენ სახეები ჩვენს სიტყვებს შორის ჩაშლილი შეთანხმებების და ფიქრის, სადაც ჩვენ ვეძებთ იმ ფორმებს, რომლებმაც უკვე მოგვიპოვეს არა მხოლოდ, რა თქმა უნდა, ჩვენში თუ ჩვენს ირგვლივ განთავსებულ ცდებში დაკარგული კვარის ანთებისა; ტალახიანი წვიმების აფრიკით ტკბობისა სიზმრებად; ჩვენს წარმოსახვებში უდაბნოდან მოტანილი წითელი ქარების დნობისა ბრიტანეთის სანაპიროებზე, როცა ჩვენი დანაკარგები, ამღვრულ ცაში ფრინველებივით გაბნეულნი, კრებდნენ ერთმანეთს ოცნებებში გარდასულზე და იმაზე, რასაც ვეღარ იხსენებდნენ ამ რთულ სიტყვათშეთანხმებებს შორის ერთმანეთის ხედვას და ფრენას მიყურადებელი ჩვენი სახეები, იმ ერთის ირგვლივ, ჩვენს ზრუნვაზე ვისი უფლებაც არის საქმიანი და გამონათქვამების გულისგულის მაძიებელი ყველა ღიმილში ან გეზის ალებში სიზმრის დაწყებისკენ და „აი მაშინ მივხვდი რომ“-ის შეუძლებლობისკენ სამუდამოდ, თავისთვის, სისხლით; ვისი მზერის ირგვლივ ლივლივებდა ვისი თვალიც, გარემოებებით დამძიმებული და ლიბრში განფენილი, ჩვენი დანაკარგების მოქცევებში მისივე არსებობის მიერ შენიშნული, არგადარჩენილი. იგი იყო, ვინც კრავდა ძნებს და ლენავდა კალოებს ჩვენს შებინდებულ ურთიერთობებში, აჩერებდა მზეს ჩვენი შეხვედრების თავზე, არ ტიროდა.

**6. პარდის ნაკლებობა**

არადა, ისინი – ეს ადამიანები – რომლებიც მსგავსნი არიან სიმართლის და როგორღაც მონმობენ – რაც დღეს უკვე არსებითია – ღმერთმა უწყის რას, არიან დროის დასაწყისი ჩვენს მოქმედ იმედში აქედან გასვლისა და გადარჩენისა, ამ ერთმანეთიდან ერთმანეთში სხვა გზით შეღწევისა, – მაშინ, როცა მთელი ნაპოვნია, ნაპოვნია წონა, რომელიც უხილავი სისწრაფით ქრება სხეულიდან და აქცევს მას ზღვრად სიკვდილ-სიცოცხლის, იცავს ყველა წარმავალი ემოციისგან

და კრებს სიცოცხლის გაგრძელებას თავისი თავისკენ, სადაც ხორბალს ნითელი მზის თბილ წყალში ალბობენ, სადაც იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობენ ადამიანები, – ოდინდელი ეს ზედაპირები, თავმოყრილები ერთმანეთში, რათა შეექმნათ

სიმძიმე გულის, მოგზაურის შემჩნეულ რღვევებში, უხსოვარ წარსულში ჩარჩენილი მთლიანობების რღვევებში მათი სიმძიმისა, წონასწორობის ნაკლებობისა, ადგილებად კრისტალიზებულ და ერთმანეთით წარმოსახულ ამდენ ზედაპირში, ამდენი ვარდით.

რა იცინა მოცინარმა მათმა თვალებმა შესახებ სიცილის, შესახებ იმ ბაგის, რომელიც ჩურჩულებს ამდენ დავინწყებულ, არასრულ სიტყვას? ამდენ საცხოვრებელ განლაგებას ქვათა და აგურთა,

წოდებულს სახლად, რომელიც ძნელად ჩანს სოციალური გრძნობების ურთიერთშეხებებში, შეჯახებებში ცნებისა ცნებასთან, სიზმრისა სიზმართან, ფერისა ხმასთან?

მათი – ამ ადამიანების – შორეული წარმოსახვით განსაზღვრული მოძრაობა კოსმოსის გულის, რომელიც განსაზღვრავს მანძილს ჩვენი დასკვნებიდან ჩვენი წარმოსახვის ბრუნვის ადგილამდე, სადაც ეს ჩვენი მოძრაობა ჩვენივე თუ ერთმანეთის ცვალებად ცოდნებს და ცვალებად კანონებს შორის მიემართება სადაც მომხდარი ყოველდღიური ღიმილისკენ, რომელიც ყველგან გამოკრთის, როგორც მოულოდნელად შენიშნული შორი სარკმლის სახლი, და ისიც – მხოლოდ იმის მიერ,

ნისლის მხარეში განსახლებულ ჩვევებს შორის ვისი შეცნობაც

მოითხოვს რამდენიმე სიტყვის ჩუმ წესრიგს, როგორც სინათლის უჩინარ სხივს, – ამდენი სულის ყოველდღიურ გასვლას ტანიდან, მოულოდნელად ნაკლულიდან იმ გადამწყვეტი რამდენიმე ასეული გრამით ან, სულაც, გულისფეთქვით, ტანს რომელიც უბიძგებს და გზას უნათებს ამ ზედაპირში, საიდანაც ეს სანივთო და საჩვევითო დასახლებები თითქოს ვარდები უფრო იყონ – მარადიული გზები ჩვენი მესხიერების ნებისმიერი წარსულისკენ, დიდხანს ნაგროვები და ასე დავინწყებული სითბოსკენ, ნამში გამთლიანებული ხედვის შესამჩნევად წიგნებში, მზიან ლარნაკებში, ნარიყში გალობის.

7. ყოველდღიურობის ხსოვნა

...შექცეული ზურგის ქარისკენ, რომელიც განვლილ იქნა არც ლოცვით ან მარხვით ან შრომით, არამედ – სიტყვაში გამთლიანებული სიჩუმით, შექცეულით ხმისკენ,

რომელიც მხოლოდ იქ, იმ ყოველდღიური გამეორებებით აგებული ნიშანსვეტების შუაგულში, არის შინაგანი ადამიანის ხანგრძლივი ხატი ჩვენში, – ჟრიაშულში, ალტაცებული შედეგების შემკრებ ასობით და ათასობით ქმედებაში, – ამდენი მუდმივი ერთეულის დავინწყებით ისე ცვალებადი, რომ თითქმის არც გვექონდეს წარსული ან, ვთქვათ, ხსოვნა წარსულის, ხიდის, გადებული გამოთქმას ან გამომხატვას

დაუმორჩილებელ ზოგიერთ გამოხედვასა და იმ სავსე წრეს შორის, რომელსაც ქმნის მიწყვი ზრდადი ჩვენი ნაკლებობა, სიკვდილისკენ მიქცეული ჩვენი ამდენი უხეში საქმის ხმაური, სიჭარბე. თუმცა, ხანდახან, თვალს მოკრავ, რომ ყოველდღიურ ამ ყოფნასაც აქვს თავისი ჩუმი გაგრძელება ფერადი თუ უფერული პეულებისკენ, მინდვრის ქვებზე და აგურებზე მოსრიალე ხვლიკებისკენ, იმ დასასრულისკენ, სადაც – გვინდა თუ არ გვინდა – მოძრაობს სიჩუმე და მხოლოდ ასე კეთდება საქმე; სადაც მხოლოდ ასე აღარ გვპასუხობენ სადაც დაწყებული ჩვენი შეხებები და აღარც – სალამო, გახვეული საკუთარ

მნიშვნელოვნებაში, ამდენი მზით გამოცდილი სიმღერის ნათელში, კიდევ ერთხელ წამოშლილი თოლიების სანაპირო ქვიშისკენ, ღამისკენ, რომელშიც, როგორც უჩვეულო სანახაობა, მოქცეულია შენი ადგილი, შენი გადაადგილებების ერთობა, საზრისი; მინდვრის ბალახში არეკილი, მოსალოდნელი სიჩუმე და მინა, – ყველაფერი, რაც დაასახელე, რაც გადაშალე და გაუნოდე ანმყოფს,

როგორც არარსებული ერთადერთი სიტყვის ლექსიკონი: სქელტანიანი, მძიმე წიგნი, მძიმე ქვემდებარე, რაც თითოეული ახლადგაჩენილი ურთიერთობის ბედს დარტყმებს აგემებს

და უზრუნველყოფს ვნებითი გვართ, ურთიერთჩანაცვლების ნალვლიანი და ზმნური უნართი, ნივთებში მიმდინარე, დაუცველი ისტორიებით და ცვალებადობების მიმართ უცვლელი სიფიზილით, თხრობით, რომ სამოთხე სადაც გარეთ არის, ჩვენს ირგვლივ გარეთ, რომელიც გარს აკრავს ჩვენს ურთიერთღიმილს და სინანულის შესახებ სიმწრის ნაკლებობას; რომ ვაშლის ხეების ეს შრიალიც ჩვენი წასვლების და დაკარგვების საჩრდილობელია, – უზრუნველყოფილი სულისკვეთებების

უკვეშესრულებულ, მშრალ გულისცემაში წასვლების და ბრმად გადაკარგვების ყოველ წამს, ყოველ ნამყოფი და ცვლადში, როგორც, ვთქვათ, უმალ გაჩენილი ხვლიკის ეს ტყხილი, კედლის მზიან ეკრანზე მოძრავი ემბლემა.

8. ეს დაბნეული ლექსი

ხოლო მერე მივირთმევდით თავიანთ მწარე პურს და  
 დროგამოშვებით ხმამალა ვამბობდით,  
 რომ საოცარია პირდაპირ და რომ ეს არ არის, ეს კი არის  
 ლექსი, და რომ არ გვეშლება,  
 ეს არის ლექსი, რაც უკვე შეგვიძლია დავარქვათ  
 ზოგიერთ შემთხვევით შეხებას,  
 ვთქვათ, ღიმილს მკითხველის ნამიან ბაგეზე სადღაც  
 სიზმრებს შორის არსებულ შუალედში  
 ან – ამ ღიმილს შემორჩენილ ზრუნვას(იქნებ, სულაც  
 ვისზე ან რაზე?)  
 ამდენი უიმედო გაბრძოლების კონკრეტულ სივრცეში,  
 ამდენი უჩინარი წვალბის სახელით,  
 ლექსით, რომელიც შეუძლებელია შეგვეშალოს ამდენ  
 არარსებულ სიზმარში,  
 რომლებიც, ზოგჯერ ვფიქრობთ, არც არის ლექსი, და  
 მერე, უფრო ღრმა წუთებში,  
 ვფიქრობთ, რომ ის, რასაც ზოგჯერ ვფიქრობთ,  
 უზრუნველყოფს თამაშის მქრალ ნესრიგს,  
 ჩვენთვის უხილავ ამ ჩვენს ღიმილს, რომლის სრული  
 შეუძლებლობაც არის ეს თამაში,  
 გადანაცვლებებით აღსავსე, ულექსო შუალედი  
 ნებისმიერი შეხვედრიდან  
 ნებისმიერ სულ სხვა შეხვედრამდე სულ სხვა მოაჯირთან  
 შენელებულ დროში,  
 რომელიც, როგორც ჩვენ ჩვენს ღიმილს, დაეძებს თავის  
 დროს,  
 რაც, სხვათაშორის, უზრუნველყოფს მის დინებას  
 ერთადერთხელ,  
 მაგრამ ურიცხვი მიმართულებით და – რაც უკვე  
 შეიმჩნევა – ყველგან ამ ჩვენში,  
 სადაც ამ სიზმრებს, რომლებითაც გადაფარულია ჩვენი  
 ყოფითი აუცილებლობების ნაირსახეობა,  
 დავდივართ და ვმალავთ ყოველდღიური ჩვენი საქმეებით,  
 მოქმედებებსა და მათზე ფიქრებს შორის მოძრავი ჩვენი  
 კავშირებით,  
 გრძობადი ხატების ამ ჩვენი ნელი შესუსტებით,  
 ინტენსიურად და მალვით,  
 შუაგულში, სადაც ისეთი სიბნელეა, ისეთი არაარსებითი,  
 რომ დინებები შეუფერხებლად გაედინებიან ლექსისკენ –  
 შუალედური უმიზნო პუნქტისკენ –  
 ძალების მოსაკრებად და სვლის გასაგრძელებლად  
 არსებითი სიცარიელისკენ,  
 ყოვლისმომცველი სიბნელის მომცველი სიგიჟისკენ, აქეთ,  
 აქეთ, სადაც საშინაო და საგარეო მიზნებით დაცული  
 ხელშეუხებლობა ჩვენი სიზმრების და ძილის  
 გამოიმუშავებს შეხებებს მატერიალურ საიმედოობასთან,  
 რომლით დაცულებიც  
 ფრთებს ვუთვალიერებთ ნაწილობრივ ამოსული ან  
 ჩასული ლექსების რთულ იეროგლიფებს,  
 განვითარებულებს და მიმოქცეულებს ჩვენივე  
 მინდვრებში ან მინდვრებიდან ძალიან შორს,  
 შიშველ ნყლებში ბავშვობის, დედის, უჩვეულო სანაპიროების,

საიდანაც ეს ლექსი ქრება იქ, სადაც ღმერთი ხედავს  
 ყველაფერს,  
 ხედავს ყველა დირეს, ხედავს, სად ვართ ჩვენში,  
 ხედავს, ჩვენი რომელი ადგილიდან მოვდივართ და რაც  
 მოგვქვს, სად ვნახეთ ჩვენში;  
 უხილავია ჩვენი გზები, რომლებსაც ღმერთი ხედავს და  
 გვიმხელს იქ,  
 სადაც ვართ ჩვენში და გადავადგილდებით აუხსნელი  
 სისწრაფით სხვისკენ.

9. შეპრუნება

იქნებ, გტკენდეს კიდეც გულს ბევრი შეხება,  
 რომელმაც მერე დაუმსახურებლად უნდა განიცადოს ეს  
 ქრობა შენს გულში, შენს სუნთქვაში?  
 მინდვრის ბალახები იხსენებენ რამდენი ფრინველის  
 ნამიან ფიქრს ძილის წინ,  
 სიბნელის ჩუმ ზრდამდე, და მათი ღიმილი ფერს იცვლის,  
 ხდება უხილავი,  
 გამოიმუშავებს ერთობის შეგრძნებას შიშის წინააღმდეგ,  
 მაგრამ მაინც იბრუნებს მზერას და სრულდება  
 ყოველდღიურ მეხსიერებაში სიტყვის და სიმწვანის,  
 სადაც მე აღვნიშნავ შენს არსებობას იქ, სადაც შენ  
 აღნიშნავ ჩემს არსებობას  
 იქ, სადაც ჩვენ აღვნიშნავთ სხვების არსებობას  
 ერთმანეთის მეხსიერებაში,  
 საიდანაც უხსოვარი წლების მერე განიდევნებიან  
 შემთხვევითი ცვლილებები და შესაძლებლობები,  
 სინათლეში, რომელიც ხელიდან გისხლტება იმიტომ, რომ  
 ის არის თვალი,  
 რომელიც არის შორ ლარნაკში დანახული წითელი  
 ვარდის პოეტის ღიმილი,  
 რომელიც ხელიდან გისხლტება იმიტომ, რომ არ ხდება  
 სიზმრად და სხვაგან და ამიტომ  
 გისხლტება ხელიდან და არის გადახრილი სურვილების  
 გაბმული ნიავი,  
 ბრმად მქროლი ახალი სახეების ურჩი ბუნებისკენ,  
 რომელიც ჯერ კიდეც აზუსტებს თავის თავს და მხოლოდ  
 ასე შეიმჩნევა.  
 ვისი ღიმილია, რომლითაც ხედავ ნაწვიმარი სიგრილის  
 ტანში შეჭრილ ამ მოაჯირს,  
 ამ საფეხურების სვლას მალა ან დაბლა, სულერთია,  
 ყოველდღიური სურათების და მოულოდნელი, ახალი  
 ჩვევების ამ შეუძლებელ მთლიანობას?  
 ეგვიპტეშიც დარბოდნენ ბავშვები,  
 მათი ტანი იზადებოდა გარუჯული და მერე თეთრდებოდა  
 ერთადერთი უხილავი ქურუმის ლოცვაში,  
 რომელსაც ყველა ხილული ტაძრის ხილული ქურუმი  
 გამოავლენდა ღმერთების თვალწინ  
 და უკვე ნაუნყები ნესრიგის სახელით. ვისი ღიმილია,  
 რომელიც შენი გამომეტყველების გავლით გადაურბენს  
 იმ შეუმჩნეველ დისონანსებს;  
 რომელიც ხშირად აღინიშნება სურვილის გადახრაში  
 ყოველი ახალი ამინდისკენ,

რომელსაც აღძრავს სხვა ვინ, თუ არა შენი თვალი?  
 სხვა ვინ, თუ არა ის, ვინც ხელს უშლის ამინდის სიზუსტეს  
 და წინასწარმეტყველებას?  
 მათი მზის ყოველი მანაც რომ მზე იყო, რომელშიც  
 ამონის დიადი ქურუმი განიბანებოდა;  
 სხვა ქარი მსჭვალავდა მისი იმ სიტყვების  
 თანმიმდევრობაში გაჩენად მანძილებს,  
 რომლებიც ვისგან შემჩნეული ნაცვალსახელების  
 ქროლვის სისუსტეს უგალობდნენ?  
 კათხა ლუდი ბრუნავდა მათ გულში და ისინი  
 ემსგავსებოდნენ  
 დამტვრეულ ხოფს, უპურო სახლს, განყვეტილ საბელს და  
 ბევრ სხვა ასეთ შედარებას.  
 მათ უყვარდათ მარილიანი ხუმრობები და იმდენი ცეკვა,  
 რომ შეეძლოთ ღმერთების ლუდით სავსე გულები  
 მიეპყროთ და მათი მზერა მოეხიზლათ.  
 შიშის წინააღმდეგ? რომელი ახალი შიშის დასაცავად?  
 რომელი სიახლის დადგენამდე და ამოძრავებამდე?  
 აქ კიდევ დავქროდეთ, როგორც სურვილების გაბმული  
 ნიავი იქ,  
 ღმერთების თვალწინ, სხვების არსებობით შესრულებულ  
 ერთმანეთის მეხსიერებაში.

10. უსწორმასწორო ლოცვა

ის კი – ჩვენი ენა – ისევე უხმოდ უმზერს იმ ახალ ცხოვრებას,  
 იმ ჩვენს ჩვეულ დროში რომელიც ვერ გვცნობს  
 ერთხელაც კი.  
 სადღაც, რომელიმე სინათლით აღსავსე, ხასხასა  
 მინდორზე,  
 განა ჩვენც არ ვდგავართ და რამდენ ისტორიას ვუყვებით  
 სიცოცხლეს?  
 მასში გავლებულ ისრებს სხვა ძალა აქვთ;  
 რა მნიშვნელობა აქვს, ხედებიან თუ არა ისინი სამიზნეს,  
 თუ, ყველა შემთხვევაში, მასვე აგრძელებენ?  
 ჩვენ საიდან, გვეგონოს, მოვდივართ იმ ჩვენს ურიცხვ  
 ხელგაშლილ სიტყვაში,  
 საიდანაც ერთმანეთს მალვით ვაყურადებთ  
 და დამახსოვრებულს ვინახავთ, ეჭვ, მერამდენე  
 ხვალინდელი დღისთვის?  
 ჩვენ მასში არ ვისვრით, მასში გავლით ვისვრით ამ ისრებს,  
 და რამდენ ისტორიას ვუყვებით სიცოცხლეს  
 თოვლის ან ქვიშის ზედაპირში ქრობადი ფიქრებით?,  
 რომლებიც, დაე, თუ ქრებიან ჩვენგან შეუმჩნეველად,  
 მაგრამ – ჩვენში და არსებითი, ურიცხვი შეხვედრებით.  
 ხელს, სხვას რას, ვუშლით ამ მორიგ ერთმანეთს, რათა  
 ვისხენებდეთ  
 სხვას რას, თუ არა იმას, რაც კვლავ ახსოვთ არა „ჩვენს  
 სულს“ ან „ჩვენს კითხვებს“,  
 არამედ – ჩვენი ყოველი ორი თვალის გადაკვეთის  
 ნერტილს,  
 ადგილს, რომელშიც უკვე ვეღარ შევალთ  
 ვერც იმ გახსენებით, ვერც იმ დავინწყებით  
 და ვერც იმ ნაშლით მასში იმ დასკვნების,  
 რომლებიც კი არ ხსნიან, არამედ ხურავენ,

იმ მეგობრებთან შეხვედრების ფასად,  
 რომლებიც რამდენ ისტორიას მოუთხრობდნენ  
 ერთად გატარებულ თითოეულ სიცილს და ბალახებს,  
 თითოეულ სინითლეს ფიქრებში, ხმაში ან სახეზე.  
 ეს კი სხვა ხელია, სხვა ადგილი, საიდანაც, ჰაერის  
 გამოვლით,  
 ცვივა მზისფერი – და ბევრიც სხვა – ძვირფასეულობა,  
 რასაც ჩვენი გული უფრო ადრე აღწერს,  
 ვიდრე – მოწყალე გვირგვინოსნის გადწყვეტილება,  
 რომ, მისი ხელიდან ჩვენს გულში და ხელებამდე,  
 ჩვენი ენის ფსკერზე, მოძრაობს ბევრი ისტორია,  
 ყურადღებით მომსმენი ჩვენი ხმის, ჩვენი გაცინების:  
 რომ ჩვენ უკვე წაგვიღეს სიზმრებმა და ამ ჩვენს სიზმრებში  
 ჩვენი მოცეკვავე ქალებიც ცეკვავენ;  
 რომ ერთი ტაშს უკრავს, მეორე მინას კოცნის, მესამე  
 ყვავილს აშრიანებს;  
 რომ უკვე მერამდენე მგზავრს ეგებებიან, ხსოვნაში  
 დაკარგულს?  
 ახლა კი, ამდენი სიზმრის მერე, როგორ სათუთად ჩანს:  
 ისინი ქვებს და თიხას ფორმებს ანიჭებდნენ,  
 დროში გადავადებისგან იცავდნენ უიღბლო, სევდიან  
 შეხებებს,  
 ისინი სხვა ცეცხლის შემნახველი სატრფოები იყვნენ.  
 ახლა კი, ამდენი დროის მერე, და, იქნებ, ამ დრომდეც,  
 ჩვენ ვაკაკუნებთ შენს სახელში ყველა ჩვენი დროით  
 და ყველა ჩვენი დროის ყველა „ანგელოზით“.  
 იმდენად ბევრია მათი რიცხვი და მათი სახელი,  
 რომ მათი ცოდნა შეწყდა შენს სახელში ჩვენი ხელის  
 შეხებამდე,  
 ამ შეხების, სულაც, დაწყებამდე.  
 განა რას ვაფარებთ მათ გრილ ფრთებს? მათ ფრენას?  
 განა რომელ ფიქრებს, ხსოვნებს და დაცემებს?  
 „ანგელოზი“, რა თქმა უნდა, ურიცხვია „ცამიც“ და  
 „ზეცამიც“,  
 მაგრამ როცა შენს იმ ერთ სახელში ვაკაკუნებთ,  
 მათ – ყველას ერთად – აქვთ ერთი ფრთა, არიან ერთი  
 ფრთით,  
 რომელიც მგზავრია არც არსებული და არც არარსებულთ,  
 რომელიც, თქვი, როგორ გამოითქვას?:  
 როგორც „მარადისობა არ დაიყვანება  
 დასაწყის-დასასრულში უსასრულობამდე“?  
 როგორც „სიკეთე არ დაიყვანება კარგი საქმეების  
 ურიცხვ კეთებამდე“?  
 როგორც „შაქარი არ ნიშნავს სიტკბოს და მცხუნვარება  
 ცუცხლს“?  
 ეს ჩვენთვის შორია, – რაც ჩვენ დროში გვქვია,  
 რათა ნუ ვკარგავდეთ ერთმანეთს არა, რა თქმა უნდა,  
 იმ სიღარიბეში,  
 რომელიც არ იცნობს არც დროს, არც სახელებს  
 და არის ცარიელი, როგორც შენი ხელი,  
 რომელიც ჩვენს კარზე აკაკუნებს ჩვენთვის უცნობ,  
 არამედ – იქ, სადაც შენი ხელიდან, ჰაერის გავლით,  
 ცვივა მზისფერი – და ბევრიც სხვა – ძვირფასეულობა  
 და კვლავაც ბევრია ისტორია, ყურადღებით მომსმენი  
 ჩვენი ხმის.

11. როცა მდინარე აღონის ნითლად იღებება

„ჩემო თვალო, შენ აქ შეიძლება შეიყვარო ორი-სამი სიტყვა, რომლებიც სულ მალე არიან უსასრულოდ წარმავალი წინადადებები წიგნის გვერდებიდან ორი-სამი ხანგრძლივი სიტყვისკენ, რომლებიც არავის ითხოვენ შენზე მეტს, წაკითხვაში ჩაძირული შენი მცხუნვარე ღიმილის მეტს იმ უჩვეულო მკითხველის სახეზე, ვინც იქნებ შენც იყო უმიზეზო ფიქრებს მიცემული ხელისჩაქნევით და შებრუნებით წაკითხვაში ჩაძირული შენივე თვალისკენ, ამ თვალის შორი სიტყვებისკენ, სიტყვებში დაძრული შენი ხაზგასმებით ოდინდელი სხვების (ვინ იცის) რამდენი ხაზგასმის ასამოძრავებლად შენ აქ შეიძლება შეიყვარო ორი-სამი სიტყვა, რომელიც თავის თავს შეუყვანა ნამიან სიზმარში წიგნისა, რომლის გვერდებიდან შენი უღრუბლო ხსოვნისკენ მიმავალ შებრუნებებს არც ფრთა აქვთ, არც – ბგერა, წყლის და ჰაერის საძიებლად, არც ვინმეს ითხოვენ შენზე მეტს ამდენ ამინდსა თუ უამინდობაში შენთან შეხების გზებს ბრმად შეყოლილები უხსოვარი, შორი გვერდებისკენ, სადაც შენი მცხუნვარე ღიმილი იძირება ხსოვნაში ორი-სამი უღრუბლო სიტყვისა, ამდენი უხსოვარი გვერდის წვაში შენივე თვალის წაკითხვისთვის საჭირო ჩვევისა, რაც სულ მალე არის გადაადგილებების მოძრავი ერთობა ბევრ უხსოვარ წიგნში ბევრი ხაზგასმის წასაშლელად მიერ იმის, ვინც იქნებ შენც იყო იმ წინადადებების მიგნების მცდელობით, რომლებიც იხსენებენ ორ ან სამ იმ სიტყვას, რომლებიც შენია შენ აქ შეიძლება დაკარგო წაკითხული წინადადებების ხსოვნაში შენახული ორი-სამი სიტყვა შეხებების სავალს შეყოლილი მცხუნვარე ღიმილით, იმ სამოთხის ხსოვნიდან გაღწევის ხაზგასმული და ძვირი მცდელობით, რომელიც არავის მოითხოვს შენზე მეტს არაერთი წიგნის უღრუბლო ხსოვნაში ორ-სამ სიტყვად შენი ამ ყოფნის და წინადადებებს მოკლებული შენი ოცნებისა აი, შენი თვალიც, შენახული ორ ან სამ სიტყვაში, მათ ფიქრში შენს ფრთაზე, შენს ჰაერზე, როცა მდინარე აღონის ნითლად იღებება“

12. ადგილის აღსანიშნად

– იქნებ, ასე ვემთხვევი კიდეც იმ ჩემს გრამატიკას, სადაც მერე, ვფიქრობ, მახსოვს აღარც, თუ რას ვყვებოდი დანვრილებით, სახეზე ხაზგასმული სიტყვებით და ჩემთვის – ლექსისთვის, რომელიც იყო არც იქ, სადაც იგი უჩემოდ და არც იქ, სადაც იგი ისმენდა უჩემოდ ხდებოდა იმას, რასაც მისი სახით და მისადვე ვყვებოდი „ყველას“ გასაგონად და – იქ, სადაც მისი ნაფიქრის სიჩუმეს, მისი ძილის ნიავს შეხიზნული, ვფურცლავ უხეშ წიგნებს, თვალის კუთხით ვეხები შესამჩნევი ხეების იმ შრიას, ჩემი შეცდომების მიმართულებით და გამართული წინადადებების ნაშლისკენ ვისი უხილავი ქროლვაც ქმნის მორიგ ხაზგასმას და მორიგ დანყებას ამინდის, ბუნების, როგორც იქ არშესვლას, სადაც თვალს და ხელს შორის გვიქრება თითოეული შემხვედრი, ცვლადი, და რასაც ყოველდღიური, ირიბი ეს სვლები უწოდებენ, მაგალითად, „ქვას“, „ბალახს“, „ძალიანს“, „სილამაზეს“, ბევრ ასეთ არჩევანს, წესრიგში ბევრ ასეთ ჩატოვებას საკუთარი თავის და სხვების, ვისაც მე ვყვები „ყველას“ და იმის მოსასმენად, ვისაც კვლავ ის ჰქვია, ვინც სახლ-კარს საშინი მდინარის პირას კრავს, იწყებს იქ ცხოვრებას, რალაცის ხაზგასმას, რაც, იქნებ, იყოს სიღარიბეც, იმ მოთხოვნილებების მიმართულებით გადანაცვლებადი, რომლებსაც ჩემით და ჩემსკენვე ვაკლივარ თითოეულ ამ გაშლილ, გულთბილ ხელისგულზე; სად არ დაეძებენ მისი – ჩემი თხრობის – ურიგო წინადადებები ამა თუ იმ შეხებაში დაკარგულ ფრაგმენტებს, ამა თუ იმ მოძრაობის სიჭარბეში ჩამქრალ ოცნებებს და სიზმრებს, ამა თუ იმ გულისცემის გათანაბრებაში ჩაშლილ კორომებს და მოულოდნელ მიწდვრებს, სავსეს პატარა ძველი ღვთაებებით, ცოცხალი ხისგან ნაჩორკნი მათი ბუტბუტით და სუნთქვით; რითაც მას შეეხნენ: სიტყვებით თუ ბგერით თუ სხეულით, – არასრულ წესრიგში ბევრ ასეთ ნაღვლიან ჩატოვებას, ენის ბევრ ასეთ არამღვრევას, გულის დიდ წესრიგში არშესვლას, სიკვდილს, სადაც სიტყვა, რომლითაც აღინიშნება სიტყვა, რომელსაც ვიყენებ, ვთქვათ, ამ აზრის შესასრულებლად, სხვა სიტყვაა არა იმ აზრით, რომ მოცემულ აზრს არ გამოთქვამს, არამედ – იმ აზრით, რომ მისით, გამოსახულით ახლა და ამ გვერდზე, აღინიშნება მისი მოძრაობა იმ სიტყვისკენ, რომელიც მისით აღინიშნება და რომელიც მისკენ იმ აზრის შესასრულებლად ისწრაფის, რომელიც ქრება და ინთება, ქრება და ინთება, და სადაც, დაე, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოისახებიან წინადადებები, როგორც ცხენები მდინარეში, როგორც წარმოუდგენელი მათი ანარეკლი, ერთ უხილავ ფიქრად შენახული, დარჩენილი მდინარის შრიალში.

გ რ ძ ე ლ დ ე ჯ ა ს ე ლ მ ო წ ე რ ა ს  
ბალაკტიონ ტაბიძის  
საარქივო გამოცემის  
25 წიგნსა და რჩეულზე  
(1 წიგნი – 15 ლარი, რჩეული – 20 ლარი)  
გიორგი ლეონიძის სახელობის  
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო  
მუზეუმში  
გ. ჯანტყურას №8, ტელ. 93-20-45, 93-28-90  
11<sup>00</sup>-დან 17<sup>00</sup> საათამდე

გრიგოლ ჩხარტიშვილი

# მარტვილობა წმინდა სებასტიანესი ანუ სიკვდილით მოჯადოებული

\*

თვითგანადგურების ესთეტიკა  
იუკიო მისიმას  
ჰამოქამედაზი

## 1. რატომ?

1970 წლის 25 ნოემბერს სახელგანთქმულმა მწერალმა იუკიო მისიმამ, თავისი ექსცენტრიკული გამოხდომებით არაერთგზის რომ გაუოცებია იაპონიის საზოგადოება, მოაწყო თავის სიცოცხლეში უკანასკნელი და ამჯერად არცთუ უწყინარი წარმოდგენა. მან სცადა მოეხდინა ამბოხება ტოკიოს თვითდაცვის ერთ-ერთ ბაზაზე – ჯარისკაცებს მოუწოდებდა გამოსულიყვნენ „მშვიდობიანი კონსტიტუციის“ წინააღმდეგ (კონსტიტუციის მეცხრე სტატია უკრძალავს იაპონიას საკუთარი არმიის შექმნას, ამიტომაც თვითდაცვის ძალები ოფიციალურად არ ითვლება არმიად); როდესაც მისი წამოწყება ჩაიფუშა, მწერალმა თავი მოიკლა შუასაუკუნეობრივი ხერხით, ჰარაკირი რომ ჰქვია...

თითქმის ყველა, ვისაც კი რამე დაუწერია მისიმაზე, იძულებული იყო დაენყო თხრობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთლად დასასრულიდან – 25 ნოემბრის ტრაგიკულ მოვლენათაგან. და ეს უბრალოდ ფანდი როდია მკითხველის ინტერესის აღსაძვრელად. იტიგაის სამხედრო ბაზაზე გამართული სისხლიანი სპექტაკლის შემდეგ უკვე შეუძლებელია განხილვა მისიმა ფენომენისა, თუ არა ამ დღის პრიზმაში, რომელმაც განმარტა ბევრი რამ, რაც მანამდე გაუგებარი იყო და ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დააღაგა.

იუკიო მისიმა ორმოცდახუთი წლისა იყო. თავისი არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მან წარმოუდგენლად ბევრი მოასწრო. ორმოცი რომანი, რომელთაგან თხუთმეტი ეკრანიზებულ იქნა ჯერ კიდევ მწერლის დაღუპვამდე; თვრამეტი პიესა, წარმატებით რომ იდგმებოდა იაპონიის, ამერიკისა და ევროპის თეატრებში; მოთხრობებისა და ესეების ათობით კრებული – ასეთია შთამბეჭდავი შედეგი ოცდახუთწლიანი ლიტერატურული შრომისა მაგრამ მისიმა ინტერესები დასტურ ხელშემოუწვედნელია და მარტოოდენ მწერლობით არ ამოიწურებოდა. ის იყო თეატრისა და კინოს რეჟი-

სორი, მსახიობი, დირიჟორობდა სიმფონიურ ორკესტრს. მისდევდა კენდოს („გზა მახვილისა“ – ფარიკაობის ეროვნული ხელოვნება), კარატეს და ძალოსნობას, ფრინავდა საბრძოლო თვითმფრინავით, შვიდჯერ შემოუარა დედამიწას, სამჯერ ასახელებდნენ ნობელის პრემიის ყველაზე სააღბათო პრეტენდენტთა რიგში. დასასრულ, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საკმაო მითქმა-მოთქმას ინვევდა მისი ფანტიკური გატაცება მონარქიზმის იდეითა და სამურაების ტრადიციებით; მან შექმნა და საკუთარი სახსრებით ინახავდა მთელ გასამხედროებულ ორგანიზაციას – „კაპიტან მისიმას სათამაშო არმიას“, როგორც დაცინვით ეძახდა პრესა (მწერლის სიკვდილის შემდეგ „ფარის საზოგადოებამ“ მაშინვე შეწყვიტა არსებობა).

საინტერესოა, რომ თავად იაპონიაში საზარელი გამოსათხვარი წარმოდგენა, 25 ნოემბერს რომ გათამაშდა, პოლიტიკურ აქტად შეაფასეს მხოლოდ ულტრამემარჯვენეებმა, რომლებსაც გმირული სიმბოლო სჭირდებოდათ თავიანთ რიგებში ახალგაზრდობის მისაზიდად. ნაციონალისტებმა, რომლებიც მისიმა სიცოცხლეში მას ეჭვის თვალით და მტრულადაც კი უყურებდნენ, ხოლო მის წიგნებს არცკი კითხულობდნენ, დაუყოვნებლივ გამოაცხადეს მწერალი „ჭეშმარიტად სამურაის სულისკვეთების“ მატარებლად და მისი სიკვდილის თარიღს ყოველწლიურად აღნიშნავენ.

სამწუხაროდ, ამ აურზაურმა მაგიურად იმოქმედა საბჭოთა მკვლევარებზეც – ძალზე ძლიერი აღმოჩნდა მრავალწლოვანი ჩვეულება ლიტერატურული შემოქმედების პოლიტიკური შეფასებისა, რომელიც ხდებოდა განმსაზღვრელი. ხოლო დამაფრთხობელი იარაღების ჩამოკიდება მისიმაზე იოლზე იოლი საქმე გახლდათ: „ულტრამემარჯვენე წრეების იდეოლოგი“, „შოვინისტი“, „მილიტარისტი“, „იმპერიალისტი“ და „ფაშისტისტი“ კი. მაგრამ უბედურება იმდენად ეს იარაღები როდია, რამდენადაც ის, რომ ჩვენი მკითხველი დღემდე მოკლებულია შესაძლებლობას – რუსულ თარგმანში ნაიკითხოს მისიმა, შეექმნას საკუთარი წარმოდგენა იაპონიის საზღვრებს გარეთ ყველაზე ცნობილი იაპონელი მწერლის შემოქმედებაზე, ვისი წიგნებიც გამოცემულია მსოფლიოს ლამის ყველა ქვეყანაში. „ისეთი მწერლები, როგორც არის მისიმა, ჩვენში ერთხელ ჩნდებიან ორასი (და ეგებ სამასიც) წლის მანძილზე“, – თქვა ნობელის პრემიის ლაურეატმა იასუნარი კავაბატამ. ჩვენ კი აქამდე ვიცოდით მხოლოდ ის, რომ „დაუპირისპირდა რა ეროვნული კულტურის ჰარმონიულ და ჰუმანისტურ ტრადიციებს, მისიმა წარმოსდგა როგორც ულტრანაციონალიზმის იდეოლოგი. და ამან მიიყვანა შემოქმედებით და ცხოვრებისეულ კრახამდე“ (იხ. ნელინდელის „იაპონია – 1975“). საბედნიეროდ, დროება შეიცვალა და ამჟამად შესაძლებელია, რომ უფრო მშვიდად, გასწორებისა და მხილების გარეშე, გავარკვიოთ მწერლის შემოქმედებითი და ცხოვრებისეული გზა, ლიტერატურული ანალიზი არ შეეცვალოთ გამარტივებული იდეოლოგიური სქემით.

დიახ, მისიმა შორსაა ჰუმანისტური ტრადიციებისგან, მის ნაწარმოებებში ბევრი რამ არის საზარელი და გაუკუღმართებული. ალბათ, ყველაზე იოლი იქნებოდა, ზურგი შეგვექცია მისთვის, ჩაგვეთვალა ურჩხულად, ჯოჯოხეთის ნაშიერად. მარტო ერთი რამ გვაჩერებს – უდავო ტალანტი მწერლისა, ტალანტი უთუოდ ავადმყოფური, მაგრამ მიუხედავად ამისა თვალნათლივი და ბრწყინვალე. გენიოსი – ყოველთვის სასწაულია, გამოცანა ბუნებისა. მამ განა ჩვეულებრივი საზომებით უნდა მივუდგეთ სასწაულს? ასეთი კაცის სული აგებულია საგანგებო, განუმეორებელი იერით. ჩვენ არ ხელგვეწიფება განვსაჯოთ იგი – მხოლოდ ძალგვიძს გაუვგოთ. მისიმა, მთელი ცხოვრების მანძილზე, ატანილი იყო მუშაო-



ბით. სამი ათეული წლის განმავლობაში ყოველ ღამით წერდა. და როცა ავად იყო, მაშინაც არ წყვეტდა შრომას. მწერლის სიკვდილის შემდგომდროინდელი თხზულებათა კრებული ითვლის ასამდე ტომს – გეგონებათ, რომ მისი მას სულში ჩქეფდა სახეთა და პარადოქსულ მეტაფორათა მძვინვარე, დაუმრეტელი წყარო, რომლებიც ანცვიფრებდნენ წარმოსახვას. მას მიიჩნევენ სიტყვის ოსტატად, თანამედროვე იაპონური პროზის საუკეთესო სტილისტად – ყოველთვის წერდა თეთრად და სუფთად. მისი მას შეეძლო ერთ ღამეში დაენერა სამმოქმედებიანი პიესა. გამომცემელთა შორის სახელი ჰქონდა განთქმული სახელშეკრულებო ვადების უაღრესად პუნქტუალური დაცვით. ერთხელ, როცა მოსიძინა რედაქტორის აღფრთოვანება მისი პედანტური აკურატულობით, მისი მამ თქვა: „მწერალთა უმეტესობა – სახეებით ნორმალური ადამიანები არიან და უბრალოდ თავს გვაჩვენებენ გადარეულეზებად; მე კი ვიქცევი, როგორც აბსოლუტურად ნორმალური ადამიანი, მაგრამ ჩემს სულში...“

სერიოზულ გამოკვლევებში – იაპონური იქნება თუ საზღვარგარეთული, – მწერლის თვითმკვლელობის პოლიტიკური მოტივირება ან გადაჭრით უკუგდებულა ანდა მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება; ასე ასკვნის ყველა, ვინც ყურადღებით შეისწავლა მისი ბიოგრაფია და შემოქმედება.

ძალზე პოპულარულია „სინძიუს“ ვერსია – შეყვარებულთა ორმაგი თვითმკვლელობა, რომელიც იაპონიაში ძველთაგანვე გახვეულია რომანტიკულ შარავანდში. საქმე ისაა, რომ მისი მასთან ერთად ჰარაკირი გაიკეთა მისმა ერთ-ერთმა მიმდევარმა, ოცდახუთი წლის სტუდენტმა მორიტამ, ხოლო მისი მას ადრეული პერიოდის ნაწარმოებებში (რომანები „ალსარება ნიღბისა“ და „აკრძალული ფერები“) ძლიერია ჰომოსექსუალური მოტივები. ეს ვერსია განსაკუთრებული ხალისით აიტაცა პიკანტურობას დახარბებულმა პრესამ, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ მისი მას მონიფულ ასაკში, ეს ვერსია სარწმუნოდ არ ეჩვენებათ.

ბევრმა – და საყოველთაო თავზარდაცემის პირველ დღეებში, ალბათ, ეს იყო ყველაზე ჯანსაღი რეაქცია – მიიჩნია, რომ მისი მას ავად იყო ფსიქიკურად და შეურაცხად მდგომარეობაში მოიკლა თავი. 25 ნოემბერს პრემიერ-მინისტრ სიტოს რომ ჰკითხეს, მწერლის ქმედებას როგორ აფასებთო, მან მხრები აიჩჩა და თქვა: „ის უბრალოდ ჭკუიდან შეირყა“. მისი მას მიმართებით, ეტყობა, მართლაც ძნელია ილაპარაკოს სულიერ ჯანმრთელობაზე, მაგრამ შემოიღობის მოულოდნელმა ანთებამ როდი გადაადგმევინა საბედისწერო ნაბიჯი. მწერლის მთელი ცხოვრება, ასახული მის ნაწერებში, არსებითად, იყო სამზადისი სისხლიანი ფინალისა. ამომწურავი პასუხი შეძრწუნებულ თანამედროვეთა შეკითხვაზე „რატომ?“ მოცემულია მისი მას მიერ დაწერილ ნიგნთა ფურცლებზე. მწერლის შემოქმედება განათებულია სიკვდილის მისულები კონცეფციის თვალთვლითი და მაგიური ციალით.

„აი ყველაფერი, რაც ვიცით მის შესახებ, – და საეჭვოა, რომ ოდესმე შევიტყოთ მეტი: სიკვდილი მუდამ იყო მისი ერთადერთი ოცნება. სიკვდილი წარმოუჩინებოდა და თავის სახებას მალავდა ნიღბათა მრავალფეროვნებით, და იგი ჩამოშგლეჯდა მათ ერთიმეორის მიყოლებით – ჩამოშგლეჯდა და თვითონ მოირგებდა. ხოლო როცა მოახერხა ჩამოგლიჯა უკანასკნელი ნიღაბი, ჩანს, წარმოუჩინდა ჭეშმარიტი სახე სიკვდილისა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუნდაც სიკვდილი შეძლებდა თუ არა, შიშის ზარი დაეცა მისთვის. ამ მომენტამდე ნადილი სიკვდილისა აიძულებდა მას გახელებით სწრაფვას ახალი ნიღბებისაკენ, რამეთუ მათი მოხვეჭის შედეგად თანდათანობით უფრო მშვენიერი ხდებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ მამაკაცის წყურვილი – გახდეს უფრო ღამაზი – სრული-

ად სხვაგვარი ბუნებისაა, ვიდრე მოსდგამს ქალს: მამაკაცისთვის ეს მუდამ არის ნადილი სიკვდილისა...“

ეს სტრიქონები თავად მისი მას დაუნერია და თუმცა ლაპარაკობს რომანის „კიოკოს სახლი“ (1959) გმირზე – მსახიობოსამუზე, რომელმაც თავის სატრფოსთან ერთად მოიკლა თავი, მწერალი აქ გადმოგვცემს თავისი ბედის განმსახვლველ ესთეტიკურ ფორმულას: მისი მასთვის მშვენიერება და სიკვდილი ყოველთვის წარმოადგენდა განუყოფელი თანატოლობის ნაწილებს. ეს არის ღერძი, რომელზეც ასხმულია მისი მას მთელი ცხოვრება, მთელი მისი შემოქმედება. ოცდათვრამეტი წლისა რომ იყო, ის წერდა – ამჯერად არა პერსონაჟზე, არამედ თავის თავზე: „მე ვინცებ იმის მიხვედრას, რომ სიჭაბუკე, ყვავილობა სიჭაბუკისა – ჩმახია და დიდად არა ღირს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სიამოვნებით ველოდები სიბერეს. რჩება მარტოოფენ ერთი: სიკვდილი – წამიერი, ყველგანყოფი, ყოველთვის გვერდით რომ გიდგას. ჩემი აზრით, ესაა ერთადერთი მართლაც მაცდუნებელი, მართლაც დამატყვევებელი, მართლაც ეროტიკული კონცეფცია“.

იუკიო მისი მას მთელი სიცოცხლე მოჯადოებული იყო ამ იდეით, სიკვდილი იზიდავდა მას და „თავის სახებას მალავდა ნიღბათა მრავალფეროვნებით“. მოდიოდნენ და მიდიოდნენ მგზნებარე გატაცებანი, დროდადრო მწერალი, ჩანს, კარგახნით ივიწყებდა საბედისწერო მაგნიტს, მაგრამ წლიდან წლამდე იგი უფრო და უფრო ძლიერ იზიდავდა.


## 2. „ალსარება ნიღბისა“

„ყველანი ამბობენ, რომ ცხოვრება – სცენაა. მაგრამ ადამიანთა უმრავლესობისათვის ეს აკვირებულ იდეად როდი იქცევა, და თუკი იქცევა, არა ესოდენ ადრეულ ასაკში, როგორც მე მექცა. როცა ჩემი ბავშვობა მთავრდებოდა, უკვე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული ამ ჭეშმარიტების გარდღევალობაში, ვაპირებდი მეთამაშა ჩემთვის განკუთვნილი როლი და არაფრით არ გამემჟღავნებინა ჩემი ნამდვილი არსი“. ეს აღიარება, რომელიც გასაღებად გამოდგება მისი მას მრავალი საქციელისათვის, ბუნებით მსახიობი და მისტიფიკატორი რომ იყო, დამოწმებულია რომანიდან „ალსარება ნიღბისა“ (1949), რომელიც წარმოადგენს სკრუპულოზურად, უღმობულად ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს. ოცდაოთხი წლის ავტორმა სცადა, თავისი აფორიაქებული და დაღვინილი სულის პრეპარირებით, „თავი დაეხსნა შიგნით მჯდარი ურჩხულისგან“, პირქუში აჩრდილისგან, ბავშვობიდანვე ლოდად რომ აწვა გულზე. ამ რომანის წყალობით ვიცით, თუ როგორ იყო მოწყობილი სამყარო წყნარი, ავადმყოფური ბიჭისა, რომელსაც ერქვა კიმიტაკე ჰირაკა (ეს არის ნამდვილი სახელი და გვარი მწერლისა, იუკიო მისი მას ფსევდონიმად აიღო თექვსმეტი წლის ასაკში).

კიმიტაკე უცნაური ბავშვი იყო და ეს არც არის გასაკვირი. იგი იზრდებოდა იმ პირობებში, რომელთაც ძნელია უწოდო ნორმალური. შვიდი წლისა რომ იყო, თავისთან ნაიყვანა ბებია – მბრძანებლური ბუნების, მძიმე სწეულებით გატანჯულმა ისტერიულმა ქალმა. თორმეტ წლამდე ბიჭი ცხოვრობდა მასთან ერთ ოთახში, თანატოლებს მონყვეტილი, არცთუ ხშირად, ხედავდა მშობლებს, უმცროს და-ძმას. ცელქობა და თამაში ეკრძალებოდა, აგრეთვე – სეირნობა. ერთადერთ გასართობად, ყოველთვის რომ იყო მისანვდომი, რჩებოდა ფანტაზიები.

ფერმკრთალი, გულჩახვეული ბიჭის ფანტაზიები უჩვეულობით გამოირჩეოდა: მათში გამუდმებით ფიგურირებდა

სისხლი და სიკვდილი, გააფთრებულ-ლი დრაკონები ნაკუნ-ნაკუნ ფლეთ-დნენ მშვენიერ პრინცებს, ხოლო თუკი დაღუპული გმირი ცოცხლდებოდა ზღაპარში, პატარა კიმიტაკე ბედნიერ დასასრულს ნაშლიდა ხოლმე. „უდიდეს ტკობას მგვრიდა იმის წარმოსახვა, თითქოს ბრძოლაში ვიღუპებოდი ანდა კაცის-მკვლელთა მსხვერპლი ვხდებოდი. და, იმავდროულად, პანიკურად მეშინოდა სიკვდილისა. ჩემი ჭირვეულობით მოახლეს ავატირებელი და მეორე დილით კი ვხედავ – ვითომც არაფერი მომხდარაო, ღიმილით მომართმევდა ჩაის. ამ ღიმილში მეჩვენებოდა მალული მუქარა, ეშმაკისეული გრიმასა, ჩემი დამარცხებისა რომ სჯეროდა. თავს ვარწმუნებდი, მოახლეს შურისძიების მიზნით ჩემი მოწამელა განუზრახავს-მეთქი. შეძრწუნების ტალღები ბერავდნენ ჩემს მკერდს. ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჩაიში სანამლაივი იყო შერეული და არაფრის გული-სათვის არ უნდა მივკარებოდი...“ მისიმა იხსენებს, სიყმანვილეში როგორ იწვევდნენ ეროტიკულ აგზნებას სურათები, რომლებზეც გამოსახული იყო სისხლიანი ორთაბრძოლები, სამურაები, მუცელს რომ იფატრავდნენ და ტყვიით განგმირული ჯარისკაცები.



იუკიო მისიმა წმინდა სებასტიანეს როლში

„ნიღბის აღსარების“ გმირის სადომაზოხისტური ფანტაზიების მწვერულად ხდება სახე წმინდა სებასტიანესი, რომელიც იყო პრეტორიანელთა გვარდიის ცენტურიონი, დიოკლეტიანეს ბრძანებით მშვილდოსნებმა რომ დახვრიტეს ქრისტიანობისადმი ერთგულების გამო. გვიდო რენის ცნობილი სურათის რეპროდუქციამ მართლაც ჯადოსნური ზემოქმედება მოახდინა და ისრებით განგმირული ახალგაზრდა, მშვენიერი სხეულის ხილვა მისიმათვის სამუდამოდ გადაიქცა ფიზიკური ტანჯვის, სილამაზის, სიჭაბუკისა და სიკვდილის ურთიერ ურთიერთკავშირის სიმბოლოდ. მოიპოვება საკმარისი დასაბუთება იმისა, რომ სცენა „ნიღბის აღსარების“ გამონაგონი როდია; მწერლის ცხოვრების მანძილზე წმინდა სებასტიანეს სახე ისევ და ისევ დაუჩინებთ წარმოიშობა. სიყმანვილის წლებში კიმიტაკეს, რომელმაც ძალზე ადრე დაიწყო ლექსებისა და პროზის წერა, სჯეროდა, რომ მას წილად ერგება ნაადრევი სიკვდილი და თავს აიგივებდა იმ პოეტებსა და მწერლებთან, სრულიად ახალგაზრდანი რომ გამოესალმნენ წუთისოფელს – რადიგესთან, კიტსთან. მის წარმოსახვაში ჩამქრალი გენიოსის სახე უკავშირდებოდა მშვენიერ ცენტურიონს, თავი რომ განწირა. ტყუილუბრალოდ როდი იყო, რომ კიმიტაკეს საყვარელი ლექსი გახლდათ ოსკარ უაილდის „სამარე კიტსისა“.

სამოციან წლებში მისიმა ტოკიოს სცენაზე დგამს დ/ანუნციოს პიესას „მარტილობა წმინდა სებასტიანესი“. მერე თავს წარმოიდგენს ცენტურიონად და სათავეში ჩაუდგება თავის „პრეტორიანელთა“ ასეულს „ფარის საზოგადოებიდან“, რომელმაც უნდა დაიცვას იმპერატორის პიროვნება. ხოლო სიკვდილამდე ორი თვით ადრე, როდესაც უკვე გადანყვებილი აქვს, თუ როგორ და სად უნდა მოკვდეს, მისიმა

ახალგაზრდა რომელი მემორის „ნიღბის მოირგებს“ აშკარად და ფოტოკამერის წინ გამოსახავს წმინდა სებასტიანეს რენის ზემოხსენებული სურათიდან.

უეჭველია, რომ მისიმათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ სებასტიანემ ნებაყოფლობით ინდომა სიკვდილი, როცა უარი თქვა დიოკლეტიანეს მიერ შემოთავაზებულ შეწყალებაზე. რამეთუ თუკი ადრეულ წლებში მისიმა ოცნებობდა ბრძოლაში დაღუპვაზე, თანდათანობით მას უფრო მეტად იპყრობდა იდეა მშვენიერების მოსპობისა (და მაშასადამე, საკუთარი თავისაც) თავისი ხელით.

ამ გადანყვებულებისკენ მწერალი მიდიოდა გრძელი და დაკლაკნილი გზით, რომელიც, თითქოსდა სარკეთა სისტემაში, არეკლიდა მისი ნაწარმოებების გმირთა ბედ-იღბალში. მთელი სიცოცხლე მისიმა თან სდევდა წინათგრძნობა განსაცდელისა, კატასტროფისა, რომელიც ერთდროულად შიშსაც ჰგვრიდა და კიდევ სწყუროდა. ლექსს, თხუთმეტი წლისამ რომ დაწერა, ასეც ჰქვია – „განსაცდელი“:

**ყოველ საღამოს  
ვდგავარ სარკმელთან და ველოდები  
განსაცდელს ჩემსას.  
ქვიმის თვალბედით ქარბორბალას,  
რომ დამაცხრება  
ქუჩის ღამეულ ცისარტყელადან.**

თექვსმეტი წლის მისიმა წერს თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებს, რომანტიკულ მოთხრობას „აყვავებულ იტყე“, სადაც სილამაზე, ექსტაზი და სიკვდილი წარმოგვიდგებიან როგორც ტოლფარდი ცნებანი. ომი ჭაბუკს უღრმავებს ქვეყნიერების მოახლოებული აღსასრულის შეგრძნებას. მოგვიანებით მისიმა დაწერს: „ნარცისიზმს, იმ ასაკს რომ სჩვევია, რომელიც ჭაბუკს გამოჰყოფს მამაკაცისგან, ძალუძს შეითვისოს ნებისმიერი გარეგანი გარემოებანი – სამყაროს ნგრევაც კი. ოცი წლისას მე შემემლო წარმომედგინა თავი იმად, ვინც გენებოთ – გენიოსად, ნაადრევი სიკვდილისათვის რომ იყო განწირული; ტრადიციული იაპონური კულტურის უკანასკნელ ნათლიად; დეკადენტთაგან დეკადენტად, დეკადენტური საუკუნის იმპერატორად; მფრინავ-კამიკაძედაც კი მშვენიერების ესკადრილიდან!“

1945 წელს, როდესაც ნათელი შეიქნა, რომ იმპერატორის იაპონია განწირული იყო და ყველა ელოდა გარდუვალ დაღუპვას, ოცი წლის მისიმა აგრძელებდა ზმანებას სიკვდილზე („და კვლავ, უფრო ძალუძდა, მე ჩავიძირე სიკვდილზე ოცნებაში, ჩემი ცხოვრების ნამდვილ მიზანს ვხედავდი მასში...“), მიუხედავად ამისა, სიკვდილის რეალურ შესაძლებლობას თავს არიდებს – სუსტი ჯანმრთელობის საბაბით აიცდენს ჯარში განწევას. შემდგომში გონებისმიერი ლტოლვა სიკვდილისადმი არაერთხელ დაიხვეს უკან არა წარმოსახვითი,

არამედ რეალური საფრთხის წარმოშობისას, მხოლოდ სიცოცხლის დასასრულს თვითგანადგურების წყურვილი გადაულახავი ხდება.

რომანში „ალსარება ნიღბისა“, რომელმაც სახელი გაუთქვა ახალგაზრდა მწერალს, მისიმა თავისი გმირის პირით აღიარებს, რომ მართლაც ცოცხალ არსებად თავს შეიგრძნობს მხოლოდ მაშინ, როცა გაიტაცებს სისხლიანი ზმანე-ბანი ტანჯვა-წამებასა და სიკვდილზე. 1948 წელს მისიმა წერდა (აი, ეს იყო ხმა „სულში მჯდომარე ურჩხულისა“): „სასტიკად მწადა, მოვკლა ვინმე, მწყურია აღისფერი სისხლის დანახვა. ზოგი წერს სიყვარულზე, რადგანაც ქალებში ბედი არ სწყალობს; მე კი ვწერ რომანებს, რათა არ მოვიხვეჭო სიკვდილო განაჩენი“.

### 3. სიკვდილით მოჯადოებული ავსული

მისიმათვის ორმოცდაათიანი წლები – ესაა პერიოდი ბორგვისა, როდესაც იგი ცდილობდა გაქცეოდა თავისი ცხოვრების წყევლა-კრულვას (თუკი ეს წყევლა-კრულვა იყო), გაქცეოდა ლიტერატურაში, თეატრში, სპორტში – სწორედ რომ „სიკვდილის სახეებისგან მისი მრავალფეროვანი ნიღბების ჩამოგლეჯა“.

1952 წელს, მსოფლიოს გარშემო პირველი მოგზაურობისას, ოცდაშვიდი წლის მწერალი ჩადის საბერძნეთში, რომელმაც ნამდვილი გადატრიალება მოახდინა მის სულში. ანტიკური ღმერთებისა და ათლეტების მარმარილოს ქანდაკებებში მისიმა აღმოაჩინა „სილამაზის უკვდავებას“, ადრე რომ წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. ავადმყოფური, უსუსური, პირქუში და საზარელი ხილვებით შეპყრობილ ახალგაზრდა კაცს დაუოკებლად იტაცებს მზე, ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა, სხეულისა და გონების ჰარმონია. „საბერძნეთმა განმკურნა საკუთარი თავის სიძულვილისგან, მარტოობისგან, გააღვიძა ჩემში ჯანმრთელობის წყურვილი ნიცმესეული აზრით“, – იგონებდა მისიმა.

კაშკაშა მზის შუქით არის აღსავსე რომანი „ტალღების ხმაური“ (1954), რომელიც მწერალს შთააგონა დაფნისისა და ქლოეს ამბავმა. ეს ნაწარმოები, გაუკუღმართების ნატამალიც რომ არ ახლავს, მოგვითხრობს მშვენიერი ჭაბუკი მეზადურისა და მყვინთავი ქალიშვილის პირველ სიყვარულზე, პატარა კუნძულზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს. არასოდეს – არც უწინ და არც მერე – მისიმა არ დაუწერია ასე უბრალოდ და პოეტურად ნორმალურ, ჯანსაღ ადამიანურ გრძნობაზე. ნორჩი გმირები სრულ ჰარმონიაში არიან ზღვასა და მზესთან – მთელ გარემომცველ სამყაროსთან. ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სინძის (ასე ჰქვია მეზადურს) „არასოდეს უფიქრია სიკვდილზე“. ამ პერიოდს მიეკუთვნება ჩანანერი მწერლის დღიური: „ჩემს ფიქრებს სიკვდილზე სურო მოედო, როგორც ძველ ციხე-სიმაგრეს, სადაც აღარავინ ცხოვრობს“.

სწორედ მაშინ დაეუფლა მისიმა ახალი იდეა: „შექმნა ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოები და თავადაც გახდეს მშვენიერი – ეს ერთი და იგივეა“. ერთი მაშინდელი მეგობარი მწერლისა ასე გვიხატავს მას: „ის სიკვდილივით ფერმკრთალი იყო – იმდენად ფერმკრთალი, რომ კანს იისფერი დაჰკრავდა. იფიქრებდი, დალეული სხეული უზომოდ ფართო სამოსელში ლაყლაყებდა. და მაინც პირველი შეხედვისთანავე ჩანდა: ეს კაცი ნარცისთა მოდემისაა. მას შეეძლო სილამაზის დანახვა. მისიმა შესაცნობი გასაღები იმხანად, როცა იგი ჯერ არ გაეტაცა კულტურიზმსა და სხვა მისთანებს, მოიძიებოდა მზე-რამში, რომლითაც მისიმა უყურებდა საკუთარ თავს: ამ მზე-

რას ესმოდა მშვენიერება, აფასებდა მას, თვალწინ კი გამუდმებით წარმოუჩნდებოდა რაღაც სიგონჯე“.

მისიმა გადაწყვიტა შექმნას საკუთარი თავიდან „თავისი სრული საპირისპირო“ – როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. და უნდა ითქვას, რომ წარმატებით გამოსდის პირველი. ამ ამოცანის შესრულებას ხელს ჰკიდებს მისთვის ჩვეული მიზანსწრაფვით. ჯერ მეცადინეობდა ცურვაში, მერე ეუფლება კულტურიზმს, კენდოს, კარატეს. ნრიპა, ულაზათო და უკვე არცთუ ჭაბუკი ლიტერატორი დღენიდავ ოფლად იღვრებოდა სპორტდარბაზში. წელიწადი მისდევდა წელიწადს და სასწაული აღსრულდა: კუნთებში ძალ-ღონე ჩაუდგა, მტკიცედ და მარჯვედ მოძრაობდა. მისიმა წარმატებული სპორტში განსაცვიფრებელი იყო და იგი ძალზე ამაყობდა ამით. როდესაც 1963 წელს ენციკლოპედიაში მოთავსებულ სტატიას კულტურიზმზე დაურთეს მწერლის ფოტოსურათი, მან თქვა: ესაა „უბედნიერესი ნუთი ჩემი ცხოვრებისა“. მისიმა ახლო ნაცნობი, ცნობილი ამერიკელი იაპონისტი დონალდ კინი წერდა: „მისიმა ხელოვნების ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებად თავად მისიმა გახდა“.

მაგრამ ეს, მართლაც ყველაზე ნათელი წლები მწერლის ბიოგრაფიაში მხოლოდ გატაცება იყო მორიგი როლით, თუმცა მისიმა ეს როლი, ისევე როგორც სხვა როლები, ბრწყინვალედ ითამაშა, ხოლო მეცადინეობა სპორტში არ მიუტოვებია იმ დღემდე, როცა საკუთარი ხელით მოსპო თავისი ხელოვნების „ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები“.

რაც შეეხება ნათელსა და უშფოთველ „ტალღების ხმაურს“, წლები რომ გავიდა, მისიმა აღიარა: რომანი ინერებოდა არასერიოზულად, ავტორს ენადა გაეპამპულეზინა მკითხველნი (რაც, სხვათა შორის, გამოუვიდა კიდევ – „ტალღების ხმაური“ კოლოსალური წარმატებით სარგებლობდა და გამოქვეყნებიდან უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ეკრანიზებულ იქნა).

სწორედ იმ დღეებში, როდესაც მისიმა ასე ჟინიანად ლამობს „შექმნას საკუთარი თავიდან თავისი სრული საპირისპირო“, იგი მეგობრებს უჩვენებს ფსევდონიმს „მისიმა“, დაწერილს სხვა იეროგლიფებით. იკითხება: „სიკვდილით – მოჯადოებული – ავსული“.

### 4. „ოქროს ტაძარი“

რომანს „ოქროს ტაძარი“ ამ პერიოდში (1956) რომ დაინერა, შეიძლება ვუწოდოთ მისიმა ესთეტიკური მანიფესტი. „ოქროს ტაძარი“ ითვლება არა მარტო მწერლის შემოქმედების შედეგად, არამედ იაპონური ლიტერატურის იმ ნაწარმოებად, რომელსაც ყველაზე მეტად კითხულობენ მთელს მსოფლიოში.

1950 წლის ზაფხულში კიოტოს ერთ-ერთი ძენ-ბუდისტური სავანის მორჩილმა ცეცხლს მისცა „ოქროს ტაძარი“ – შუა საუკუნეთა არქიტექტურის სახელგანთქმული ქმნილება. ახალმოვლენილი ჰეროსტრატეს ქმედებას არ შეეძლო არ აფეოროიკებინა მისიმა, რომლის ცნობიერებაშიც განადგურება უსათუოდ გვერდიგვერდ მიჰყვებოდა მშვენიერებას და რომელიც განადგურებაა ცეცხლის აღზე უფრო სუფთა და აბსოლუტურად ყოვლისშთანმთქმელი? რომანი შეისწავლის მშვენიერების ბუნებას. თხრობა მიმდინარეობს მომავალი ცეცხლის წამკიდებლის პირით; ჭაბუკისათვის, ვისაც სულს უღრღნის ურთიერთსაინიანადმდეგო კომპლექსები, ოქროს ტაძარი სამყაროს მთელი სილამაზის სიმბოლო და შუაგულია.

არც ერთ სხვა ნაწარმოებში ასე მძლავრად და გარკვეულად არაა ჩამოყალიბებული მისი მას ესთეტიკური კონცეფცია. რომანის გმირი – ისევე როგორც თვით ავტორი – თხემით ტერფამდე შეძრულია თავისი დახლართული ურთიერთობით მშვენიერებასთან. „გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ პირველი რთული პრობლემა, რომელსაც შევეჯახე ცხოვრებაში – ესაა მშვენიერების პრობლემა. მამაჩემი იყო უბრალო სოფლის მღვდელი, რომელსაც ოქროპირობა არ ემარჯვებოდა და მისგან შევითვისე ერთადერთი: „მთელს ქვეყნიერებაზე არაფერია ოქროს ტაძარზე მშვენიერი“. ასე შევიტყვე, რომ სადაც, ჩემთვის ჯერჯერობით უცნობ სამყაროში, უკვე არსებობს მშვენიერება – და ეს ფიქრი ჩემს სულში იწვევდა წყნას და შფოთვას. თუკი არსებობს მშვენიერება და არსებობს სადაც იქ, აქედან შორს, მაშასადამე, მისგან დაშორებული ვარ და მაშასადამე, იქ არ მიშვებენ?“ შეუძლებლობა მშვენიერების არსში შეღწევისა, იმის გაგებისა, თუ რას წარმოადგენს იგი, ხდება ჭაბუკი ბერისათვის მუდმივ სატანჯველად.

ერთადერთი მომენტი, როდესაც მშვენიერებამ თავისთან „მიუშვა“ გმირი, დადგა ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე, როდესაც ამერიკული ბომბდამშენები იაპონიის ქალაქებს ნანგრევებად აქცევდნენ. „ეს ის დრო იყო, როცა მე შევეძელი ტაძრის ჩამოშვება მიუნგდომელი სიმალიდან ჩემს დონემდე, ეს მჯეროდა და შემძლო მისი სიყვარული ყოველგვარი ნაღვლისა და შიშის გარეშე... მამხნევებდა იმის შეგნება, რომ ჩვენ ერთსა და იმავე, საყოველთაო საფრთხეში ჩავცვივდით. მე ვიპოვე შუამავალი, რომელსაც ძალუძდა ჩემი ბედის დაკავშირება ტაძართან. ახლა ჩემსა და მშვენიერებას შორის, აქამდე ხელს რომ მკრავდა და არაფრად მაგდებდა, ხიდი გაიღო. მე პირდაპირ ვთვრებოდი იმაზე ფიქრით, რომ ერთიანი ცეცხლის ალს შეუძლია მოგვსპოს ორივე. ერთობა ზეგარდმოვლენილი შეჩვენებისა, ერთობა ტრაგიკული, ცეცხლმოდებული ხვედრისა მადლევდა შესაძლებლობას მეცხოვრა ტაძართან ერთ განზომილებაში“.

მამ ასე, მშვენიერება მისანდომი და ახლობელია გმირისათვის მხოლოდ მაშინ, როცა იგი იმყოფება განადგურების, სიკვდილის საფრთხის ქვეშ. მაგრამ აი, ომი დამთავრდა, ტაძარი გადაურჩა ნგრევას და ისევე მიუდგომელი გახდა. სიახლოვე და, იმავდროულად, უსასრულო დაშორება მშვენიერების აბსოლუტისა ჭკუიდან არყევს გმირს. ტაძარი წარმოიხსნება კედლად რეალობასა და ადამიანს შორის. ბოლოს და ბოლოს თავისით მოდის გადაწყვეტილება: უნდა მოსპო ოქროს ტაძარი და მასთან ერთად – საკუთარი თავიც, ერთიმეორეს შეერწყება მშვენიერება და სიკვდილი. მაგრამ შერწყმა არ ხდება. უკვე ცეცხლმოდებული ტაძარი ხელსა ჰკრავს თავის დამანგრეველს: შესასვლელი ზემო იარუსზე, რომელსაც ჰქვია „მშვენიერების მწვერვალი“ და სადაც ბერს სწადია შეხვედრა სიკვდილთან, დაკეტილია. „ვერ გავდმოგცემთ, თუ რაოდენ მწყუროდა შემეღწია ამ თვალისმომჭრელი შუქით მოფენილ ოთახში! ვფიქრობდი, ოღონდ კი იქ მოვხვდებ-მეთქი, ოღონდ კი ამ ოქროს დარბაზში მოვხვდე... საბოლოოდ, მთელი სიცხადით მივხვდი, რომ მშვენიერების მწვერვალი უარს აცხადებს ჩემზე. ერთი ნამითაც არ შევჭოჭმანებულვარ – მოვბრუნდი, დავიხარე და კიბეზე დავეშვი...“

და აი, სილამაზე დაიღუპა, გმირი კი ცოცხალი დარჩა, ახლა აღარაფერი შეუძლია ხელს, რათა „კონტაქტი დაამყაროს ცხოვრებასთან“. უკანასკნელ გვერდზე მკითხველს უკვე წარუდგება არა ბერი მიძოგუტი, არამედ ვიღაც ახალი არსება, თავისი ქცევით საოცრად რომ არ ნააგავს „ოქროს ტაძრის“ მშფოთვარე გმირს. ადამიანი აუღელვებლად უჭვრეტს თავის

ნახელავს – და რომანი წყდება გულგრილ, დამაფრთხობელ კილოზე: „... ჩემმა თითებმა მოსინჯეს სიგარეტის კოლოფი. გავაბოლეთ. სულში სიმშვიდე სუფევდა, როგორც კარგად შესრულებული სამუშაოს შემდეგ. გავიფიქრე, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის-მეთქი“.

5. „კიოკოს სახლი“

„ოქროს ტაძარი“ – ესაა ცდა იმისა, რომ მოსპოს, მოაშროს სამყაროს მშვენიერება და ამით თავი დააღწიოს ფანტომს, გადაარჩინოს თავისი სიცოცხლე. მასიმა მორგებს ნიჰილიზმის ნიღაბს და მისთვის ჩვეული საფუძვლიანობით შეინსვლის ამ მოვლენის ანატომიას. 1959 წელს გამოდის რომანი „კიოკოს სახლი“, რომელსაც მწერალმა უწოდა თავისი „გამოკვლევა ნიჰილიზმისა“. იგი წერდა „პერსონაჟები ბორგვენ, თავიანთ მიდრეკილებათა, პროფესიებისა და სექსუალურ ლტოლვათა ძახილს ემორჩილებიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა გზა, რაგინდ დაკლაკნილი არ უნდა იყოს, ნიჰილიზმამდე მიდის“.

რომანში ოთხი მთავარი პერსონაჟია, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ავტორის პიროვნების ერთ-ერთ ნახნავს („... მე გადავწყვიტე უარი ვთქვა ერთ მთავარ გმირზე და ოთხი, ერთმანეთისგან განსხვავებული პერსონაჟის მეოხებით წარმოვადგინო საკუთარი თავის სხვადასხვა მხარე“). ოთხი გმირი – ეს არა მარტო შემადგენელი ნაწილებია მისი-მას შინაგანი სამყაროსი, ეს არის ოთხი გზაც, რომლის წინაშე მწერალი აღმოჩნდა 60-იანი წლების ზღურბლზე. ამ გზათაგან თითოეულს იკვლევს და თითქოსდა ამოშვებს საკუთარი მომავლის შესაძლებელ ვარიანტებს, არჩევს ყველაზე მისაღებს.

გმირთაგან პირველი არის მხატვარი ნაცუო. იგი მთლიანად ჩაძირულია ხელოვნების სამყაროში. ესაა უცნაური სამყარო, რომელსაც არ ალონებს გასაჭირი, იგი გაცისკროვნებულია მშვენიერების ციალით და, როგორც მიჩნევის ნაცუო, იმყოფება რაღაც განსაკუთრებული ღვთაების მფარველობის ქვეშ. მხატვარს იზიდავს ნაადრევი სიკვდილის რომანტიკა, მაგრამ ნიგნის დასასრულისკენ ის აღწევს ერთიანობას გარემომცველ სამყაროსთან და სიცოცხლის სურვილი იმარჯვებს.

სეიტორი – ილბიანი მენარმეა. გარეგნულად იგი ახდენს მხიარული და ხალისიანი ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს გახლავთ მხოლოდ მიმიკრია, საშუალება წარმატების მისაღწევად ცხოვრებაში. სინამდვილეში კი სეიტორის წინასწარ ატკობს ალსასრული ქვეყნიერებისა, რომელიც, მისი აზრით, განწირულია და უკვე იმყოფება კრახის ზღურბლზე. მას ეზიზღება ომისშემდგომი იაპონია, სადაც ადგილი არა აქვს „ნგრევასა და დაღუპვას“.

მსახიობი ოსამუ – საკუთარ სხეულზე შეყვარებული ლამაზი მამაკაცია. იგი გამუდმებით იყურება სარკეში, ათვალის-ერებს თავის ნავარჯიშე სხეულს: ანვალებს შეუძლებლობა იმისა, რომ დარწმუნდეს – ნამდვილად ვარსებობო. როგორც კი მოშორდება სარკეს, ეს რწმენა მისივე უქრება. ყოფნის ჭეშმარიტების დასაბუთებად მსახიობისთვის ხდება ტკივილი: „როცა დაინახა, სისხლის ნაკადი როგორ ჩამოედინებოდა კანზე, ოსამუმ მთელი სისავსით პირველად შეიგრძნო, რომ ნამდვილად ცხოვრობდა. მას ისე ძალუძდა უყვარდა თავისი ახალგაზრდა სხეული, რომ ვნების მოკვლა შეეძლო მხოლოდ იმით, რომ ეს სხეული აეკუნა და თავისი სისხლი, ყოველგვარ ეჭვგარეშე, გამოეშვა...“ ოსამუ, თავის საყვარელთან ერთად, შეასრულებს „სინძიუს“ ანუ ორმაგ თვითმკვლელობას.

მოკრივე სიუნკიტის სჯერა მხოლოდ ქმედება, მისი პრინციპია – „თავი არაფრით არ უნდა გამოიტენო“. მას სძულს მშვიდი და მოსაწყენი ცხოვრება, რომელიც გარს არტყია და შურს ხვედრი ომში დაღუპული უფროსი ძმისა. სიუნკიტი შედის ულტრამემარჯვენე ორგანიზაციაში, თუმცა სრულიადაც არ აინტერესებს პოლიტიკა. ექსტრემიზმი აძლევს საშუალებას „ჩვენს ნორმალურ საუკუნეშიც კი იმყოფებოდე სიკვდილის გვერდით“. სიუნკიტი იღუპება ქუჩაში ატეხილ ჩხუბში.

ამგვარად, მწერლის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მის წინ გახსნილ ორ გზას მიჰყავს სიცოცხლისაკენ, ორსაც – სიკვდილისაკენ. მისიმაში სულდგმულობდნენ მხატვარიც, ქურუმი მშვენიერებისა და ბედის ნებური სეიტირიც (მწერალმა ხომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მიაღწია წარმატებას, დიდებას, სიმდიდრეს), ნარცისისტი ოსამუც და სისხლმონყურებული ინსტინქტებით შეპყრობილი სიუნკიტიც. შეკრები, როცა რომანის პერსონაჟთან ყველაზე პრიმიტიული პირის – მოკრივის ბედ-იღბალში შეუცდომლად ამოიცნობ მწერლის შემდგომი ცხოვრების გზის ზუსტ ნიშნებს. გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და მისიმა ხელოვნების სამსახურს, ამქვეყნიურ სიამეებსა და სადომაზოხისტური ფანტაზიებით გულახდილ ტკობასაც კი ზურგს შეაქცევს და ამჯობინებს მოკრივის გზას, რომელიც, ჩანს, უფრო მართებული და ღირსეული მოეჩვენება.

**6. „პატრიოტიზმი“**

და მაინც, „კიოკოს სახლი“ ჯერ კიდევ გულისხმობს არჩევანის თავისუფლებას – თუნდაც იმიტომ, რომ მოკრივის დამოკიდებულება პოლიტიკის მიმართ, „მემარჯვენეთა“ მიმართ გვიჩვენებს დაუფარავ ირონიას, და სიუნკიტის ექსტრემიზმი მეტი არაფერია, თუ არ საშუალება „სიკვდილის ექსტაზის“ მისაღწევად. მაგრამ ირონია ის გრძობა როდი გახლავთ, რომელსაც ძალუძს უბიძგოს თვითგანადგურების სისხლიანი აქტისკენ: მისიმა ესაჭიროებოდა მძვინვარე, მსჯელობასმოკლებული იმპულსი, რომელსაც იძლევა მხოლოდ ფანატიზმი.

1961 წელს გამოჩნდა ნოველა „პატრიოტიზმი“, რომელმაც განსაზღვრა შემოქმედებითი გზა და ბედი მწერლისა მისი ცხოვრების უკანასკნელ ათწლეულში. მოქმედება მიმდინარეობს 1936 წლის თებერვალში, როდესაც ახალგაზრდა, ნაციონალისტურად განწყობილ ოფიცერთა ჯგუფმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ, მათი აზრით, ზედმეტად ლიბერალური მთავრობით, მოაწყო სამხედრო პუტჩი. შეთქმულნი ამტკიცებდნენ, რომ აჯანყების მიზანია დაუბრუნოს იმპერატორს უნამუსო მინისტრთა მიერ უზურპირებული ძალაუფლება. მას შემდეგ, რაც ჰიროჰიტომ დაგმო თავისი არამკითხე „ქომაგინ“, მოხერხდა ამბოხის საკმაოდ სწრაფად ჩახშობა. ამ ფანატიკური, სისხლისმღვრელი გამოსვლის ამბავი აფორიაქებდა მისიმა წარმოსახვას, აქ ყველაფერი ლაგდებოდა ამოჩემებულ ესთეტიკურ ფორმულაში: ახალგაზრდა (და მამასადაამე – მშვენიერი) მხედარნი უხვად ღვრიდნენ სხვათა სისხლს, მერე არ დაენანათ თავიანთი სისხლიც (ორმა ოფიცერთა ჰარაკირი ამჯობინა ტყვეობას). მწერალი თავის ნაწარმოებებში კიდევ არაერთხელ დაუბრუნდება 1936 წლის თებერვლის მოვლენათა აღწერილობას.

ნოველაში აღწერილია ახალგაზრდა ცოლ-ქმრის თვითმკვლელობა. გვარდიის პორუჩიკი ტაკეიამა აღმოჩნდება გა-

დაუჭრელი მორალური დილემის წინაშე და ჰარაკირის იკეთებს. მისი თვალწარმტაცი ცოლი, როგორც შეეფერება სამურაის მეულლეს, ასევე იკლავს თავს. მისიმა სურდა ეჩვენებინა, თუ რაგვარ ადამიანებს თვლის ჭეშმარიტად იაპონური სულისკვეთების მატარებლებად, მაგრამ ტალანტმა დაჯაბნა ავტორის ჩანაფიქრი. მოვლენათა განვითარებისას კომპარული რიტუალის იდეური სარჩული უკან იხევს, დავინყებას ეძლევა და უეცრად იბადება მწველი, ავადმყოფური შეგრძნება ტრაგიკული დანაკარგისა, სიცოცხლეთა და სიყვარულით აღსავსე ორი ახალგაზრდა ადამიანის დაღუპვისა – თუმცა ფინალის ამგვარი აღქმა სუბიექტურია; ყოველ შემთხვევაში, ავტორი აშკარად ანგარიშობდა სრულიად სხვა ეფექტს. წარმოქმნილ შეგრძნებას დანაკარგისა, რომელსაც ვერ გაამართლებ ვერავითარი ამაღლებული საბუთებით, ხელს არ უშლის პრეტენზიული, დროდადრო უგემოვნობის მიჯნამდე მისული სტილი, უწინ რომ არ ახასიათებდა დახვეწილ ესთეტს – მისიმა. ორმაგი თვითმკვლელობის „იდეოლოგიური“ დასაბუთება (პატრიოტული გრძნობები და თავყვანისცემა იმპერატორისა) არცთუ მკაფიოდ არის მოცემული, თითქოსდა სხაპასუხით – იგრძობა, რომ მწერლისათვის ჯერჯერობით ეს არაა მთავარი. სამაგიეროდ თავად ჰარაკირის პროცესი ნაჩვენებია შემზარავი ჩაკირკიტებით.

მკითხველს, რომელიც არ იცნობს მისიმა წინარე ნაწარმოებებს, ნამდვილად გაუგებარი მოეჩვენება მტკიცება ავტორის ბოლოთქმაში, რომ „პატრიოტიზმი“ – „არც კომედია არის და არც ტრაგედია, არამედ – თხრობა ბედნიერების შესახებ“. მაგრამ მტანჯველი სიკვდილი ახალგაზრდა, ლამაზი სხეულისა, სწორედ ის ხვედრი წმინდა სებასტიანესი, იყო ბედნიერების უმაღლესი გამოვლინება მისიმათვის.

სიკვდილის წინ პორუჩიკი და მისი ცოლი უკანასკნელად და გახელებით ეძლევიან სიყვარულს. „მოსალოდნელი აგონია ტკობას ამკობდა აქამდე განუცდელი სინატიფითა და სინმინდთ“. ამრიგად ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, საბედისწერო ძენკვი აიგო: მისიმათვის ეროტიკა უცვლელად არის შეუღლებული ტკივილთან, სისხლსა და სიკვდილთან – აი, ის ბედნიერება, რომელზეც არის ლაპარაკი ბოლოთქმაში; ხოლო გზა ბედნიერებისაკენ ძვეს სიკვდილში, რომელიც ნაკურთხია პოლიტიკური იდეის ბრწყინვალეობით. პორუჩიკი დარწმუნებულია, რომ „ხორციელ ლტოლვასა და პატრიოტულ გრძნობას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს, პირიქით – მისთვის ეს ორი ვნება ბუნებრივად ერწყმობა ერთმანეთს და ერთიანდებოდა“.

ჰარაკირი, შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ხერხი თვითმკვლელობისა, მეტი რომ არ შეიძლება, ისე შეეფერებოდა მისიმა მიზნებს, შეითავსებდა სისხლსაც და აუტანელ ტანჯვასაც. და რამდენადაც ჰარაკირი ითვლებოდა სამურაების ნოდების პრივილეგიად, ჭეშმარიტად იაპონურ „გამოგონებად“, მაშინ საიმისოდ, რათა კაცს მიემართა მისთვის მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, საჭირო იყო, რომ უკიდურეს, ფანატიკურ ნაციონალისტად გადაქცეულიყო. აი, ის გზა, რომელსაც ამიერიდან გაუყვება მისიმა.

**7. „ზღვა დოვლათისა“**

მთელი 60-იანი წლების განმავლობაში მისიმა თითქოსდა ციებ-ცხელება ჰქონდა შეყრილი, იგი მართლაც რომ იხლიჩებოდა ლიტერატურულ შრომასა, თეატრსა, კინოსა და გამასავათებელ ვარჯიშს შორის; ბევრს მოგზაურობს, ხოლო მოგვიანებით, ათწლეულის დამლევს, აურაცხელ დრო-

სა და ძალ-ღონეს ხარჯავს თავისი „პრეტორიანელთა გვარ-დიის“ შესაქმნელად. მაგრამ მთელი ეს მოღვაწეობა უკვე ემორჩილება ერთ, საბოლოო მიზანს, წინასწარ განსაზღვრულ ფინალს, რომელიც თვალბედითი მორევის მსგავსად ითრევეს მისი მას თავის წიაღში – ჯერ ნელ-ნელა, მერე უფრო და უფრო სწრაფად. მრავალრიცხოვან ესეებსა და სტატიებში მწერალი ფოკუსში მოქცევით გამოხატავს თავის ნაციონალისტურ პოზიციას. კინოში მსახიობად მუშაობა ნააგავს მომავალი რიტუალის რეპეტიციებს: ხან პერსონაჟი, განგსტერი იღუპება მკვლელთა ტყვიით, ხანაც ისტორიულ ფილმში სამურაი იკეთებს ჰარაკირის... იაპონიაში და საზღვარგარეთაც დიდი ხმაური გამოიწვია ოცნთიანმა ფილმმა „სიყვარულისა და სიკვდილის წეს-ჩვეულება“ – მისი მას ნოველის („პატრიოტიზმი“) მიხედვით რომ გადაიღეს. პორუჩიკის როლის შესრულება მისი მამ, რა თქმა უნდა, არავის დაუთმო. ტანადი, კოხტა მუნდირში გამოწყობილი, თვალეზზე ჩამოფხატული ქუდი, თვით-მკვლელი მუცელს იფატრავდა – კინოკამერა თითქოსდა იჭვრიტებოდა მომავალში, ხუთი წლის შემდეგ რომ დადგებოდა. მაგრამ ვინც არ უნდა ჰგონებოდა თავი მისი მას ბოლო წლებში – პოლიტიკოსი, სამურაის სულისკვეთების დამცველი თუ მსახიობი, – უწინარეს ყოვლისა ის იყო მწერალი და რჩებოდა მწერლად კუბოს ფიცრამდე. 25 ნოემბერს დილით, ვიდრე თავის უკანასკნელ როლს ითამაშებდა, იგი სანერ მაგიდაზე ტოვებს ტეტრალოგის („ზღვა დოვლათისა“) დასკვნით ნაწილს, რომელზეც მუშაობდა 60-იანი წლების მთელი მეორე ნახევრის მანძილზე. ლიტერატურული შრომის დასასრული და სიცოცხლის აღსასრული ემთხვევა ერთსა და იმავე დღეს.

ტეტრალოგია წარმოადგენს ეპოპეას, რომელიც მოიცავს იაპონიის საზოგადოების ცხოვრების ექვს ათწლეულს – საუკუნის დასაწყისიდან 70-იანი წლების შუამდე (ე.ი. მთავრდება მომავალში). ოთხი რომანიდან თითოეული – დასრულებული და მთლიანი ნაწარმოებია, მაგრამ, ამასთან ერთად, ყოველი ნაწილი გაერთიანებულია საერთო იდეით, აგრეთვე გამჭოლი პერსონაჟით, სახელად ჰონდა რომ ჰქვია.

ახალგაზრდობაში ჰონდა მეგობრობდა კიოაკის, არისტოკრატიული გვარის მშვენიერ ჭაბუკს. თავის სატრფოსთან – სატოკოსთან ძალით გაყრილი კიოაკი კვდება ოცი წლის ასაკში – ეს მოვლენები აღწერილია პირველ რომანში „გაზაფხულის თოვლი“. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კიოაკი ეუბნება მეგობარს: „ეს-ეს არი, სიზმარი ვნახე. ვიცი, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, ჩანჩქერქვეშ“.

და მეორე ნიგნში – მას ეწოდება „მქროლავი ცხენები“ – ოცი წლის შემდეგ, 30-იანი წლების დამდეგს, ჰონდა ჩანჩქერთან ხვდება ჭაბუკს, რომელსაც მარცხენა ფერდზე სამი ხალი აქვს, ზუსტად ისევე, როგორც კიოაკის. ისაო – ასე ჰქვია გმირს თავის ახალ ხორცშესხმაში – არა ჰგავს დახვეწილ, გრაციოზულ კიოაკის. კუნთებიანია და ჯანღონიანი, სატრფიალო საქმენი არ იზიდავს – ისაო შეპყრობილია ნაციონალისტური იდეებით. რომანის ბოლოში იგი კლავს ფინანსისტ

კურაპარას, რომელიც მის თვალში განასახიერებს ვერაგობას, ცინიზმსა და მექრთამეობას. მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, ზღვის მალალ ნაპირზე მჯდარი ისაო იკეთებს ჰარაკირის. აი, რომანის უკანასკნელი სტრიქონები: „ისაომ ღრმად ამოისუნთქა და მარცხენა ხელისგული მოისვა მუცელზე. მერე თვალეზი დახუჭა, ხანჯალი მიიზღინა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სხეულში ჩაისო. მარცხენა ხელის თითებით კი ხანჯლის წვერს წარმართავდა. იმ წამს, როცა ხანჯლის პირმა ხორცში შეაღწია, ისაომ მოხუჭული ქუთუთობიდან დაინახა ამომავალი მზის წითელი დისკო“.

ჭაბუკის სიკვდილამდე ორი დღით ადრე ჰონდა ზის მძინარე ისაოს სასთუმალთან და ესმის, ძილში როგორ ბუტბუტებს იგი: „აქედან შორს... სამხრეთში... სადაც ძალიან ცხელა... ტროპიკების ვარდისფერი მზის ქვეშ“.

და რვა წლის შემდეგ ჰონდა ისევ ხვდება კიოაკის მისი შემდგომი რეინკარნაციისას ტაილანდში, სადაც იწყება მოქმედება რომანისა „განთიადის ტაძარი“. ნახევრადმეშლილი ტაელი პრინცესა, შვიდი წლის ინ ჩანი მივარდება ჰონდას და უმტკიცებს, რვა წლის წინათ დაღუპული იაპონელი ვარო. იგი უამბობს კიოაკისა და ისაოს ცხოვრების მოვლენებს. მერე იწყება ომი, რომელიც ჰონდას კარგა ხნით დააშორებს გოგონას, და შეხვდება მას მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ ტოკიოში, სადაც ინ ჩანი სასწავლებლად ჩადის. უზომო ძალისხმევითა ფასად ჰონდა ახერხებს გაარჩოს სამი საწუკვარი ხალი პრინცესას ფერდზე. მერე ისევ კარგავს თვალთაგან და

თხუთმეტი წლის შემდეგლა შემთხვევით შეიტყობს, რომ ინ ჩანი ოცი წლის ასაკში დაიღუპა კობრას ნაკბენისგან (წინარე რომანში ისაოს დაესიზმრა, რომ მწვანე გველი კბენდა).

ტეტრალოგის პირველი სამი ნაწილი გამოქვეყნდა მისი მას სიცოცხლეში და ისინი წარმოქმნიან მწყობრ მონათხრობს, რომელსაც საფუძვლად უდევს ბუდას იდეა სულთა გარდასახვაზე. მაგრამ დასკვნითი რომანი „დაცემა ანგელოზისა“, თითქოსდა ლიტერატურულ ანდერძად რომ დატოვა მწერალმა, არსებითად, გადახაზავს სამ წინარე ნაწილს, აქცევს ფარსად.

ჰონდა უკვე ღრმა მოხუცია, ცხოვრობს ნაშვილებ ჭაბუკთან ერთად; ეს არის თექვსმეტი წლის ტოორუ; ჰონდას სჯერა, რომ იპოვა კიოაკის ახალი გარდასახვა – ტოორუსაც სამი ხალი აქვს ფერდზე. საბოლოო დასაბუთებად უნდა გახდეს ჭაბუკის დაღუპვა ოცი წლის ასაკში. და მართლაც, თავისი ოცდამეერთე დაბადების დღის წინ ტოორუ სვამს ტექნიკურ სპირტს, მაგრამ არ კვდება და მხოლოდ ბრმავდება. ჰონდა ხვდება, რომ შეცდა. სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს და მიემგზავრება მონასტერში, სადაც აქამდე ცხოვრობს სატოკო, მშვენიერი კიოაკის ოდინდელი სატრფო. მაგრამ იგი შეცბუნებით შეჰყურებს მომსვლელს და ამბობს, არავითარ კიოაკის არ ვიცნობდიო. განცვიფრებული ჰონდა წამოიძახებს: „მაგრამ თუკი არ ყოფილა კიოაკი, მაშინ არც ისაო ყოფილა და ინ ჩანიც არ ყოფილა! და ვინ იცის, ეგებ არც მე ყოფილვარ!“



იუკიო მისიმა სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე

ყველაფერი ყოფილა ილუზია – კიოაკის რომანტიკული სიყვარულიც, ისაოს სისხლიანი სიკვდილიც, სულთა გარდასახვის იდეაც და თავად ადამიანის ცხოვრებაც. თავისი ლიტერატურული გზის ბოლოში მისიმამ დასვა ვეებერთელა კითხვის ნიშანი – ჩამოიხსნა კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი ნილაბი. როგორც ჩანს, ლიტერატურათმცოდნეები დიდხანს იკამათებენ იმის თაობაზე, თუ რის თქმა სურდა მისიმას თავისი ცხოვრების მთავარი ნაშრომის ამგვარი დასასრულით. შესაძლოა, შეისწავლა რა სულიერი გარდასახვის ციკლის „რინეს“ კონცეფცია და უკუაგდო იგი, ამით მისინაფოდა დაერწმუნებინა თავი მოსალოდნელი სიკვდილის აბოლუტურობასა და შეუქცევადობაში? ბიჭს „ნილბის აღსარებიდან“ ტყუილად როდი არ უყვარდა ზღაპრები, რომლებშიც მოკლული უფლისწულები ხელახლა ცოცხლდებიან.

8. ზინალი

ჰენრი სკოტ-სტოუქსი, ერთ-ერთი ავტორი მისიმას ბიოგრაფიისა, დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ მწერლის ცხოვრების უკანასკნელი წლები ემორჩილებოდა გულდასმით დამუშავებულ გეგმას, რომელშიც „სიკვდილის ექსტაზთან“ მიახლოების საფეხურები ზუსტად ემთხვევა ტეტრალოგიაზე მუშაობის ეტაპებს. 1966 წლის შემოდგომის დამლევს მისიმამ ამთავრებს „გაზაფხულის თოვლს“ და შედის თვითდაცვის ძალეში. 1968 წლის ზაფხულში ამთავრებს „მქროლავ ცხენებს“ და ქმნის თავის „ფარის საზოგადოებას“. 1970 წლის გაზაფხულზე, როდესაც დასრულებულია „განთიადის ტაძარი“, მწერალი დეტალურად ამუშავებს იმ „აქციის“ სცენარს, რომელამდეც მთელი რვა თვე დარჩენილა. დასასრულ, იმავე წლის ნოემბერში სვამს ბოლო ნერტილს ტეტრალოგიაში და თავის ცხოვრებასაც უსვამს ნერტილს.

ყველაფერი მზად იყო ეფექტური სპექტაკლის დასადგმელად, რომელიც მისიმასთვის გახდებოდა უზენაესი ნეტარების ნაში. ჩვეული აკურატულობით მოაწესრიგა თავისი საქმეები, დაემშვიდობა მეგობრებს – და ისე დაემშვიდობა, რომ ისინი მხოლოდ შემდგომში მიხვდნენ დასასრულ ნასროლი ფრაზისა თუ მზერის აზრს.

როგორ დასრულდებოდა „შეთქმულება“ – მისიმასთვის ეს ცხადზე ცხადი იყო. არსებობს უამრავი მონშობა იმისა, რომ თავად მწერალიც სერიოზულად არ უყურებდა ამბოხების განზრახვას. არა, მისიმას განა ესაჭიროებოდა მისი სიტყვით აღფრთოვანებული რამდენიმე ასეული ჯარისკაცის სათავეში ტრიუმფალური სვლა პარლამენტის შენობისაკენ? (და, კაცმა რომ თქვას, ძნელი წარმოსადგენია, ამგვარი დემონსტრაცია პრაქტიკულად რას მოუტანდა) – მას მარტოოდენ სწყუროდა შესაფერი დეკორაცია თვითმკვლელობისათვის.

ჯერ კიდევ 50-იანი წლების დამლევს, „ოქროს ტაძრის“ შემდეგ მისიმამ მიხვდა, რომ ერთადერთი შესაძლებელი გზა გადარჩენისა მისთვის იყო უარის თქმა თავის სილამაზის კონცეფციაზე („ლამე, სისხლი და სიკვდილი“). მან სხვა არჩევანი გააკეთა.

ისლა გვრჩება, რომ აღვწეროთ მწერლის ცხოვრების ფინალი, დიდი ხნის ნანატრი შერწყმა თავისი გულისთქმის საგანთან: „სიკვდილის ექსტაზთან“, „ყოფიერების უმაღლეს ნამთან“, „ლოცვა-კურთხევასთან“, „მანათობელ სუბსტანციასთან“ – ეპითეტები, რომლებითაც მისიმამ დააჯილდოვა სიკვდილი, იმდენია, რომ ისინი შეიძლება სპეციალური კვლევის საგანი გახდეს.

უკვე ველარავინ გვიამბობს, რას შეიგრძნობდა მისიმამ თავისი ცხოვრების ყველაზე საზეიმო დღეს, – ასე ვთქვათ,

რა ხდებოდა „კულისებს მიღმა“, ხოლო „სცენაზე“ ფარდა აიხადა 1970 წლის 25 ნოემბერს ზუსტად 11 საათზე, როდესაც დედაქალაქში განლაგებული იტიგაის სამხედრო ბაზის ეზოში გაჩერებული მანქანიდან გადმოვიდა მწერალი იუკიო მისიმამ, რომელსაც ტანზე შემოტმანსილი ჰქონდა „ფარის საზოგადოების“ საოპერეტო მუნდირი. ფერდზე ეკიდა ძველებური, XVI საუკუნის მახვილი. „ცენტურიონს“ თან ახლდა ზუსტად ასეთსავე მუნდირში გამონყობილი ოთხი ახალგაზრდა. სტუმრები შეიყვანეს ბაზის კომენდანტის, გენერალ მასიტას კაბინეტში. 11 საათსა და 5 წუთზე, თავისი წინამძღოლის სიგნალით, სტუდენტებმა გაკოჭეს გენერალი და კარი ჩახერგეს. მისიმას, მეხუთე დანის მფლობელს ფარიაკობაში, არ გასჭირვებია მახვილით მოგვერიებინა დაბნეულ და გაოგნებულ შტაბის ოფიცერთა ორგზის შემოჭრა (ამასთანავე, მან მსუბუქად დაჭრა რამდენიმე კაცი – დაიფარა პირველი სისხლი ამ სისხლიანი დღისა), 11 საათსა და 30 წუთზე ტერორისტთა მოთხოვნა, რომ ეზოში შეეკრიბათ გარნიზონის ჯარისკაცები, დაკმაყოფილებულ იქნა. 12 საათზე მისიმამ გამოვიდა შენობის ფართო აივანზე, აძვრა პარაპეტზე და მოხდენილად დონიჯშემოყრილი გაშეშდა. მერე თეთრი ხელთათმანის ხელის ქნევით შეუდგა წინასწარ გამზადებული სიტყვის ნარმოთქმას, მაგრამ მისი თითქმის არავის ესმოდა: ბაზას, უკვე თხუთმეტი წუთი იქნებოდა, თავს დასტრიალებდნენ პოლიციის ვერტმფრენები; ანრიალელებული ჯარისკაცები ყვიროდნენ და ყაყაბდნენ – ვერ გაეგოთ, რატომ შეიპყრო მათი მეთაური სახელგანთქმულმა მწერალმა.

„თქვენ სამურაები ხართ თუ არა?! თქვენ ვაჟკაცები ხართ თუ არა?! თქვენ ხომ მეომარნი ხართ! და ნეტავი რატომ იცავთ კონსტიტუციას, რომელიც კრძალავს არმიის არსებობას?!“ – მღელვარებისგან მისიმას ხმა ჩაუწყდა. ჯარისკაცები კი ყვიროდნენ: „იდიოტო!“ „ჩამოძვერი მაქედან!“ „გამოუშვი ჩვენი მეთაური!“ „მისიკვდილეთ ეგა!“

ხუთი წუთის შემდეგ, სიტყვის დაუმთავრებლად, მისიმამ ჩამოხტა პარაპეტიდან და ოთახში დაბრუნდა. „ისინი არც კი მისმენდნენ“, – უთხრა თავის „პრეტორიანელებს“. შემდეგ შეისხნა მუნდირი, შიშველ ტანზე რომ ეცვა, ქვევით დაუშვა შარვალი, ხელიდან მოიხსნა საათი და წითელ ხალიჩაზე მოკალათდა. ერთ-ერთმა სტუდენტმა მიანოდა ქალაღი და პატარა ფუნჯი – მისიმას თავისი სისხლით უნდა დაენერა გამოსათხოვარი ლექსი, როგორც სამურაების წეს-ჩვეულება მოითხოვს. „ეს მე არ დამჭირდება“, – მშვიდად ნარმოთქვა მან. ხანჯალი აიღო ხელში, სამჯერ დაიძახა: „გაუმარჯოს იმპერატორს!“ და ხანჯლის პირი ჩასცა თავისი მუცლის მარცხენა ქვედა ნაწილში. გრძელი, ჰორიზონტალური ჭრილი მოათავა და პირისახით დაენარცხა ხალიჩას. ახლა, რიტუალის თანახმად, სეკუნდანტს უნდა შეენყვიტა თვითმკვლელების ტანჯვა და მახვილით თავი მოეკვეთა მისთვის. მორიტამ, რომელსაც ერთი წუთის შემდეგ ასევე უწევდა სიკვდილი, მახვილის პირი სამჯერ დაუშვა ჯერ კიდევ ცოცხალ სხეულზე, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახვედრა კისერში. მეორე სტუდენტმა გამოართვა მახვილი და მოათავა საქმე: მწერლის თავი იატაკზე გაგორდა.

დედამ, მისიმას ყველაზე ახლობელმა ადამიანმა, ყველაზე უკეთესად რომ იცნობდა მას, თქვა: „კიმიტაკემ თავისი სიცოცხლეში პირველად გააკეთა ის, რაც მას მართლაც სურდა. გაიზიარეთ მისი ზედნიერება“.


რუსულიდან თარგმნა  
თამაზ ნატროშვილმა

ნუგზარ მოლაშვილი

# მტარ-მოყვარენი



ელიზბარ ერისთავი



კრებული „ელიზბარ ერისთავი“ 1997 წელს გამოიცა. მასში ელიზბარ ერისთავის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებათა გარდა შეტანილია ოცზე მეტი ძველი თუ თანამედროვე ავტორის ლექსი, მოგონება თუ გამოკვლევა. ჩემი ყურადღება თავიდანვე მიიქცია მანანა ხომერიკის ნარკვევებმა „ისტორიის პარადოქსები“ და

„შენს მინას მიმაბარეო“, რომლებშიც საუბარია ერისთავების, რომანოვებისა და ბაგრატიონების დინასტიებზე და მათ საერთო შთამომავლებზე.

თვით ავტორისათვის „ისტორიის პარადოქსების“ დაწერის საბაზად ივანე ამირხანაშვილის მიერ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1996 წლის აპრილში გამოქვეყნებული წერილი „უთქმელი სიტყვა“ ქცეულა, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ ქალაქ გორში ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენებელი პარაკლისის გადახდას ეხებოდა.

ბ-ნი ივანე აღნიშნავდა: „რას წარმოიდგენდა შანშე ერისთავი, როცა აჯანყებულ მთიულეებს ფინდიხს უშენდა (იგულისხმება 1804 წლის აჯანყება. ნ.მ.) და რუსის ჩექმას სამხრეთის გზას უკვალავდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გაუჩნდებოდა ვაჟი, რომელიც ფარულ ორგანიზაციას შექმნიდა და მოამზადებდა აჯანყებას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ“.

შანშე ერისთავი მართლაც გამოირჩეოდა რადიკალური რუსოფილური განწყობილებით და ამას არც ელიზბარი უარყოფდა. მისი სიტყვით, რუსები „ერისთავებმა მოიყვანეს და ერისთავები გარეკავენო“.

როგორც ქ-ნი მანანა აღნიშნავს, ისტორიის ბორბალი კიდევ უფრო გასაოცრად დატრიალებულა: ელიზბარ ერისთავისა და რომანოვების მემკვიდრეთა გზები უკვე სხვა ვითარებაში გადაკვეთილა. რას წარმოიდგენდა რომანოვთა იმპერიის წინააღმდეგ თავგანწირული მეტრძოლი ელიზბარ ერისთავი, რომ რუსეთის საიმპერატორო ტახტის დღევანდელი მემკვიდრის, გიორგი რომანოვის ძარღვებში მისი, ელიზბარის სისხლიც იჩქეფებდა?!

P.S. უკვე რამდენიმე წელია გორს ელიზბარ ერისთავის ძეგლი ამშვენებს. კრებულის წინათქმაში ასეთი პასაჟიცაა: „დაკარგული გვყავდა და ვიპოვნეთ, დაკარგული ვყავდით და გვიპოვნა, ახლა ველარაფერი გაგვყრის“.

ეს ისტორიის პარადოქსი აღარ არის!


ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენაა!

მართლაც, რას წარმოიდგენდა შანშე ერისთავი?!



აკაკი ბაქრაძე

# 14 აპრილის ძრონიკა



დაახლოებით ორი თვით ადრე საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის ე. შევარდნაძის თანაშემწემ, ცეკას წევრმა ვლ. ალფენიძემ (ლადო ბახტრიონელმა) ერთ-ერთ თავის ახლობელს უთხრა: არ ვიცი რა ვქნათ, მოსკოვი გვაძალეხს, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციიდან ამოვიღოთ მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ.

24 მარტს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ-ს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მოქმედი კონსტიტუციიდან, მასში მუხლი ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ არ არსებობდა, მის ნაცვლად იყო მუხლი 75, არაფრის მთქმელი და წინააღმდეგობრივი.

ეს წინააღმდეგობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ იმ დღეებშივე თავის სატელევიზიო გამოსვლაში (თბილისის ტელევიზიით) საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ საგანგებოდ გამოყო 75-ე მუხლი, როგორც ეროვნული პოლიტიკის შესანიშნავი დადასტურება, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ მისი ფორმულირება, განსაკუთრებით კი სიტყვა „ხმარება“ მოითხოვს შემდგომ სტილისტურ დაზუსტებას.

24 მარტს დილის გაზეთებში დაიბეჭდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. იმავე საღამოს გა-

ზეთებმა, რომლებიც 6-7 საათზე იყიდება, გამოაქვეყნეს ანგარიშები თუ როგორ ერთხმად მოინონეს კონსტიტუციის პროექტი თბილისის სორცკომბინატსა და სტალინის სახელობის ელმავალ-შემკეთებელ ქარხანაში.

ამ სპექტაკლის მომწყობთ ისიც კი დაავიწყდათ, რომ რადგან მუშები ამ დღესაც ისევე მუშაობენ, როგორც სხვა დღეებში, დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხებდნენ არამცთუ ნაკითხულზე დაფიქრებას, არამედ მის ნაკითხვასაც კი.

მაგრამ ეს ორგანიზებული განხილვა-სპექტაკლი მალე თვით დამდგმელების საწინააღმდეგოდ შეტრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი ყოველმხრივ ცდილობდა ზემოქმედება მოეხდინა, დაემინებინა და დაეხინა ადამიანები. ასეთი დამოკიდებულება იგრძნობოდა ცენტრალურ კომიტეტში საგანგებო თათბირზე გამომძახებულ თანამდებობების მიმართ, შემდეგ იგი მძაფრდებოდა და უფრო და უფრო მახინჯ ფორმებს ლეზულობდა უფრო დაბალ ინსტანციებში: შემთხვევითი ხალხით კრების ნაუცბათეგად მონყობა თუ სხვა საათზე დანიშვნა და სხვაზე ჩატარება, ჩატარება არა საერთო კრებისა, არამედ განყოფილებებში, ლაბორატორიებში, კათედრებზე თუ საამქროებში, ჩატარება კრებისა, და ამდენად ხალხის დაქსაქსვა წინასწარ მომზადება გამომსვლელების, კრიტიკით გამომსვლელთა პრესტიჟის დამოკიდებულება. კრებათა ოქმების ფალსიფიცირება თუ გადამალვა, ყოველი ღონისძიებით

იმ ლიტერატურულ პროექტებს შორის, რაც ბოლო წლებში განხორციელდა ქართულ რეალობაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აკაკი ბაქრაძის თხზულებათა რვატომეულის გამოცემა.

თვალსაჩინო პუბლიცისტის, კრიტიკოსის, ბიოგრაფიული რომანის ოსტატისა და საზოგადო მოღვაწის ვრცელი და უაღრესად მრავალფეროვანი შემოქმედების ერთად თავმოყრა უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის მის პიროვნებასა და ღვაწლზეც და ქართული კრიტიკული და პუბლიცისტური აზროვნების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვანსა და დრამატულ ხანაზეც.

არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ ჩვენი გამოცემის მკითხველთა გამოკითხვამ ამ რამდენიმე წლის წინათ აკაკი ბაქრაძეს XX საუკუნის ხუთ საუკეთესო კრიტიკოსის შორის მიუჩინა ადგილი.

ექვსი დიდტანიანი ტომი უკვე სამზოვზეა.

ორიც მალე გამოჩნდება, ზედიზედ მოჰყვება ერთიმეორეს და კეთილშობილი ჩანაფიქრი უთუოდ ისევ მოთავდება, რაც მესვეურებს წინასწარვე ჰქონდათ ნაგულისხმევი.

აქ აღარ ჩამოვთვლით იმ პიროვნებებს, რომელნიც მონაწილეობენ ამ დიდად მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებით ხორცშესხმაში, მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთს – აკაკი ბაქრაძის მეუღლეს, ქალბატონ ნელი ბაქრაძეს, ვისმაც მონდომებამ და გულმოდგინებამ ამ უამრავი მასალის თავმოსაყრელად და დასალაგებლად ბევრწლიად განსაზღვრა გამოცემის მასშტაბურობა.

ზოგჯერ სქემა კი, რაც საფუძვლად დაედო რვატომეულს, თვითონ აკაკი ბაქრაძის მიერ დატოვებული ჩამონათვალია, თუ როგორ უნდა აგებულიყო ტომეულები.

მკითხველისათვის კარგად ცნობილი და საყვარელი პუბლიცისტური სტატიების, ლიტერატურული ნარკვევების, მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნიმუშების, დიალოგების გვერდით გამოჩნდება არაერთი უცნობი თხზულებაც, კრიტიკოსის არქივში ჩარჩენილი და მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელოვნო-ლიტერატურული ცხოვრების ამრეკლავი.

მათ შორისაა 14 აპრილის ეს ქრონიკაც.

გაციკლებული ვერსია აკაკი ბაქრაძეს ჩართული ჰქონდა დოკუმენტურ რომანშიც „ნიღბების სამყაროში“. ეს საგანგებო ნარკვევი გამოცემაზე ვრცელია და არაერთი საგულისხმო დეტალით სავსე.

აკაკი ბაქრაძე ერთ-ერთი შთამაგონებელი გახლდათ ამ უმნიშვნელოვანესი აქტისა XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში და სანდო მემკვიდრეც, ვის მიერ შექმნილი ეს დოკუმენტური წყარო მკითხველსაც ძალიან წაადგება და ისტორიკოსებსაც ამ დღის, ამ ისტორიული მოვლენის გააზრებისა და შეფასებისას, თორემ ზერეულე, ცრუ, უკულმართი ქრონიკები და მონმობანი არაერთი დაზავებულია ამ დღის ირგვლივაც და ყალბიმქნელობა იქამდეც მისულა, რომ მთლად იმათ დაუჩემებიათ მისი შთამაგონებლობა, რომელნიც მთელი არსებით უპირისპირდებოდნენ 14 აპრილსაც და ეროვნული ვინაობის აღდგენისა და თვითდადგინების პროცესის ყოველ გამოვლენასაც.

თავზე მოხვევა ოფიციალური აზრისა – იყო გეგმაზომიერი, მოფიქრებული და შორს გამიზნული პოლიტიკა.

თუმცაღა ფორმალურად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, სადაც წერია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა „უზრუნველყონ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი, ნამდვილად საქმიანი და საყოველთაო-სახალხო განხილვა მშრომელთა კოლექტივების კრებებზე და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილებში (გაზ. „კომუნისტი“, №72, 1978, 26 მარტი), მაგრამ ისევე, როგორც ბევრი სხვა გადაწყვეტილება, ესეც ქალაქ-დზე დარჩა მხოლოდ, რეალურად კი საქმე სანინაალმდეგო იყო.

და მაინც, მიუხედავად ამისა, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის განსახილველად ძალზე მცირე დრო იყო გამოყოფილი (სამი კვირა) ხალხმა, ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ საკმაოდ მკვეთრად გამოთქვა თავისი აზრი და აიძულა რაკეტებით უზრუნველყოფილი კრემლის მთავრობა დაეთანხმებინა თავის სურვილზე, შეაცვლევინა პროექტი კონსტიტუციისა და მოქმედი კონსტიტუციის ფორმულირება დაეტოვებინა ძალაში.

თუმცაღა პრესაში – გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში ერთი სიტყვაც არ იყო თქმული იმაზე, რომ ბევრი დაწესებულება წინააღმდეგი იყო კონსტიტუციის პროექტის ამა თუ იმ პრინციპულად მნიშვნელოვანი მუხლისა.

იმავე თაობაზე „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროსა და მისი მეთაურის – პარტიისა და ხალხის გამორჩენილი შვილის ლ. ი. ბრეჟნევის გარშემო“ (გაზ. „კომუნისტი“, 26 მარტი, 1978, №72).

როგორც განხილვამ და 14 აპრილმა ცხადყო ხალხი მკვეთრად დაუპირისპირდა კომპარტიის ცეკასაც, მის პოლიტიბიუროსაც და პირადად ლ. ი. ბრეჟნევსაც.

მწერალთა კავშირში კონსტიტუციის განხილვა ორჯერ შესდგა, პირველად ნაუცბათევეად, 26 მარტს, დილით, დაუძახეს კავშირში მომსახურე პერსონალს. კრებაში მონაწილეობა მიიღო, იქვე, შემთხვევით მყოფმა რამდენიმე მწერალმაც. ნოდარ დუმბაძემ და ჯანსუღ ჩარკვიანმა მოიწონეს პროექტი, ხოლო როდესაც პროექტის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდნენ ნოდარ წულეისკირი, მურმან ლეზანიძე, იონა ვაკელი, როცა შეიქმნა საშიშროება დაუგეგმავი პრეცედენტისა, კრების თავმჯდომარემ, გიორგი ჟორჟოლიანმა კრება დახურულად გამოაცხადა, ხოლო „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მწერლებმა ერთხმად მოიწონეს პროექტი.

საერთოდ, განხილვის პროცესში პროექტის ბევრი მუხლი იქნა გაკრიტიკებული, მაგრამ შესაბამისი ინფორმაცია გაზეთში არცერთი არ დაბეჭდილა. არამცთუ გაზეთში, საკონსტიტუციო კომისიაშიც ოფიციალურად მხოლოდ ერთი-ორი კრების რეზოლუცია თუ მივიდა უარყოფითი გამოხატვებით. რაიკომებმა იზრუნეს, რომ მოწონება „ერთხმად“ ყოფილიყო.

ასეთმა პოზიციამ, ძალადობამ აზრის გამოთქმაზე, კრებათა ოქმების ფალსიფიკაციამ გამოიწვია პროტესტი მათ-

შიაც კი, ვინც ხელჩაქეული უყურებდა ყოველთვის ან ვიცაც, საერთოდ არ აინტერესებდა ეს განხილვა.

აზრის ჩახშობასა და ფალსიფიკაციაზე უშუალო რეაქციამ თავი იჩინა უნივერსიტეტის სტუდენტთა კოლექტიურ რეზოლუციებში, რომელსაც ფაკულტეტების მიხედვით ასობით სტუდენტი აწერდა ხელს.

თბილისის უნივერსიტეტში მდგომარეობა გაამწვავა იმან, რომ არც სტუდენტებსა და არც ლექტორებს არ მისცეს საშუალება გამოეთქვათ თავისი აზრი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. ჩატარდა ფიქტიური კრებები, ყალბ ოქმებში აისახა ერთსულოვანი მოწონება. ლექტორები იძულებულნი გახდნენ დაენერათ ცალკე წერილი თავისი შენიშვნებით, სადაც უარყოფდნენ 75-ე მუხლს. ამ წერილს ხელი მოაწერა ორმოცმა ლექტორმა, მაგრამ როდესაც წერილი მიჰქონდათ საკონსტიტუციო კომისიაში ჩასაბარებლად რექტორის მიერ უკან მიდევნებულმა ერთ-ერთმა ხელმოწერთაგანმა (ლ. სანიკიძემ) და კვბ-ს თანამშრომელმა წერილი გააჩერეს და რექტორს მიუტანეს.

სტუდენტები უფრო თავდარივანად მოიქცნენ. მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ოთხ ეგზემპლარად გადაბეჭდეს თავისი წერილი, ოთხივეზე ხელმოწერები იყო (ოთხასზე მეტი). რექტორისა და პარტკომის (გორდღეზიანი) დაჟინებული მოთხოვნით მათ თითო-თითოდ მოჰქონდათ წერილის ეგზემპლარები, მათგან ერთი კი უკვე გავზავნილი იყო საკონსტიტუციო კომისიაში.

საერთოდ, სტუდენტების წერილებს იმდენად მასობრივი ხასიათი ჰქონდა, რომ რექტორი თვით გახდა იძულებული მიეტანა საკონსტიტუციო კომისიაში უნივერსიტეტის სახელით წერილი, რომელშიც ბევრი შენიშვნა იყო გამოთქმული და კატეგორიულად უარყოფილი 75-ე მუხლი.

ანალოგიური წერილები დაიწერა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მაგრამ სტუდენტთა წერილების უმრავლესობა არ აღწევდა საკონსტიტუციო კომისიამდე, ისევე როგორც არ აღწევდა სხვადასხვა დანსებულებების კოლექტიური რეზოლუციები. პარტიული აპარატი ყოველის ღონისძიებით ცდილობდა ეროვნული კონფლიქტის ლოკალიზებას.

ამ სიტუაციაში ყველას ყურადღება მწერალთა კავშირისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც, როგორც იქნა, 12 აპრილს მიწვევით შეესწავლათ მოიწვიეს კრება. მაგრამ კრების ამბავი სწრაფად გახმაურდა. მწერლობამ უარყო პროექტის ბევრი მუხლი და საკმაოდ პირუთენელი შეფასება მისცა პროექტის შეფარებულ ანტიეროვნულ ჩანაფიქრს (იხ. ამ კრების ჩანაწერი).

მწერალთა კავშირის გამგეობამ კრების წინააღმდეგ ზომიერი თხოვნით მიმართა შევარდნაძეს, შეეტანათ პროექტში: „რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა“. თერთმეტში იგი დათანხმდა თითქოს, მაგრამ ეტყობა მოსკოვი არ დაეთანხმა, ამიტომ მწერალთა ახალ დემარშს იგი ამრეზილად შეხვდა.

ცამეტში ტელევიზიაში ნაჩვენები იქნა საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, სადაც შევარდნაძეს 75-ე მუხლის შესახებ არაფერი უთქვამს.

პოზიციები უკვე გარკვეული იყო. ინტელიგენცია, რომელსაც ახსოვდა სისხლიანი 1956 წელი, სასონარკვეთილი იყო, მაგრამ აქ სტუდენტობამ იმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ჯარი იქნა შემოყვანილი, თორმეტში, დილის 11 საათზე უნივერსიტეტთან დანიშნულ იქნა შეკრება, რათა სესიის გახსნისათვის, 12 საათზე მთავრობის სახლთან მისულიყვნენ.

14 აპრილს უნივერსიტეტთან 11 საათისათვის თავი მოიყარეს: რექტორმა, რექტორისა და პარტკომის მეთაურობით, ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ლალიძემ თავისი თანამშრომლებით, მილიციის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, მილიციონერებმა (უიარაღოდ), საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივანმა შარტავამ, რამდენიმე მწერალმა – მალღაფერიძემ, პეტრიაშვილმა, ჯალალონიამ, ვასაძემ, იმედაშვილმა, სტუდენტებმა, მოსიერე თუ თანამგრძობმა ხალხმა.

მილიცია ძალზე ლოიალურად იცავდა წესრიგს, ეტყობოდა, რომ თანაუგრძობდა დემონსტრანტებს. მაგრამ მაინც ცდილობდა, რომ არ შეეჯგუფულიყო ხალხი, უნივერსიტეტიდან დაეხია უკან, მეორე კორპუსისაკენ. მათ ეს მოახერხეს კიდევ, მთავრობის საავადმყოფომდე დაახევინეს უკან ახალგაზრდობას და საქმე მოთავებულად ჩათვალეს.

ნაწილი სტუდენტობისა სააქტო დარბაზში დასტოვეს ტელევიზორებთან: ყველაფერი ისე იქნება როგორც თქვენ გინდათ, თუ არა მერე გადით დემონსტრაციახეო. ეს იყო თორმეტი საათი.

დაახლოებით ამ დროისათვის უკვე იცოდა, ეტყობა ჩხიკვიშვილმა, რომ ფორმულა „რესპუბლიკის ენა ქართული ენა“ ნებადართული იყო მოსკოვის მიერ.

სტუდენტები ერთმანეთს ასე შეუთანხმდნენ: ნაწილი შენობაში დარჩა, ნაწილი გარეთ, თუ პროექტი არ შეიცვლება, მაშინ ერთმანეთს შეუერთდებოდნენ გარეთ.

გარეთ ჯარი იყო მზად. ჯავშნოსნებით, რაციებით, იარაღით.

თრევლის ნახევარზე უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ას კაცამდე საავადმყოფოს წინ მწკრივად დაენწყნენ (ოთხ-ოთხი მწკრივში), ერთმანეთს ხელები ჩასჭიდეს და თავგანწირული სახით დაიძრნენ მთავრობის სახლისაკენ ჭავჭავაძის ქუჩით.

ევროპელი დემონსტრანტი ვერ გაიგებს ამ აქტის სიდიადეს, რადგან მისთვის ფეთქებადი ტყვია არ უსვრიათ, იგი მტკვარში არ გადაუფლდიათ და მოკლული ამხანაგის დატირება არ აუკრძალათ.

ამ ახალგაზრდებს სუფთა, საგანგებოდ გამოცვლილი თეთრეული ეცვათ და ჯიბეში პირადობის საბუთი ედოთ, ისინი საუკეთესო ტანსაცმელში იყვნენ გამონყობილი. მათ თავი გასწირეს და ეს თავგანწირვა მათთვის შეიძლება სისხლიანი ზეიმით დამთავრებულიყო. მათ ეს შესანიშნავად იცოდნენ.

ასი კაცი ერთბაშად ათასად იქცა და წაღეკა მილიცია. მოძრაობა ტრანსპორტის გაჩერდა.

რუსთაველის მოედანსა და რუსთაველის თეატრთან დემონსტრანტებმა წაღეკეს შემდეგი კორდონები მილიციისა. ბევრი, ძალზე ბევრი დემონსტრანტი სანინალმდეგო მხრიდან მოვიდა: ლენინის მოედნიდან, ზემო და ქვემო მიმდებარე ქუჩებიდან. მთავრობის სახლიდან მოყოლებული, ვიდრე ფილარმონიის შენობამდე ლენინის ქუჩაზე, ქუჩა გატენილი იყო. მეტი თუ არა ოციათასი კაცი მაინც იქნებოდა.

სესია შეწყდა. დეპუტატები გამოვიდნენ ხალხში, მაგრამ მათი სიტყვების აღარ სჯეროდათ, ზოგს ყურიც არ უგდეს: მაგალითად, ცეკას მდივანს ვ. სირაძეს, საქ. აკად. პრეზიდენტს ევგ. ხარაძეს. არ დაუჯერეს არც მწერლების ნ. დუმბაძისა და ჯ. ჩარკვიანის სიტყვებს.

დემონსტრაცია იყო ხაზგასმით მშვიდობიანი. იყო ლოზუნგები, რომელიც 75-ე მუხლის წინააღმდეგ იყო მიმართული. კგბ-ს უფროსის ინაურის შვილიშვილს მოჰქონდა მცირე პლაკატი: „აი ია“. სწორედ ეს ორი წმინდა სიტყვა ყველა ქარ-

თველისა იქცა ამ მოძრაობის სინმინდის დამახასიათებლად.

როდესაც მთავრობის სახლის წინ ჩამწკრივებული მილიციონერების უკან ჯარისკაცები ჩამოდგნენ, ახალგაზრდები ჩასხდნენ ასფალტზე და მჯდომარე დემონსტრაცია მოაწყეს, მაგრამ არც ერთი არ შემდრკალა.

ყოველივე ეს ერთი, შემთხვევით, იქ შესწრებულის ჩანაწერში ასე გამოიყურება.

დღის ორის ნახევარზე კაფე „თბილისში“ ვისხედით, შესვენებაზე გამოსულები. ამ დროს დარბაზში შემოვარდა ოფიციალტი ქალი და „მოდინო“ დაიყვირა. მას მეტრდოვანი და რამდენიმე შემთხვევით მოსული კაცი შემოჰყვა:

– ბუნტია! ბუნტია! – დაბნეულები ლაპარაკობდნენ და ქუჩისაკენ იშვერდნენ ხელებს. წამოვხტით. მთელი დარბაზი აიშალა. ყველანი გარეთ გავცვივდით. ფული მომტანს მაგიდაზე დავუყარე – „მერე, მერე“ იხახდა და არც დაუხედავს, ისე ჩაიღო ჯიბეში. ისიც ჩვენ გამოგვყვა ქუჩაში.

რუსთაველის პროსპექტზე დიდი საბარგო ავტომანქანები გარდემარდმო ჩამწკრივებულიყო და გზა გადაეხერგათ. იმას იქით ახალგაზრდები ბობოქრობდნენ. მანქანებიდან ასე ოც, ოცდაათ მეტრზე მილიციელების და უსახელურო რაზმელების (კგბ-ს თანამშრომლები) მწკრივი იდგა. ისინი არც იქიდან ატარებდნენ ვინმეს, არც აქედან უშვებდნენ.

იყო გაუსაძლისი გნიახი. სახლში დარეკვა გვიწოდდა და ცენტრალურ ტელეგრაფში არ შეგვიშვეს. იქაც ჯარისკაცები და უსახელურო რაზმელები იდგნენ. ის იყო უკან გამოვბრუნდით, რომ ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ზღუდე გამოიტანა და დანარჩენებიც ნიაღვარივით გადმოემგვა ჩვენსკენ. სუყველაზე წინ დამფრთხალი მილიციელები მირბოდნენ. ჩვენ კედელს ავეკარით. ხალხის მთავარმა მასამ ბაგაბუგით წინ ჩაგვიარა და გეზი მთავრობის სასახლისაკენ აიღო. ჩვენც უკან მივყვივით. მთავრობის სასახლის წინაც უსახელურო ჯარისკაცების მწკრივი იდგა. რაზმელები რამდენიმე რიგად იდგნენ და კიბეების დასაწყისში შეაჩერეს, აღარ გაუშვეს სტუდენტობა. ისე კი, კაცმა რომ სთქვას, აქ თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ რასაკვირველია სტუდენტობა სჭარბობდა. მილიცია აქ მეტად კორექტულად იქცეოდა. ჩვენ თავისუფლად გავიარეთ მთელი მწკრივის წინ და იმის გამო, რომ ქალიც მახლდა, პირველსა და მეორე მწკრივს შორის მოვახერხეთ შესვლა. აქ ერთი საგზაო ინსპექციის ყვითელი ვოლგა იდგა. მასთან მივედით და საუბარი გაუბით მილიციის უცნობ პოდპოლკოვნიკს, რომელმაც ჩვენსავით იმ აბობოქრებულ ხალხს თავი აარიდა და იქ მყუდრო კუნძულზე გამოვიდა. მთავრობის სასახლიდან ბევრი დელეგატი გამოვიდა მოსულ ხალხთან სალაპარაკოდ. სტუდენტებს ხელში თეთრი ტილოს თვითნაკეთი პლაკატები ეჭირათ, რომელზეც სისხლისფერი მელნით იყო ნაწერი: „ქართული ენა – სახელმწიფო ენა“. „დედა-ენა“ „ილიასა და აკაკის ენა – სახელმწიფო ენა“ და სხვა ამგვარი ლოზუნგები. მთავრობის სასახლიდან მძლავრი რეპროდუქტორების საშუალებით სესიის მსვლელობა ისმოდა. იხილავდნენ ახალ კონსტიტუციას.

რამდენჯერმე გაისმა მეგაფონით „დაიშალეთო“, მაგრამ არავინ ყურს არ იბერტყავდა. მერე მთავრობის სასახლიდან რალაც ქალაღდები გამოიტანეს და დავგირიგეს. იქ ეწერა „საქართველოს სსრ რესპუბლიკის ენა არის ქართული ენა“. ასე იყო განმარტებული ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი.

სტუდენტობამ არ მიიღო კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლის ასეთი რედაქცია, ქალაღდები დაანაკუნა და უკან გადაყარა. თანდათანობით უფრო იხაბებოდა მდგომარეობა.

ისინი მართო დგომას აღარ სჯერდებოდნენ, ხან ერთ დეკლამატორს ასწავდნენ ზევით, ხან მეორეს და ეს ახლადგამომცხვარი ტრიბუნები მოუწოდებდნენ არ დაეთმოთ და მიეღწიათ იმისათვის, რომ საქართველოში სახელმწიფო ენად კვლავ ქართული ენა დაეკანონებინათ.

უეცრად მთავრობის სასახლიდან მაცქერალ დეპუტატთა შორის ჩოჩქოლი შეიქმნა. ჩქარი ნაბიჯით მათ რიგებში გამოიარა და ჩვენსკენ გამოემართა პირველი მდივანი. მას ოციოდე კაცი გამოჰყვა. ისინი ოდნავ მოშორებით და ერთგვარი შეშფოთებით მოჰყვებოდნენ გვერდით და ოდნავ უკან.

შევარდნაძე ჩვენთან მოვიდა და ყვითელ ვოლგასთან შეჩერდა, მანქანიდან პატარა მიკროფონი გამოიღო და ჩუმად იკითხა: „გესმით? გესმით?“ ჩვენ ისედაც გვესმოდა ხმადაბლა თქმული, ხალხის მთავარ ნაწილს კი არა, იმიტომ რომ სესიის მსვლელობას გადმოსცემდნენ დიდი გამძლიერებლებით.

– „რადიო გამოთიშეთ!“ – დაიძახა რამდენიმე კაცმა.

– „გამოთიშეთ რადიო, არაფერი ისმის“ – თქვა პირველმა მდივანმა და დაიწყო ლაპარაკი. როგორც იქნა, რადიო გამოთიშეს. შევარდნაძის ხმა უფრო მკაფიოდ და ხმამაღლა გაისმა. მართალია, ადგილ-ადგილ უკმაყოფილო შეძახილებით შეხვდნენ შევარდნაძის პირველ სიტყვებს „შვილებო“... მაგრამ ისინი მალე გაჩერდნენ და თითქმის სრულ სიჩუმეში გაისმა მისი ოდნავ მოგუდული ხმით ნათქვამი – „საქართველოში ყოველთვის იყო და იქნება სახელმწიფო ენა ქართული!“ ატყდა ტამის ცემა და ვაშას ძახილი.

– გაუმარჯოს ქართულ ენას, საქართველოს სახელმწიფო ენას! – ხანგრძლივი ტაში.

– გაუმარჯოს ახალ ქართულ კონსტიტუციას! – ისევ ხანგრძლივი ტაში და ვაშას შეძახილები.

ამის შემდეგ შევარდნაძემ შეკრებილთ სთხოვა დაშლილიყვნენ, წასულიყვნენ სახლებში და პირობა მისცა ხალხს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია აღარ შეიცვლებოდა.

ამის შემდეგ მან ჩქარი ნაბიჯით დასტოვა მანქანა და მოედანზე ჩავიდა. მისმა თანმხლებლებმა მოინდომეს მისთვის დერეფნის გაკეთება, მაგრამ შევარდნაძემ ეს არ ინდომა და თვითონ წავიდა წინ. ბევრი შემხვედრი მას ხელს ართმევდა და რალაცეებზე ესაუბრებოდა. შევარდნაძე კომუნარების ბალისაკენ დაეშვა...

ბალისაკენ მან ნაწილი დემონსტრანტებისა გაიყოლა, ელაპარაკა, შემდეგ კიდევ ნაწილი გაიყოლა მეორედ, ამით მან დაქსაქსა დემონსტრანტები. დიდი ნაწილი მართლაც დაიშალა ან წელა იშლებოდა, მაგრამ მთავრობის სახლის წინ მაინც საკმაოდ დიდი ჯგუფი არ იშლებოდა და ზვიად გამსახურდიას განათავისუფლებას ითხოვდა.

იყო ხუთი საათი, ექვსის ნახევარი, როცა ბესიკის ქუჩაზე, მთანმინდიდან ჯავშნოსანმა მანქანებმა და ჯარმა დაიწყეს ჩამოსვლა. ჩუმად, ქურდულად ჩამოვიდნენ და ათარბეგოვის ქუჩაზე დადგნენ. ამის დანახვაზე ხალხის ნაწილი ისევ მთავრობის სასახლისაკენ გაეშურა, იქ ახალგაზრდები იყვნენ და მათ საფრთხე ემოქრებოდათ, მათი გაფრთხილება იყო საჭირო.

მაგრამ ჯარის ამბავი, ეტყობა, შევარდნაძემაც იცოდა. მან ახალგაზრდებს მიმართა: „შვილებო, ჩემო შვილებო, საქართველოს მომავალს ახლა სჭირდება, რომ თქვენ სახლებში წახვიდეთ. გაუმარჯოს საქართველოს ახალ კონსტიტუციას, გაუმარჯოს ქართველ ახალგაზრდობას“.

ამაზე ხალხი დაიშალა. იყო მილოცვა და ხვევნა-კოცნა. ხალხმა საკუთარი გამარჯვება იხილა.

მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რას უმზადებდა ჩასაფრებული მტერი, არ იცოდა, რომ სულ მალე, უფრო ძნელი და რთული ბრძოლის დაწყება მოუწევდა იმ ძალებთან, რომელთაც ბრმა იარაღად გამოიყენეს აფხაზი სეპარატისტები და რომელთა პირითაც საქართველოსაგან გამოყოფა და აფხაზეთში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმება მოითხოვეს. ყოველივე ეს აღარ ეხება კონსტიტუციას და ენას.

ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული დემონსტრაციები, და საკმაოდ მშფოთვარე, გაიმართა ბათუმშიც, მოთხოვნით ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც ჩაენერათ ქართული ენა სახელმწიფოდ, რაც შესრულებულ იქნა.

სესიაზე შევარდნაძემ 75-ე მუხლი შემდეგი რედაქციით ნაიკითხა:

„საკონსტიტუციო კომისიამ მიიჩნია, რომ 75-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: პირველ ყოვლისა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ცხადდება ქართული ენა.“

შემდეგ ამისა, უნდა განვითარდეს მოქმედი კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი, დებულებით იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დანესებულებებში.

და ბოლოს, საქართველოს სს რესპუბლიკაში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს, იგულისხმება, რომ რაიმე შეზღუდვა ამა თუ იმ ენის მიმართ არ დაიშვება“.

ეს პროექტი ერთხმად იქნა მიღებული, მაგრამ, ეტყობა, მოსკოვმა მაინც ბოლომდე არ დათმო ყველაფერი და კონსტიტუციის ძირითად კანონში ბოლო ფრაზა ასე შეიცვალა: „რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

მაგრამ, როცა ერთი ენა სახელმწიფო ენად არის აღიარებული, ეს თავისთავად უკვე პრივილეგიას ნიშნავს და ბოლო ფრაზა ჰაერში ჰკიდია – წინააღმდეგობრივია.

ჩვენთვის ბოლომდე უცნობია ის საკულისო ბრძოლა, რაც მოსკოვსა და თბილისს შორის მიმდინარეობდა. მოსკოვმა ამჯერად დათმო, როგორც ამბობენ, სუსლოვის გეგმა ჩაიშალა. საქართველოს შემდეგ ენაზე ანალოგიური მუხლები ჩაინერა სხვა რესპუბლიკის კონსტიტუციებშიც.

კონსტიტუციის მიღების შესამე დღეს ინაურის მოადგილე რუსეთიდან, ვისაც ნაციონალური საკითხები ეხებოდა, შეცვალეს, სხვა რუსი გამოგზავნეს. შეიქმნა კგბ-ში ახალი განყოფილება – ნაციონალური. მოსკოვიდან ჩამოიყვანეს 22 რუსი ოფიცერი მასში სამუშაოდ.

ერთ კვირაში აღმოაჩინეს და დაიჭირეს ახალგაზრდა კინორეჟისორი ევგენიძე, რომელმაც მოსკოვში უცხოელ ჟურნალისტებს შეატყობინა დემონსტრაციის შესახებ.

გაზეთი „კომუნისტი“ იმ დღეებში მონინავეში წერდა: „15 აპრილი სამუდამოდ შევიდა საქართველოს მდიდარ ისტორიაში როგორც ნათელი ნიშანსვეტი“ („კომუნისტი“, 19 აპრილი). აქ ერთი შეცდომაა, 14 და არა 15 აპრილი შევიდა „სამუდამოდ საქართველოს მდიდარ ისტორიაში, როგორც ნათელი ნიშანსვეტი“ იმ ძნელ გზაზე, რომელიც ქართველმა ერმა უნდა გაიაროს თავისი სანუქვარი მიზნების მისაღწევად.

# როსტომ ჩხეიძე დომინიკური მოსასხამი

## \* ბალზაკისა და გალაკტიონის მონუმენტაჟი

გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი დიდ დავა-კამათს გამოიწვევდა.

არანაკლებს, ვიდრე დავით გურამიშვილის მონუმენტი.

არანაკლებს, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიას ქანდაკება.

იქნებ უფრო მეტსაც.

მეტია თუ არა, სოციოლოგიური გამოკითხვა დაადგენდა, აზრად რომ მოსვლოდათ და თანაც წინასწარ სქემებში კი არ გამოეჭედათ, პოლიტიკური გამოკითხვებით, მართლა გამოეკვლიათ კამათის სივრცე და სიმძაფრე.

ხელჩართულ ჩხუბში არ გადაზრდილა, მაგრამ არც არაფერი დაკლებია.

ორ უკიდურესობას შორის ირყეოდა სასწორი:

– ბრწყინვალეა, ქალაქის მშვენიერებაა, მოქანდაკის უდიდესი ნარმატივბაა...

– გალაკტიონს არ შეეფერება, კიდევ ერთ სიმახინჯედ აღიმართა, მოქანდაკის სავალალო მარცხია...

მე აღფრთოვანებულთა შორის ვიყავი, განსაკუთრებით ქარისაგან ატაცებული, აბორბოლებული მოსასხამი მხიბლავდა, თითქოს გრიგალებში ამოტყორცნილი თავი, პოეტის სულიერი სტიქიონის ხელშესახები გამოხატულედა, ის დიდებული მიგნება, რასაც ქვაც უნდა გაეცოცხლებინა და გალაკტიონის მშფოთვარე, ტანჯული, ტრაგიკული სულიც, და გონებაში ძალდაუტანებლად კრთოდა და ელავდა ხან რომელი სტრიქონი და ხანაც რომელი: რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი... ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი... მე წავალ ქარში როგორც მოცარტი, გულში მუსიკის მსუბუქ ზვირთებით... და შლიდა ბაირალებს თმაგანენილი ქარი... არ არის რამე უფრო მტანჯველი, როდესაც კუბოს მიყვები ქარში... მაგრამ მე რა ვქნა, მე, ვისაც სული მაქვს დაწენილი მწარე ქარებით...

ქაოსში დაკარგულსაც ქარი დაედევნებოდა, ქარი მისძახოდა: გალაკტიონო, – და ლურჯა ცხენების ეფემერულ ქროლვაში გზა თუ ველარც გაეგნო, ჯვრისა და გვიანი მტევნების სანაცვლოდ უკვდავი მაგიის მარმარილოს ჭვრეტდა



ონორე დე ბალზაკი  
მოქანდაკე ოგიუსტ როდენი

დიუმალი მზერით. როგორც კი ძეგლს ახსენებდა, როგორც კი მარმარილოს შუქი აციაგდებოდა, ყველგან თავისი მონუმენტი ელანდებოდა ჰორაციუსივით, და ქაოსში დაკარგულსაც ძეგლზე ოცნება უნლდავდა გზასავალს, მელოდიად კი ქარი დაჰფენოდა, ყველაზე საამო მუსიკად, და აღარც ქაოსში დაკარგვა იყო საშიში, ის კი არა, მომსკდარი ქარი ცას რომ შეემუქრებოდა, შეშლილსა და გატანჯულ სულს ყველაზე მეტად ეს დაუამებდა იარებს.

ქართული პოეზიისათვის ქარი რომ არ აღმომეჩინა, მე თვითონ რა მეშველებოდაო, – ფიქრობდა.

დაე ედავათ და ეყაყანათ. ვერ შეთანხმდებოდნენ? თუ შეთანხმდებოდნენ.

ჩემთვის გალაკტიონის ქანდაკებაც აღმოჩენა იქნება და ჯუნა მიქათაძეც, ვის ხელსაც გამოეკვითა ეს დამორგუნველი სულიერი ძალა, და რომ არც გცოდნოდა, ვინ აღმართულიყო შენს წინ, ერთი შეხედვითვე მიხვდებოდი, დიდსა და ტანჯულ შემოქმედს შეეყურებო.

და აღფრთოვანებას ასე ერთბაშად ვერც გამინელებდა ის ფრაზა იმ პიროვნებისა, ვინც დავა-კამათში არ ჩარეულა იმ უბრალო მიზეზით, რომ:

– გალაკტიონი კი არა, ბალზაკია, მიქათაძე კი არა, როდენი!..

ვერ გამინელებდა, რადგანაც ვიფიქრებდი, რომ რალაც გავლენა, თუნდ ამჟამად, ფრანგი ხელოვანისაგან მომდინარე, ძეგლის გამორჩეულ შთამბეჭდაობას ბევრს ვერაფერს მოაკლებდა... მაგრამ... ოგიუსტ როდენის ალბომს რომ მოვიძიებდი და ონორე დე ბალზაკის სკულპტურის ფოტორეპროდუქციას დახვდავდი, თითქოს თვალები ამიჭრელდაო... ფოტოდან გალაკტიონი შემომყურებდა – აბურბურებული, ქარში გაფრენილი მოსასხამი თუ ანაფორა ის, ნამდვილად ის იყო... და გალაკტიონის ძეგლი სხვა რა არის, თუ არა სულიერი სტიქიონის ეს გარეგანი ხატი.

სალონი ბალზაკის ძეგლის გამოფენა 1898 წლის 26 აპრილს პარიზს ორად გაჰყოფდა – თავგადაკლულ მომხრეებად და შეურიგებელ მონინა-ალმდეგეებად, და ლიტერატორთა საზოგადოება, რომელმაც დაუკვეთა ეს

მონუმენტი როდენს, დამწუნებელთ მეტ ანგარიშს გაუწევდა და უარს განაცხადებდა მის დადგმაზე, თუმც მომხრეებიც არ შეეპუებოდნენ და მთელი მოძრაობა გაიშლებოდა სტეფან მალარმეს მეთაურობით.

და ადრე თუ გვიან ის დღეც უნდა დამდგარიყო, როდესაც ქანდაკება, რომელიც ამდენ სიმწარეს არგუნებდა ხელოვანს, საკაცობრიო ქმნილებად შეირაცხებოდა, უკეთესთა შორის უკეთეს მიღწევად. და ნიშანდობლივია, რომ თვით როდენს განსაკუთრებული ჯაფა გადახდებოდა მის შესაქმნელადაც და იმ მოსამზადებელი სამუშაოსთვისაც, ბალზაკის სულში შელწევას რომ ლამობდა და, ფოტოსურათების შესწავლის გარდა, არამართო მის „ადამიანურ კომედიას“ ჩაულრმავებოდა, პირად წერილებსაც გულდასმით გადაიკითხავდა და მასზე დაგროვილ აუარებელ მემუარულ ჩანაწერსაც, საგან-

გებოდ მოვილიდა ტურის მხარეს და ბალზაკის მშობლიურ პეიზაჟებს გულდასმით შეისწავლიდა.

რა გგონიათ – იმ თერძსაც კი მოძებნიდა, უკვე საკმაოდ მოხუცებულს, ვინც „შაგრენის ტყავის“ შემოქმედს უკერავდა შარვლებს, ჟილეტებსა და დომინიკურ მოსასხამებს. მოდელის მოსაძებნადაც დიდებულ სენიორებს კი არ აკვირდებოდა, არამედ პარიზის იმ რაიონს მოედებოდა, სადაც ბალზაკის თანამემამულე ტურელები სახლდებოდნენ, შეაჯვრებდა ქუჩებსა და დუქნებს და ბოლოსდაბოლოს მიაგნებდა ერთ გლენს, ვინც აგებულებითა და სახით ბალზაკს წააგავდა.

დეტექტივის სიუჟეტივითაა ძიების ეს გარეგანი პროცესი და სულიერი დაძაბულობის ის ზღვარიც, რომელზე გავლაც მოუხდა როდენს, და სწორედ მოხდენილ დეტექტიურ ნოველად ჩაენუნის დევიდ უეისის ბიოგრაფიულ რომანს („შიშველი მოველ ამქვეყნად...“), მოთხრობის ლიბრეტოდ კი რაინერ მარია რილკეს ესთეტიკურ ნარკვევს „ოგიუსტ როდენი“.

რილკე იმასაც დანერს:

„... კვლავ ხელახლა უბრუნდებოდა მის ნანერებს: და ამ შემოქმედების ყოველ გზაჯვარედინსა თუ მიმოხლართულ ბილიკებზე ბალზაკისეულ ადამიანებს, ოჯახებს და თაობებს ხვდებოდა, ხვდებოდა სამყაროს, რომელსაც თითქოს ჯერ ისევ სჯეროდა თავისი შემოქმედის არსებობისა, ჯერაც მისი წყალობით ცოცხლობდა და ხედავდა მას. როდენმა ნახა, რომ ყველა ეს პერსონაჟი, რაც უნდა ეკეთებინათ, მაინც მთლიანად იმ ერთადერთი კაცით იყო შეპყრობილი, რომელმაც მათ სული შთაბერა. და როგორც სცენაზე გათამამებული სპექტაკლი შეიძლება ამოიკითხო მაყურებელთა სახეებზე, ასევე როდენიც ამ სახეთა შორის იმ ადამიანს ეძებდა, ვინც მათთვის ჯერაც ცოცხალი იყო. ბალზაკივით მასაც სწამდა ამ სამყაროს რეალურობა და შეძლო დროებით დამორჩილებოდა მას. როდენი ისე შეუმჩნევლად შეერია ბალზაკის პერსონაჟებს, ისე ცხოვრობდა მათ შორის, თითქოს ისიც ბალზაკის შექმნილი ყოფილიყო: ასე შეაგროვა უძვირფასესი ცნობები. სხვა ყველაფერი ნაკლებ აინტერესებდა“.

ისე შეუმჩნევლად შეერია ბალზაკის პერსონაჟებსო...

როგორ უნდა შეისისხლხორცო მწერლის სამყარო, როგორ უნდა განიმსჭვალო მისი ნარმოსახეებითა და იდუმალი ნაკადებით, რომ თავს იმ პერსონაჟთაგან ველარც გამოარჩევდე.

ეს განცდა შესაძლოა თვითონ როდენმაც გაუმხილა რილკეს.

შესაძლოა რილკესაც ამოეცნო ვიზიონერის მზერით.

მთავარია, რომ ზუსტია ეს დაკვირვება, მიკვლევა იმ შუაგული საფეხურისა, საიდანაც უნდა ამოეღნია მოქანდაკეს, რათა ფარული ოცნებისათვის შესაფერისი ფორმა გამოეძერწა.

დევიდ უეისი ნაბიჯ-ნაბიჯ რომ აღადგენდა მონუმენტის შექმნის პროცესს, ერთ მნიშვნელოვან რგოლად ამ გზაზე მი-

იჩნევდა ბალზაკის თავის გამოქანდაკებას, მის დიდ ენერჯისა და გამჭრიახ გონებას რომ გამოხატავდა. პირველი ნიმუში ძეგლისა, ასეთი წვალებითა და ვაი-ვაგლახით ჩამოსხმული, ჟილეტსა და შარვალში იყო გამონყობილი და ეს აუხსნელ ნაკლად ემჩნეოდა მონუმენტს, თითქოს „ბალზაკმა“ უეცრად დაკარგა ძალა და სიმტკიცე, რასაც თავის შთამბეჭდაობა ქმნიდა.

კიდევ რაღაც უნდა ეპოვნა უკვე სახელმძღვანელო ხელოვანს.

უმთავრესისათვის უნდა მიეგნო, თორემ ამდენი ჯაფა ფუჭად დაეხარჯებოდა, გრანდიოზულის ნაცვლად ხელთ რჩებოდა უბრალოდ კარგი ძეგლი, სხვისთვის იქნებ მიღწევაც, მაგრამ არცთუ შესაფერისი როდენის ტალანტისათვის.

უეისი აღმოჩენის პირველიბიძგს კამილა კლოდელს მიანერს, როდენის ყველაზე დიდ სიყვარულს. იქნებ მართლა ქალმა მიახვედრა, იქნებ რომანისტს დაჭირდა ეს სცენა დრამატული ხაზის გასაძლიერებლად, ყოველ შემთხვევაში, როდენი რომ იტყვის: ტანსაცმლის ბრალია, ჩატიკუნულსა ჰგავს, ზოგს რომ ჰკითხო, ღორმუცელაც კი იყო, მაგრამ ცხოვრებასაც ხარბად შეისწავლიდა, ვერაფერი ვერ დარჩდილავდა მის შთაგონებასო, – უეცრად კამილა შეაშველებს:

– დომინიკელების მოსასხამი რომ ჩააცვა? აკი ამბობდი, უნდა გამოვიყენოო.

და როდენი სწორედ დომინიკელთა სამოსში რომ გამოაწყობს, კმაყოფილებას ვერ დაფარავს: ანაფორამ მთლიანობის შთაბეჭდილება შექმნაო. და თუმც კამილა ცოტა შეცბუნებულია: მეც მომწონს ანაფორა, მაგრამ მწყინს, რომ სხეული დაფარაო, – როდენს უკვე საბოლოოდ გადაუწყვეტია გადასაწყვეტი:

– სამაგიეროდ, სულ სხვა იერს მიანიჭებს! ვინ იფიქრებდა, რომ ანაფორა აღმაფერენის შთაბეჭდილებას შექმნიდა!

უმთავრესიც ეს აღმოჩნდებოდა – აღმაფერენის განცდა, დიდი დრამატული ეფექტი, ანაფორით განსხეულებული.

რილკე კი ამ აღმოჩენას ლამარტინის ცნობების წყალობად მიიჩნევდა, ცნობებისა, რომელიც როდენს არაერთხელ გადაეკითხა, მაგრამ ერთხელაც სულ სხვაგვარად გაუსხივოსნებდა გონებას ეს ფრაზა:

„ბალზაკს ბუნების სტიქიონის სახე ჰქონდა“.

და იქვე:

„იგი იმდენად დიდი სულის ადამიანი გახლდათ, რომ ეს სული უწონადო საგანივით ატარებდა მის მძიმე სხეულს“.

ასე შემოსილა ბალზაკის ფიგურა ბერის ანაფორით, როგორც თვითონ სჩვეოდა „მამა გორიოს“ შემოქმედს მუშაობისას ანაფორის გადაცმა. და „ასე გაჩნდა ანაფორანამოსხმული. ძალზე ინტიმური, მთლიანად თავის სამოსის სიჩუმეში შემალული ბალზაკი“.

ბიოგრაფიულ რომანში ის სურათიცაა ჩართული, როდენი დაუნახებლად რომ მოამხვრევს ბალზაკის ხელეებს. არა-



გალაკტიონ ტაბიძე  
მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე

და, მანამდე ასამდე ხელს მაინც გამოძერწავდა, რადგანაც მათ უნდა გამოეხატათ ბალზაკის სიცოცხლისუნარიანობა, ვაჟკაცობა და შრომისმოყვარეობა. ხელებს მუცელზე დაუნყოფდა, თითქოს ანაფორას იჭერსო. ფიქრობდა: ღონიერი ხელებია, ბალზაკს მოეწონებოდა ასეთი ხელები, იგი პატივს სცემდა ძალასო. და ყველა დეტალზე მეტ დროს ხელებს მონათესავედებდა.

როდესაც სახელოსნოში მიიწვევდა კამილას, ბურდელსა და დიუბუას, ბურდელი სხვებივით თავს კი არ მიაჩერებოდა, არამედ ხელებს – დიდი ხნის დაძაბული შრომის შედეგს. როდენი უეცრად აღელდებოდა: არ მოგწონთო?

– თავი მაშინვე იქცევს ყურადღებას, – თავისი აზრის გამოთქმას შეეცდებოდა ბურდელი, – ჩაცმულობა ჰქმნის საკუთარ ჰარმონიას, ხელები მშვენიერია, ღონიერი, მაგრამ...

და როდენი მიუხვედებოდა: მეტისმეტად ღონიერიო.

და „ბალზაკს“ გარს რომ შემოუვლიდა დაინრწმუნებდა, ხელები ბატონობს მთელს ფიგურაზეო, ერთადერთ გამოსავალს მონახავდა – უცბად მოიქნევდა საჭრისს და ქანდაკებას ორივე ხელს მაჯიანად მოკვეთდა.

ასე დაიძვრებოდა რამდენიმე კვირის ნამუშევარი ნაშბი, მაგრამ როდენი არ ინანებდა. გარდა ხელების თვალმისაცემობისა, მათი არსებობა დომინიკურ ანაფორას სტიქიონის ირეალურ შინაარსს, მეტაფორულ აზრს უფერმკრთალებდა და მართლა ანაფორას ამსგავსებდა.

ორორე დე ბალზაკის მონუმენტი ახლა უკვე მოთავებულად გახლდათ და სრულყოფილიც.

ძალზე ინტიმური, მთლიანად თავისი სამოსის სიჩუმეში შემალული ბალზაკიო...

და ამ ფრაზას მოსდევს მონუმენტის ისეთი შთამბეჭდავი აღწერა, რილკეს რანგის პოეტს რომ შეეძლო, ერთ სივრცეში ვინც ტრიალებდა ბალზაკთანაც და როდენთანაც:

„დაბოლოს, იხილა კიდევ ის სახე, იხილა თავისი ბალზაკი, მისი ვეება, მიმავალი ფიგურა, რომლის სიმძიმეც სამოლის კალთებში იკარგება. ძლიერ ქედზე თმა დაჰკრობია, ხოლო თმის ტვერში სახე ჩაძირულია, მჭვრეტელი სახე, ხილველით დაბანგული, შექმნის ნყურვილით აზვირთებულნი: სტიქიის სახე. ასეთი იყო ბალზაკი თავისი ნაყოფიერების ზენიტში, თაობათა მამამთავარი, ბედისწერთა უხვად გამცემი და გამნიავებელი. ეს გახლდათ კაცი, რომლის თვალბასაც არ სჭირდებოდა არც ერთი საგანი: ეს სამყარო მთლიანად რომ დაცლილიყო, ბალზაკის მზერა ხელახლა ააგებდა მას და საგნებით დაასახლებდა... ეს გახლდათ თავად შემოქმედება – განსხეულებული ბალზაკში, რათა ჩვენთვის გახილვადებულიყო... ბალზაკის უკან გადაგდებული თავი ისე თრთოდა მისი ფიგურის მწვერვალზე, როგორც ბურთულები ცეკვავენ ხოლმე მადრევის ქავლებზე. მთელი სიმძიმე მსუბუქდებოდა, ზემოთ ატყორცნილი ისევ ძირს ეშვებოდა“.

ასეთი იხილა როდენმა თავისი ბალზაკი უაღრესი განზოგადებისა და ტრაგიკული გაზვიადების წუთებშიო, – დასძენს „დუინური ელეგიების“ შემოქმედი.

თავგანწირულმა ძიებამ ასე ჰპოვა მისთვის შესაფერისი ნაყოფი, რომლის განმეორებაც უკვე სულ იოლია... მხატვრები, მოქანდაკეები სულაც ასლების შექმნით იწყებენ და დებიუტანტ მოქანდაკეებსაც, ვინ იცის, რამდენჯერ გადაუღიათ ბალზაკის მონუმენტის მოდელები, ხან ზუსტად გაუმეორებიათ, ხან თავი შეუცვლიათ სხვა მწერლის თავით და მასზე მოუსინჯავთ სტიქიიდან ამოჭრილი შემოქმედის სახება თუ იდეალი.

გალაკტიონის ძეგლის აგებულებაშიც როდენის ქმნილება განმეორდებოდა, არა გარკვეულ გავლენად, არამედ

სწორედაც ასლად, რაც, წესითა და რიგით, მოქანდაკის სახელოსნოში უნდა რჩებოდეს, თორემ რა გამოვა – გაიგივდება ხელოვნება და ხელოსნობა და იქნებ ასეთ ორეულთა გამოფენებიც ჩვეულებრივი მოვლენა გახდეს – ვედარც არჩევდე ორიგინალსა და ასლს და გამოცდილ და განაფულ ხელოვნებათმცოდნეთა რჩევა თუ მეგზურობა გჭირდებოდე.

როდენის ქმნილება განმეორდებოდაო...

ცხადია, ეს მონუმენტიც უხელებოა, მხოლოდ თავი ამოჭრილა ქვის ნაკეციბიდან.

წინასწარ არამცთუ ასი ვარიანტი არ მოისინჯებოდა და არამცთუ ათი, ერთიც კი – ტყუილუბრალოდ რისთვის დამაშვრალიყო ქართველი მოქანდაკე, მზამზარეული ქმნილება ედგა თვალწინ და იმის ჩხრეკასაც არ შეუდგებოდა, ნეტა რატომ მოუშორებია როდენს ხელები, რა შთაგონებამ მოუარაო... აღარც იმას სჭირდებოდა ფიქრი – ხელები გალაკტიონის ძეგლს რეალისტურ ჩარჩოში გამოამწყვდევს და იმ იდეამალებს მოაკლებს, აბურბურებულმა მოსახსამმა აბურბურებულ მოსახსამზე მეტად სულიერი გრიგალი რომ უნდა გაგრძობინოსო.

თუ განმეორებაა, განმეორება ყოფილიყო და ხელოვნებათმცოდნეებს ემტვრიათ თავი, რატომ არ გააჩნდა „ადამიანური კომედიის“ შემოქმედის მონუმენტს ხელები, ბოლოსდაბოლოს, ის გრანდიოზული ქმნილება, მოთხრობებისა და რომანების ეს ერთიანი ციკლი, ხელებს არ გამოეკვეთა?

თავიდან აკი ამიტომაც მიაკვდებოდა როდენი ხელების გამოძერწვას, და „ბალზაკი“, მიქელანჯელოს „დავითივი“, უპირველესად თავითა და ხელებით მიიქცევა მნახველთა ყურადღებას, ვიდრე ანაფორის მეტაფორული შინაარსი თვითონვე არ ჩამოიცილებდა ოსტატურად გამოკვეთილ ხელებსა და როდენი მხოლოდ ანაფორის ნება-სურვილს აღასრულებდა.

ანაფორას რა ნება-სურვილი შეიძლება ჰქონოდა?

აუხსნელია გზანი უფლისანი.

და ის, რაც უაღრესი განზოგადებისა და ტრაგიკული გაზვიადების წუთებში ჩამოისხა სწორუპოვარ ქმნილებად, ახლა უკვე მოქანდაკის ჩვეულებრივი საქმიანობისასაც შესაძლებელი გამხდარიყო; და იქ თუ ბალზაკი ვერ ეტეოდა ვერავითარ არტახებში და მისი დაუმცხრალი სული სტიქიის მძვინვარებას უტოლდებოდა, აქ გალაკტიონი მოექცეოდა გრიგალთა ნაკადში და განსაკუთრებული სიმსუბუქითაც აღივსებოდა. თუმც რატომ გავისარჯოთ მისი მონუმენტის აღსანერად, როდესაც პირდაპირ შეგვიძლია გავიმეოროთ ის ფრაგმენტი რილკეს მონოგრაფიიდან.

სახელებს შევცვლით მხოლოდ, ბალზაკის ნაცვლად გალაკტიონს ჩავწერთ.

და თუ ვინმე ძველი დავა-კამათის განახლებას მოინდომებს: იდეო გალაკტიონი დაამცირესო, ქანდაკებას არავითარი მორალური ღირსება არ გააჩნიაო, გროტესკია, უტიფრობაა, რატომ ჩააცვა ასე, სისულელეა, აბსურდია, ნამდვილი თოვლის პაპააო, – შევახსენოთ, რომ ეს ყოველივე უკვე იყო... პარიზში, როდესაც ორად გაიხლიჩებოდა ეს კულტურული მსოფლიოს შუაგული.

პოსტმოდერნი მონდომებით ცდილობს გააქარწყლოს ის უხერხულობა, რაც ასეთ დროს იქმნება, და განმეორება თუ ასლის გადაღება გამოაცხადოს სტილურ მანერად და მიმდინარეობად, ასე რომ, გამართლებად ყოველი მსურველისათვის. უკიდურესობამდეც მიდიან პოსტმოდერნის თეორეტიკოსები და ეს უკიდურესობაა, საკუთარი კონცეფციაც რომ არ მოგეთხოვება, ის ახლებური ნაკითხვა აღიარებული ტექსტებისა თუ ქმნილებებისა, რასაც უსათუოდ

აქვს თავისი მნიშვნელობა, არა იმხელა, რასაც მიაწერენ, მაგრამ სახელოვანი თუ სამწერლო ფერისცვალებებისას თავის როლს შეასრულებენ. და თუ ეს უკიდურესობა გავიზიარეთ, ყოველი ეპიგონი ხელოვნად უნდა დავსახოთ და დავაკანონოთ პლაგიატობა, როგორც ნორმა თუ სტილური თავისებურება, სულაც მომავლის ხელოვნების მთავარი ნიშანი.

როგორ იოლდება, არა, ყველაფერი?!. როგორ პამპულდება...

იქ კი, როდენი, ბალზაკის ნაწერებითა და ბალზაკზე შექმნილი ათასგვარი მემუარული ნარკვევითა და კრიტიკულ-ესთეტიკური სტატიის კითხვით თვალუბამოლამებული და, თავისდაშეუმჩნევლადაც, ბალზაკის პერსონაჟებზე გარეული, გულს აწყდებოდა, რაღაც მაკლია, რაღაც ვერ ვიპოვნე, მისი დიდი სტიქიონური ძალა და ენერჯია, მისი სიდიადის უჩვეულო სიმსუბუქე ხელიდან მისხლტებო.

თავისმტვრევისა და გონების გასხვიოსნების უეცარი შერწყმა მიაგნებინებდა დომინიკელი ბერის ანაფორაში ბუნების სტიქიონის შთამბეჭდაობას და არაქათგამოცლილი ჩაიმუხლებდა ქანდაკებასთან. ეს შერწყმა რომ არა, მეტის ძიების უნარი აღარ შერჩენოდა და კიდევ გადაინვებოდა დაძაბულობისაგან.

და აქ გალაკტიონს პირდაპირ გადაეცემოდა და მოერგებოდა დომინიკელი ბერის სამოსი.

სად გალაკტიონი და სად დომინიკელი ბერის ანაფორა? ბალზაკის მონუმენტურ სახებას განესახლვრა ასე, იმას დაედო ზედ თავისი ვეება და მძვინვარე ტორი.

... მე წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში მუსიკის მსუბუქ ზვირთებითო...

უფრო კი მაინც: მაგრამ მე რა ვქნა, მე ვისაც სული მაქვს დანენილი მწარე ქარებითო...

ღებუქივი

გრემ გრინი


დაცვის მონა

ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ დავსწრებივარ ესოდენ უცნაურ სასამართლო პროცესს. ასამართლებდნენ მკვლელს. საგაზეთო სათაურები გაჰყვიროდნენ პექჰემში მომხდარი მკვლელობის შესახებ, თუმცა ნორსვუდ-სტრიტი, სადაც წააწყდნენ მოხუცებული ქალის გვამს, ბლაგვი იარაღით რომ იყო მოკლული, თუკი მკაცრად განვსჯით, არ მდებარეობს უშუალოდ პექჰემის რაიონში. ამ შემთხვევაში მკვლელობის ბრალდება სულაც არ იყო აგებული ირიბ სამხილებზე, როდესაც გრძნობთ, რომ ნაფიც მსაჯულთა ჭოჭმანი - განა ცოტა სასამართლო შეცდომა ჩაუდენიათ ამქვეყნად! - დამთრგუნველ მდუმარებად ჩამოაწვება სასამართლო დარბაზს და ენას უბოჭავს ყველას. არა, ამჯერად მკვლელი, შეიძლება ითქვას, ლამის დანაშაულის ადგილზევე შეიპყრეს. როდესაც საბრალდებო აქტი წაიკითხეს, სასამართლო დარბაზში ერთი კაციც არ მოიძებნებოდა, რომელსაც ეჭვი შეეპარებოდა იმაში, რომ ბრალდებულის ხვედრი უკვე გადაწყვეტილი იყო.

ეს იყო ზორბა, ჯმუხი ოყლაყი. დიდი, გადმოკარკლული თვალები ჰქონდა - შენითლებული გარსით. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი თეძოები: იფიქრებდი, რომ მთელ ძალ-ლონეს იქ მოეყარა თავი. ერთი სიტყვით, საკმაოდ უსიამო გარეგნობისა იყო. ამგვარ სუბიექტს რომ შეხედავ, ერთბაშად ვერც დაივინყებ და ეს არცთუ უმნიშვნელო რამ იყო, რამეთუ სასამართლომ დაიბარა ოთხი მოწმე, რომლებსაც დაუნახავთ, თუ როგორ ჩქარობდა მკვლელი, რომ გასცლოდა პატარა, ნითელ კოტეჯს ნორსვუდ-სტრიტზე და მისი შესახედაობაც დამახსოვრებიათ. ყველაფერი ეს მოხდა და-

მის ორი საათიდან ცოტა ხნის შემდეგ.

მისის სელმონს, რომელიც ცხოვრობდა ნორსვუდ-სტრიტის თხუთმეტ ნომერში, კარგა ხანს ვერ დაუძინია. უეცრად მოესმა კარის მიჯახუნება და იფიქრა, ბალის ჭიმკარი მიაჯახუნესო. ფანჯარას მიადგა და დაინახა ადამსი (ასე ერქვა ბრალდებულს), რომელიც მისის პარკერის კოტეჯის პარმალზე იდგა. ის-ის იყო გამოსულიყო აშკარად სახლიდან, ხელთათმანები ეკეთა და ცალ ხელში ჩაქუჩი ეჭირა. მერე მისის სელმონმა თვალი მოჰკრა, როგორ გამოვიდა იგი ჭიმკრიდან და ჩაქუჩი მოისროლა ბუჩქებში, ღობის გასწვრივ რომ ხარობდა. მაგრამ, ვიდრე პარმალდან ჩამოვიდოდა, თავი ასწია და მზერა სტყორცნა მისის სელმონის ფანჯარას. ადამიანი ინსტინქტურად გრძნობს, თვალს მადევნებენო და ეს საბედისწერო აღმოჩნდა მკვლელისთვის. ქუჩის ფარნის შუქმა სახე გაუნათა და მისის სელმონმა მკაფიოდ დაინახა მისი თვალები - აღსავსე ცხოველური შიშით, როგორც სწვევია ნადირს, როცა თავზე შოლტს მოუღერებენ. მკვლელის გამოხედვამ თავზარი დასცა მისის სელმონს. შემდგომში მე გავესაუბრე მისის სელმონს, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გასაოცარი განაჩენის შემდეგ შიშობდა - სავესებით ბუნებრივი მიზეზით - არ მიმასიკვილონო. მე მგონი, იგივე დაემართათ დანარჩენ მონმეებსაც. ჰენრი მაკდუგოლსაც, რომელიც გვიან ლამით შინ ბრუნდებოდა მანქანით და ნორსვუდ-სტრიტის კუთხეში კინალამ არ დაეჯახა ადამსს, რომელიც მთვრალივით მიაბიჯებდა შუაგულ ქუჩაში; იგივე დაემართა ბებერ მისტერ უილერსაც, რომელიც ცხოვრობდა მისის პარკერის მეზობლად, თორმეტ ნომერში. ის რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა - თითქოს-





და კედლის მიღმა სკამი გადააბრუნესო (კედლების სისქე ამ კოტეჯებში დიდად სატრაბახო როდია), სანოლიდან წამოდგა, და ზუსტად ისევე, როგორც მისის სელმონმა, ფანჯარაში გაიხედა, ჯერ დაინახა ადამისის ზურგი და – იმ წამში, როცა ადამისი მობრუნდა, – მისი გადმოკარკული თვალები, შენითლებული გარსით. ადამისს აშკარად არა სწყალობდა ბედი: ლორელ-ავენიუზე კიდეც ერთმა მოწმემ შენიშნა. ბარემ დღისით-მზისით, სააშკარაოზე ჩაედინა დანაშაული.

– მე ვიცი, – თქვა პროკურორმა, – დაცვა დაიწინებს, რომ ამოცნობა შესაძლოა მცდარი აღმოჩნდეს და დამნაშავის ვინაობა, პრაქტიკულად, დადგენილი არაა. ადამისის ცოლი ვაცნობებთ თქვენ, რომ 14 თებერვალს, ღამის ორ საათზე ადამისი მასთან ერთად შინ იყო, მაგრამ მოისმინეთ რა ბრალდების მოწმეთა ჩვენებანი და შესაძლებლობა გქონდათ რა ყურადღებით შეგესწავლათ ბრალდებულის გარეგნობა, ძალზე მეჭვჭება, რომ შეცდომის დაშვების რაიმე საფუძველი იპოვოთ ამ შემთხვევაში.

ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ისლა რჩებოდა, რომ ჩამოეხრჩოთ მკვლეელი – მორჩა და გათავდა!

გვამს რომ წაანყდა, იმ პოლიციელისა და სასამართლო მედიცინის ექსპერტიზის წარმომადგენლის ჩვენებათა შემდეგ გამოიძახეს მოწმე – მისის სელმონი. იგი ლაპარაკობდა ოდნავ შოტლანდიური აქცენტით; მისი სათნო, პატიოსანი სახე აღსავსე იყო გულკეთილობითა და თავისი ვალის შეგნებით. ერთი სიტყვით, იგი განასახიერებდა მოწმის იდეალურ ტიპს, რომელიც აბსოლუტურ ნდობას იწვევდა.

პროკურორი უაღრესად თავაზიანი და დელიკატური ფორმით შეუდგა მოწმის დაკითხვას. მისის სელმონი მშვიდად და მტკიცედ პასუხობდა. მის ხმაში არ ისმოდა არავითარი გაბოროტება ანდა ავგულობა; სრულიადაც არ იყო შეპყრობილი ამპარტავნობით იმის გამო, რომ იდგა აქ, სისხლის სამართლის ცენტრალურ სასამართლოში და ჩვენებას აძლევდა წითელი მანტიით შემოსილ მსაჯულს, ხოლო რეპორტიორები გულდასმით ინერდენ მის ყოველ სიტყვას.

– დიახ, – თქვა მან, – მე დავინახე ეს კაცი, მაშინვე ქვემოთ ჩავედი და პოლიციის უბანში დავრეკე.

– და ახლა შეგიძლიათ გვაჩვენოთ ეს კაცი აქ, სასამართლოს შენობაში?

მისის სელმონმა თვალი გაუსწორა ზორბა ოყლას, რომელიც ბრალდებულთა სკამზე იჯდა და შეეჩეხა მძიმე, ჩლუნგ გამოხედვას, თითქოსდა არაფერს რომ არ მეტყველებდა.

– დიახ, – თქვა მისის სელმონმა, – აი, ეს არის.

– თქვენ სავსებით დარწმუნებული ბრძანდებით?

– შეუძლებელია, რომ ვცდებოდე, სერ, – უბრალოდ მიუგო მან.

მართლაც რალა უნდა ყოფილიყო ამაზე ცხადი და მარტივი!

– მაღლობას მოგახსენებთ, მისის სელმონ.

წამოდგა ადვოკატი – ჯვარედინი დაკითხვა რომ ჩაე-

ტარებინა. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ჩემსავით ათჯერ თუ ასჯერ რეპორტიორად დასწრებია სასამართლო განხილვებს, სადაც საქმე ეხებოდა მკვლელობას, წინასწარ შეეძლო ეთქვა, დაცვის რომელ გზას აირჩევდა ადვოკატი. და, რასაკვირველია, ერთი ბენოთიც არ შეემცდარვარ.

– მისის სელმონ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეგახსენოთ, რომ თქვენს ჩვენებაზე დამოკიდებულია ადამიანის სიცოცხლე.

– ეს მახსოვს, სერ.

– თქვენ კარგი მხედველობა გაქვთ?

– სათვალე არასოდეს დამჭირვებია, სერ.

– თქვენ, თუ არ ვცდები, ორმოცდათხუთმეტი წლისა ბრძანდებით?

– ორმოცდათექვსმეტისა, სერ.

– და ის კაცი, რომელიც თქვენ დაინახეთ, ქუჩის მეორე მხარეზე იმყოფებოდა?

– დიახ, სერ.


– ეს ამბავი მოხდა ღამის ორ საათზე. მისის სელმონ, როგორც ჩანს, თქვენ უჩვეულოდ მახვილი თვალი გქონიათ.

– არა, სერ. უბრალოდ სავსე მთვარე იყო და როცა ამ კაცმა თავი ასწია, ფარნის შუქმა სახე გაუნათა.

– მაშასადამე, თქვენ ეჭვიც არ გეპარებათ, რომ ბრალდებული სწორედ ის კაცია, რომელიც იმ ღამით დაინახეთ?

ამჯერად ველარაფერს მივხვდი, თუ საით მიერეკებოდა ადვოკატი. სხვაგვარ პასუხს, ალბათ, არც ელოდა და მიიღო კიდეც.

– იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება, სერ. ძნელია, ასეთი სახე წაიშალოს მეხსიერებიდან.



მხატვარი ვაჟა ორბელიძე

ადვოკატმა მდუმარედ მოავლო თვალი სასამართლო დარბაზს. მერე თქვა:

– მისის სელმონ, ეგებ კეთილი ინებოთ და კიდევ ერთხელ, მეტი ყურადღებით, შეათვალიეროთ ამ დარბაზში მყოფნი? არა, არა, ბრალდებულს არ ვგულისხმობ. მისტერ ადამს, გთხოვთ, ფეხზე წამოდგეთ.

დარბაზის სიღრმეში სკამიდან ფეხზე წამოდგა ჯმუხი კაცი, რომელსაც ღონიერი, დაკუნთული ფეხები ჰქონდა და გადმოკარკლული თვალები – შენითლებული გარსით. ეს იყო ზუსტი ასლი იმ კაცისა, ბრალდებულთა სკამზე რომ იჯდა. ორივეს ერთნაირადაც ეცვა: ვინრო, მუქი ლურჯი ფერის პიჯაკი და ზოლებიანი ჰალსტუხი.

– მისის სელმონ, ახლა კი ძალიან გთხოვთ, კარგად დაფიქრდეთ, ვიდრე პასუხს გამცემდეთ. ახლაც შეგიძლიათ თუ არა ფიცის ქვეშ აჩვენოთ, რომ კაცი, რომელმაც ჩაქუჩი მოისროლა ბუჩქებში მისის პარკერის სახლის ღობესთან, სწორედ ის იყო, რომელიც ბრალდებულთა სკამზე ზის და არა ის – მისი ტყუპის ცალი!

მონმეს, რა თქმა უნდა, ეს არაფრით არ ძალუძდა. ხან ერთს შეხედავდა, ხანაც მეორეს და კრინტს არა სძრავდა.

ბრალდებულთა სკამზე მჯდომ ზორბა ოყლას ფეხი ფეხზე გადაედო და, იმავდროულად, იგი გაჭიმული იდგა დარბაზის ბოლოში. ორივენი მისჩერებოდნენ მისის სელმონს.

მისის სელმონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ამის შემდეგ საქმე სწრაფად მოთავდა. არც ერთი მონმე არ აპირებდა დაეფიცა, რომ იმ ღამით დაინახა სწორედ ის – ბრალდებული. ეგებ მისი ძმა დაინახეს? მაგრამ იმასაც ზუსტად ისეთივე ალიბი ჰქონდა: ღამის ორ საათზე შინ იყო თავის ცოლთან ერთად.

ამგვარად, ბრალდებული გაამართლეს სამხილთა უკმარისობის გამო. მაგრამ მაინც დაისაჯა თუ არა იგი – თუ-

კი მკვლელობა სწორედ მან ჩაიდინა და არა მისმა ძმამ, – ეს კი აღარ ვიცი. დასასრული ამ უჩვეულო დღისა არანაკლებ უჩვეულო გამოდგა, ვიდრე დასაწყისი. სასამართლოს შენობიდან ფეხდაფეხ გამოვეყვი მისის სელმონს და ერთბაშად მოვხვდით ბრბოს შუაგულში. ბრბო, თავისთავად იგულისხმება, ელოდა ტყუპების გამოჩენას. პოლიცია ცდილობდა მოსიერეთა დაშლას, მაგრამ ერთადერთი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ ბრბოს არ შეეფერებინა მოძრაობა ქუჩაში. შემდგომში შევიტყვე, რომ პოლიციელებს სურდათ ტყუპების გამოყვანა გვერდითი კარიდან, მაგრამ მათ არ ინდომეს. ერთ-ერთმა მათგანმა – არავინ იცის, სახელდობრ რომელიმე, – თქვა: „მე მგონი, დაპატიმრებული არა ვარ. განა ტყუილს ვამბობ?“ და ისინი გამოვიდნენ მთავარი შესასვლელიდან. და სწორედ აქ მოხდა, რაც მოხდა – ოლონდ როგორ მოხდა, ზუსტად თქმა არ ძალმიძს, თუმცა სულ რაღაც ხუთი-ექვსი ნაბიჯით ვიყავი დამორებული მათ. ბრბო აზვირთდა, შევიწროვდა და ერთი ტყუპის ცალი შეაგდო პირდაპირ ავტობუსის ბორბლებქვეშ.

მან მახეში გაბმული კურდღელივით დაინრიპინა და ყველაფერი დამთავრდა. იქვე მოკვდა, იმ ადგილასვე. თავის ქალა ჰქონდა გატეხილი – მთლად დეპე, როგორც მისის პარკერს. აღსრულდა შურისგება? ვაი რომ, არ ვიცი. მეორე ადამსმა დაიჩოქა თავისი ძმის სხეულთან, მერე ზეზე წამოდგა და პირდაპირ მისის სელმონს შეხედა. ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა, მაგრამ მკვლელი იყო თუ სრულიად უდანაშაულო ადამიანი, – ეს არავინ უწყობდა.

მაგრამ თქვენ რომ მისის სელმონის ადგილზე ყოფილიყავით, ამის შემდეგ როგორ დაგეძინებოდათ?!

თარგმან  
ზურაბ ცერცვაძემ

გაზაფხულის მაცნე მერცხალთაგან ერთ-ერთი უპირველესი, რომელიც ხანგრძლივი გამყინვარების შემდეგ შემოფრინდა საბჭოთა კავშირის

ლიტერატურულ ნაკრძალში, იყო ინგლისელი მწერლის გრემ გრინის (1904-1991) რომანი „წყნარი ამერიკელი“, დაწერილი 1955 წელს; შესამური ოპერატულიზებით თარგმნეს რუსულ ენაზე და დაუყოვნებლივ გამოაქვეყნეს.

ასეთი გულისხმიერება, ეგებ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს ნაწარმოები ერთგვარად წყალს ასხამდა საბჭოთა პროპაგანდის ნისქვილზე – მკითხველს მოუთხრობდა ამერიკელი ოლდენ პაილის „საგმირო საქმეებს“ ვიეტნამში, სადაც სამოქალაქო ომი ჩაღებოდა და, იმავდროულად, ფრანგებს, ძველ კოლონიზატორებს, მშვიდობისმყოფელთა ნიღბით, ენაცვლებოდნენ ამერიკელები, ახალი კოლონიზატორები. ხოლო პაილი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალგაზრდა თანამშრომელი, დიპლომატის საფარქვეშ, კეთილსინდისიერად ასრულებდა პენტაგონსა თუ ლენგლიში დასახულ ამოცანებს. და ამ ვაჟბატონმა, „სახიფათო უმანკობის განსახიერებამ“ (როგორც უწოდებს მწერალი), ყველა სიკეთესთან ერთად, ვიეტნამში გამწესებულ ინგლისელ ჟურნალისტს, მასზე ხნიერი რომ იყო, ვიეტნამელი სატროფო წაართვა.

... გრემ გრინმა 1926 წელს დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი. კარგა ხანს რედაქტორად მოღვაწეობდა ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებში, მერე კი ახალმა ხელობამ გაიტაცა. კვალიფიცირებული ჟურნალისტი მეორე მსოფლიო ომის

მთარგმნელისაგან

ნლებში გადაიქცა ახალბედა ჯაშუშად ანუ, დელიკატურად რომ ვთქვათ, მზვერავად.

ღიას, „წყნარი ამერიკელის“ ავტორს მშვენივრად მოესხენებოდა სპეცსამსახურთა საქმიანობის ანი და ჰოე; გრემ გრინი „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისის“ ანუ ბრიტანული დაზვერვის თანამშრომელი გახლდათ და თავისი მდიდარი გამოცდილება გულუხვად გამოიყენა თავისსავე ნაწერებში (რომანები: „საიდუმლო აგენტი“, „საქმის არსი“, „ჩვენი კაცი ჰავანაში“, „ადამიანური ფაქტორი“ და სხვ.).

გრემ გრინს, სხვათა შორის, გამოუთქვამს ასეთი, ფრიად ორიგინალური და არცთუ მიუღებელი დებულება: „მე მგონი, ყოველ მწერალს რაღაც საერთო აქვს ჯაშუშთან. ისიც უთვალთვალებს და აყურადებს ადამიანებს, მათი მოქმედების მოტივებს ეძებს და ხასიათებს აანალიზებს“.

ალბათ ვერასოდეს შევიტყვობთ, თუ რა მიღწევები ჰქონდა გრემ გრინს დაზვერვის სფეროში (ინგლისელებს არ უყვართ თავიანთი საიდუმლო ოპერაციების გამოშხურობა – თუნდაც ერთი საუკუნე იყოს გასული), მაგრამ თუკი მზვერავი გრინი სანახევროდ მაინც შესწავლდა მწერალ გრინს, „ინტელიჯენს სერვისი“, უდავოდ, თავს მოიწონებდა ამგვარი კადრებით, ვინაიდან სამშობლოში თუ საზღვარგარეთ გრემ გრინს აღიარებენ XX საუკუნის ინგლისური ლიტერატურის კორიფედ.

გრემ გრინმა თვალსაჩინო ხარკი გადაუხადა დეტექტივისა. მის კალამს ეკუთვნის ამ ჟანრის თხუთმეტამდე ნაწარმოები.

გრიგოლ აბაშიძე

# ანი, ბანი, ბანი...

## შეხვედრები სარტრთან

ეგზისტენციალიზმი ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა დასავლეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ჟან-პოლ სარტრი და ალბერ კამიუ ის სახელები იყო, რომელთა ყოველ ახალ ნაწარმოებს ინტერესით ენაფებოდა ჩვენი მოაზროვნე თანამედროვეობა. იასპერსისა და ჰაიდეგერის შემდეგ სარტრის „სულის ფენომენოლოგია“ ხელიდან ხელში გადადიოდა; მისივე მოთხრობები და დრამატურგია ისევე, როგორც ალბერ კამიუს შესანიშნავი პროზა და ფილოსოფიური ესეები არსებობის აბსურდულობაზე, მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნებოდა და კინოსა და თეატრს იპყრობდა.

1963 წელს ლენინგრადში გაიმართა მწერალთა სიმპოზიუმი პროზის პრობლემაზე, რომელშიაც მონაწილეობდნენ სარტრი, სიმონა დე ბოვუარი, ალენ რობ-გრეი და ანდრე სტილი. სიმპოზიუმზე მეც ვიყავი მიწვეული და ისე მოხდა, რომ ჩემი მეუღლითა და ქალიშვილით ფრანგების მაგიდასთან აღმოვჩნდი; ჩვენ ერთუბრთის გვერდზე ვისხედით სხდომებზედაც და სერობებზედაც.

სარტრმა გაცნობისთანავე მომმართა: საქართველოს მინდა ვესტუმრო, მაგრამ ამბობენ, თქვენთან სტუმრებს ბევრს ასმევენ და ეს, ცოტა არ იყოს, მაშინებს. შარშან მოსკოვში რომ ჩავედი, კონსტანტინე სიმონოვი რუსული არყით გამომასპინძლდა, ისე გულუხვად, რომ ორი კვირა საავადმყოფოში მმკურნალობდნენო.

მე დავამშვიდე, რომ ქართველების სმაზე გაზვიადებული წარმოდგენა შეუქმნიათ, ჩამობრძანდით და თვითონ დარწმუნდებით ჭორის უსაფუძვლობაში-მეთქი.

იმ წელს ჟურნალ „ნოვი მირში“ დაიწყო სარტრის შესანიშნავი ავტობიოგრაფიული რომანის „სიტყვების“ ბეჭდვა. პროუსტის შემდეგ მწერლის მონათხრობს თავის ბავშვობაზე ასე არ მოეუხიბლივარ. „ნოვი მირის“ რედაქციას სარტრის ამ ნაწარმოების ფრანგული ორიგინალი გამოვთხოვე, ჩემს მეგობრებს – გასტონ ბუაჩიძესა და კოტე ჯავრიშვილს გადავეცი და შევუკვეთე მისი თარგმნა. მე მაშინ ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი და, როგორც კი მივიღე თარგმანის მნიშვნელოვანი ნაწილი, მყისვე დავიწყე ბეჭდვა.

სარტრი რომ თბილისს ჩამოვიდა სიმონა დე ბოვუართან ერთად, „სიტყვები“ უკვე გამოქვეყნებული იყო ქართულად.

სტუმრებს თბილისის აეროპორტში შევხვდი და სარტრს განვუცხადე, რომ მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ „მშრალი კანონი“ შემოიღო. სტუმარმა ჩემი ხუმრობა პირდაპირ გაიგო და საყვედურნარევი კილოთი მითხრა: „ეგ როგორ, მე ფრანგი ვარ და უღვინოდ როგორ მიპირებთ გამასპინძლებასო“.

სარტრი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა, იგი გულახდილად გვიზიარებდა თავის აზრებს, როგორც პოლიტიკაზე, ისე



ჟან-პოლ სარტრი, სიმონ დე ბოვუარი და გრიგოლ აბაშიძე

ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. თამალობას ისე შეეჩვია, რომ ბევრი ხვეწნა არ გვიხდებოდა, სმითაც ზომიერად სვამდა და ზოგჯერ ქართული ცეკვის ათვისებასაც კი ცდილობდა. ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ ერთ სუფრაზე, სადაც მასპინძელი მწერალი თამალობდა, ღვინის დაძალება სცადეს. ეს სუფრა შემდეგ სარტრის მეუღლემ მეტად არასახარბიელოდ აღწერა და მასპინძლის უტაქტო ოხუნჯობაც აუგად მოიხსენია.

სიმონა დე ბოვუარის მოგზაურობის შთაბეჭდილებები საფრანგეთში გამოქვეყნებისთანავე ჩვენმა მოსკოველმა მეგობრებმა თარგმნეს და გამოსაქვეყნებლად გადმოგვიგზავნეს. შთაბეჭდილებათა იმ ნაწილში, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სუფრას ეხებოდა, მე ქართველებს თავმოსანონი ვერაფერი ვნახე, პირიქით, ზოგი რამ საჩოთიროც მეჩვენა და გამოქვეყნებისაგან თავი შევიკავე.

## კონსტანტინე გამსახურდია

გამსახურდია კონსტანტინე – ჩვენი დროის ქართული მწერლობის უაღრესად აქტიური შემოქმედი გახლდათ. მის პოპულარობას დიდად შეუწყო ხელი მისივე აქტიურობამ ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი სისტემატურად გამოდიოდა ყოველგვარ კრებებზე და თავყრილობებზე და ყველგან ჩვენი ენისა და ეროვნების დამცველის როლში. იმ კრებებიდან იგი პირდაპირ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიდიოდა, სადაც ბევრი მეგობარი ჰყავდა და თავის გამოსვლების საჭიროებას თვითონვე აძლევდა შეფასებასა და გამართლებას. „უფროსებთან“ კონსტანტინე ძალიან თავმოდრეკილი იყო და პირმოთნეც.

ერთხელ, უკვე ძალზე მოხუცებული, ჩემს სამუშაო ოთახში რომ შემოვიდა მთავრობის ტელეფონით დასარეკად (მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გახლდით), მე ვუთხარი, თქვენ ამისთვის რად წუხდებით, მე დამავალეთ და ყველაფერს მოგიგვარებთ-მეთქი, ასე მიპასუხა: მე რომ ყოველდღე არ გამოვიდე და ამ საჭირო ხალხს პირადად არ მოვეფერო, მტრები გამიმრავლდება და შიმშილით მოკვდებიო.

იგი ხშირად ჰყვებოდა ბერიასთან თავის სიახლოვეზე, არაერთხელ უამბნია 37 წლის განსაცდელზე, როცა იგი ბერიამ დაიბარა ცენტრალურ კომიტეტში. ორი საათი ვიჯექი მასთან და იქიდან გამოსული განურული სარეცხივით ვიყავიო. მაშინდელი რეპრესიებიდან მას ყველა თვლიდა ბერიასაგან გადარჩენილად და ეს კარგად ჩანდა ჩეკისტების სასამართლო პროცესზე (1954 წელს), სადაც რეპრესირებული ქართველი მწერლების საქმე ფორმულირებული იყო, როგორც „მწერალთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფი კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის მეთაურობით“. „მეთაურობაგან“ კონსტანტინე ხელშეუხებელი

დარჩა, ხოლო მიხეილი დახვრიტეს! მადლობა ღმერთს, რომ მანაც მიხეილის ხვედრი არ გაიზიარა და ის მაინც გადარჩა!

კონსტანტინესთან მე კარგი ურთიერთობა მქონდა, ერთიმეორეს ოჯახებში მისვლა-მოსვლაც არასოდეს შეგვიწყვეტია. ამ ურთიერთობას ჩრდილი მიაყენა „ლაშარელას“ გარშემო დისკუსიაზე კონსტანტინეს გამოსვლამ. მწერალთა კავშირის მამინდელი მეთაურის ინიციატივითა და სცენარით მოწყობილ დისკუსიაში კონსტანტინე აღმოჩნდა მთავარი მოქმედი პირი, რომელიც არაობიექტურად დამესხა თავს და ისეთი ცოდვები დამაბრალა, რომელთა მსგავსი მისსავე რომანებში გაცილებით მეტი დოზით მოიპოვება.

ამის გამო მე მას არც დავედურებივარ, არც სამაგიეროს გადახდაზე მიფიქრია. პირიქით, მე ხაზგასმულ ყურადღებას ვიჩენდი მის მიმართ. ორგზის, მთავრობამ ჩემი შუამდგომლობით მიიღო დადგენილება კ. გამსახურდიას თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის თაობაზე. ეს მაშინ დიდი თანხით ანაზღაურდებოდა და არსებითად უზრუნველყოფდა მწერლის შრომასა და ცხოვრებას. არაერთხელ უთქვამს მას ჩემთვის (სხვათა გასაგონდაც) „ეჟუკაცი ყოფილხარ, კეთილშობილებით რომ მიხდი სამაგიეროს“. ერთხელ, როცა მისი წერილებისა და გამოსვლების ტომი გამოდიოდა, მან თავისი გამოსვლის დედანი გამომიგზავნა, თხოვნით, მიმეთითებინა ის ადგილები, რომელთა ამოღებასაც სასურველად მივიჩნევდი. მე თავაზიანად დავუბრუნე წერილი და ავუხსენი, რომ ამის სურვილი არ მქონდა, და არც შეიძლება მქონოდა იმის გასწორების პრეტენზია, რაც უკვე ისტორიას ეკუთვნოდა.

კ. გამსახურდიას რომანებიდან საუკეთესოებად „დიდოსტატის მარჯვენა“ და „მთვარის მოტაცება“ მიმაჩნია, თუმცა ერთსაც და მეორესაც აქვს თავთავისი ნაკლი: „მთვარის მოტაცების“ სიუჟეტი აგებულია „ბობოლებთან“ (კულაკობასთან) გლეხობის ბრძოლაზე. დღეს უკვე აღიარებულია, რომ საქართველოში არავითარი კულაკები არ იყვნენ და რომ მათთან გლეხობის ბრძოლა რუსეთთან ანალოგიით იყო გამოგონილი. „დიდოსტატი“ არის ერთი სიუჟეტური სვლა (კვანძის გახსნა), რომელიც კარგ მწერალსა და კარგ რომანს არ ეკადრება (სანოლში შორენას საცვლის პოვნა და აღშფოთებული მეფის მწვავე რეაქცია). გამსახურდიას სხვა რომანები „დავით აღმაშენებელი“ და „ვაზის ყვავილობა“ შედარებით სუსტია.

„დიდოსტატა“ და „მთვარის მოტაცებაში“ არის ამაღლებული პოეტური პასაჟები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ რომანების პოპულარობაში.

ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც კ. გამსახურდია პოზიორი იყო, ეს პოზა განათლებული ადამიანების თვალს სიყალბედ და ხელოვნურობად ეჩვენებოდა (განსაკუთრებით ეს თვისება მის ავტობიოგრაფიულ „ლანდებთან ლაციცში“ გამოიკვეთა, სადაც გამონაგონი და სიყალბე გაცილებით მეტია ნამდვილ თავდადასავალზე).

და მაინც კ. გამსახურდია მ. ჯავახიშვილთან, ნ. ლორთქიფანიძესა, ლ. ქიაჩელასა და დ. შენგელიასთან ერთად ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს ბელეტრისტად რჩება.

**სიმონ ყაუხჩიშვილი  
და  
პავლე ინგოროყვა**

სიმონ ყაუხჩიშვილი ბერძნულ ენასა და ლიტერატურას გვიკითხავდა უნივერსიტეტში. მას თავისი საგნის დიდი სიყვარული და ცოდნა ჰქონდა. მან ბერძნულიდან თარგმნა და „გეორგიკა“-ს სერიით წიგნებად გამოსცა ბიზანტიელი მწერლე-

ბის ცნობები საქართველოს შესახებ, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ მეცნიერებას. თავად, როგორც ჩანს, დიდი გაქანებისათვის მოწოდებულად არ თვლიდა თავს და უფრო სარედაქციო-მეცნიერული მუშაობით იყო დაკავებული, რაშიც ალბათ ისიც უწყობდა ხელს, რომ პედანტობამდე წესრიგის მოყვარული იყო (მას ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების მეცნიერული გამოცემა ორ ტომად, აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის მრავალტომიანი გამოცემის რედაქცია).

გაღმერთებამდე უყვარდა თავისი დიდი მასწავლებელი ივანე ჯავახიშვილი, თავს ხრიდა პავლე ინგოროყვასა და შალვა ნუცუბიძის ნიჭის წინაშე.

ერთხელ მან „დროშის“ რედაქციაში მომინახულა, დიდხანს ვისაუბრეთ, როგორღაც სიტყვა ჩამოვარდა პავლე ინგოროყვაზე და ბატონ სიმონს მივმართე:

– ბატონო სიმონ! პავლეს რომ თქვენსავით ან ნიკო ბერძენიშვილივით სკოლა გაველო, უთუოდ დიდი მეცნიერი იქნებოდა-მეთქი – გავუმხილე ჩემი აზრი.

– რას ამბობ, გრიგოლ! – შეიცხადა ბატონმა სიმონმა – მაშინ ჩემსავით ან ნიკოსავით ჩვეულებრივი მეცნიერი იქნებოდა, ახლა კი დიდი მეცნიერი, დიდი პავლეა!

პავლე ინგოროყვაც თავის მხრივ დიდ პატივს სცემდა ბნ სიმონს, მას ენდობოდა და მისი სჯეროდა.

როდესაც პ. ინგოროყვას უკანასკნელი რუსთველოლოგიური გამოკვლევა დაიბეჭდა „მნათობში“ ჩემი რედაქტორობის დროს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ისტორიკოსებთან ერთად ამ ნაშრომის განხილვა მოაწყო.\* ტრიბუნაზე ასულმა ისტორიკოსებმა დ. მუსხელიშვილმა და მ. ლორთქიფანიძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ინგოროყვას გამოკვლევა.

– აი, ამა და ამ გვერდზე თქვენ წერთ: როგორც ქვემოთ დავამტკიცებთო, ჩვენ ჩავიკითხეთ ბოლომდე და ვერსად ვერ ვიპოვეთ „ქვემოთ დამტკიცება“ თქვენი დებულებისა. სამაგიეროდ, ბოლოში წერთ „ამრიგად, როგორც დავამტკიცეთო“... არც ზემოთ და არც ქვემოთ არ დავიმტკიცებიათ თქვენი საეჭვო მოსაზრება. რა არის ეს, მკითხველის მოტყუება თუ მეცნიერული სინდისის უქონლობა?..

პავლე გამოუვალ ჩიხში მოამწყვდიეს, იგი გალახულივით თავს მალდა ვერ ნეედა. ეტყობოდა, ორი მეგობრის – შ. ამირანაშვილისა და ს. ყაუხჩიშვილის იმედად იყო. შ. ამირანაშვილს სიტყვა არ გამოუვიდა, პავლეს დასაცავად ერთადერთი არგუმენტი მოიტანა, აი რა თქვა ნ. მარმა ახალგაზრდა ინგოროყვაზეო. ეს იყო და ეს. ს. ყაუხჩიშვილი უძღლური აღმოჩნდა რაიმე საბუთითა და მტკიცებით გადაეჩინა მეგობარი და ამიტომ გაჩუმება არჩია.

დაძაბულობამ კიდევ უფრო იმატა, როცა პავლეს ოპონენტებმა მემატინენ სიტყვები შოთა კუპრზე „არარათა სამამაკაცოთა ზნეთა მქონე“ გაშიფრეს და იქიდან რუსთაველის პიროვნების მკრეხელურად შეურაცხმყოფელი აზრი გამოიტანეს.

პავლეს კაცის ფერი აღარ ჰქონდა.

შევატყვე, რომ დისკუსია უბედურებით დამთავრდებოდა, თუ დროზე არ შეწყდებოდა. კრების თავმჯდომარესთან მივედი და ჩუმად ვთხოვე შეენწყვიტა ან გადაეყო პავლეს უმოწყალო განქიქება, თორემ მაგას რომ რაიმე მოუვიდეს, შენ დაგაბრალებენ-მეთქი.

თავმჯდომარეს ქუჩაში დაუჯდა ჩემი ნათქვამი. კამათი შეწყვიტა და პავლეს მისცა სიტყვა. პავლემ აღიარა კრიტიკის სამართლიანობა (რაც შემდეგ უარყო) და ამით დამთავრდა ეს პაექრობა, რომელიც ცალ კარში ფეხბურთის თამაშად იქცა.

\* ამ განხილვის მიზეზები და უფრო სრული და ზუსტი სურათი იხ. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ზედი პავლე ინგოროყვასი“ („ლომისი“, 2003, გვ.3-38)

ნოდარ (ოჩო) ცერცვაძე

# დიდი კონცერტი ჩემს პატარა ბინაში

\*

ანუ ქართული და  
რუსი პოეტების შეხვედრა

1968 წლის ადრეულ შემოდგომაზე საქართველოში მას-შტაბურად და პომპეზურად აღინიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი. მოწვეულნი იყვნენ საბჭოთა და უცხოელი მწერლები.

საიუბილეო დღეების განმავლობაში გურამ ასათიანი ძალიან დაკავებული იყო და არ გამოჩენილა, რის გამოც ჩვენი ოჯახი მშვიდად, აუფორიაქებლად და ღამის დარბევების მოლოდინის გარეშე ცხოვრობდა.

ერთ საღამოს ჩემმა მეუღლემ ნანამ გამომიცხადა, რომ დღეს საიუბილეო დღეები მთავრდება და მოსალოდნელია მძიმე თავდასხმაო. ამიტომაც დაძინების წინ დაიწყო ბინის მონესრიგება. როგორც ყოველთვის, ნანას ალღომ არ უღალატა და ღამის პირველი საათი იქნებოდა კარებზე რომ გაისმა ზარის ხმა და სადარბაზოში – ხალხის ყრიაშული. ასეთი შემთხვევების დროს რაც შეიძლება სწრაფად ვაღებდით ხოლმე კარებს, მეზობლები რომ არ გაეღვიძებინათ. მასხოვს ერთხელ გოგი ყუფარაძემ და მისმა მეუღლემ აკამ არ გაითვალისწინეს ეს გარემოება, შეცდომა დაუშვეს და სასტიკად დაისაჯნენ. გურამმა გვიან ღამით მიაყენა გოგის სტუმრები. ყუფარაძეები უკვე ღრმა ძილში იყვნენ და უდროო სტუმრებს კარი არ გაუღეს. უკან გაბრუნებულებმა აღმოაჩინეს, რომ სადარბაზოში დაკიდებულ საერთო საფოსტო ყუთში ზოგიერთ მეზობელს გაზეთები დარჩენოდა ამოუღებელი. რა უნდა ექნათ, როდესაც იდებები თვითონ მოდიან? გულგრილად ხომ ვერ ჩაუვლიდნენ საფოსტო ყუთიდან ამოჩრილ გაზეთებს? ნაუკიდეს ცეცხლი და გაიქცნენ. გოგი ბოლმა და დანწერის სუნმა შეაწუხა. გამოვარდა სადარბაზოში ნიფხავ-პერანგის ამარა და ნახა, რომ ხის საფოსტო ყუთს ცეცხლი ეკიდა. შებრუნდა სახლში, ეცა ონკანს და აღმოჩნდა, რომ წყალი არ მოდიოდა. გაახსენდა, რომ მაცივარში ბორჯომი და ლიმონათი ჰქონდა და ბოთლებით დაიწყო ხანძრის ჩაქრობა. ამ შემთხვევიდან კარგა ხნის შემდეგ გურამი სადღაც ჰყვებოდა ამ ამბავს. ნანამ გადაწყვიტა მისთვის ნამუსი მოეწმინდა და განმარტა, რომ გურამს საფოსტო ყუთი რკინის ეგონაო. ამაზე გურამი სასტიკად აღშფოთდა: „რკინის რომ მგონებოდა, ცეცხლს რატომ ნაფუკიდებდი, შენ გგონია არ ვიცი, რკინას რომ ცეცხლი არ ეკიდება?“

სასწრაფოდ გავალეთ კარები და – სადარბაზოს ბაქანზე იდგნენ: ბელა ახმადუღინა, ბულატ ოკუჯავა, ევგენი (ჟენია) ევტუშენკო, ქერათმიანი, რუსული გარეგნობის სანდომიანი ქალბატონი (ბულგარელი პოეტისა ყოფილა), ნანი ბრეგვაძე, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი, სარგის ცაიშვილი და, რაც მთავარია, ამ შეკრების ორგანიზატორი და მეგზური გურამ ასათიანი.

მამაკაცებს ხელში ეჭირათ შამპანურის ბოთლები. გაიჩქვა, რომ მოდიოდნენ ოფიციალური სამთავრობო ბანკეტი-

დან, რომელიც ფუნქციონორზე გამართულა და შამპანურიც იქიდან მოჰქონდათ.

ნანა შეუდგა თავის ჩვეულ საქმიანობას: გაალო საკუჭნაო, გამოალაგა ზამთრისთვის და საერთოდ ასეთი შემთხვევებისთვის დაკონსერვებული პროდუქტები და გაშალა სუფრა. პური არ აღმოგვანდა ამდენი ხალხის სამყოფი. ეს ის დრო იყო, როდესაც მალაზიები 7 საათზე იკეტებოდა და ვე-ლარაფერს იყიდდი. საშველად დავურეკეთ ჩვენს ზემოთ მცხოვრებ მარინა ვაჩნაძეს და სასწრაფოდ ჩამოგვიტანა პური. მარინას გაუღვიძებია ირინა სტურუა, რომელმაც მოგვართვა მჭადი, ერთი თევში ლობიო და მწვანილი. ერთი სიტყვით, ნაუცბათევის პირობაზე მშვენიერი სუფრა გაიშალა. გურამმა, სარგისმა და მე შევასრულეთ ჩვენი ჩვეული მოვალეობა და ბავშვების საძინებელი ოთახიდან გამოვავარეთ პიანინო და დავდგით, ისე როგორც ყოველთვის, ნანის ზურგს უკან, ნანი რომ არ შეწუხებულიყო და მხოლოდ შემობრუნება დასჭირვებოდა. ბულატმა გიტარა მოიკითხა. დავურეკეთ პირველ სართულზე შოთა მიქაშვიძეს და ერთ ნუთში გიტარით ხელში სუფრის თავში იჯდა.

გურამის მიერ წარმოთქმული რამდენიმე ცეცხლოვანი და სულის ამაფორიაქებელი სადღეგრძელოს შემდეგ ნანი შებრუნდა პიანინოსკენ და სტუმრების პატივსაცემად იმღერა რუსული რომანსი, რომლის შესრულებაში მას, ალბათ, მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. ბულატი წამოიჭრა, ამოიღო ჩანთიდან პორტატული მაგნიტოფონი და დაიწყო ნანის სიმღერის ჩანერა. სიმღერის დამთავრებისას გვიამბო, რომ თბილისში წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიყლა პარიზული გასტროლოებიდან, სადაც დაუსაჩუქრებიათ ამ პორტატული მაგნიტოფონით, რაც მაშინ იშვიათობა იყო. მას შემდეგ აღარ ვიშორებ და აი როგორ გამიმართლაო. ცოტა ხანში ბულატი ვთხოვეთ რაიმე ემღერა და მანაც ყოველგვარი თავპატივის გარეშე შეგვისრულა თავისი ახალი სიმღერა, რამაც ძალიან მოგვხიბლა. ბულატის სიმღერამ ნანის იმავე განწყობის რაღაც სიმღერა გაახსენა და სიამოვნებით შეგვისრულა, რასაც მოჰყვა ისევ ბულატის სიმღერა. ერთი სიტყვით, ექსპრომტად შედგა სრულიად სხვადასხვა სტილისა და ჟანრის, ჩვენი თანამედროვეობის ორი უდიდესი და უპოპულარულესი მომღერლის შემოქმედებითი პაექრობა, რომლის მსგავსს ჩემს სიცოცხლეში არ შევსწრებუივარ. ღვიწმომ და ამ უჩვეულო დუეტმა ჭეშმარიტად ავგანთო. მთელ ამ საღამოს ბულატი ინერდა მაგნიტოფონზე. მე იმდენად გამიტაცა ამ ორი განუმეორებელი შემსრულებლის შეჯიბრმა, რომ ვადა-მავინყდა, მეც რომ მქონდა მაგნიტოფონი და მთელი ეს საღამო გურამის ელევანტური თამაღობით, ბელასა და ჟენიას ლექსების კითხვით, საქართველოსა და ქართველებისადმი მათი სიყვარულის გამომჟღავნებით მეც შემეძლო ჩამეწერა და საშვილიშვილოდ შეემეხა.

მოულოდნელად ევტუშენკომ სიტყვა ითხოვა და ბრძანა: „სურვილი დამებადა ნაგიკითხოთ ერთი ლექსი, რომელსაც ოჯახის უფროსების უნებართვოდ ვერ გაგაცნობთ. იმდენად ანტისაბჭოური, ან უკეთ რომ ვთქვა, არამთავრობისეულია, რომ ამან აქედან თუ გაჟონა, ოჯახს შეიძლება დიდი უსიამოვნება შეხვდეს. ლექსი დამანერინა იმ უმძიმესმა შთაბეჭდილებამ, რომელიც მოახდინა ჩემზე საბჭოთა ჯარის შეყვანამ ჩეხოსლოვაკიაში და იმ ბოროტებამ, რაც მათ იქ ჩაიდინეს“. ამ წინადადებაზე ნანას პასუხი იყო: „მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოჯახი 1937 წლის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლია და ერთხელ უკვე საშვილიშვილოდ დაგვამინეს და დაგვსაჯეს, ჩვენ მზად ვართ ამ სამარცხვინო და უსასტიკესი ფაქტის საწინააღმდეგო პროტესტი თქვენი ლექსის მოსმენით გამოვხატოთ“. ჟენიამ გვთხოვა ქურჩისკენ გამავა-

ლი აივნის კარი, რომელიც სიცხის გამო ღია გვექონდა, დაგვეხურა რაიმე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. ჟენიამ მისთვის ჩვეული არტიტიზმითა და რიხით წაიკითხა საკმაოდ დიდი ლექსი, რომელმაც ლამის ყველა ააცრემლა. დამამახსოვრდა ერთი სტროფი:

танки идут по правде  
не по газетной правде  
а по настоящей правде.

ჩამოვარდნილი სევდიანი განწყობის გასაფანტად გურამის თხოვნით ნანიმ იმღერა „калитка“. ყველას გასაკვირად სიმღერის პროცესში ჟენია აკეთებდა კომენტარს სიმღერის ტექსტზე და გაბრაზებით გამოხატავდა აღშფოთებას ასეთი პრიმიტიული ტექსტის გამო. პირველი შეეკამათა ბუღალტი და სთხოვა დამშვიდებულიყო და ესმინა, თუ როგორ ასრულებს სიმღერას ნანი. სიმღერის ბოლოს აუხსნა, რომ როდესაც მღერის ნანი და არის ასეთი განწყობის შემქმნელი მელოდია, რატომ განუხებს ტექსტი და მისი შინაარსიო. ჟენიამ ცოტა ხანს იწუნუნა სიმღერის სიტყვების გამო და ბოლოს ბელამაც რომ შეუტია, დამშვიდდა. სანამ ჟენიას ამშვიდებდნენ და ბელა და ბუღალტი უმტკიცებდნენ, რომ „калитка“ არაჩვეულებრივი რომანსია და გენიალურად მღეროდა ნანი, არჩილი და ედიშერი შემოსხდომოდნენ აქეთ-იქით ჩემს მეზობელს, ახალგაზრდა და მშვენიერ მარინას, მოეთავებინათ უკვე მისი დღეგრძელობა და ახლა მარჯვენა ხელის თითებს უდღეგრძელებდნენ. მოულოდნელად გურამმა ჟენიას დაუჭირა მხარი და განაცხადა, რომ ეთანხმება ჟენიას „კალიტკა“-ს ტექსტის უაზრობაში და გამორჩეულად მოსწონს ერთი ქართული სიმღერის სიტყვები და სტუმრებს შესთავაზა მისი მოსმენა სამ ხმაში ნანის, სარგისისა და ჩემი შესრულებით. გურამის დაჟინებული თხოვნით ჩვენ ვიმღერეთ: „სადღაც სოფელში ყმუის მურია და მიჭრიალებს გზაზედ ურემი, მე ისევ შენი ნახვა მწყურია, დაგვოცნე შენი ნაფეხურები“. სიმღერამ საერთო აღტაცება გამოიწვია, რის შემდეგაც გურამმა კონფერანსიის იმიტაციით, რიხიანად გამოაცხადა: „მუსიკა თემიკო ჩირგადისა, ტექსტი გურამ ასათიანის“. ამ სიმღერის შექმნა მეტად მოულოდნელ და უცნაურ ვითარებაში მოხდა და ჩვენი თხოვნით გურამი მოჰყვა სიმღერის დაბადების ისტორიას: „აქ მყოფთაგან ოჩო და მე ვიყავით დალი ჩხარტიშვილის დაბადების დღეზე. მე ვიყავი მაშინ, ალბათ, მეორე კურსზე, ხოლო ოჩო ისევ სკოლის მოწაფე ვახლდათ. თამადა იყო თემიკო ჩირგადი, რომელსაც სუფრა მიჰყავდა მისთვის ჩვეული მხიარულებით, დაკვრით, სიმღერით და, რასაკვირველია, სტუმრების, განსაკუთრებით კი გოგონების, ყურადღება მთლიანად მისკენ იყო მიპყრობილი. შუა სუფრაზე გოგობიდან ერთ-ერთმა წამოაყენა წინადადება, გურამმა თავისი ლექსი წაგვიკითხოსო. პოეტებო, თქვენს საყურადღე-

ბოდ – ბავშვობაში მეც ვწერდი ლექსებს და საკმაოდ კარგად, მაგრამ სიმნიფეში სხვებისგან განსხვავებით, დამსწრეებს რასაკვირველია არ გულისხმობენ, მეყო გონიერება და შევეშვი ლექსების წერას. ეს ახსოვდათ ჩემი ბავშვობის მეგობრებს და შემომიჩნდნენ, რაიმე ლექსი წაგვიკითხეო. ჩამაყენეს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში, აღარ ვიცოდი რა მექნა. მოვითხოვე მცირე დრო, გავედი სუფრიდან და ჩავიკეტე აბაზანაში. ხუთიოდე წუთის შემდეგ დავუბრუნდი სუფრას, გავუნოდე თემიკოს ქალაღდის ნაგლეჯზე დანერილი ლექსის კუპლეტი და ვთხოვე ამ სიტყვებზე რაიმე მელოდია მოერგო. თემიკოს, რასაკვირველია უარი არ უთქვამს, ჩამოდო ლექსი ჰიანინოს ნოტების დასაწყობზე და პირდაპირ იმღერა რალაც სრულიად ახალი მელოდია. სუფრის წევრებმა სთხოვეს გაემეორებინა და გამეორებისას ციალა ამაშუკელმა უთხრა პირველი, ხოლო ოჩომ – მესამე ხმა. ასე დაიბადა ეს მშვენიერი სიმღერა, რომლის ტექსტი არის მეტად ლირიკული, აქტუალური და პატრიოტული“. გურამის მიერ არტიტიზულად და ლამაზი მანერით წაამბობმა მსმენელთა ოვაცია დაიმსახურა.



გურამ ასათიანი, 1978 წელი, დუშეთი

ნანის სადღეგრძელოზე გურამმა გაიხსენა ჩვენი პირველი შეხვედრა ნანისთან: „მანანა ხიდაშელის დაბადების დღეზე მივედი თამაზ ალავიძე, გოგი ყუფარაძე, გოგი თოთიბაძე, ოჩო და მე. ყველა ახლობელი და ნაცნობი იყო, ერთი გოგონას გარდა, რომელმაც თავისი მიმზიდველი გარეგნობით, ლამაზი სიმღერით, არაჩვეულებრივი იუმორითა და ულამაზესი თხრობის მანერით ყველა მოგვხიბლა. მე თამადა ვახლდით და იმდენი მოვახერხე, რომ ყველა ვაჯობე და მის გვერდით აღმოვჩნდი. გავარკვიე, რომ ერქვა ნანი. ცოტა ხანში ისე გავუთამამდი, რომ ვკითხე: – ნანი! თუ შეიძლება მითხარით, სად იყავით აქამდე, რატომ ვერსად ვერ შეგვვლით დღემდე, რისთვის გვემალბოდით?“ ნანიმ მიპასუხა: „სად მნახავდით, ისეთი უშნო და შეუხედავი ვიყავი, რომ დედას ქუჩაში არ გამოვყავდი“. ნანის შეთხზულმა, დაუჯერებელმა, თვითირონიულმა ამბავმა სტუმრების საერთო სიცილი გამოიწვია.

გურამის სიყვარულით, პოეტურობითა და იუმორით შეზავებულ მჭევრმეტყველებას ამშვენებდა ნანისა და ბუღალტის დიდი მონდომებითა და შეჯიბრის ფინით კიდევ უფრო გამშვენიერებული სიმღერები, ბელას მიერ სრულიად განსხვავებული, „ბელასებური“ სტილით წაკითხული ლექსები და შიგადაშიგ ქართული სუფრული სიმღერები. ევტუმენკოს პრალის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ლექსის შემდეგ აღარაფერი წაუკითხავს. ძირითადად აქებდა და ლოცავდა საქართველოს. ბულატი ოკუჯავას კონცერტზე არასოდეს ვყოფილვარ. საერთოდ მისი სიმღერები მხოლოდ სხვისი შესრულებით მქონდა მოსმენილი. ვინრო წრეში და პატარა სივრცეში, როდესაც ყველა მისი სიტყვა და ფრაზა აღწევს შენამდე და ახლოდან ადევნებ თვალს მისი შესრულების მანერას, ბულატი ოკუჯავას შესრულებული სიმღერები ძალიან შთამბეჭდავი და ემოციურია.

უნდა გამოვტყდე, რომ იმ მომენტში ვერ წარმომედგინა სცენიდან რამდენიმე საათის განმავლობაში, ერთ პოზაში მჯდომარე და, სხვათა შორის, არც მომისმენია და დღემდე ბულატი დარჩა ჩემს მესხიერებაში როგორც სიყვარულით და სიმართლით გასხვივსნებული თბილი და მგრძობიარე ბარდი.

ბელა ახმადულინა, როგორც გურამი მიმართავდა – ბელა ახატოვანა, იმდენად მოიხიბლა და აენტო ნანის სიმღერით, რომ იქვე გაუჩნდა იდეა და შესთავაზა ნანის მოენცოთ ერთობლივი კონცერტი. სხვათა შორის ამ ჩანაფიქრს რამდენიმე წლის მერე ხორცი შეესხა და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ბელა ახმადულინასი და ნანი ბრეგვაძის უბრწყინვალესი და ულამაზესი კონცერტი, რომელმაც დიდი წარმატებითა და რეზონანსით ჩაიარა.

ვერავინ ბედავდა, რომ დაერღვია ამ ანეული განწყობის სულიერ-მუსიკალური ჰარმონია. ბინდი კარგა ხნის გაფანტული იყო და სინათლეს უკვე დაეჩაგრა სიბნელე, როდესაც წამოვიშალეთ.

ბულატს ჩემთან დარჩა სანვიმარი ლაბადა. ვიცოდი, რომ ჩვენთან ყოფნის მეორე დღე თავისუფალი ჰქონდათ ოფიციალური ღონისძიებებისაგან და ის ერთი დღე უნდა გამოეყენებინათ ყველა აუცილებელი საქმეების მოსაგვარებლად. გადავწყვიტე წავხმარებოდი და მე თვითონ მიმეტანა ლაბადა სასტუმროში. გავიგე, რომ „ივერიაში“ ყოფილა გაჩერებული. ადმინისტრატორმა მიმასწავლა მისი ნომერი, მივაკითხე სართულზე და არ დამხვდა ოთახში. სართულის მორიგეს გავაღებინე ოთახი და მაგიდაზე დავეუტოვე ლაბადა. მაგიდაზევე ვნახე პატარა ფურცელი, რომელზეც ჩამოწერილი იყო იმ დღის გასაკეთებელი საქმეები. ერთ-ერთი პუნქტი იყო: „забрать плащ у мужа Наны“. როგორც ჩანს, ჩემი სახელი ვეღარ დაიმახსოვრა, ზოგი ნოდარს მეძახდა, ზოგი – ოჩოს და ეტყობა დაიბნა. დიასახლისს რომ ნანა ერქვა, ეს კარგად დამახსოვრებია. მეც დავწერე პატარა გამოსათხოვარი ბარათი, კეთილი მგზავრობა ვუსურვე და მივანერე: „муж Наны“.

## როგორ გვიყვარდა ერთმანეთი

ქართულ მემუარულ ლიტერატურას კიდევ ერთი ჩინებულ ნიგნი შეემატა ნოდარ ცერცვაძის დიდტანიანი მოგონებების სახით, რომელიც არამარტო მასალის თვალსაზრისითაა მრავალმხრივ საგულისხმო და ეპოქის თავისებური დოკუმენტი, არამედ ცოცხლად და მიმზიდველადცაა დანერგილი და მკითხველს დიდი ინტერესით წააკითხვებს თავს.

როგორც ეს ახალი მემუარული ჩანაწერიც ცხადყოფს, ავტორი კვლავაც აგრძელებს ამ უანრში მუშაობას და თანდათან იქნებ ვრცელი ნიგნიც ამოიზარდოს – კვლავაც სიხალისით და იუმორით სავსე.

მისი მემუარული ნიგნის წარდგინება რამდენიმე თვის წინათ გაიმართა და შედარებით ყრუდ ჩაიარა. ამიტომაც გადაწყვიტეთ ბატონი ნოდარის ამ პატარა მოგონებისათვის დაგვეერთო გურამ დოჩანაშვილის გამოხმაურება (მან ავადმყოფობის გამო ვერ მოახერხა პრეზენტაციაზე მისვლა და ეს წერილი გაგზავნა თავყრილობაზე წასაკითხად) და სოლიკო ცაიშვილის რეცენზია, პიროვნებისა, ვისთვისაც მახლობელია ის გარემო, ადამიანთა ის წრე, რომელნიც ნოდარ ცერცვაძის მემუარების პერსონაჟებად წარმოდგებიან და ამ ყოველივეს შვილების თაობის თვალთ აფასებს.

ბატონო ნოდარ, იმ აუარება სიკეთესთან ერთად, რაც ღმერთს ჩემთვის უწყალობებია, ერთ-ერთ გამორჩეულ წყალობად მიმაჩნია ის, რომ მე ბატონ გურამ ასათიანის უმცროსი მეგობარი ვიყავი, ხოლო ბატონი გურამი ჩემი უფროსი მეგობარი ბრძანდებოდა. მისი წყალობით გავიცანი წარმოუდგენლად არაჩვეულებრივი საძმო, უკლებლივ ყველა, რომელთაგან განსაკუთრებით დაგიახლოვდით თქვენ, ბატონ თ. ჩირგაძეს და ბატონ გოგი ყუფარაძეს. რა დამავიწყებს... მრავალი ბედნიერი დღე მახსოვს მათთან გატარებული.


ბატონი გურამის 50 წლისთავთან დაკავშირებით მის დედულეთში, ჭოვლევიში, სუფრის თამადად ბატონი თ. ჩირგაძე ბრძანდებოდა. სტუმრად იყვნენ ლიტვიდან ჩამოსული ცნობილი მწერლები, რომლებთანაც ჩვენ ვიყავით სტუმრად ლიტვაში. მოგეხსენებათ, ლიტველები როგორი თავშეკავებული ხალხია. ბატონი თემიკოთი მოხიბლულები კი, როდესაც თამადა მიმართავდა: „прошу встать, господа литовские офицеры“ – ბედნიერები, მხოლოდ ფეხზე წამოდგომას არ სჯერდებოდნენ და თავ-თავიანთ სკამებზე ხტებოდნენ. იმ დღეს არავინ დამთვრალა. წარმოიდგინეთ, მეც კი; რადგან ყოველგვარ ზარხოშს ბატონი თემოს მოსმენა შეუდარებლად სჯობდა. სუფრის დამთავრების შემდეგ ლიტველმა სტუმრებმა აღნიშნეს: ჩვენში იმიტომ სვამენ, რომ გაითიშონ, ქართული სუფრა კი ბედნიერების ზეიმი ყოფილაო.

მე იქამდე მერიდებოდა, რომ მრცხვენოდა კიდევაც, რომ ვიცნობდი და ახლოს ვიყავი ასეთ ხალხთან და სხვები კი – არა. მაგრამ ეს გამიქარწყალა თქვენმა არაჩვეულებრივმა, შესანიშნავმა ნიგნმა, ბატონო ნოდარ. თქვენ ყველასათვის ახლობელი გახადეთ თქვენი გამორჩეული საძმო. ამ ბარათის დასაწყისში შეცდომა დავეუშვი, ბატონი გურამი წარსულში რომ მოვიხსენიე – ბრძანდებოდა-მეთქი. ის მუდამ, ყოველთვის ბრძანდება ჩემი უფროსი მეგობარი და მასწავლებელი.

მე თქვენი ნიგნის რამდენიმე თავს, ამის უფლება რომ მქონდეს, სახელმძღვანელოებში შევიტანდი, რადგან ჩვენი დღევანდელი გაგულგრილების ჟამს, შეგვახსენო, თუ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი და როგორ არ ვიშურებდით სულს ერთმანეთისათვის. ბატონო ნოდარ, თქვენი საძმოს უკლებლივ ყველა წევრი, გამორჩეული თავისი მეცნიერებითა და ხელოვნებით როგორი ლალი და სიცოცხლით აღსავსე იყო. თქვენს ნიგნში, შემთხვევითი არაა, რომ ერთი აუცილებელი გამოწვევის გარდა, არსად არაა ამ ქვეყნიდან წასულების გლოვა და მიუხედავად ჩვენი დიდი მწუხარებისა, ამას ასეთი ახსნა აქვს: ისინი გამარჯვებულები წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რადგან უზომოდ უყვარდათ სამშობლო, თავისი საქმე, ერთმანეთი და ყველა ქართველი.

კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ბ-ნო ნოდარ, თქვენი

**გურამ დოჩანაშვილი**



სოლიკო ცაიშვილი

# კარგი წიგნი

ნოდარ ცერცვაძემ დანერა მოგონებების წიგნი „ასე იყო“ და ნამდვილად ვიცი, რომ ბევრი ადამიანი გაახარა, გულიანად აცინა, ზოგიერთს კი ცრემლიც მოჰგვარა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ წიგნი ოსტატურადაა დაწერილი. ტექსტის უმეტესი ნაწილი ცხადპყოფს: ავტორს აქვს სადად და ლაკონურად წერის კულტურა, აქვს უნარი შეამჩნიოს და გამოკვეთოს პერსონაჟის და ფაბულის უმთავრესი, განსაკუთრებით საინტერესო თვისება და ამაზე აავსოს თხრობა. სამაგალითოდ ავიღოთ მოგონებები საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტის, ორესტი გორდელაძის შესახებ.

ორესტი გორდელაძისთვის ძირითადი პრობლემაა – დაბრუნდეს წინაპრების მიწაზე, სადაც იგი არასოდეს ყოფილა, თუ დარჩეს საფრანგეთში და იქ განაგრძოს შეჩვეული ემიგრანტული ცხოვრება. ამ პრობლემის გადაჭრისთვის ორესტი დამხმარედ და მრჩეველად ირჩევს ნოდარ (ოჩო) ცერცვაძეს. პრობლემის გადაჭრა საუბრითა და მსჯელობით შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ გადაწყდა, რომ ორესტი ჩამოსულიყო საქართველოში, გაეცნო იმდროინდელი ყოფა, დაახლოებოდა ნათესაებს, გაეჩინა მეგობრები, ეს ყველაფერი შეედარებინა საფრანგეთში თავისი ცხოვრებისთვის და მხოლოდ ამის შემდეგ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. საქართველოში ორესტის მეგზურობაც ნოდარმა იკისრა.

აი, ასეთ ფონზე იხსენება და იკვეთება ორესტი გორდელაძის მეტად მომხიბვლელი, თბილი და ამავე დროს ვაჟკაცური პიროვნება. ვეცნობით ნოდარის განუყრელ და ერთგულ მეგობრებს. მათთან ერთად თითქოს ჩვენც ვმოგზაურობთ ბორჯომის ხეობაში, ხევსურეთსა თუ ყაზბეგში, ვილხენთ მეგობრულ სუფრებზე, ვისმენთ ირონიულ, იუმორისტულ, ზოგჯერ კი სევდიან საუბრებს და არ გვებზრდება, რადგანაც ეს ადამიანები არიან კეთილები და ნიჭიერები და თან გვანტერესებს, რას გადაწყვეტს ბოლოს და ბოლოს ორესტი გორდელაძე – დასახლდება საქართველოში თუ დარჩება უცხო მიწაზე. როდესაც ამბავი სრულდება, ვხვდებით, რომ საინტერესო პიროვნების შესახებ უბრალოდ მოგონებები კი არა, მშვენიერი ნოველა წავიკითხავს. თითქმის ასევე კარგადაა დაწერილი წიგნის სხვა ნაწილებიც, მაგალითად: ეპიზოდები ნოდარის პირველი გეოლოგიური ექსპედიციიდან, ჩანახატი რუსი მწერლის ზაკრუტკინის შესახებ და სხვა.

ყველამ, ვინც იცნობს ნოდარ (ოჩო) ცერცვაძეს და მის მეგობრებს, იცის, რომ ესენი არიან მახვილგონიერებით გამოირჩეული ადამიანები. მაგრამ ერთია ზეპირი ხუმრობა და მეორეა მათი არაჩვეულებრივი იუმორის ქალაღზე გადატანა ისე, რომ არ დაიკარგოს იმპროვიზებული, სიტუაციას ზუსტად მორგებული ხუმრობის ხიბლი. როგორია გადმოსცე, ვთქვათ, თემიკო ჩირაგაძის საუბრის მანერა: მოკლე, მაგრამ გამიზნული ფრაზები, ზუსტი მახვილები და პარადოქსული ასოციაციები; ან მკითხველს წარმოადგენინო გურამ ასათიანის არტისტული, დაუმრეტელი ენერჯია და კომიკური სიტუაციების გამოგონებისა და დადგმის მუდმივი სურვილი. აღმოჩნდა, რომ ნოდარ ცერცვაძეს ამ რთული საქმის გაკეთებაც ემარჯვება და ამის შედეგად ჩვენც ხალისიანად, უბორო-

ტოდ ვიცინით გოგი ყუფარაძესთან, თამაზ ალავიძესთან თუ გიგო ბუაჩიძესთან ერთად.

მე ბედმა გამოიღმა, რომ ჩემი მშობლების მეშვეობით ახლოს ვიცნობ ნოდარ (ოჩო) ცერცვაძეს, მისი ოჯახის წევრებს და ბევრ იმ ადამიანს, ვის შესახებაც „მოგონებებში“ საუბარი. სხვათაშორის წიგნში აღწერილ ერთ-ერთ ეპიზოდში კიდევ ვმონანილები. ეს იყო 1988 წელი, გურამ ასათიანის მესამოცე დაბადების დღე, რომელიც გადაიხადეს სოფელ ჭოლევიში (ჩვენდა საუბედუროდ, გურამის ვაჟი და მისი მეგობრები ძია ოჩოს დაგავიწყდით და ახიცაა ჩვენზე, რადგან თავი ვერაფრით გამოვიჩინეთ. თუმცა სანუგეშოდ ის მაქვს, რომ იმ სუფრაზე, სადაც იყვნენ თემიკო ჩირაგაძე, შალვა კვინტრაძე, გოგი ყუფარაძე, ნანი ბრეგვაძე, მეტად ძნელია ვინმეს დაამახსოვრდე).

წიგნში აღწერილი ბევრი ეპიზოდი და ხუმრობა სხვისი მონაყოლითაც ვიცოდი, მაგრამ „მოგონებები“ მაინც დიდი ინტერესით წავიკითხე და ასეთი რამ მართო მე არ დამემართა. მგონი ამ გამოცანის პასუხიც ვიცი. კითხვისას თანდათან აცნობიერებ, რომ ხდები წიგნში აღწერილი ამბების უშუალო თანამონაწილე, თანამონაწილეობა კი არასოდესაა მომბეზრებელი, რადგან სულ გექმნება ილუზია, რომ ამბავი ზუსტად ამ დროს, შენს თვალწინ იწყება და ვითარდება.

გაგახადოს თანამონაწილედ – ნამდვილი ლიტერატურის თვისებაა. აბა გავიხსენოთ, ჩვენთვის საყვარელი წიგნები ხომ რამდენჯერმე გვაქვს წაკითხული.

თუ დაუფკვირდებით, ვნახავთ, რომ სიტყვები „მოგონება“ და „მოგონილი“ თითქმის ერთი და იგივე სიტყვებია. ენა, რომელიც ადამიანის ყველაზე ძირითადი ინსტინქტიდან მომდინარეობს, გვკარნახობს, რომ მეხსიერება, რეალობის გარდა, ფანტაზიითაც იკვებება. ჩემი გამოგონებითაც სწორედ იმ მოგონებების მოსმენაა საინტერესო, სადაც სიმართლე ფანტაზიითაა შეზავებული.

როდესაც კითხულობ ნოდარ ცერცვაძის წიგნს, გეუფლება შეგრძნება, რომ აქ აღწერილი სამყარო და ადამიანები რეალობაში არ არსებობდნენ, მაგრამ ამავე დროს ვერც ავტორის გულწრფელობაში დაეჭვდები...

ზეპირი თხრობისას ასეთი ეფექტის მოხდენა, ბევრს შეუძლია, ქალაღზე კი – მხოლოდ მწერალს.

გარდა ზემოთქმულისა, ნოდარ ცერცვაძის წიგნის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ აქ არ არის ზედმეტი საუბარი საბჭოთა ეპოქის სიმძიმეზე. ვერსად გაიგებთ ნუნუნსა და ჩივილს – ეს რა დროში მოგვინია ცხოვრებაო – და ტრაბახს – აი, რა მაგარი ბიჭები ვიყავით და როგორ ვუმკლავდებოდით საბჭოეთის წნეხსო. ასეთი რამეები წიგნში მხოლოდ გაკვრით და მორიდებითაა ნახსენები. მკითხველის ყურადღება უფრო მიქცეულია იმ ნათელ და კეთილ სამყაროზე, რისი შექმნაც მოახერხეს ნოდარმა და მისმა მეგობრებმა და რომელიც სინამდვილესთან მიმართებაში რაღაც ნაირად პარალელურად არსებობდა.

მასალისადმი ასეთი მიდგომა მეტად ამძაფრებს ეპოქის აბსურდულობის შეგრძნებას; მართლაც, სად შებოჭილი, უაზრო საბჭოთა ყოფა და სად, ვთქვათ, გურამ ასათიანი ან გიგო ოჩიაური... ამ მოდელის მოთქმეობაც ლიტერატორის ალღოს მქონე ადამიანს შეუძლია.

ერთი სიტყვით ნოდარ ცერცვაძის მოგონებების წიგნი არის არა მხოლოდ მონაწილის და შთაბეჭდილების კრებული, არამედ რეალური ადამიანების და ამბების შესახებ დაწერილი მხატვრული ესკიზებისა და ნოველების წიგნი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავტორს ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად აქვს ნამდვილი მწერლის ნიჭიც.



# გასტრონომია ლიტერატურაში

\*

## ვოვა კიკილაშვილის ნოველების კრებული განხილვა

ვოვა კიკილაშვილს, მკვლევარსა და პუბლიცისტს, იქნებ არც არასოდეს ეფიქრა პროზაიკოსობაზე, ლიტერატურული კონკურსი – „ლუარსაბ თათქარიძე“ – რომ არა. მისთვის დაწერდა ნოველების ციკლს და... მოულოდნელ წარმატებასაც მოიპოვებდა. საკმაოდ მაღალი რანგის ბელეტრისტულ ქმნილებებს შორის მისი თხზულება არ ჩაიკარგებოდა და ჟიურის საგანგებო პრიზითაც აღინიშნებოდა.

გაზეთის ფურცლებზე ამ ნოველების გამოჩენასა და მკითხველის დანტერესებას ძალაუბნებურად მოჰყვა ციკლის შევსება და ცალკე ნიგნად გამოცემა – „გარდასულ დღეთა მოგონებები“. გაფორმებისათვის რევაზ ინანიშვილის ნახატები გამოიყენა. განხილვა კი სიღნაღში გაიმართა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალში, სადაც ლექციებს თვითონაც კითხულობს.

### გაიოზ ნადირაშვილი:

„ვოვა კიკილაშვილმა, ჩვენი ფილიალის პრორექტორმა, გამოსცა შესანიშნავი ნოველების კრებული და ყველას გირჩევთ, თუ განერვიულებული დაწვებით, ძილის ნინ გადაათვალიერეთ ეს ნოველები, წაიკითხეთ და გარწმუნებთ, არავითარი წამალი აღარ დაგჭირდებათ. ეს პირადად ჩემს თავზე გამოვცადე. სხვათა შორის, ზოგიერთ აქ მყოფთ ნიგნს პერსონაჟადაც შეიცნობთ.“

ვოვას არაერთი წერილი ადრეც გამოქვეყნდა. დიდი მადლობა მინდა მოვასხენო „ჩვენს მწერლობას“ ორიგინალური კონკურსის გამართვისათვის. ჩვენთვის საამაყოა, რომ ჟიურის საგანგებო პრიზი გადაეცა ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომელს“.

**პაატა ცხადაია**მ ვრცელი, მრავალმხრივ საგულისხმო რეცენზია წაიკითხა, ყოველგვარ ლიტერატურულ თავყრილობას რომ დაამშვენებდა, უთუოდ ცალკე უნდა გამოქვეყნდეს; აქ ამიტომაც აღარ გავიმეორებთ.

„ჩაიხედავ ვოვას ნიგნში და ასეთი ფრაზები მოგხვდება „ლოქო ქინძმარში: მარილწყალში უნდა მოიხარშოს დაფნით, ნიახურის ძირებითა და სურნელოვანი პილპილით, რომ ამოიღებთ, ნვენიც ჩააყოლეთ ოდნავ და ნალდი ღვინის ძმარიც გადაასხით...“

„გოჭათევზას, სახანს რომ უძახიან, პამიდვრის სანებელი უქენით, ალყა-ალყა ხახვი“ და სხვა...“

ახლა – „შილა-ფლავი“ – ფაქიზი გაკეთება უნდა, კაი ნაჭრები უნდა იყოს...“

### გაიოზ ნადირაშვილი:

„ამ მშვიერ ხალხს ახლა ამის მოსმენა უნდა?“

### პაატა ცხადაია:

„ბ-ნო გაიოზ, თქვენ რომ ბრძანეთ ამ ნიგნს წაიკითხავთ და მშვიდად დაიძინებთ, ვერ დაიძინებთ!“

ერთი შეხედვით კულინარიის სახელმძღვანელო გეგონებათ. მაგრამ ის, რასაც მწერალი ამ ნიგნში ამბობს, ჩვენი ყველას საფიქრალი და სატიკივარია.

რა ანუხებს მწერალს და რაზე შესტიკვა გული?

ეს ჩვენი ნაცნობი გარემოა ცოცხალი პერსონაჟებით...“

### როსტომ ჩხეიძე:

„მოგესალმებით ყველას, ამ დარბაზში პირველად არ მიწვევს გამოსვლა. აქ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა ჩვენი საზოგადოების ფილიალი – ბატონი გაიოზის დიდი თანადგომით, სიღნაღში და სიღნაღის უნივერსიტეტში უნდა ყოფილიყო ეს ლიტერატურული კერაც.“

სწორედ ეს გარემო, ეს კერა უნდა აგრძელებდეს სოლომონ დოდაშვილისა და მის თანამზრახველთა ტრადიციას, სხვაგვარად არავითარი აზრი არ გააჩნია ჩვენს ცხოვრებას და ჩვენი ყველა ნაბიჯი უბრალო ჩხირკედელაობად გადაიქცევა.“

ყველა ნიგნი, ყველა ლექცია, ყველა ნაშრომი უნდა იყოს ანარეკლი და გამოძახილი იმ დიდი მოძრაობისა, რომელსაც კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა ჰქვია.

ვოვა კიკილაშვილი ამ მოძრაობაში, ამ გარემოში ერთი თვალსაჩინო სახელია.

მრავალმხრივი ინტერესების პიროვნება, ადამიანი, რომელიც არ არის ჩაკეტილი ერთ რომელიმე სფეროში – ცნობილი ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, ამავე დროს მწერლური ნიჭით დაჯილდოებული და მისი სტატიებიც დაწერილია ცოცხლად, მიმზიდველად. „ხუთშაბათის ავტობუსი“ კიდევ ახსენეს აქ – შესანიშნავი ნარკვევი, ნამდვილი ბელეტრისტის კალმით გამოკვეთილი.

ლიტერატურულმა კონკურსმა „ლუარსაბ თათქარიძე“ ხელი შეუწყო და უბიძგა მას გამოეჩინა თავისი ნოველები, ჩანანერები და წარედგინა კონკურსზე მონაწილეობისათვის.

„ლუარსაბ თათქარიძე“ ორიგინალური კონკურსია. მისი თემა და შინაარსი გახლავთ – გასტრონომია ლიტერატურაში. ჩვენთან პირველად გაიმართა ამ ყაიდის ლიტერატურული შეჯიბრი, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში კი – ვთქვათ, ესპანეთში – ხშირად ატარებენ.

ამ კონკურსის იდეა გაჩნდა ერთი პატარა მასალის შემდეგ, რომელიც საგანგებოდ მომზადდა ჩვენი გამოცემისათვის. ასეთი პატარ-პატარა მასალები ხშირად იბეჭდება მკითხველის გასახალისებლად, და აი, ასე წავანყდით ესპანეთში ამგვარი კონკურსის შესახებ პატარა ჩანანერს – გასტრონომია ლიტერატურაში.

რა კავშირია ერთი შეხედვით, გასტრონომიასა და ლიტერატურას შორის? ცოტა შემაცბუნებელიც იყო ასეთი დაწყვილება. ჟიურის თავმჯდომარე ასე განმარტავდა, რომ ლიტერატურა და გასტრონომია იმით ჰგავს, რომ განსხვავებული ელემენტები ძალიან ჰარმონიულად თანხვდება ერთმანეთსო.

ერთი შეხედვით ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ იქნება იუმორისტული ყაიდის კონკურსი, მაგრამ ესპანელები იუმორით არ შემოფარგლულან და იქ იყო სატირაც, სარკაზმიც, დრამატული ნაწარმოებებიც და თხზულება, რომელმაც პირველი პრემია მოიპოვა – გახლდათ პოლიტიკური სატირის ნიმუში.

გადავწყვიტეთ, ამ ყაიდის კონკურსი ჩვენთანაც, საქართველოშიც ჩაგვეტარებინა. და ვუნოდეთ ლუარსაბ თათქარიძის სახელი, რადგანაც ეს სახელი ყველაზე უკეთ გამოხა-

ტავს ამ კონკურსის შინაარსსა და მის მრავალფეროვნებას. ლუარსაბ თათქარიძე საკმაოდ რთული პერსონაჟი გახლავთ, მისი ხასიათის ცალმხრივი აღქმა აკნინებს ამ პერსონაჟსა და ილიას მხატვრულ ხელოვნებასაც. ლუარსაბი არ არის მხოლოდ კომიკური პერსონაჟი, მის ხასიათში მრავალი დანაშრევია, რომელიც ზედაპირულად არა ჩანს. იგი არის კომიკურიც და დრამატულიც – ეს თანხმეობა ქმნის სწორედ ხასიათის სიღრმეს.

სხვათა შორის, 50-60-იან წლებში გორში არსებობდა ბოჭემური (არა იატაკქვეშა!) საზოგადოება, რომელიც აერთიანებდა მეცნიერებს, მწერლებს, რეჟისორებს, მხატვრებს, მსახიობებს და ერქვა სწორედ ასე – ლუარსაბ თათქარიძის სახელი. დევიზიც შესაფერისი ჰქონდა: „არტალაზედ როგორ ხარ?“ და თუ ვინმე პასუხობდა: „ვაცივითა ვარ, ვაცივითა“, ეს სწორედ ერთ-ერთი წევრთაგანი იქნებოდა. იმართებოდა სუფრები და ეს სუფრები თავის დროზე კულტურის თავისებური კერაც გახლდათ.

ემბლემა დახატა კარლო ფაჩულიამ – ჩვენმა შესანიშნავმა მხატვარმა და ამ ემბლემამ დაამშვენა კონკურსი.

ერთსაც გეტყვით: კონკურსები არაერთი ტარდება ჩვენს რეალობაში და როგორი ტენდენციურიც უნდა იყოს კონკურსი, მაინც გამართლებულია მისი არსებობა. რადგანაც ამ ყაიდის მოვლენები აცოცხლებენ სამწერლო, სალიტერატურო ცხოვრებას.

ჩვენი კონკურსი სწორედ პიროვნულობით გამოირჩეოდა.

საკმაოდ საინტერესო მასალამ მოიყარა თავი – 100-ზე მეტი მონაწილე გახლდათ – ზოგი აღიარებული მწერალი, ზოგმა პირველად სცადა კალამი.

ერთადერთი მე გახლდით ჟიურის წევრთაგან, ვინც ბატონ ვოვას პირადად ვიცნობდი და ძალიან მიხარია, რომ მე არ წამომიჭრია მისი დაჯილდოვების საკითხი. სხვა წევრებმა თქვეს პირველად და მე უბრალოდ დავეთანხმე. ყველამ იკითხა ცალ-ცალკე, ვინ იყო ვოვა კიკილაშვილი და ჟიურის სხდომაზე ერთსულოვნად გადაწყდა მისთვის პრემიის მინიჭება.

და მეც სიამოვნებით წარვუდგინე მაშინ ეს პიროვნება, შესანიშნავი სამეცნიერო გამოკვლევებისა თუ ლიტერატურული სტატიების ავტორი, რომლის რამდენიმე ნარკვევი და დიალოგი ჩვენს ჟურნალსა და გაზეთშიც დაიბეჭდა.

„ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა საკონკურსო მასალების ერთი რკალი და ვოვას ნოველებიც გამოქვეყნდა. მას მოჰყვა ინგა მილორაგას საინტერესო კრიტიკული წერილი.

დღესაც პაატა ცხადაიამ შესანიშნავად დაახასიათა ეს ნოველები ყოველმხრივ – მისი ფონიც, მისი მხატვრული მნიშვნელობაც, სოციალური სიმძაფრეც, ვფიქრობ, ეს მიმოხილვაც აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს. ხოლო ვოვას ნოველებს არაერთხელ დაუბრუნდება ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა და, რაც მთავარია, მკითხველი.

ეს წიგნი, რომელშიც შევიდა საკონკურსო მოთხრობა და კიდევ რამდენიმე ნოველი, სერიოზული მწერლობაა, არ არის ჟურნალისტიკა, როგორც ეს ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, სერიოზული განაცხადია და ინტერესით დაველოდებით მის სხვა კრებულებსაც“.

**ზაირა კორაშვილი:**

„მე ასეთი ჩვევა მაქვს და ალბათ ყველა თქვენთაგანს. რაიმე წიგნს რომ წავიკითხავ, მნიშვნელოვან ადგილებს



ვოვა კიკილაშვილი

ხაზს გავუსვამ, აღვნიშნავ ხოლმე ფაქტით.

ამ წიგნს რომ ვკითხულობდი, ხაზგასმელი ვერაფერი აღმოვაჩინე იმიტომ, რომ თითქმის სულ უნდა დამეხაზა...

დავანებე თავი. როცა გავიგე, რომ წიგნის განხილვა ხდებოდა, ვთქვი, აბა ახლა მეორედ წავიკითხავ, აღვნიშნავ ხაზგასმით, რაც მომეწონება-მეთქი. მაგრამ სამწუხაროდ, ეს წიგნი თან არ წამომილია და მხოლოდ შთაბეჭდილებებს მოგახსენებთ.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება:

მე ჩემი თავი არაუშავს მზარეულად მიმაჩნდა, აი, ამ ხალხის წინაშე თითსა ვკაკავ. არაფერი მზარეულიც არა ვყოფილვარ ვოვა კიკილაშვილთან შედარებით“.

**რეპლიკა დარბაზიდან:**

„ოჰ, კარგი, ახლა!“

**ზაირა კორაშვილი:**

„ვოვა, შეკითხვას გისვამ, რაიმე კულინარიული სასწავლებელი ხომ არა გაქვს დამთავრებული?“

მეორე შთაბეჭდილება: „ეს წიგნი ჯერ მარტო საქართველოში ჩამოსული სტუმრებისათვისაა აუცილებელი. ეს არის მათთვის გზამკვლევი კახეთში.“

ეს წიგნი ჰიმნია კახური ცხოვრებისა მთელი თავისი ატრიბუტებით. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ბატონო ვოვა, თქვენ შეგადართო ნოდარ დუმბაძესა და ოტია იოსელიანს... ნაშრომების რაოდენობით კი არა, იმ ფუნქციით, რაც ნოდარმა გურიისთვის გააკეთა, და ოტია – იმერეთისათვის...“

ამ წიგნს რომ გადაშლი, თავიდან ბოლომდე საესეა კახური სიტყვებით, კახური ლექსიკური ფონდით, კახური გამონათქვამებით, მოკლედ „კახეთო, ჩემო კახეთო!“ – როგორც დაწერა ჩვენმა ნუნუ დულაშვილმა, აი, თქვენი წიგნიც ამგვარი განწყობისაა, ჰიმნის განწყობისა“.

**ვოვა კიკილაშვილი:**

„გიორგი ლეონიძეს და რეზო ინანიშვილს რაღა პასუხი გავცეთ! ნუ შემარცხვენთ...“

**ზაირა კორაშვილი:**

„და კიდევ: ყველა დარგს თავისი ფილოსოფია აქვს. ეს წიგნი ფილოსოფიურიცაა. ნუ შეგვაცდენს ადვილად, წასაკითხი ხუმრობანი და სადა ფორმა...“

**ვოვა კიკილაშვილი:**

„ფილოსოფიაში სამიანი მყავდა...“

**ზაირა კორაშვილი:**

„მე ხუთიანს გინერ, ეს არის წმინდა ფილოსოფიური წიგნი და, აი, რატომ:“

აქ ისეთი პრობლემებია წამოყენებული, რომ ორჯერ ნაკითხვა არც ყოფნის.

აი, გადაშალეთ პირველი გვერდი და ნაიკითხეთ: „ვუძღვნი ჩემს იუბილეგადაუხდელ მეგობრებს...“ – მთელ წიგნს ნითელ ზოლად გასდევს მეგობრებთან ურთიერთობის თემა. მთელი შრომა დაინერება მეგობრობაზე ამ ნოველების მიხედვით.

ასევე: მორალის თემა.

ბატონმა პაატამაც ასხენა, რომ თითქმის ყველა ნოველა მორალის თემას ეხება. ეს გააზრებულა, ფილოსოფიური ტერმინები რომ გამოვიყენოთ, დროისა და სივრცის ასპექტში, თუნდაც ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი – პეტროვნა, გაიხსენეთ... საოცრად საინტერესო და ღრმა ხასიათია – როცა პეტროვნა რუსეთში გადაიხვეწა, ოჯახებში განქორწინება განშირდაო. ეს ხასიათი დანახულია სწორედ გარკვეული დროისა და სივრცის ასპექტში.

კიდევ ერთი ფილოსოფიური მომენტი: რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლა: მთელი შენი რეცეპტურა კერძებისა. იმდენი რამე გავიგე, ზოგის სახელიც არ გამეგონა! ეს ნაშრომი არა მარტო ჰიმნია კახური ყოფისა, არამედ ერთგვარი ფილოსოფიური ტრაქტატიც!

გილოცავ და... სიამოვნებით მოგებარები კულინარიაში!"

**ვოვა კიკილაშვილი:**

„მადლობას გიხდით, ქ-ნო ზაირა, ხუთიანისათვის...“

**ლერი მჭედლიშვილი:**

„მე ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ და არც ასეთი ფართო დიაპაზონის ფილოლოგი, ამიტომ ჩემი გამოსვლა მართლაც შთაბეჭდილებათა გაზიარება იქნება.

მართლა მიყვარს ჩემი მეგობარი, მიყვარს ლიტერატურა და ეს მოთხრობები რომ წავიკითხე, სურვილიც გამიჩნდა აზრის გამოთქმისა.

ჩვენ ვოვამ ძალიან ბევრი რამ მოგვცა ემოციური თვალსაზრისით. მას შემდეგ, რაც ჩვენს წრეში შემოვიდა, მან ჩვენს გარემოს სინაფულე შემატა და ამ განხილვის მიზანი ესეც არის, რომ ეს ემოციები ნაწილი მაინც უკან დაუბრუნოთ. ვიცოდით, რომ ვოვა იყო ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი და უეცრად გავიგეთ, რომ საკმაოდ კარგი მწერალიც ყოფილა და მისი ნაშრომი პრესტიჟული პრემიითაც აღინიშნა.

უკვე ისაუბრეს, რომ ამ წიგნში ბევრი გასტრონომიული და კულინარიული თემა და ტერმინია, შეგიბრალებთ და მეც აღარ მოვყვები დაწვრილებით, თუ როგორ დაეჭრათ ბურვაკის ხორცი და როგორ დავალაგოთ, როგორ სურნელოვან წინაკაში უნდა იყოს მოხარშული და ასე შემდეგ.

კულინარიული მხარე ამ წიგნისა ვოვასთვის თვითმიზანი არ არის. ეს ერთი მხარეა წიგნისა – „რაც ესმას და აღწერს“ – როგორც სულხან-საბა განმარტავდა. ვოვა არა მხოლოდ აღწერს კარგად ჩვენთვის ნაცნობ და ახლობელ გარემოს, მთავარი ღირსება ამ ნოველებსა და ვოვას მწერლური ღირსებაც არის ის, რომ ძალიან დიდი სიყვარულით, გაუხუნარი ემოციებით ხატავს ყოველივეს – გარემოს, ადამიანებს (არჩილა, აპალონა, პეტროვნა...). როგორი სიყვარულით, ემოციებით არის გამოძერწილი ყოველი მათგანი, არყის სახედელზე რომ ვკითხულობდი მოთხრობას, უცებ მომეჩვენა, რომ მეც იქ ვზივარ, იმდენად ცოცხლად არის აღწერილი ეს გარემო... ისე პირადად მე ყველაზე მეტად ამ კრებულში მომწონს ნოველა „პეტროვნა“, რომელიც არ გახლავთ კულინარიული... როცა ამას ვკითხულობდი, გამახსენდა ფელინის ფილმი „კაბირიას ლამეები“, სადაც ასევე გამოაგნებელი თანაგრძობით იმსჭვალეები მთავარი პერსონაჟისადმი, ორნაირი, საწინააღმდეგო თვისებების მქონე ადამიანისადმი.

რატომ არიან ასეთი ადამიანები მიმზიდველნი?

ადამიანს ბევრი სხვადასხვანაირი თვისება შეიძლება ჰქონდეს და მათი შეთავსება ზოგჯერ ძალიან ჭირს. რაც უფრო რადიკალურად განსხვავდება ეს თვისებები, მითუფრო დიდ სულიერ სიმტკიცესა და ძალას მოითხოვს პროვინების-

გან, რომ იმ თვისებებით იცხოვროს და ასეთია სწორედ ეს პეტროვნა“.

**ცირა ჩიკვაიძე:**

„აქ უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს ნოველები ძალიან ღრმაა თავისი შინაარსით, მსოფლაქმით, მათში იგრძნობა სიყვარული, სითბო ქართველი კაცისა, დიახ, ქართველი კაცისა და ჩემთვის ეს აღმოჩენა იყო. ბატონ ვოვას ვიცნობდი, როგორც კავკასიოლოგს, ძალიან კარგ ამერიკანისტს და ამ სფეროში ნაყოფიერად მოღვაწე პიროვნებას და ამდენად მოულოდნელიც იყო ეს ქართული ბუნება...“

აქ აღინიშნა მისი მრავალმხრივობა, მრავალნიჭიერება.

ასევე ითქვა, თუ რამდენი კარგი საქმის წამომწყებია. თუნდ მისი თაოსნობით, ერთი ახალი საქმე, რომელსაც იგი ჩაუდგება სათავეში – ამერიკანისტიკის ცენტრის დაარსება სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში. ასეთი ცენტრები არსებობს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, არის თელავშიც, მაგრამ სიღნაღის ფილიალში სხვა დატვირთვა ექნება ცენტრს და, დარწმუნებული ვარ, ეს წამოწყებაც ისევე წარმატებული იქნება, როგორც სხვა საქმეები, მის მიერ განხორციელებული.

მეც მაქვს ჩემი გამორჩეული ნოველა – „გზაზე ბიჭი მიდიოდა“. და მინდა ვთქვა, რომელიც ბავშვობიდან დღემდე მოდის სამშობლოს სამსახურში – დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ბოლომდე მისი კრედი იქნება სწორედ ის, რაც მწერალს აქვს გაცხადებული და გამოტანილი: იგი ბოლომდე ერთგულად ემსახურება ქვეყანას“.

**დავით მჭედლური:**

„დიდებული კაცი ბრძანდება უკვდავი ლუარსაბ თათქარიძე, ჯერ მასზე შექმნილი ნაწარმოებია დიდი შენაძენი ქართული მწერლობისათვის და მისი სახელით გამოცხადებულმა კონკურსმა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ბიძგი მისცა ახალ ლიტერატურულ ნაკადს, რომელიც კულინარიული ლიტერატურის სახელით შეიძლება შევიდეს მწერლობის ისტორიაში.

მართლაც, ამ კონკურსმა რამდენიმე შესანიშნავი მოთხრობა შესძინა ქართულ მწერლობას.

საქართველოში ტრადიციულად არსებობს სუფრის კულტურა, კულინარიის კულტურა და მწერალი სწორედ ამ კულტურის შესახებ მოგვითხრობს ნამდვილი მწერლური ოსტატობით“.

**ცაცა ბენაშვილი:**

„მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვოვას, რომ მან შეძლო გაეცოცხლებინა ის დრო, რაც დროშიც ჩვენ გვიხდებოდა ცხოვრება. ბატონი ვოვა და მე მეზობელ სკოლებში ვსწავლობდით თურმე, პარალელურად მიდიოდა ჩვენი ცხოვრება თავისი გზით, მაგრამ როდესაც ეს წიგნი წავიკითხე, მივხვდი, რომ ამ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი ვიყავი...“

რამდენიმეჯერ წავიკითხე ეს წიგნი. ქართული პროზა იმდენად მაღალ დონეზეა, რომ თითქოს გასაოცარიც არის, ასეთმა პატარა წიგნმა როგორ გამოიწვია ასეთი დაინტერესება.

პირველ რიგში ამის მიზეზი უნდა იყოს ის გულწრფელობა, რომელიც ასე ხელშესახებადაა გამოხატული. გულწრფელობა მას საერთოდ ახასიათებს. ასევე ლაკონურობა, და ითქვა ამის შესახებ: ენის განცდა. მოკლედ და მოქნილად ამბობს ღრმა სათქმელს.

აღარ შევანუხებ აუდიტორიას ჩემს ემოციებზე საუბრით, მაგრამ კულინარია მხატვრულ პროზაში მართლაც საინტერესო თემაა. როდესაც აღუქსანდრე დიუმა მოგზაურობდა

კავკასიაში, იგი აღწერდა საჭმელებსაც, რეცეპტებსაც იწერდა და თავის წიგნში „კავკასია“ უხვად და კარგად აქვს გადმოცემული.

ეს არ არის მხოლოდ კერძის მომზადების წესი, ხელოვნების დონეზეა აყვანილი და ამის შემდეგ ძალიან მეშინია და მერიდება ბატონი ვოვა დავპატიყო სადილად“.

**გაიოზ ნადირაშვილი:**

„ნამდვილად საშიშია, ქალბატონო ცაცა“.

**თამარ ბუკია:**

„ჩემი გამოსვლა ცოტა განსხვავებული იქნება. წიგნის შესახებ უკვე იმდენი ითქვა, რომ მის გარჩევას აღარ დავიწყებ. ნილად მხვდა, ეს წიგნი აკინძვამდე წამეკითხა. ჩემს მეგობრებს ტელეფონშიც კი ვუკითხავდი. ყოველი სიტყვა ამ წიგნისა დიდ სიყვარულს ასხივებს. ამ წიგნის არცერთი ეგზემპლარია გასაყიდად არ დაბეჭდილა. მე პირადად ასე მგონია, არ დაიბეჭდა, იმიტომ, რომ სიყვარული არ იყიდება. შეუძლებელია გაყიდო ის, რაც ასეთი სათუთია.

ჩემს მეგობრებს ცალ-ცალკე დავურიგე და წავაკითხე, ვთხოვე ჩანაწერები გაეკეთებინათ, და აი ორი ნიმუში: „... რა ბედნიერებაა, რომ ჯერ კიდევ არიან თავის კუთხეზე და თავის ხალხზე ასე შეყვარებული ადამიანები...“ „... გენაცვალეთ, ეს არის ყველა დიასახლისის სამაგიდო წიგნი...“

ჩემს მეგობრებს ცალ-ცალკე დავურიგე და წავაკითხე, ვთხოვე ჩანაწერები გაეკეთებინათ, და აი ორი ნიმუში:

„... რა ბედნიერებაა, რომ ჯერ კიდევ არიან თავის კუთხეზე და თავის ხალხზე ასე შეყვარებული ადამიანები...“

„... გენაცვალეთ, ეს არის ყველა დიასახლისის სამაგიდო წიგნი...“

**გაიოზ ნადირაშვილი:**

„ჩვენს ფილიალში ვინც გასათხოვარი მოვიდა, გათხოვდა, ვინც უცოლო მოვიდა, ცოლი მოიყვანა, ვინც არამწერალი მოვიდა, ყველა მწერალი გახდა...“

**გვი მიქვლამე:**

„აღბათ საინტერესო იქნება თქვენთვის არაფილოლოგიის და არალიტერატორის შეხედულებაც წარმოგიდგინოთ. მე გამოყენებითი დარგის სპეციალისტი ვარ. და თუ რამეს ვწერ, ვწერ კონკრეტულ დებულებებს, იმას, რაც ხალხმა უნდა გამოიყენოს.

ამ წიგნის დიდ ღირსებად მიმაჩნია საოცრად თბილი იუ-

მორი. იუმორით შეხედო ცხოვრებას – ეს მგონია ერის გადარჩენის ერთ-ერთი საწინდარი.

ნოდარ დუმბაძე ახსენეს. ნოდარმა გურია შეაყვარა მთელ საქართველოს, ამ წიგნმა, აქ წარმოდგენილმა ურთიერთობებმა, საყოფაცხოვრებო დეტალებმა ასევე შეიძლება შეაყვარონ კახეთი მთელ საქართველოს, იმ ადამიანსაც კი, რომელიც იქნებ არც კი ყოფილა კახეთში.

ერის კულინარია არცთუ სახუმარო საქმეა. და მართლაც დამსახურებულად მიუნიჭებიათ ვოვასათვის „ლუარსაბ თათქარიძის“ პრემია. ბ-ნო ვოვა, თქვენ კი წერთ შესავალში, მწერალი არა ვარო, მაგრამ მე ვერ დაგეთანხმებით.

ვისურვებდი, რომ ამ მხრივაც გელვანათ“.

**ვოვა კიკილაშვილი:**

„გმადლობთ, მაგრამ ველარ მოვასწრებ...“

**რევაზ ჯავახიშვილი:**

„ეს წიგნი სწორედაც უნდა გაიყიდოს. უნივერსიტეტში იკითხება სპეციალური საგანი, კვების ტექნოლოგია და ეს წიგნი ძალიანაც წაადგებათ ამ დარგის სპეციალისტებს. და არა მარტო სპეციალისტებს“.

**ვოვა კიკილაშვილი:**

„მადლობას მოგახსენებთ გადაჭარბებული ქებისთვის. აქ ერთი მშვენიერი ქალბატონი ზის, მან მომანოდა რამდენიმე შენიშვნა... არც ისე უზადო კულინარი ვყოფილვარ, მაგალითად რაჭული ლობიანის ანუ შეკეცილის რეცეპტში მაქვს დაშვებული შეცდომა – მოხალულე ხახვს არავინ უკეთებსო... შენიშვნისთვის დიდი მადლობა.

„ლუარსაბ თათქარიძის“ კონკურსი ასეც ხომ არ გაგრძელდეს? – ნელს იქნებ ჩვენც გადმოვიღოთ ეს კონკურსი და ასე დავანესოთ: პირველი პრიზი – სამი შტოფი ღვინო, მეორე – ორი შტოფი და მესამე – ერთი შტოფი“.

**გაიოზ ნადირაშვილი:**

„შეიძლება, რატომაც არა. ბოლოსდაბოლოს, ლუარსაბ თათქარიძის სახელის წინაშე ჩვენც ხომ გვაქვს რაღაც ვალდებულება“.

გამოხმაურება

საბა სულხანიშვილი

რომლითა  
საწყაულითა  
მიუწყოთ

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული საბავშვო რომანი უკვე ახალ თარგმანში შეგიძლიათ წაიკითხოთო.

„ტომ სოიერის თავგადასავალი“ ჩვენში პირველად ითარგმნა ინგლისურიდანო.

ეს ფრაზები ამოღებულია მოკლე სარეკლამო ტექსტიდან, რომელიც გამოცემილია „არეტეს“ დაურთავს მარკ

ტვენის ამ სახელგანთქმული ქმნილების ახალი თარგმანი-სათვის და, როგორც ჩანს, ვერც ისინი არიდებიან ჩვენში გავრცელებულ სენს პირველობის დაჩემებისა. და მხოლოდ დამამცირებელ ქვეტექსტშია ნაგულისხმევი „ტომ სოიერის თავგადასავლის“ პირველი მთარგმნელის გრიგოლ ყიფშიძის ღვაწლი, ნართაულ მინიშნებაში, რომ ის ქართული ორეული არა ორიგინალის ენიდან, არამედ რუსულიდან შესრულდა.

არადა, მოგვიანებით ნინო რაზიკაშვილმა ეს თარგმანი შეუდარა ინგლისურ დედანს – დააზუსტა ზოგიერთი ფრაზა, ცალკეული გამოტოვებული პასაჟებიც შეავსო. ასე რომ, ტექსტი, რომელიც ამჟამად გვიპყრია ხელთ, ორიგინალიდან თარგმნილის ტოლფასად შეიძლება შევაფასოთ.

მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ.

ნუთუ არ შეიძლება ყოველი ახალი მცდელობა ისე შეფასდეს, რომ უსამართლოდ არ მიიჩქმალოს წინამორბედი? მითუმეტეს, ისეთი წინამორბედი, რომლის ყოველი მოხსენიებაც გულს უნდა უხარებდეს წიგნიერ ქარ-

თველს და საბაბსაც კი ეძებდეს მისი სახელის გასახშირებლად.

უკეთესი საბაბი კი რა შეიძლება იყოს, თუ არა „ტომ სოიერის თავგადასავლის“ ახალი თარგმანი, რომელიც თავისთავად საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას თუ ტოვებს, უთუოდ იმიტომაც, ამ დიდებული მოღვაწის ნამუშევარი რომ არის გათვალისწინებული სტილურადაც და ენობრივადაც.

თუმცა გრიგოლ ყიფშიძის ენა მარტო აქ კი არ გაუთვალისწინებიათ, არ გადავავარდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართული სალიტერატურო მეტყველების გამოუმუშავებასა და დახვეწაში მას იმხელა ღვაწლი მიუძღვის, როგორც „ივერიის“ (ყურნალისაც და გაზეთისაც) რედაქციის მდივანსა და სტილისტს, ლამის ილია ჭავჭავაძისას არ ჩამოუვარდება.

თვით ალექსანდრე ყაზბეგი არ თაკილობდა მის „შალაშინს“, არამცთუ სხვანი, სთხოვდნენ კიდეც ჩასწორებას იმ მაღლიანი და ძარღვიანი ენით, თანდაყოლილი ადლოს გარდა ფრონეს ხეობაში რომ შეეთვისებინა.

ილია ჭავჭავაძეც სავსებით ენდობოდა.

და ჩვენი თანამედროვე სამწერლო ენა არსებითად „ივერიის“ ენაა.

თუმცა რამდენჯერმე მოჰკიდეს ხელი ალექსანდრე სუბათაშვილ-იუჟინის ტრაგედიის – „ღალატი“ – ქართულად ამეტყველებას, და მათ შორის აკაკი წერეთელმაც, თეატრები უპირატესობას გრიგოლ ყიფშიძის თარგმანს ანიჭებენ.

ნაცვლად იმისა, ხელახლა მეორედობდეს ეს თარგმანი;

ნაცვლად იმისა, ხელახლა მეორედობდეს მის მიერ ქართულად ამეტყველებული რომანები ჰენრიკ სენკევიჩისა „ცეცხლითა და მახვილით“ და „პან ვოლოდიევსკი“;

ნაცვლად იმისა, ხელახლა მეორედობდეს მის მიერ თარგმნილი რომანები პოლ ბურჟესი „ცოდვა სიყვარული-სა“ და „ანდრე კორნელი“;

ნაცვლად იმისა, ხელახლა განმეორდეს მის მიერ თარგმნილი სხვადასხვა ავტორთა ნოველების კრებული, რომელიც საგრძნობლად შეივსებოდა მაშინდელ სალიტერატურო პრესაში მიმოფანტული სხვა წერილ-წერილი მოთხრობებითაც –

„ტომ სოიერის თავგადასავლის“ ჩამორთმევაც მოუნდომეს?

მიჩქმალვა, მიყრუება ასეთი მიზნით ხდება.

ოცი წლის წინათ მისი ამ ნამუშევრის გაქიამება რომ მოინდომა ჟურნალმა „საუნჯემ“, რათა ახალი თარგმანი-სათვის ძალადობით გაეკაფათ გზა, პაატა ჩხეიძესთან ერთად თქვენი მონა-მორჩილი გამოეხმაურა მკაცრად იმ არალიტერატურულ თავდასხმას და დავუკარგეთ სურვილი ასეთი ხელოვნური ჩანაცვლებისა.

ასმათ ლეკიაშვილის პროფესიულ ნამუშევარს კი სიამოვნებით მივესალმებით, თანაც იგი იმ ლიტერატორთა შორისაა საგულელებელი, რომელნიც უჩუმრად აკეთებენ მნიშვნელოვან საქმეებს და მოვალენი ვართ ცოტა მეტ ყურადღებას ვიჩინდეთ ასეთ ადამიანთა მიმართ.

მაგრამ მათ ნაღვანსაც ნუ გამოვიყენებთ წინამორბედთა კვალის წასაშლელად და ისტორიული სამწერლო პროცესების მისამალ-მოსამალად.

მითუფრო –

გრიგოლ ყიფშიძის თარგმანი ენობრივ აქტუალობას კვლავაც ინარჩუნებს და ყოველთვისაც შეინარჩუნებს,

თუკი ქართული ენა ისე არ აგვემღვრევა და გამოგვეფუტება, რომ დედოძარღვს მოვწყდეთ და აღარც სურვილი გაგვჩნდეს მისკენ სვლისა.

„ტომ სოიერის თავგადასავლის“ მისეულ ვერსიას არ შერჩება მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა და ახალი თარგმანების კვალდაკვალ ისევ უნდა მეორედობდეს, როგორც, ვთქვათ, ნიკო ავალიშვილის მიერ გადმოღებული „დონ კიხოტი“ უნდა გამოიცეს მას შემდეგაც, რაც ბაჩანა ბრეგვაძემ უშუალოდ ესპანურიდან აამეტყველა ქართულად მიგელ დე სერვანტესის ეს საკაცობრიო ქმნილება. ვერც ნიკო ავალიშვილი – ეს ბრწყინვალე მოქართულე და სტილისტი – ვერ მოემწყვდევა ასე ადვილად დამამცირებელ ქვეტექსტში, თუკი „დონ კიხოტის“ ახალი თარგმანის გამომცემელნიც დაისაჭიროვებენ სარეკლამო ტექსტს: „დონ კიხოტი“ ჩვენში პირველად ითარგმნა ესპანურიდანო.

ამ აზრის გამოთქმა წინამორბედის მიუჩქმალვადაც შეიძლება.

ანკი რატომ უნდა გავუშვათ ხელიდან საბაბი, ვახსენოთ ნიკო ავალიშვილის სახელი?

როდესაც ვახტანგ ჭელიძე თეატრის თხოვნით ხელახლა გადმოიღებდა ქართულად უილიამ შექსპირის „მეფე ლირს“, მანამდე საგანგებოდ გააანალიზებდა წინამორბედთა – ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ შესრულებულ თარგმანს, სათანადო პატივს მიაგებდა მარჯვედ მოძებნილ ტონალობასა და პოეტურ საზომს, მათ მიერ გაკვალულ გზას, და ტრაგედიის ახალი ქართული ვერსიის გამოცემისასაც არავინ ნაანერდა სარეკლამო ტექსტად: „მეფე ლირი“ ჩვენში პირველად ითარგმნა ისე, რომ თარგმანი დედანს ლამის ორჯერ არ აღემატებოდა, – რათა დამამცირებელ ქვეტექსტში ეგულისხმათ წინამორბედთა ღვაწლი და ხელოვნება, მოხსენიების ღირსად კი არც ეცნოთ.

თავისთავად ეს ფრაზა სწორი იქნებოდა, მაგრამ რამდენად მორალური და აუცილებელია მისი მაინცდამაინც ასე წარდგენა?!

მონაცვლეობით გამოიცემა შექსპირის ტრაგედიის ეს ორი თარგმანი.

„ტომ სოიერის თავგადასავალსაც“ იგივე ბედი მოელის ჩვენს რეალობაში.

„არეტეს“ მესვეურთ ისიც ესახელებათ, რომ: ჩვენს ყმანვილებსაც ნიგნის პირველი ილუსტრატორის თრუ უილიამის ნახატებიც შეუძლებათ მარკ ტვენის ბავშვური ფათერაკებით აღსავსე სამყაროში.

მაგრამ უილიამის ილუსტრაციების გამოჩენა სულაც არ არის უჩვეულო ქართული სამწერლო ცხოვრებისათვის. ეს ნახატები ერთხელ უკვე შეუძლვა ჩვენს ყმანვილებს მარკ ტვენის სამყაროში, როდესაც გრიგოლ ყიფშიძის თარგმანს დაერთო. და რა დააკლდებოდათ, ესეც რომ აღენიშნათ?

... მივეგოს კეისარს კეისრისაო, – ძველთაძველ სიბრძნეს სხარტ და სახიერ ფორმულაში მოაქცევდა მაცხოვარი.

რომლითა სანყაულითა მიუწყით, მოგენყოს თქვენო. ესეც ძველთაძველი სიბრძნის ელვარებაა.

ნუთუ წმინდა ოთხთავს იმიტომ უნდა ვკითხულობდეთ, რომ იქვე გვავიწყდებოდეს?!

ისე ნეტა მთანმინდელეების სახელებსა და ღვანლს როგორღა უნდა ვექცეოდეთ?..

**ირენ ნემიროვსკას  
„ფრანგული სუიტა“**

„სეზონის უმთავრესი მოვლენა“, „ნამდვილი შედეგრი“, „ჰიტლერის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შესახებ შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები“, „ზემოქმედების ძალით ლამის „ანე ფრანკის დღიურის“ დარი რომანი“ – ასე შეაფასეს ნამყვანმა ფრანგულმა ლიტერატურულმა ჟურნალ-გაზეთებმა ირენ ნემიროვსკას რომანი „ფრანგული სუიტა“, რომელიც შარშან გამოცემულა „დენოელმა“ დაბეჭდა.

მაღე ირენ ნემიროვსკა პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის „რენდოს“ ლაურეატი გახდება და ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა აღნიშნული პრემია ავტორის სიკვდილის შემდეგ და თითქმის 60 წლის წინათ შექმნილი თხზულებისათვის გაიცემა.

ირენ ნემიროვსკა 1903 წელს, კიევში მდიდარი ებრაელის ოჯახში დაიბადა. მამა ცნობილი ბანკირი ჰყავდა, რომელიც ცხოვრებას ძირითადად საქმიან შეხვედრებსა და კაზინოებში ატარებდა. დედა კი – დახვეწილი არისტოკრატია – ქალიშვილს ჩავლილი ახალგაზრდობის ჩუმი გახსენებასავით აღიქვამდა. ირენი გადიის მეთვალყურეობით იზრდებოდა, რომელიც გოგონას ფრანგულ სწრაფ მეტყველებას ასწავლიდა. ირენმა საკმაოდ ადრე შეიყვარა კითხვა, მერე კი კალამი თვითონაც მოსინჯა.

1918 წელს გლეხის სამოსში გადაცმულმა ნემიროვსკებმა ფინეთის საზღვარი გადაკვეთეს და რუსეთიდან გაიქცნენ. რამდენიმე თვე ევროპაში იხეტიალეს, საბოლოოდ კი საფრანგეთში, პარიზში დაფუძნდნენ. მამა საკუთარი ბანკის ფრანგულ ფილიალს ჩაუდგა სათავეში, ოჯახს მშვენიერი სახლ-კარი უქირავა და ნემიროვსკებმა კვლავ ჩვეული ფუფუნებით ცხოვრება განაგრძეს. დრო ზეიმსა და დღესასწაულში, მეჯლისებსა და მაღალი საზოგადოების წევრებზე გადიოდა. ირენმა მომავალი მეუღლეც სწორედ ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე გაიცნო. გოგონას ლიტერატურული კარიერაც არანაკლები წარმატებით აენყო. ფრანგული ჟურნალ-გაზეთები დაუბრკოლებლად აქვეყნებდნენ მის ზღაპრებსა და მოთხრობებს, მაგრამ ნამდვილი წარმატება ავტორს 1929 წელს გამოცემლობა „გრასეს“ დასტამბულმა რომანმა „დავით გოლდიერმა“ მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ბერნარ გრასემ, რომელმაც მოინადინა, ირენთან პირადად დაედო საავტორო კონტრაქტი, უცებ ვერც დაიჯერა, რომ ასეთი გამართული და ოსტატურად დანერგილი თხზულება საფრანგეთში სულ რაღაც 10 წლის წინათ ჩამოსახლებული ახალგაზრდა გოგონას კალამს ეკუთვნოდა.

ნემიროვსკების ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ. საოკუპაციო მთავრობის მიერ მიღებულმა კანონმა „ებრაელთა შესახებ“ ირენის ოჯახი, რომელიც იმხანად უკვე ორი შვილის დედა იყო, უმშუვეარ და სოციალური სტატუსის უქონელ ბოგანოებად აქცია. ამის შემდეგ მწერალი მხოლოდ ძალიან იშვიათად და ისიც ფსევდონიმით ახერხებს საკუთარი ნაწერების გამოქვეყნებას. რედაქციები და გამოცემლობები ერიდებიან უცხოელისა და მით უფრო ებრაელის შემოქმედების ბეჭდვას. ამ აუტანელ ვითარებას ნემიროვსკი სტოიკური ნებისყოფით უმკლავდება. საკუთარი მომავლისად-

მი ილუზიების გარეშე იგი 1941-42 წლებში მონდობებით მუშაობს რომანზე „ფრანგული სუიტა“, რომელიც ჩაფიქრებული აქვს, როგორც რომანი-ანდერძი,

რომანი-მანიფესტი – მუსიკალური სიმფონიის პრინციპზე აგებული ისტორიული ეპოპეა.

1942 წლის ივლისში ნემიროვსკები დააპატიმრეს და ოსვენცემის საკონცენტრაციო ბანაკში გაუშვეს. მათ კვლავდავალ საკონცენტრაციო ბანაკში ხვდება ირენ ნემიროვსკას მეუღლეც. რომანის ხელნაწერი კი საოჯახო არქივთან ერთად მათმა ქალიშვილებმა რაღაც სასწაულით გადაარჩინეს. მხოლოდ ათწლეულების შემდეგ იპოვა ერთ-ერთმა ქალიშვილმა ძალა, რათა დედის უკანასკნელი ნაწარმოები ჯერ წაეკითხა, ხოლო მერე გამოსაცემადაც მოემზადებინა.

„ფრანგულ სუიტაში“ ერთმანეთს რამდენიმე ოჯახის ბედი უკავშირდება, რომელთა მაგალითზეც მწერალი იმ მოვლენათა შესახებ მოგვითხრობს, რისი შემსწრეობაც ცხოვრებამ არგუნა. გერმანელთა დაბომბვების შემდეგ პარიზიდან ხალხის მასობრივი გადასახლება იწყება. ლტოლვილად იქცა ყველა – უმაღლესი არისტოკრატითა და ბურჟუებით დანწყებული მუშა-მოსამსახურეებით დამთავრებული. საერთო უბედურებამ კი დაბნეულობა და გათიშულობა კიდევ უფრო გაამწვავა: „კეთილსინდისიერი“, „მაღალზნეობრივი“ ფრანგები ნილაბს იხსნიან და თავის არც თუ საუკეთესო თვისებებს ამჟღავნებენ. პერსონაჟთა უმეტესობა ომს აღიქვამს მხოლოდ როგორც უსამოვნებას, რამაც მათ დამატებითი ყოფითი საზრუნავი დაანწყიტა და აიძულა, მნიშვნელოვან საქმეებზე აელოთ ხელი.

ასე ფიქრობს, მაგალითად, ცნობილი მწერალი გაბრიელ კორტი, რომელიც მზადაა, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს „მზისა ქვეშე თავისი ადგილი“... ანდა ბანკის მუხატრონები, რომელთაც არ ავიწყდებათ დააჯარიმონ საკუთარი ხელქვეითები იმისათვის, რომ მათ – დაბომბვაში მოყოლილებმა – ვერ შეძლეს ფეხით დროზე მიეღწიათ ქალაქამდე, სადაც ევაკუირებულია მათი ბანკის განყოფილება. მამულის ხსნის იდეა ახლობელია მხოლოდ ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის, რომლებიც, ნემიროვსკას აზრით, სწორედაც არიან „მარტივი ქვეყნისა“... დანარჩენები ოკუპაციას გულგრილად, პასიურად უყურებენ და სხვათა შორის ასეთივე განწყობა აქვთ თვით ოკუპანტებსაც.

რომანში დახატული გერმანელი ოფიცრები ხაზგასმულად თავაზიანნი და გალანტურნი არიან. ისინი თითქოსდა შეწუხებულებიც კი ჩანან ქვეყნის ბატონ-პატრონთა საკუთარი ახალი როლით და სულაც არ მიიჩნევენ ფრანგებს თავიანთ მტრად. პირიქით, მათთან უარს არც პოლიტიკურ ლაყბობასა და არც რომანის გაბმაზე ამბობენ.

რომანის ფინალში პროვინციული პატარა ქალაქის მცხოვრებლები ქუჩაში გამოეფინებიან, რათა ნახონ როგორ მიდის გერმანული დივიზია რუსეთზე სალაშქროდ. ავტორს თითქოს იმის თქმა უნდა, რომ უკვე აღარ არიან არც ძლეულნი და აღარც მძლეველნი. განურჩევლად ყველა მსხვერპლია იმ მასობრივი სიშლევისა, რასაც ომი ჰქვია.

თამთა დოლიძე

# ზვიად რატიანის „ცივი პოეზია“

ზვიად რატიანს ქართული აუდიტორიისათვის საგანგებო წარდგენა არ სჭირდება. იგი ღირსეულად აგრძელებს ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას და სხვათა მიერ დამკვიდრებულ თავისუფალი ლექსის ტრადიციებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი საკუთარ თავს გავლენებისაგან შემდგარ პოეტს უწოდებს, მისი პოეზიის თვითმყოფადობა დავას არ იწვევს.

ზვიად რატიანს ახასიათებს მარადიული საკითხებისადმი არაორდინარული მიდგომა, რაც მის ხელნერას სპეციფიკურ იერს ანიჭებს. მისი ლექსები გაჯერებულია ორიგინალური ეპითეტებით, ასევე შეიმჩნევა დისონანსური წყვილების სიმრავლე. პოეტი სილამაზეს სიმახინჯეშიც ხედავს (ლექსი „შეხორცებადემ“), ხან ამ ორ უკიდურესობას შორის ზღვარს საერთოდ შლის („მშვენიერო, საზარელო მანეკენებო“).

სულ ახლახან გამოვიდა ზვიად რატიანის ახალი კრებული „გზები და დღეები“. პოეტმა ჟურნალ „ჩვენ მწერლობასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ახალი წიგნი თემატურად განსხვავდება ძველისაგან, რასაც მისი ცხოვრების წესი, ტექნიკური ტიპის სამსახური განაპირობებს.

ახალი კრებულის შედარება წინა კრებულთან – „ჯიბის ჰაერი“ (2000) – დაგვეხმარება, მათ შორის თემატური მსგავსება და განსხვავება აღმოვაჩინოთ. ორივე კრებულს აერთიანებს რამდენიმე თემა: სიტყვის, პოეზიის რაობის, საკუთარი თავის შეცნობისა და სიკვდილ-სიცოცხლის არსის გაგების სურვილი.

საინტერესოა პოეტის დამოკიდებულება მამებისა და შვილების უცვლელი დაპირისპირებისადმი. ამ თემას კრებულში „ჯიბის ჰაერი“ ეძღვნება ლექსი „მამები“. დროისაგან მივიწყებული უფროსი თაობა ვერ ერგება ახალი ცხოვრების რელსებს (მნიშვნელობა არ გააჩნია, ახალი ცხოვრება უკეთესია თუ უარესი). მამები საკუთარი გეგმებისა და იმედების სასაფლაოზე ცხოვრობენ:

**ისინი... უსასრულოდ აწყობდნენ გეგმებს, მაგრამ ხორცი, ამ გეგმებს რომ უნდა შეესა, გამოდგა მონამლული.**

(„მამები“)

დრომ, რომელმაც „მამების გარდა, არაფრის შეცვლა არ დაიზარა“, გამოიწვია უფროსი თაობის ფზიხელი ძილის მდგომარეობაში გადაყვანა. ისინი „ყველაფერს ხსნიან სიზმრის ლოგიკით“ და გამოლვიძიებას ელიან, ანუ ამ ხერხით იმსუბუქებენ დროის დარტყმას.

მამების მზერაში იკითხება უცხო სამყაროსადმი დაუძლეველი შიში, „ვიდრე გალიებს მზერას შეაჩვევენ“. ისინი „ჯიუტად იცდიან“ და ცდილობენ ცხოვრების გაფერადების რაიმე ხერხი მოძებნონ.

ძველი თაობისთვის შეუძლებელია უცხო, ახალ ეტაპზე გადასვლა. მათ არ სჭირდებათ კიდევ ერთი შანსი, რაიმეს გამოსწორება. მამებისთვის სასურველია, ჩვეულ გარემოში

ელოდონ დასასრულს. შვილები კი მათ შეუცვლელობის გამო საყვედურობენ.

ახალ კრებულის ლექსში „მცირე ელეგია მამისათვის“ სრულიად შეცვლილია მამისადმი შვილის დამოკიდებულება. აქ მამა მზრუნველის, მფარველის როლს ითავსებს და „სამყოფი“ ხდება. ე.ი. შვილი იღებს მშობელს ისეთს, როგორც არის („ჩვენც ეს გვეყოფინს... მეტი არც გვინდა“).

საინტერესოა, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება. წლებთან ერთად ზვიად რატიანი კომფორმისტი ხომ არ ხდება?!

მაგრამ არა, ძველი თაობისადმი ლოიალური დამოკიდებულების მიუხედავად, პოეტი მაინც სიმკაცრეს იჩენს დრომოჭმული შეხედულებებისადმი. „ან გამარჯვება, ან სიკვდილი“ – შეიძლება უაზრო ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდოს. ნგრევისაკენ, სიკვდილისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ხშირად უმართავი ხდება. ადამიანი სულსწრაფია, ამიტომაც სიცოცხლეს ხარჯავს ისეთ უაზრო ქმედებებში „რაც ისედაც ყველასთვის მოვა“, თავისთავად მოხდება.

ლექსში „რექვიემი ცოცხლებისათვის“, ისმის კითხვა: რას ნიშნავს სამშობლოსათვის თავდადება? პატრიოტი ცდილობს მოიპოვოს დიდება – „ბრჭყვიალა მტვერი“, რომელსაც დიდსულოვნად დააბერტყავს სამშობლოს მხრებზე, ოღონდ ამ მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა სიკვდილია.

დღეს, როცა სამშობლოსგან თავის დაღწევა და სხვა ქვეყანაში თვითდამკვიდრება ითვლება გამირობად, რა თქმა უნდა, გაუგებარია თავგანწირვის წადილი. ამიტომაცაა, რომ შვილებმა „სამშობლო გარდაცვილი მამას ჩავაყოლეთ გულისჯიბეში“ – ისინი ღებულობენ დამსახურებულს სიკვდილის შემდეგ, როგორც გამირები დიდებას.

მშობლის, როგორც ხანდაზმულის, თემას უკავშირდება მოხუცის სახე, როგორც დამკვირვებლის, მოთვალთვალის. სიბერეს კი სიკვდილთან, მის ლოგიკურ დასასრულთან, მიყვავართ:

**... ფანჯარას უზის  
და ამზეურებს თავის სიკვდილს.**

(„მეგობარი ფანჯარა“)

ცხოვრებით დაღლილი მოხუცის სახით პოეტი სიმშვიდის, სიჩუმის სილამაზეს გულისხმობს. ის ცხოვრების მთავარ მონაპოვრად სიმშვიდეს აღიარებს, როცა ამბობს, რომ ყველას აქვს „უფლება სიბერის, ასაკისდა მიუხედავად.“

მოხუცებულობის ანუ თვლემის ხანა წარმოადგენს „უსურვილოდ ჯდომის“ პერიოდს, როცა ფიქრი მხოლოდ ღმერთისკენაა მიმართული და არა წარსულისკენ, რომელიც ხშირად ადამიანში არასრულყოფილების, „თანდაყოლილი სიარაფრის“ შეგრძნებას იწვევს. ცხოვრების გაფერადების სურვილი ხანდახან მაინც იჩენს თავს, მაგრამ მოხუცი ხვდება, რომ შეცდომების გამოსწორების დრო გასულია:

**წვერს წაუთლიდი ფერად ფანქრებს,  
გავერთობოდი.**

(„გარეთ გახედვა“)

სიბერესა და ბავშვობას შორის ბევრი მსგავსების პოვნა შეიძლება. თვალთვალის ჩვევა ორივეს ახასიათებს, ოღონდ მიზანია სხვადასხვა. „ფანჯრის ნათელ მართკუთხედში ერთიორად დაბერებული“ მოხუცი ანალიზებს მრავალჯერ ნანახს, ბავშვი კი ცდილობს შეისწავლოს მისთვის უცხო სამყარო. გაორება და საკუთარი „მე-ს“ გარედან დაკვირვება მისი

უკეთ გაცნობის საშუალებას იძლევა. მწერლობა ადამიანს ეხმარება საკუთარ ცხოვრებას გარედან, სხვისი თვალით შეხედოს და გააანალიზოს.

**... როცა წერდი, გეგულებოდა შენი თავი – საიდანღაც მოთვალთვალე ვინც იცოდა ყველაფერი, მომხდარიც და მოსახდენიც.**  
(„შეხორცებამდე“)

პოეტის სულში ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული პიროვნება ცხოვრობს. „საამაყო ოჯახიშვილი“ და „დაძინილი პოეტი“ („ჩემს მკერდში ჩაკუმშული ჩემივე ასლი“). მაგრამ ხშირად მათი ერთ სივრცეში თანაარსებობა შეუძლებელია, რადგან პოეტის „კანისქვეშეთი“ შუშის ნამსხვრევებით, მათი სული კი კატების კივილით, მატარებლების გრუხუნითაა გაჯერებული. „საამაყო ოჯახიშვილები“ კი სანიმუშოდ მონესრიგებულები და ჰაერით მსუბუქები არიან („თითქოს შიგანი დილის ცვრიანი ბალახებით ჰქონდეთ სავსე“). მათი შრომადღეები საამაყო საქმეებს ხმარდება. ღამით კი, როცა მშვიდად სძინავთ, პოეტის „შრომაღამე“ იწყება.

ლექსი – „ტყუილ-მართალი წარსულების სარკე“ – საოცრად ეხამება იდუმალ ღამეს. პოეტმა იცის, რომ არავინ დაუჯერებს, შეიძლება დასცინონ კიდევ, მაგრამ მაინც ცდილობს გონებაში ნადულები, მთელი ცხოვრება თან ნატარები ტკივილის ლექსად გადმოცემას. ავტორი იმედს იტოვებს, რომ მისი ღვანლი ოდესმე დაფასდება:

**დაგეწერება უჩვეულოდ ამაღლებული, სათუთი ლექსები, რომლებშიც გამოაწყობ ცოლსა და შვილებს... და იამაყებენ ისინი შენით.**  
(„ჯიბის ჰაერი“)

პოეტი სიმშვიდეს ხშირად არაპოეტურ გარემოში პოულობს, რაც მისთვის უფრო კომფორტულია, „ვიდრე ბუნება... ვიდრე ძუძუ თვინიერი, ჯერ არ ნაწოვი“. ტექნიკური ტიპის სამსახური სულიერად დასვენების საშუალებას იძლევა.

ზვიად რატინის ლექსები საკმაოდ მძაფრია, რასაც, ერთი მხრივ, ავტორის პირდაპირობა და სათქმელის შეუღამაზებლად გადმოცემა იწვევს. თვითონ ავტორი გრძნობს მისი ლექსების სიმძიმეს და აღნიშნავს:

**მე მიყვარს ცივი პოეზია და არა ცხელი, არა წვნიანში ჩაღობილი, არამედ ხმელი, რომელიც თითქმის ქვავდება ხმაში.**  
(„წერილი საიდუმლო დედას“)

„წერილი საიდუმლო დედას“ თემატურად და განწყობით ეხმარება წინა კრებულის ლექსს „წერილი“, რომელიც არარსებულ, გამოგონილ დას ეძღვნება. პოეტი დედას ფურცელში ეძებს. ასევე ნუხს სულში დაუტირებლად დაგდებული „პატარა ბიჭის“ გამო, რომელსაც შეეძლო „არარსებულ დაზე მოწყენა“. სულის ჭრილობის შეხორცება გაკვირვებას იწვევს, რადგან წარსულის დაიწყება ცხოვრების ყველაზე რთულ თავსატეხს წარმოადგენს:

**შენ კი, - ჭრილობას ვერც გინოდებ, – შენ კი უფსკრულო, პირი როგორ შეიკარი ასე ადვილად.**  
(„წერილი“)

ავტორისათვის ყველაფერი ახალი სილამაზესთან იგივედაა. ჭრილობაც ლამაზია, ვიდრე შეხორცებას დაიწყებს („სისხლი უნდა ასხამდეს ჭრილობიდან“). ბავშვობა კი მოუშუშებელ ჭრილობასა ჰგავს, რომელიც სულ „ჟონავს, თავს არ გავიწყებს“:

**რაც ახალია, ყველაფერი ლამაზია. და შენი ლექსიც, ვიდრე დაწერ, ვიდრე გტკივა, ვიდრე განუხებს.**  
(„შეხორცებამდე“)

პოეტს არ ასვენებს პასუხისმგებლობის შიში, „ლექსს გეშავს“, უქმნის ბიოგრაფიას და მას დამოუკიდებელ ქმნილებად აცხადებს. მაგრამ გაჩერების შიში უფრო ძლიერია, ამიტომ „წერს ოღონდ წეროს“.

ორივე კრებულში ყველაზე ხშირად სიკვდილის თემა ფიგურირებს. ძვირფასი ადამიანის გარდაცვალება აუფერულეს უდარდელი ბავშვობის ხანას, „ბავშვობის კარებს მოგვიხეთქავს ცხვირნი“. ადამიანი, მარტოობის გასაქარვებლად, მკვდრებთან საუბარსაც არ ერიდება, მაგრამ მათ შორის საერთო მხოლოდ სიჩუმეა. ამიტომ გარდაცვლილებისაგან პასუხს არავინ ელის.

ახალ კრებულში ავტორი განიხილავს სიკვდილთან მიახლების სხვადასხვა გზას და მისი მოპოვების ხერხების შესახებ მსჯელობს. პოეტი განიცდის დროის დაცოტავებას, „ცხოვრების მოჭერას“, ჩქარდება მუშაობის ტემპი, რადგან სათქმელი ჯერ კიდევ ბევრია. ადამიანმა ყველა ნაბიჯზე შეიძლება აღმოაჩინოს დასასრული. პოეტი საუბრობს „წნორი სიკვდილის“ შექმნის შესახებ, რომელიც წინასწარ უნდა დაგეგმო, მაგრამ ხშირად გეგმები არ ხორციელდება და ისევ ცოცხლებში ვრჩებით:

**... რა ტკბილია წერდე მაშინ, როცა ნამდვილად იყო ხიფათი, იყო შანსი – გდებულებიყავი ღამის ტრასაზე...**  
(„ავტო-საგზაო ელევია ანუ როდის წერენ გარდაცვლილები“)

„სხვაგანყოფნები, უცხო გარემოში უცხოდ ყოფნის სურვილი, სიკვდილის მოახლოებასთან ერთად იმატებს. გზები ალამაზებენ ერთფეროვან დღეებს. მოგზაურობა გვაძლევს საშუალებას, მოვზოდეთ ქალაქს – წესრიგის სამყოფელს, სადაც „წვიმაც ... თავს იწესრიგებს“. პოეტი ქალაქში ტოვებს „უმიზეზო მონყენებს“, „გახშირებულ დეჟავიუებს“ და სიმშვიდეს უცხო ადგილებში ეძებს. ავტორი წარსულის ტკივილებით ცხოვრებას დიდ შეცდომად თვლის:

**... ბედნიერება – აი, რა უნდა მოგეთხოვა ამ აწენილი და სხვანაირი წლებისაგან, შენ კი დახარბდი წერილმან ტკივილებს და წერვები, წლები შესწირე ამ უაზრობას ...**  
(„გზები და დღეები“)

ადამიანს რწმენა ამშვიდებს და ალამაზებს, მაგრამ ყველაზე მეტად ეკლესიას, ღმერთს გაურბის, „არდაჯერება“ უფრო ეადვილება.

თუ სიკვდილი არ გამოგდის, ძილს უნდა დასჯერდე. ძილი ცოტა ხნით გათავისუფლებს ფიქრისაგან და დასვენების საშუალებას გაძლევს. მაგრამ „შრომაღამე“ ისევ იწყება და დაღლილ სხეულში პოეტი იღვიძებს.



მოგზაურობისადმი მიდრეკილების მიუხედავად, პოეტი თვლის, რომ დასასრული ჩვეულ გარემოში, სახლში უნდა დადგეს, რადგან მარტო სიკვდილი ყველასათვის მძიმეა:

**... ნუ გახდი ავად, ვინც მარტოა. მითუფრო – ლამით. მითუფრო - როცა სხვაგანაა, სხვაგან და მარტო. როცა ვერავინ ანუგეშებს სიტყვით ან წამლით.**  
(„გზები და დღეები“)

როგორც ვხედავთ, ახალ წიგნს კრებულისაგან „ჯიბის ჰაერი“ გადმოცემის ფორმა განასხვავებს. ავტორის ყურადღება ეთმობა საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბ-

ბას, რაც მის პოეზიას მედიტაციურს ხდის.

წიგნი, მხატვრული თვალსაზრისით, ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას ტოვებს, რადგან სასაუბრო ინტონაცია მეტაფორული სახეების დამძიმებას იწვევს. წინა კრებული, მძაფრი თემატიკის მიუხედავად, უფრო მსუბუქია. პოეტი საუბრობს მტკივნეულ თემებზე, მაგრამ მათი გამოსწორების იმედსაც იტოვებს. ახალ ლექსებს კი პესიმისტური ელფერი დაჰკრავს.

რაც მთავარია, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ პოეზია სულის ყველაზე სათუთ ნაწილს ეხება და მისი ბოლომდე გამომვლება არ შეიძლება. ლექსებს არ შეეფერება „საუნყებო, ლაკონური სტილი“, მხოლოდ უნდა წაიკითხო და განიცადო.

გიორგი გამსახურდია

# მხოლოდ ლექსები არ ტყუიან...

პოეზიას განსაზღვრული კანონები აქვს, მაგრამ ლექსის წერისას, როგორც კი ამ წესრიგზე დაიწყებ ფიქრს, უპირობოდ დამარცხდები, რადგან სათქმელი შემოგაცვდება და თეორეტიკოსი სტრატეგივით მხოლოდ ნახაზი შეგრჩება ხელთ.

ნუნუ ჯანელიძის პოეზიას საკუთარი ფორმაც გააჩნია, უპირატესად თავისუფალი ლექსისა, მაგრამ გამჭრიახი თვალთ მზირალი ქალისათვის, არსებითად მაინც მისი შინაგანი ტემპერატურა, ექსპრესია რჩება. ამასთან, იგი ტყვეა სამყაროს სურათებისაგან გამოწვეული მკვეთრი პოეტური შეგრძნებებისა და არა თვითონ ამ სურათების.

მიუხედავად მინორული ტემბრისა, რომელიც მთელს წიგნს თან სდევს, მისი სათაური – „აჰა, აყვავდა ჩემს ხელებში ტოტი ნუშისა“ – ხაზს უსვამს იმედიან არჩევანს, ერთგვარ კათარზისს ეკლიანი და წვიმიანი შარაგამოვლილისა. ეს შეძახილია საკუთარი თავისადმი, სწორედ ისეთი მხნეობისათვის, ხალხურ პოეზიაში რომ გვხვდება: „განა ლალი ვარ რომ ვმღერი, გულისა დარდსა ვიქარვი“.

გულის დარდის გაქარვებაა მისი ნებაც: „ოღონდ სადმე, ოღონდ იმედად, ქარისგან შემკრთალ სივრცეში, ერთი ტოტი მეგულეობდეს, რომ ჩამოვჯდე და სული მოვითქვა“. ბოლოს მის ხელებში აყვავდება ნუშის ტოტი, და თუმცა განუწყვეტლივ ურღვევენ სიმშვიდეს, სანთლით ნაპოვნი იმ ერთი პეშვი სიმშვიდით არის ნასაზრდოები და განახარები ეს ტოტი.

თუმცა გულმოდგინედ მაღავს დარდებს, მაგრამ ზოჯერ იმდენად ღრმა და ლურლუნცია სპლინის მორევი მასში, რომ, გეგონება, სადღაც ჩამორჩა სხეული, სულმა კი გზაში გაასწროო: „ვდგავარ ქარში მარტოხე, ვდგავარ და ვიძარცვები“.

თითქოს ყველა სურვილი ხელში ჩაკვდომია, სევდისაკენ მიდრეკილი თეთრი ყვავილივით.

მისი პოეზია არა ჰგავს იმ ლექსებს, საიდანაც საყოფაცხოვრებო დრამატიზმით გაჯერებული მოთქმა მოისმის. ბუნებრივი ჩანს და იგრძნობა ქალური ტკივილიცა და ვნებაც, მაგრამ გემოვნებით დაწერილ წრფელ და მართალ სიტყვებში, რომელიც ყოველი ფრაზის ხვეულსა და ინტონაციაში შეიცნობა. „მხოლოდ ლექსები არ ტყუიან, ლექსები, სიყვარულის თოთო ბარტყები“, წერს გულმართალი პოეტი, რომელიც შესთხოვს ზენა ქარებს, არ მოუჩქარონ სიცოცხლე ნაზ და მჩატე ფოთოლს, ქვა რომ ჰგონიათ, მას ხომ „მოგონილი აქვს სიძლიერე“. ასეთია მისი სინამდვილე და სიმართლე, რადგან მთავარი ის არ არის, რაც ირგვლივ ჩანს, არამედ ის, როგორც ხედავ „ცოტა იმედითა და მეტი სევდით“ მეოცნებე შემოქმედელი.

პოეტი მეოცნებედ და ტკივილიანი ვნების ერთგულად რჩება მაშინაც, როცა ჯერ ხალხურ „შემომეყარა ყივჩაღსა“ და გიორგი ლეონიძისეულ „ყივჩაღის პაემანს“ საკუთარი, ქალის ნატიფი თვალთ ხედავს. „უნდა შეგყროდა გზაზე ყივჩაღი“, ამბობს ის და ამგვარივე ფატალიზმით შეპყრობილი დაასკვნის: „მე რას ვიზამდი რა უნდა მექნა, ქალი ოცნებით სავსეა მარად, უნდა მენახა სხვა სიყვარული, სხვა ვნებიანი დღეების ფარი.“

ქართულ პოეზიაში არსებულ ასეთ ქარიზმატულ თემასთან შეხებისას გარკვეულწილად გამბედაობაც არის საჭირო და შინაგანი მზაობაც. პოეტს არც ერთი აკლია და არც მეორე. იმდენად ფაქიზია ნუნუ ჯანელიძის პოეტური სამყარო, რომ მიუხედავად სამაგიეროს გადახდის სურვილისა, მასში ყოველთვის მიტევების უნარი იმარჯვებს: „ვერ დაგმეტერე და როგორც ვერძი, ვერ დავეტაკე რქებით შენს ღიმილს და ახლა ჩემში ფიქრი საშენო, როგორც მარცვალი გამთბარი ჰლევივს.“

ასე ჭარბად სითბოგამჯდარი სტრიქონები იშვიათად წამიკითხავს. თითქოს თვითონაც ხვდება მომეტებულ უშურველობას და მკაცრი რეალობისგან ძალანართმეული წაიწურჩეულებს: „სიძულვილი მაინც შემეძლოს“, მაგრამ იქვე სიყვარულის ნიშნით მოიკრებს ძალას საკუთარ ნათქვამს დაუპირდაპირდება და აღიარებს: „გვკარგავ ღირსებას, სიძულვილით როცა ვივსები“, ან – „დადე კალამი, როცა ფიქრი გაქვს ცოდვიანი.“



მისთვის არც სინანულია უცხო, დაგროვილი ფიქრის თავ-თავებით ხომ უფრო კარგად შეძლებს სინანულს, თუნდაც ეს ფიქრი ნაყვავილაროვით აჩნდეს. გაცემის უნარიც არგუნა განგებამ და თავმდაბლად გვთავაზობს ყველაფერს, რაც გა-აჩნია; სიყვარულიდან დაქარგული იმედი და სევდა — მხო-ლოდშობილი ასული გულისა. ეს არის მთელი საუნჯე, მისი ბროლი და აღმასი.

მძაფრი განცდების ხიბლი და სტიქიურობის ემანაცია იქამდე მიიყვანს შემოქმედს, რომ მოყირჭდება კარის მგოსანი ნიავის გალობის სმენა. მას აიმედებს დედამიწის სიმრგვალე, რადგან სურს კიდევ შეხვდეს შორეული ფიქრის გრიგალს, ვისთანაც მეტი ჰქონია საერთო და ვერ მოუსწრია ამის თქმა.

ერთი საზომიც არსებობს მაღალმხატვრული ნიმუშისა ლექსების სახით. თუ გულდასმით კითხულობ და პოეტური ინტიმისათვის საჭირო მყუდროებაც დაცულია, კარგი პოეტი რამდენჯერმე მაინც განზე გადაადებინებს წიგნს, სულს მო-გათქმევინებს და ახალშეცნობილის სიამით დაგაბრუნებს სა-კუთარ წიაღში. რაღაცით ჰგავს ეს პროცესი მწყურვალის პირველ სულმოთქმას და ახალი ძალით დანაფებას წყარო-ზედ. ნუნუ ჯანელიძის ლექსების კითხვისას მეც ვიხედებოდი განზე შთაბეჭდილებათა გასააზრებლად და მიხაროდა რა-ღაც... ალაგ-ალაგ იმდენად ემოციურია სიტყვა, რომ, პოეტის თქმისა არ იყოს, „წიგნსაც თითქოს გული უცემს“. მაგრამ მთავარი მაინც იმ გულის ფანცქალია, ჩახლართულ ბედზე რომ ფიქრობს. მისი პულსაცია ასე მოისმის:“ რამდენად შევ-ძლებ, რამდენად შევძლებ“... რა უნდა შეძლოს მან?

თუ გავიზიარებთ თეზას, რომ ადამიანის ყველაზე დიდი გამოგონება თვით ადამიანია, მაშინ პოეტის აჩქარებული პულსი იქნებ ამ გარდაქმნის მოახლოვებითაც განპირობებუ-ლი. „აღბათ რაღაც ნერტილამდე უნდა მივიდე,“ გული უგ-რძნობს მას. ეს ნერტილი სიღრმეშია და რაოდენ გასაკვირია, რომ ამავე დროს სიმაღლეც მეტი აქვს. რა ნერტილია ასეთი?

ერთგან ყვრონტი ქიქოძე წერს: „ადამიანის ყურადღება, უწინარეს ყოვლისა შორეულ საგნებისაკენ არის მიპყრობი-ლი. მისი პირვანდელი მეცნიერული დაკვირვება და აზროვნე-ბა ზეციურ მნათობებს ეკუთვნის. მისი პირვანდელი ესთეტუ-რი აღმაფრენა ღმერთებსა და დევ-გმირებსა. ხანგრძლივი გონებრივი ვარჯიშობაა საჭირო, რომ ადამიანმა უუახლოესი და უუმნიშვნელოვანესი საგანი აღმოაჩინოს; სახელდობრ თა-ვისი საკუთარი თავი.“

თავაღმოჩენისა და თვითგამორკვევისაკენ მიმავალი ურ-თულესი გზა მკაფიოდ ჩანს პოეტის შემოქმედებაში. იგი გა-მუდმებით დაეძებს საკუთარ არსს, ფიქრობს, ორჭოფობს ცდომილის ჟინითა და ბავშვური უმანკოებით: „ქალად შობი-ლი ბავშვად გბერდები და მსურს ედემი... წინანდებურად... ქალად შობილი ბავშვად გბერდები; ან იქნებ ჯერ არც დაგბა-დებულვარ...“

სწორედ ეს შეკითხვაა ყველაზე მნიშვნელოვანი. იქნებ ჯერ არ შობილა ის, ჭეშმარიტი სახით? მანამდე კი ქალის ბავ-შვად გადაქცევა, ბინიერებისაგან განწმენდა და პირველყო-ფლისაკენ სწრაფვა იპყრობს ყურადღებას. პოეტური აზ-როვნებისათვის შეუქცევადი პროცესი არ არსებობს, რადგან უკიდევანაო წარმოსახვითი არეალი, რომელშიც შემოქმედი ცხოვრობს. „ომი ახლა ჩემში გრძელდება“, გვიმხელს ის. ეს ომი საკუთარ თავთან ჭიდილია და სხვა არფერი, თუმცა ამა-ზე მეტი რაღა უნდა იყოს?..

ერთ არსებით საკითხსაც მინდა შევეხო. პოეტი წერს: „ისეთი აღარავინ მეგულება, უკან რომ მოვიხედო, მოვიძიო და უკანასკნელი სიტყვა დავაბარო“.

აქ არ არის ეული სულის უეცარი კაპრიზი. მრავალთა ინ-ტერესი, ცარიელ, არაფრისმომცემ ვიზუალურ ეფექტებს რომ დაუსაკუთრებია, ფონს გასულ უმეცართა და ფარისე-ველთა მენტორულობა რომ უწვრილებს გულს და ზარავს ზნეკეთილ პიროვნებას, ეს დღესავით ნათელი და არახალია. და თუ პოეზიას იშვიათად მაინც გააჩნდა მრავალი მსმენელი, იმ შემთხვევაშიც ფართო აუდიტორია ავტოკრატიზმით წარ-თმეულ თავისუფალ სიტყვას უფრო ჰყავდა, ვიდრე თვითონ მას. რაღაც ახლისა და მართლის მოსმენა იყო თავშეყრილთა უმეტესობისათვის ძირითადი ხიბლი და არა პოეტური ინტი-მის შეცნობა და უშუალოდ მის სიღრმეებში წვდომა. ეს არის მიუსაფრობის მთავარი მიზეზი?

საქმე ისაა, რომ ნამდვილ პოეტს ჯერარსისაკენ თანდაყო-ლილი, გენეტიკური ლტოლვა აქვს, რომელიც ალბათ სხვა სამყაროში, ადრე განცილებილი იღებს სათავეს. კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით: „ვისაც კი იქ, მაღლა, მშვენიერ ნათელი პირისათვის ოდესმე მოუკრავს თვალი, იგი აქ ამ მი-ნაზედაც მშვენიერება მოწყურვებულად დაძრწის და მინიერ მშვენიერების ხილვა, მას ზეცად ნახულის სიდიადეს მოაგონებს, იგი მინახედაც მარად მშვენიერების სასუფეველის მაძებარი მწირია“.

პოეტი ეძებს მაშინაც, როცა ყველა გარშემოა, გარეთ კი ბნელა და ფიქრობს არა კონკრეტულზე. სხვადასხვა თემა ამოცურდება. მხოლოდ კონტურით, გაკვრით, მანტიით, ეფე-მერულად... ქაოსი ნერტილში ერთიანდება, უახლოვდება, მთლად თვალწინ უდგას, სურს, რომ შეეხოს და სურვილის ჩა-ნასახშივე უეცრად სხეულიც ფიქრთან ერთად ეყიება. მის წინ ხატია, უძრავი ხატი. ეს არის ნამი, რომელსაც შემდეგ ნერვად იყენებს პოეზია... გაშლის მუსიკას ლოგიკურად, ჰარ-მონიულად. აქ ერთი ბგერაც, სხვა ბგერაც, ზედმეტია და დი-სონანსური. პოეტი არბი-ჩარბის პლანეტების მედიდურ გან-ყენებულობათა შორის და გულს უჩქარებს, თვალს უფართო-ვებს მათი უზომო იდუმალება. იმასაც ხედავს, თუ რა დახვდე-ბა მუსიკის ბოლოს, ტაში, ცრუ ცა თუ ნამდვილი ცრემლი.

არ ვუსურვებდი რიტმულ დამშვიდებას ნუნუ ჯანელიძის პოეტურ ხასიათს, რადგან მინიერებისადმი უკმაყოფილება-ში გამოხურვებული სიტყვა, უფრო მართალი და მწველია, ვიდრე „კარის მგოსანი ნიავის სმენა“.

ჩვენი ფოსტა

ბატონო როსტომ, გულითადად გილოცავთ ახალ ჟურნალს პირადად თქვენ, მთელ რედაქციას და ქარ-თველ მკითხველს. კარგა ხანია ასეთი სასიხა-რულო არაფერი მიმიღია საქართველოდან და იტალიური სკოლის მიერ გამოგზავნილმა თქვენმა ჟურნალმა (ვახტანგ ესვანჯიას სახე-ლობის იტალიურ სკოლაში თქვენ ძალიან პო-პულარული ხართ) იმედი ჩამისახა, რომ ღვთივ ხელდასხმული ქართული სიტყვა თქვენი შემწეობით არასოდეს მოკვდება.

აღფრთოვანებით  
ნუნუ გულაძე

იაპია ჰაკი

## სურათი



ჩემს მეგობარს – შავქათს იშვიათად ვნახულობ; ან კი როგორ ჩავიგდებ ხელში?! ის ხომ იმ ყაიდის ადამიანია, ერთ ადგილას რომ ვერ ჩერდება და სულ მოძრაობაშია. რატომ დასჩემდა ეს უცნაური ზნე? ალბათ მშობლების გამო, ისინი ხომ მთელი ცხოვრება რაღაცას უჩიჩინებდნენ და უმტკიცებდნენ შავქათს; შეშინებულ შვილს მხოლოდ ერთი რამ ენადა – როგორმე თავი დაეღწია ამ უაზრო შეგონებებისაგან და სახლის სხვეზე, ერთ პატარა ოთახში განმარტოებულიყო.

შავქათი მზის ამოსვლასთან ერთად იღვიძებს, სხვენიდან კიბეზე ისე ეშვება, როგორც ნაგავი, სუფთა ფეხს რომ წაჰკრავენ ხოლმე. გადის შინიდან დაინყებს ქუჩებში უაზროდ ხეტიას, ამ წუთიდან სხვა აღარაფერი დაგვრჩენია – უნდა გამოვემშვიდობოთ, რადგან ყოველგვარი წარმოსახვა და ლოგიკა უძლეურია, თვალი მიაღვევოს ამ ადამიანს, რაც უნდა კარგად იცნობდე მას.

შავქათმა შეიძლება სასაუზმოდ საიდ ჰასანის უბანში შეიაროს – მიირთვას ლობიო, ტაამია და ბუსბუსათი ჩაიგემრიელოს პირი; ან ენვიოს სასადილოს, შერეული სასამართლოს გვერდით და გეახლოთ მოხარულ ხორცსა და კვერცხს. გამოსაძინებლად ხშირად შედის კინოთეატრში, ღამ-ღამობით კი ნილოსის პირას უყვარს ჯდომა.

ერთ დღესაც შავქათი მეუბნება:

– უკვე დიდი ხანია, რაც ერთი ჩვევა დამჩემდა: დავდივარ ფოტოგრაფთა გამოფენებზე და საათობით ვათვალიერებ ფოტოებს, ვაკვირდები მათზე ალბეჭდილი ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სამოსში გამოწყობილ ეგვიპტელებს, მათ არაბუნებრივ და ხელოვნურ პოზებს; მაცებს ეს დაბნეული ღიმილიც, გამარჯვების სიხარულს, ქედმაღლობასა და თვითკმაყოფილებას რომ გამოსატავს ერთსა და იმავე დროს. ფოტოგრაფთა გამოფენებმა ბევრი რამ მასწავლა და დამანახა. ზოგიერთი კლიენტი გაშტერებული შეჰყურებს ფოტოაპარატის ობიექტივს რაღაც სასწაულის მოლოდინში. ზოგს მკლავები გაქვავებული აქვს, ზოგმა კი დაბნეულობის გამო, არ იცის, ხელებს რა მოუხერხოს – უბრალოდ მუხლებზე დაინყოს, თუ მუხლების გარშემო შემოიჭდოს. ზოგჯერ თითები გაფშეკილი აქვთ, ზოგჯერ კი პირიქით – მჭიდროდ შეკრული. მათ რომ ვუყურებ, ის ადამიანი მაგონდება, მკერავთან რომ მისულა, ახალშეკერილი სამოსი ჩაუცვამს და ხელები წინ გაუშვერია. ზოგჯერ, სიყვარულის დასტურად, მეგობრები ხელს ართმევენ ერთმანეთს ობიექტივის წინ, ზოგს კი ხელი ზევით, თავთან აუნევიან და გესალმება შენ, ფოტოგრაფსა და მთელს სამყაროს!

სულ სხვა შთაბეჭდილებას მიტოვებენ კეკლუცი გოგონები, ობიექტივის წინ რომ პოზიორობენ; ისინი ეკლიან მცენარეებს მაგონებენ. შენ ალბათ ღიმილს გგვრის მათი ფეხსაცმელი თუ ვარცხნილობა. ჩახედე თვალებში

და დაინახავ მათ ბუნებრივ სილალესა და ბავშვურ სიხარულს. თუკი გოგონას თავი მაგიდაზე დაყრდნობილ ხელზე ჩამოუდვია, დაბნეული მზერა აქვს, ფონად კი დიდ-ყვავილებიანი ფარდაა, ან მდიდრული კიბეები, იცოდე, რომ იგი სკოლის მოსწავლეა და უთუოდ სიყვარულის სენს შეუპყრია (დაილოცოს სასიყვარულო ამბები).

თუმცა ეს წარსულში იყო. დღეს კი ჩემს მეგობრებს შორის მომრავლდნენ ისეთნი, ვინც ბაძავენ კლარკ გეიბლს, ან ბეტი გრიბლს. ფოტოგამოფენათა უცნობი ბინადარნი მუზეუმის ექსპონატებს მაგონებენ, ნლები გადის, ისინი კი არ იცვლებიან და იმავე მზერით გიყურებენ. თუმცა ზოგი გამოჩნდება ერთხანს, შემდეგ კი თვალს მიეფარება და მის ადგილს სხვები იკავებენ, ისე, როგორც ეს ცოცხალთა სამყაროში ხდება. ეს მე ერთ უცნაურ ამბავს მაგონებს, რომელსაც დღემდე ვერ ვივინყებ.

შავქათი დადუმდა. ვიცოდი, არ უნდა ამეჩქარებინა და ვითმენდი, სანამ საუბარი თვითონვე არ განაგრძო. შავქათი ხომ ერთი იმათგანია, ვისაც, როგორც უნდა ეცადოს, საიდუმლოს შენახვა არ ძალუძს.

– იგი კაიროს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოედანზე ფოტოატელიეში მუშაობს. მისი კლიენტები მდიდარი ადამიანები არიან. ქორწილი ისე არ ჩაივლის, რომ ნეფე-პატარძალს ყადის მისვლამდე მან არ შეუაროს სურათის გადასაღებად. ერთ დღესაც მივდიოდი გონებაგაფანტული. უეცრად ჩემი ყურადღება ერთმა უცნაურობამ მიიპყრო; შევბრუნდი – გამჭოლმა მზერამ მომნუსხა. შავი ვუაღი თობურულმა მშვენიერმა ქალიშვილმა გამიელვა თვალწინ. მისი მზერა ტკბობის, სიხარულისა და მხიარულების დაუოკებელ სიყვარულზე მეტყველებდა, რასაც სიცოცხლით სავსე სხეულიც ასხივებდა. მასში კეკლუცი დემონი დასახლებულიყო. ბაგეზე ღიმილი ისე უთამამებდა, როგორც ხის ფოთოლთა ცახცახი, რომელთაც ჩამავალი მზის ნაზი სიო ეთამამება ხოლმე. გზა განვაგრძე, მაგრამ მალევე დავბრუნდი უკან, უფრო სწორად, მაიძულა, რომ დავბრუნებულიყავი! რა უნდოდა ჩემგან? ან რისი თქმა სურდა? თავი ვერ დავაღწიე ამ მომნუსხველ მზერას. მთელს სხეულში უცნაურმა გრძნობამ დამიარა. ვინ მე და ვინ ის? იგი ქედმაღალი მანდილოსანია, რომელიც თავს იწონებს საკუთარი სილამაზით და დიდი ფოტოსურათით სურს უკვდავყოს წარმავალი ქალური მშვენიერება.

რამდენჯერ ვმდგარვარ ამ სურათის პირისპირ! იმ ქუჩაზე ხომ მხოლოდ მის სანახავად დავდიოდი. ვესალ-

მებოდი, ვეკითხებოდი ახალ ამბებს. ქალისადმი სიყვარული მათრობდა, ახალი ოცნებები კი იმედგაცრუების სიმწარეს უნებლიეთ აკვეცდა ფრთებს და გასაქანს არ აძლევდა.

დრო გადიოდა. ვფიქრობდი, თუ როდის ვნახავდი მას, ამ ფოტოგრაფის სხვა კლიენტების მსგავსად, თეთრ კაბაში გამონყობილს, გრძელი შლიეფით, საქმროსთან ხელგაყრილს. ამ სურათის გამოჩენას დღე-დღეზე ველოდი, მაგრამ სულ ამაოდ. მისი მზერა კვლავ ელაციცებოდა ვიტრინიდან გამვლელებს, ირეოდა მათში, თითქოს სურდა ვინმეს ჩასჭიდებოდა.

შემდეგ გაქრა...

გავიდა რამდენიმე კვირა, თვე და აი, მოულოდნელად კვლავ ვნახე იგი. ზაფხულის მიწურული იყო. „გამარჯობა!“ „გამარჯობა!“ კი, მაგრამ ეს რაღაა? ვუალი მოეხსნა და მშვენივრად დავარცხნილი ყორანივით შავი თმა მოუჩანდა, მისი სამოსი იყო რაღაც გარდამავალი საღამოსა და დღის კაბას შორის, ყელზე კი მძივი ეკიდა, რომლის მთავარი დიდი მარგალიტი მოღვლილ მკერდზე იწონებდა თავს; ჩანდა, ფოტოგრაფს მისი დაჩრდილვა სურდა, რომ მნახველს ქალის სიშიშველე თვალში არ მოხვედროდა. იმ დღეს იგი არ უყურებდა გამვლელებს, მეტიც, ცოტა არ იყოს, გაურბოდა მათ; ყური ოდნავ ჩვენსკენ გადმოეხარა, თითქოს სურდა, გაეგო, რას ვამბობდით მასზე. სახეზე მზე მოჰკიდებოდა. თითქოს მახარებებდა, რომ ზღვის სანაპიროზე იყო დასასვენებლად. სურათს თავიდან ბოლომდე დავაცქერდი. ვერ გამეგო რა დამართნოდა, რატომ მარიდებდა სახეს.

ცხოვრების ეტლი კი არ ჩერდება, წისქვილის დოლაბივით მიდის და ტრიალებს. სეზონები ენაცვლებიან ერთმანეთს და აი, იგი კვლავ გამოჩნდა!

საღამოს კაბა ეცვა. ყელსაბამის მთავარი დიდი მარგალიტი კვლავ იწონებდა თავს მოღვლილ მკერდზე. თმა მხრებზე ჩამოშლოდა.

მის მზერაში შეამჩნევდით გამონვევას, თვითდაჯერებულობას, სიამაყესა და ქედმაღლობას ერთს და იმავე დროს! თვალები შავად შეეღება, ბაგები კი – მენამულისფრად. როცა სურათს შევხედე, ისევ ის გრძნობა მეწვია, რომელიც მისი პირველად დანახვისას დამეუფლა. ნეტავი ამ ბაგეებს! რა არ ძალუძთ მათ! კოცნა, ამბორი და მას მიღვენებული მრისხანების ტალღა დაუოკებელი ძლიერი ვნება...

მის მზერაში შეამჩნევდით გამონვევას, თვითდაჯერებულობას, სიამაყესა და ქედმაღლობას ერთს და იმავე დროს! თვალები შავად შეეღება, ბაგები კი – მენამულისფრად. როცა სურათს შევხედე, ისევ ის გრძნობა მეწვია, რომელიც მისი პირველად დანახვისას დამეუფლა. ნეტავი ამ ბაგეებს! რა არ ძალუძთ მათ! კოცნა, ამბორი და მას მიღვენებული მრისხანების ტალღა დაუოკებელი ძლიერი ვნება...

გამახსენდა – როცა პირველად შევხედე მას, სხეულში იმავე გრძნობამ დამიარა, რომელიც მაშინ მიპყრობდა, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკი ჩავივლიდი პატარა ქუჩებს და ვუყურებდი სიყვარულით მოვაჭრეებს, საკუთარი სხეული რომ გამოეფინათ ხალხის წინაშე. მიბიძგებდა მათკენ ვნება და ცნობისნადილი, მსურდა ცხოვრების მორევში ჩაყვინთვა, მაგრამ მაკავებდა ხრწნისა და წყლულების სუნი, რომელიც ისე მწვავდა, როგორც სამუმი, ხორშაკი ქარი... ამ ქალებზე სიმახინჯეს თავისი დალი დაესვა. გადავწყვიტე, გავქცეოდი ამ ქალის მზერას და უკან აღარასოდეს დავბრუნებულყავი!

\* \* \*

გადიოდა დღეები. ისევ შევხვდი ჩემს მეგობარ შავქათს, სრულიად შემთხვევით, იმად ედ-დინის ქუჩაზე, ერთ კაფეში. მაგიდაზე მიწის თხილის რამდენიმე მარცვალი ეყარა, რომელიც სანაძლეოში მოეგო ზემო ეგვიპტელი გაიძვერა გამყიდველისთვის; მითხრა:

– ვაგებ, მხოლოდ როცა ნერვებაშლილი ვარ, ან დღეს სევდიანი სახით ვინწყებ. ჩემზე ნუ დარდობ. ერთხელ ამას ერთ ყურუშად მთელი ოცა მოვუგე. ორი მარცვალი შენ აიღე, ორიც მე დამიტოვე, მიყვარს სამართლიანი განაწილება. გთხოვ, ნუ დაიჟინებ ახლა, რომ თან წამოგყვე, ამ საღამოს დაკავებული ვარ. უნდა გამოგიტყდე, რომ გატყუებდი – მე მას კვლავ დავუბრუნდი. განა აქვს სიმახინჯეს მონუსხვის უნარი? ის ხომ ჩვენ გვაძლევს მეტ ძალას სილამაზის შესაგრძობად, მის დასაფასებლად. ან, იქნებ, სიმახინჯე ეს ქმნილების საწყისია, რომელიც აიძულებს თვით ამ ქმნილებას, რომ მთელი ძალით და მონდომებით ამაღლდეს მასზე ნელ-ნელა, ვიდრე თანდათან მშვენივრად მიაღწევდეს. გამიგე, ჩემი დამოკიდებულება ამ ქალის მიმართ სხვაგვარია. მის გარეგნობას ჩემთვის მნიშვნელობა არ გააჩნია, ის, რაც მიზიდავს მასში, მისი სულია. ვიცი, რომ ღელავს, ადგილს ვერ პოულობს, მის წინ მრავალრიცხოვანი ბრბო აივლჩავლის და მათ შორის მხოლოდ ერთ გულს (ეს ჩემია) ესმის მისი იმედები და ებრალება იგი, ვგრძნობ მის ტანჯვას, მის ნაძალადევ ღიმილს, რომელშიც მოჩვენებითი სიხარული და კმაყოფილება ჩანს. ის გამონვდილი ხელია, რომელიც ჰაერში უპასუხოდვე რჩება. ვხედავ,



მხატვარი ვანო აბულაძე

დღითი-დღე როგორ ქრება მისი თვალის სინათლე და იფერფლება. მეტყვი, რომ სურათი დროთა განმავლობაში ფერმკრთალდება და მზის სხივები ახუნებს? გაიარე იმ ვიტრინასთან, შენ თვითონ დაინახავ მას მარტოდ დარჩენილს, სხვა სურათებისაგან გარიყულს. უჩვეულო ბინდს ობობის ქსელივით დაუბურავს მისი სახე. ორივე ლოყა უცნაურ ხაზებს დაუსერავს, თითქოს ეს სილის განვნი ნაკვალევი იყოს. ვიცი, მეტყვი, რომ ვიგონებ და ეს ხაზები სხვა არაფერია, თუ არა ქალადის ნაკეცის კვალი, მაგრამ ერწმუნე ჩემს გულისთქმას, მჯერა, რომ ის მოახლოებული უბედურებისაკენ მიექანება. რომ ნავიდე სასწრაფო დახმარების სამსახურში და ვუთხრა: იჩქარეთ, მიუსწარით ახალგაზრდა ქალს, რომელიც დიდ საფრთხეშია, რადგან გული აქვს განგმირული უზარმაზარი ჭრილობით და სადაცაა გაუსკდება-მეთქი, დამცინებენ და გიყი ვეგონები, გამეცლებიან, რადგან ბოდვისა და გონებააშლილობის ნამალი არ გააჩნიათ!..

ამასობაში შავქათის ნიძლავის ამბავი სწრაფად გავრცელდა. ქუჩაში თავი მოიყარა ცნობისმოყვარე ხალხმა: ფუნთუშების, მინის თხილის, ლატარეის გამყიდველებმა, ფეხსაცმლის მწმენდავებმა, მათხოვრებმა და ვიოლინოზე დამკვრელმა. ჩვენი საუბარიც ამით დასრულდა.

ეს გასულ ზამთარს მოხდა, შინ გვიან დავბრუნდი. კართან შავქათი დამხვდა. მე მელოდებოდა. არც სიცივეს შეეშინებინა და არც წვიმას. დამინახა თუ არა, შემომყვირა:

– სად იყავი? დიდხანს გეძებდი. მინდა ჩემთან ერთად იყო ამ ღამეს. არ დამტოვო მარტო!

ნასვამი იყო. ენა ებმოდა, თვალეები კი ჩასწითლებოდა.

– დღეს ვნახე იგი, გზად, კაფეში რომ მივდიოდი. გეფიცვები, მისი მზერა ხმალივით ბასრი გახდა, სახეზე ბორბტება, სიძულვილი, სასონარკვეთა, რისხვა აღბეჭდოდა! გამვლელებსა და მეზობელ ფოტოგრაფებს დამცინავი მზერით შესცქეროდა. ჩრდილი გაფანტულა და ის ორი ხაზიც გამქრალა მისი სახიდან. თითქოს რალაც საქმისთვის შემზადებულიყო. თვალეები ოდნავ მოეჭუტა და ტურები მოეკუმა ლოყებზე ღრმა ნაოჭები გასჩენოდა. ორი საათის შემდეგ კვლავ დავბრუნდი. გამოფენის პირდაპირ დიდი ჩოჩქოლი იყო. ვილაცას ვიტრინა ჩაემსხვრია! დაფლეთილი და ტალახში ამოსვრილი სურათები ძირს ეყარა, გამვლელთა ფეხქვეშ. მათ შორის მის სურათსაც ვეძებდი, მაგრამ ამოოდ. გაზეთების გამყიდველს შუშის მსხვრევის ხმა გაეგო, თითქოს ვილაცას თოფი გაესროლაო, მაგრამ არავინ დაუნახავს. გამვლელებმა თქვეს, – ალბათ მთვრალმა ჩხუბისთავმა ესროლა შუშასო! მაგრამ მათი სიტყვები ბოლომდე არც გამიგონია. ვილაც ყვიროდა ჩემში, რომ ეს ახალგაზრდა ქალი დაიღუპა! მას ან ადრეული მოშობიარობა დაენყო, ან თავი მოიკლა, ან გული გაუსკდა...

**არაბულიდან თარგმანა  
ნინო კვირიკაშვილმა**

ახალი არაბული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი იაჰია ჰაკი, რომლის სახელსაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი დარეჯან გარდავაძის მიერ თარგმნილი ინტერვიუთი გაეცნო, კაიროში 1905 წლის 7 იანვარს დაიბადა. დაწყებითი განათლება ჯერ ასაიდა ზაინაბის რელიგიურ სასწავლებელში, ხოლო შემდგომ ალ-ვალიდა აბას ფაშა პირველის სკოლაში მიიღო. ეს სკოლა თავისი დროის გამორჩეული სასწავლებელი გახლდათ და მის კედლებში არაბული კულტურის, ხელოვნებისა და საზოგადოების არაერთი მოღვაწე აღიზარდა.

თვითონ იაჰია ჰაკის კი აქ ახალი არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი თავფიკ ალ-ჰაქიმი ასწავლიდა.

ჰაკიმ სწავლა 1925 წელს დაასრულა და მალევე ას-სა'იდის გუბერნიაში გადასახლდა, სადაც მანფალუტის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ მუშაობა დაიწყო. ადმინისტრაციული თანამდებობა, რომელიც თავიდან მწერალს ერთფეროვნად და მოსაწყენად ეჩვენებოდა, შემდგომში მისი სამწერლო მოღვაწეობის ერთ-ერთ მძლავრ საყრდენად იქცა, რადგან რეგიონში ცხოვრებამ იაჰია ჰაკის საშუალება მისცა უფრო ახლოს გაეცნობოდა ეგვიპტელი გლეხობის ცხოვრებას და იქაური შთაბეჭდილებები, განცდები თუ ნააზრევი თავის მრავალმხრივ შემოქმედებაში გამოეყენებია.

რამდენიმე წლის შემდეგ შემთხვევის წყალობით იაჰია

**მთარგმნელისაგან:**

ჰაკი დიპლომატიურ ასპარეზზე იწყებს მოღვაწეობას. გაზეთში წაკითხულმა ინფორმაციამ ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვაკანსიათა შესარჩევი კონკურსის თაობაზე მისი ცხოვრება, თვითონ ჰაკის შეფასებით, „ძირფესვიანად ამოაბრუნა“, რადგან კონკურსში მონაწილეობა მიიღო და მისთვის მოულოდნელად გამარჯვებულ კანდიდატთა სიაში აღმოჩნდა. აქედან იწყება ჰაკის დიპლომატიური კარიერა, რომელმაც თითქმის ყველა სამსახურებრივი საფეხური, აზიისა თუ ევროპის მრავალი დედაქალაქი გაიარა და 1953 წელს ლიბიაში ეგვიპტის ელჩადაც დაინიშნა.

დიპლომატის ცხოვრებამ ჰაკის, რომელიც არაბულ-აღმოსავლური კულტურის ჩინებული მცოდნე გახლდათ, ევროპულ კულტურასთან ზიარების შესაძლებლობაც გაუჩინა და მან საფუძვლიანად აითვისა ამ კულტურის მიღწევები ხელოვნების, ლიტერატურის, მხატვრობისა თუ მუსიკის სფეროში.

ლიტერატურისმცოდნეთა შეაფასებით, ჰაკის შემოქმედება დასავლურ-აღმოსავლური სალიტერატურო ტრადიციების შესანიშნავ სინთეზს წარმოადგენს. იგი ახალი ტიპის არაბული ნოველისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლად მიიჩნევა. დარჩა მრავალმხრივი და მრავალჟანრობრივი მემკვიდრეობა, რომლის ათვისებაც დღევანდელ ეგვიპტეში აქტიურად და წარმატებით მიმდინარეობს.

იაჰია ჰაკი 1992 წელს გარდაიცვალა.

\* \* \*

ის ისტორიული ეპიზოდი – მარიამ დედოფალი გენერალ ლაზარევს რომ დაჭრის სასიკვდილოდ – ოთარ ჩხეიძის პიესაშიც ჩაერთვის: „სოლომონ ანუ მსაჯული მეფისა“.

მკვლევარები ირწმუნებიან, დედოფალმა კი არა, მცველმა გამოასალმა სიცოცხლეს და მარიამმა მის გადასარჩენად დაიბრალა ეს მკვლელობაო, მაგრამ ამჯერად ამას ნულა გავყვებით, რადგან ეს ეპიზოდი სხვა მიზნით გავიხსენე.

როდესაც გენერალი მოითხოვს, რომ გიორგი XII-ის თანამეცხედრე დაუყოვნებლივ ჩაუდეს კარეტაში და პეტერბურგს გაემგზავროს (მისი შინაპატიმრობა იმპერატორის კარზეა გადაწყვეტილი), სოლომონ ლიონიძე ცდილობს შეაგონოს უცხოტომელს: დედოფლის ნება უმაღლესი ნებაა ჩვენში, როს მეფე განისვენებს, ჩვენ კი ერთი უნესო სიტყვის გულისთვის სისხლსაც დავაქცევთო.

გენერალი სისხლის ხსენებაზე აიშრება: „და ისევ სისხლი, ისევ სისხლი, სისხლი და სისხლი, ასე ლატაკი ლექსიკონი არ შემხვედრია“, რასაც მეფის მსაჯული არ აპატიებს:

**შენი მშობელი ხის ტოტზე რომ ეკიდა კუდიო, მაშინ ბიბლიას კითხულობდა ჩემი მშობელი.**

გამოქვეყნებისას აღმინახ „დრამატურგის“ (1989 წელი) ფურცლებზე ეს სტრიქონები ამოიშლება, მაგრამ მანამდე მწერალთა სასახლეში საჯარო წაკითხვისას უკვე მწვავედ გახშირდა.

რალაც ამგვარის თქმას ისტორიული ქრონიკები არ მიაწერენ სოლომონ მსაჯულს.

არც მწერლის წარმოსახვის ნაყოფია თვით ფრაზა.

ეგაა, საუკუნის შემდგომია ნათქვამი.

ის კი არა, მეტი დაზუსტებაც შეიძლება: 1910 წლის 10 ოქტომბერს, რუსეთის მესამე სახელმწიფო სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე.

და განაცხადებს ყველაზე ოპოზიციური ფრაქციის მეთაური კარლო ჩხეიძე, სულ მალე უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების შუაგულში რომ უნდა მოექცეს – იქ რუსეთის თებერვლის რევოლუცია, აქ საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნება...

გელა საითიძის ისტორიულ-მონოგრაფიულ ნარკვევში „ათი წელი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის სათავეში“ მკაფიოდაა გამოკვეთილი ამ ტრაგიკული პიროვნების პორტრეტი და დიდძალი დოკუმენტური მასალაცაა მოხმობილი, მათ შორის, იმ გამოსვლის ტექსტიც, კარლო ჩხეიძე მკვეთრად რომ დაუპირისპირდა ხელისუფლების არასწორ საგანმანათლებლო პოლიტიკას კავკასიაში.



სახალხო განათლების მინისტრის მიერ დამტკიცებულ სასწავლო გეგმას რომ უარყოფდა სავსებით დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით, იმასაც ჩაუერთავდა:

„თქვენ უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ ქართული ენა – ეს ის ენაა, რომელზეც ჯერ კიდევ IV საუკუნეში თარგმნილი იყო სახარება, ანუ იმ დროს, როცა ბევრი აქ მყოფი ბატონი ნაციონალისტის წინაპარი ტყვეში დაეხეტებოდა“.

ამ ფრაზას ცხადია, სიცილი მოჰყვებოდა.

გახმაურებითაც ძალიან გახმაურდებოდა, საქართველოში გულს მოეფონებოდათ და თაობიდან თაობასაც გადმოეცემოდა. საბჭოური ანალებიდან ამოიშლებოდა კარლო ჩხეიძის სახელი, ვითომც ყოფილა და ვითომც არაო, სხვათა შორისაც არ მოიხსენიებდნენ, მისი ორატორული გამოსვლების შეკრებასა და გამოცემას ვილა მოინდომებდა, მაგრამ ის ფრაზა ცოცხლად რჩებოდა საზოგადოების მეხსიერებაში და ოთარ ჩხეიძეს მისი დაკარგვა რომ დაენანებოდა, იქ ჩაუერთავდა, სადაც ყველაზე შესაფერის ადგილს იპოვნიდა.

დაე სოლომონ მსაჯულს ეთქვა, მერე კი ისტორიკოსებსა თუ ლიტერატურის მკვლევარებს დაეზუსტებინათ კომენტარებისას პირველავტორის ვინაობა. ეს დეტალი სხვა რეალიებთან ერთად კიდევ უფრო მკვეთრად გამოაჩენდა, პიესა მართო ერთ საბედისწერო მიჯნას კი არა, ორსაუკუნოვან ბედისწერას რომ გაიაზრებდა ჩვენი ტრაგიკული ცხოვრებისა.

მხოლოდ როგორ გვიცხოვრია კი არა, როგორ უნდა გვეცხოვრა ახალი საბედისწერო მიჯნისას, თორემ 1801 წლის გაკვეთილი შეუსმენელი რომ დარჩა 1918 წელს, ესეც ხომ აღარავისთვის ყოფილა დაფარული.

უკვე ორი მწარე გაკვეთილი გვედო წინ. მაგრამ ვინ იყო ყურის დამგდები.

მაშინ ერეკლე მეორის მტრობას გადაჰყოლოდა საქართველო, ახლა ზვიად გამსახურდიას მტრობას გადაჰყვებოდა.

\* \* \*

სანდრო შანშიაშვილი ძალიან დაახლოებოდა ნიკოლოზ ტიხონოვს. ეს მწერალი – ბობოლა სტალინური პრემიების კომიტეტსაც თავმჯდომარეობდა, უზომო გავლენა მოეპოვებინა საიმპერატორო კარზე და ყველა თავისკენ ეწეოდა, ყველა მის პატივისცემას ცდილობდა, ყველა თავზე ევლებოდა – რუსეთშიც და სხვა რესპუბლიკებშიც. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. იმას კი სანდროსთან სტუმრობა ერჩივნა, მასთან უფრო კარგად გრძნობდა თავს, კახეთსაც მოივლიდნენ ერთად, თორემ ჯუგაანში ხომ იქამდე ჩარჩებოდა, რის უფლებასაც სამსახური მისცემდა. პოეტურ ციკლს რომ შექმნიდა კახეთზე, სანდრო შანშიაშვილის დამსახურება გამოდის.



მეგობრული შარუი  
ვიგლა ფირცხალავასი

ერთხელაც ჰკითხავდა:

– შენ არ გინდა სტალინური პრემია?

ამას ჟრუანტელი დაუვლიდა. თვითონ ვერც გაემხილა და აგერ თვით თავმჯდომარე სთავაზობდა მხარდაჭერას, რაც უკვე გულისხმობდა ამ უმაღლესი საბჭოური ჯილდოს მოხვეჭას. ოღონდ აუცილებელი გახლდათ მოსკოვში ჩაკითხვა და იქ ტრიალი – მწერალთა კავშირშიც და კომიტეტშიც.

– ასე უფრო გამიადვილებოდა, – ტიხონოვმა.

გაუადვილებოდა და სანდროც მზად გახლდათ მეუღლესთან ერთად სტუმრებოდა საბჭოეთის დედაქალაქს.

შეხვედრით თავიდან უფრო ხშირად ხვდებოდა ტიხონოვს, მერე და მერე მისვლა-მოსვლა გაუიშვიათდებოდათ. თავმჯდომარესაც იმ სითამამეს ვეღარ ატყობდა, იმ იმედთან სიტყვას ვეღარ გებულობდა მისგან, რაც პირველი შეგებებისას მოესმინა.

ფაცი-ფუცობდა ტიხონოვი, წესიერად ვეღარც დალაპარაკებოდა და მიზეზად სულ ეს ეკერა პირზე: ადამ მიცკევიჩის იუბილე და მისი მომზადება მე დამევალაო.

დავალეებით კი დავალეობდა, მაგრამ თავისი შერჩეული კანდიდატურის გატანასაც ვეღარ ახერხებდა კომიტეტში, სანდროს წინაშე დანაქადნები თანდათან ფუჭი ხდებოდა და ერიდებოდა, ტყუილბრალოდ დავაიმედე და ავაფორიაქეო.

იუბილეი მიცკევიჩა, იუბილეი მიცკევიჩა, იუბილეი მიცკევიჩა – სულ ეს გამაბეზრებელი სიტყვათშეთანხმება ესმოდათ სანდროსა და მის მეუღლეს იმ თვეების მანძილზე, რაც მოსკოვში ჩარჩენილიყვნენ; და განზილებულები რომ დაუბრუნდებოდნენ თბილისს, მეუღლე დანანებით იტყოდა: სანდროს სტალინური პრემია უკვე ჯიბეში ედო, მაგრამ ვილაც მიცკევიჩამ შეუშალა ხელიო.

\* \* \*

გორდა სანიკიძესაც მოუწევს ამერიკის უნივერსიტეტში სწავლა.

ამერიკის ისტორიის გამოცდაზე ისეთ ცოდნას გამოამჟღავნებს, გამოცდელეები ალტაცებულნი დარჩებიან.

უცხოელისაგან არ მოელოდნენ და ჩაჰკითხავენ: ასე კარგად სად შეგისწავლიაო.

ამას გაეცინება:

– ისტორია ჩვენ რომ გვაქვს, ისაა, თორემ თქვენი ისტორიის შესწავლა რა სათქმელია – პაპაჩემს მაგ ხნისა კაკალი უდგას ეზოში.



მხატვარი გელა იმედაძე

**ტელეფონი გაითიშა...**

ჰოლივუდის მშვენიერებს მერილინ მონროს სულ ორი ქმარი ჰყავდა...

მისი პირველი ქმარი გახლდათ სახელგანთქმული ბეისბოლისტი, გვარად დი მაჯიო, რომელსაც ერნესტ ჰემინგუეი თავის მოთხრობაში „ბერიკაცი და ზღვა“ ასე მოიხსენიებს: „დიდი დი მაჯიო“. კინოვარსკვლავი ძალზე მალე გაეყარა სპორტსმენს და ამით დაბოლმელი დი მაჯიო ჟურნალისტებს უამბობდა, მერილინის ისეთი გემრიელი საჯდომი აქვს, მთელი დედამინის ზურგზე ვერავინ შეედრებაო. მერილინც არა რჩებოდა ვალში და ქმარყოფილს „დევენერატს“ უწოდებდა.

მერილინმა თავისი ბედი ახლა გამოჩინილ ამერიკელ დრამატურგს არტურ მილერს დაუკავშირა. მილერი უზომო ბედნიერებამ ლამის გამოათავყვანა. მწველი სიყვარულით მთვრალი გადაიქცა კინოვარსკვლავის ტიკინად. სამი-ოთხი წლის მანძილზე სტრიქონი აღარ დაუნერია. ბეჯითად ადევნებდა თვალს ამერიკულსა თუ საზღვარგარეთულ პრესას, რასაც კი წაანყებოდა მერილინზე დანერვილს (ზღვა იყო!), მყისვე ამოჭრიდა და გულდასმით აწებებდა ალბომში. აი, ამაზე იხარჯებოდა გამოჩინილი დრამატურგის ტალანტი და ენერჯია; აი, ამაში კარგავდა დროს ის კაცი, ვისაც ამერიკის ერთ-ერთ უპირველეს ინტელექტუალად მიიჩნევენ.

ტყუილად როდი უთქვამთ: სიკვდილივით ძლიერია სიყვარულიო...

ამასობაში სატრფიალო ასპარეზზე გამოჩნდა შეერთებული შტატების ახალგაზრდა პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი. იგი მერილინს ხვდებოდა თავისი ქვისლის, მსახიობ პიტერ ლოუფორდის სახლში (კალიფორნიის შტატი, ქალაქი სანტა-მონიკა).

მერილინ მონროს ვერ აძლობდა მამაკაცთა ყურადღება, ვერ აძლობდა პრესის ხმაური. არაფრად აგდებდა იმას, რომ მისი ბიუსტი ამერიკის მოსახლეობის ნახევარს ჭკუიდან არყევდა. სულის სიღრმეში გაუნჩდა მგზნებარე ოცნება – გამხდარიყო პრეზიდენტის ცოლი, მაგრამ პრეზიდენტს, მისდა სამწუხაროდ, უკვე ჰყავდა ცოლი. მერილინს კი ეზმანებოდა სახლი ოკეანის პირას, სადაც ერთად იცხოვრებდნენ ის და „პუდელი“ (ასე შეარქვა პრეზიდენტს ოდნავ ხვეული თმის გამო).

როგორც წერენ, მერილინი იმდენად სულელი არ ყოფილა, რომ სერიოზულად ეფიქრა თეთრ სახლში გადედოფლება; მაგრამ გრძნობამ დააბრმავა და ველარ აანალიზებდა სიტუაციას, ზმანებას რეალობისგან ველარ არჩევდაო.

ყველაზე პიკანტური კი ისაა, რომ მერილინ მონრომ, ერთდროულად, ორივე ძმასთან გააჩაღა რომანი. გაურკვეველია, ართულებდა თუ არა ეს ამბავი ძმების ურთიერთობას, მაგრამ მერილინს კი ნამდვილად ურთულებდა ცხოვრებას. ორი ბატონის სამსახური შავ დღეში აგდებდა. მალე შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო. ვისგან? ლოუფორდი „დანაშაულს“ მიანერდა რობერტს, თავად მერილინი – პრეზიდენტს.

ერთ მშვენიერ დღეს ჯონ კენედი ურეკავს მეუღლეს და ამცნობს, ღამით პიტერთან ვრჩებიო. ჟაკლინი ყველაფერს მიხვდა.

1962 წლის მაისში პრეზიდენტი აღნიშნავს 45 წლისთავს თავისი დაბადებიდან. შემოტმანსილ კაბაში გამოწყობილი

მერილინ მონრო ადის სცენაზე და პოპულარული სიმღერით ულოცავს დაბადების დღეს.

პრეზიდენტის გულისათვის თურმე მიუტოვებია გადასაღები მოედანი. ამ გიჟური საქციელით კინოსტუდიას მიაცენა ზარალი რამდენიმე მილიონი დოლარის ოდენობისა.

მთვრალი რომ იყო, მხოლოდ „პუდელს“ შეუნიშნავს.

სტუდიაში გადაწყვიტეს მისი დასჯა, მაგრამ ეშინოდათ პრეზიდენტისა. ამასობაში დარეკა ჟაკლინ კენედის დამ და მიანიშნა სტუდიის მესვეურებს, ხელები ხსნილი გაქეთო.

მერილინ მონრო ჰოლივუდიდან დაითხოვეს! დაუყოვნებლივ სთხოვეს რობერტ კენედის (იუსტიციის მინისტრს), დამეხმარეო. მაგრამ იგი უმწეოდ შლის ხელებს, მე არაფერი ძალმიძსო. მეუღლესთან ახსნა-განმარტების შემდეგ პრეზიდენტსაც გაუქრა ჟინი. ძმებმა ერთდროულად აიცრუეს გული მერილინზე.

გაზეთებს გადააიწყდათ ჰოლივუდის მშვენიება. „როგორც ჩანს, მერილინი მანაცდამანაც ნიჭიერი არ ყოფილა“, – ეუბნება რობერტი ჯონს.

„გადასაღებად არსად აღარ ეპატიყვებია“, – დასძენს პრეზიდენტი.

სასწარკვეთილი მზეთუნახავი ჩაიკეტა თავის სახლში. მიეძალა ნარკოტიკებს. ურეკავს კენედებს. ძმები არ პასუხობენ.

1962 წლის 5 აგვისტოს მერილინ მონროს დანიშნული ჰქონდა სამი შეხვედრა: დილით – იდუმალი პრესკონფერენცია, სადილზე – კონსულტაცია ადვოკატთან, საღამოს – წვეულება ლოუფორდთან. წინა დღეს დაურეკა ლოუფორდს, თავს ცუდადა ვგრძნობ და ვერ მოვალო. პიტერმა უთხრა, რობერტი იქნებაო. მერილინმა წყევლა-კრულვა შეუთვალა რობერტს. პიტერმა გააფრთხილა, ენას კბილი დააჭარეო. აუხსნა, რომ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, მის ტელეფონს უსმენდნენ. ამან თავზარი დასცა მერილინს. აქვითინდა. მერე გაუმხილა ლოუფორდს, ხვალ პრესკონფერენციას ვანყო – ჟურნალისტებს უნდა ვაუწყო, ორივე ძმასთან რომანი რომ მქონდაო. პიტერი გაჩუმდა, მერე კი ურჩია მერილინს, ამას ნუ იზამო. მერილინი თავისას არ იშლიდა. უცებ ტელეფონი გაითიშა...

მეორე დილით ლოუფორდს პოლიცია ეწვია. სთხოვეს ნასულყო ცხედრის ამოსაცნობად. მერილინის სასაბუღალტო ტრანსკვილიზატორების კოლოფი იყო.

**აღარ ეღაპვებოდა**

1889 წლის თებერვალსა და მარტში პეტერბურგის ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა ივანე ჯაბადარის „წერილები საქართველოზე“, ეროვნული ნიჭილიზმით რომ იყო დალდასმული. ილია ჭავჭავაძემ იმავე წელს, გაზეთ „ივერიის“ აპრილ-ივლისის ნომრებში, გამოაქვეყნა პოლემიკური წერილების სერია საერთო სათაურით „აი ისტორია“, სადაც გამოეხმაურა ყოველივე ქართულისადმი სკეპტიკურად განწყობილ, გადაგვარებულ ქართველ ნაროდნიკს.

ჯაბადარი, სხვა მრავალ „საძრახისთან“ ერთად, ქირდავდა თამარ მეფის დროინდელ საქართველოს იმის გამოც, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად და უფლისწულის ბედის



გამოსაცდელად ქართველებს გაულაშქრიათ ყარსზე – ტყუილუბრალოდ აუარებელი სისხლი დაიღვარაო.

ილია ჭავჭავაძე ორიგინალურად განმარტავს ზემოხსენებული მოვლენის არსსა და მიზანს. მისი სიტყვით, მას შემდეგ, რაც სომხეთის სამეფო შეიმუხრა, საქართველოს სამხრეთი საზღვრები ღია დარჩა მტერთათვის. ამიტომაც იყო აუცილებელი ბრძოლა საქართველოს სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე ფეხის მოსაკიდებლად, შემდგომში კი – მათი შემომტკიცებისათვის.

„ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავადებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა“, – წერდა ილია ჭავჭავაძე და გულისტკივილით დასძინდა: „ქართველებს ამ მხრით გამაგრება რომ მოესწროთ, – ვინ იცის – საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო“.

გამოხდა ხანი.

და აი, 1914 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, ნიგნი მეორე, სადაც კვითხულობთ შემდეგს: „სამწუხაროდ, ძლევამოსილებამ და დიდძალმა დავლამ, რომელიც მოჰქონდათ ხოლმე ქართველ მეომრებს მტრის ქვეყნიდან, იმდენად გაიტაცა და წაახალისა საქართველოს მხედრობა, რომ სულ ლაშქრობის ნატვრაში იყვნენ... ომიანობას ქართველები ზოგჯერ ისე უყურებდნენ, როგორც გასართობსა და საჭაბუკო საქმეს. როდესაც, მაგალითად, ტახტის მემკვიდრე ლაშა-გიორგი დაიბადა, „იქმნა გალაშქრება ბედსა და სევსა ზედა ლაშასა“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველთა ამგვარი აგრესიული მოქმედება დიდი შეცდომა იყო, ვინაიდან ტყუილუბრალოდ სიძულვილს იწვევდა მეზობლებში და ქართველთა ურთიერთობას მაჰმადიანებთან ძალზე ამწვავებდა. ქართველთა ძლევამოსილების ჟამს მეზობლებს პირმოთენობისა და ძლევების მირთმევის გარდა სხვა რაღა გზა დარჩენოდათ, მაგრამ თუკი ქართველთა ბედის ჩარხი უკუღმა შეტრიალდებოდა, უეჭველია, ჯავრს ამოიყრიდნენო.

მართლაც ასე მოხდა. ქართველთა ბედის ჩარხი უკუღმა შეტრიალდა და როდესაც მეზობელმა მაჰმადიანურმა ქვეყნებმა დაინახეს, რომ მძლავრი მფარველი და ქომაგი მოველინათ ხვარაზმმაჰ ჯალალედინის სახით, მისივე დაივინყეს კეთილმეზობლობა საქართველოსთან და მხარში ამოუდგნენ ისლამის თავგამოდებულ მედროშეს.

ამგვარად, ივანე ჯავახიშვილი ერთ, კერძო შემთხვევასთან დაკავშირებით ეთანხმებოდა ივანე ჯავახიშვილს და დაუსახელებლად ედავებოდა განსვენებულ ილია ჭავჭავა-

ძეს. შეუძლებელია, არ სცოდნოდა, თუ რას უმტკიცებდა დიდი ქართველი მწერალი ნიჰილისტ-ნაროდნიკს. რა თქმა უნდა, ეცოდინებოდა და მაინც არ შეეკუა.

ივანე ჯავახიშვილი კერძოთაყვანისმცემელი არ ყოფილა და ავტორიტეტულ მსჯავრზე მაღლა აყენებდა ჭეშმარიტებას.

კიდევ გამოხდა ხანი.

1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა ნაიკითხა მოხსენება „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“.

სხვა საკითხებთან ერთად მომხსენებელი საკმაოდ ვრცლად შეეხო ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებული წერილების სერიას და საკადრისი ქება მიაგო იქ გამოთქმულ დებულებებს. დასასრულ, არც ის საკითხი დაივინყებია, რომელზეც თავის დროზე განსხვავებული აზრი ჰქონდა გამოთქმული.

ამჯერად ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ილიას საუცხოოდ ჰქონდა განმარტებული ქართველი მეფეების პოლიტიკა XII საუკუნეში. შემდეგ მომხსენებელი თითქმის მთლიანად იმონებდა ჯაბადარის წინააღმდეგ ჩამოყალიბებულ მსჯელობას ქართველების ყარსზე გალაშქრებასთან დაკავშირებით და... აღარ ედავებოდა!

რას უნდა მივანეროთ მოულოდნელი მეტამორფოზა?

ეგებ საიუბილეო განწყობა იყო მიზეზი ივანე ჯავახიშვილის თავშეკავებისა? ეგებ ახალგაზრდული რადიკალიზმის ელფერით შემოსილი მეცნიერული ვნება დაუცხრა ჭარმაგ ასაკში? ეგებ ანგარიშს უწევდა არსებულ ვითარებას, როდესაც გაბატონებული იდეოლოგია კონტროლს უწევდა და თავის გემოზე აშენებდა არა მარტო ანწყობს, არამედ წარსულსაც; მასასადამე, ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ისტორიაში არსებულ ჩრდილს დღის სინათლეზე არ გააჭაჭანებდა. ამასთან, ილია ჭავჭავაძესთან შედავება, ამინდის შეცვლის გამო, მკრეხელობადაც კი შეიძლება მოენათლათ.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული რჩება ვარაუდებად, ხოლო ზუსტი პასუხი არა ჩანს და, ალბათ, აღარც გამოჩნდება. თითქოს ყველაზე დამაჯერებელია ასეთი დასკვნა: ივანე ჯავახიშვილის ცნობიერებაში ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული ზოგადი იდეის სიმართლემ დარწმუნა ამავე იდეის განხორციელებისას წარმოქმნილი ესა თუ ის ხინჯი და მავნე შედეგები.

28 მარტს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრალური ხელოვნების განვითარების ფონდმა ჩაატარა ფონდის საერთაშორისო პროექტების პრეზენტაცია.

ქალბატონმა მანანა ანთაძემ მოწვეულ სტუმრებს გააცნო ფონდის საქმიანობის მიზნები და პროექტები. ითქვა იმის შესახებ, რომ ფონდი არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც ხელოვნების ნებისმიერ სფეროში მოღვაწეთა დასახმარებლად შეიქმნა. ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ თეატრი სინთეზური ხელოვნებაა, იგი სხვადასხვა დარგის განვითარებაზე დამოკიდებული და ამდენად ფონდის პროექტებიც მრავალმხრივია.

უპირველესი მიზანი, რასაც ფონდი საშურ საქმედ მიიჩ-

ნევს, არის მიხეილ თუმანიშვილის მემკვიდრეობის დაცვა, საქართველოში თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობა:

ნოვატორული (საერთაშორისო) სადადგმო პროექტების მხარდაჭერა.

ექსპერიმენტული (საერთაშორისო) შემოქმედებითი ლაბორატორიების ორგანიზება.

კონკურსების მოწყობა.

მონიტორინგის ჩატარება.

საერთაშორისო „მრგვალი მაგიდის“ მოწვევა.

ახალგაზრდული სტუდიების შექმნა და მათი ჩართვა საერთაშორისო პროექტებში.